

კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი
2022, თბილისი

სამოქალაქო საზოგადოების როლი

საუნივერსიტეტო კურსის დამხმარე სასწავლო რესურსი



სამოქალაქო საზოგადოების როლი

საუნივერსიტეტო კურსის დამხმარე სასწავლო რესურსი

კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი

2022, თბილისი



ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union



ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით, პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგაღი, ღია და ანგაჩიშვადღებუდი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის“ ფარგლებში. პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

პუბლიკაციის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია „კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.



ავტორები: თამარ კობერიძე, ნათია ნადირაძე
რედაქტორი: ნინო ბექიშვილი

კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი
ოთარ ჩხეიძის ქუჩა 5, 0186, თბილისი, საქართველო

Center for Training and Consultancy
5 Otar Chkheidze St. 0186 Tbilisi, Georgia

სარჩევი

კარი 1 მეთოდოლოგიური რეკომენდაციები სასწავლო აქტივობებისთვის

შესავალი	3
1. მეცნიერება და მეცნიერული კვლევები	4
1.1. მეცნიერება	4
1.2. მეცნიერული კვლევა	5
1.3. სოციალური მეცნიერებები და მათი შესწავლა	7
2. სოციალური მეცნიერებების კვლევებისა და სწავლების მეთოდები	8
2.1. ეთნოგრაფიული კვლევა	10
თეორიული მიმოხილვა	10
პრაქტიკული ნაწილი	13
2.2. ემპათიური კვლევა	18
თეორიული მიმოხილვა	18
პრაქტიკული ნაწილი	22
2.3. გამოძიების მეთოდი	29
თეორიული მიმოხილვა	29
პრაქტიკული ნაწილი	33
2.4. სიმულაციის მეთოდი	36
თეორიული მიმოხილვა	36
პრაქტიკული ნაწილი	38
2.5. პროექტის მეთოდი	44
თეორიული მიმოხილვა	44
პრაქტიკული ნაწილი	45
2.6. პრობლემის იდენტიფიცირება	49
თეორიული მიმოხილვა	49
პრაქტიკული ნაწილი	50
2.7. პრობლემის გადაწყვეტის მოდელი	53
თეორიული მიმოხილვა	53
პრაქტიკული ნაწილი	57
2.8. ინტერვიუ კვლევაში	60
თეორიული მიმოხილვა	60
პრაქტიკული ნაწილი	62

2.9. დებატები: სიტყვით გამოსვლის ძალა და დებატები	68
თეორიული მიმოხილვა	68
პრაქტიკული ნაწილი	70
2.10. დამოუკიდებელი (თვითმართული) სწავლების მეთოდები	76
თეორიული მიმოხილვა	76
პრაქტიკული ნაწილი	80
2.11. მოსწავლეთა თემი	85
თეორიული მიმოხილვა	85
პრაქტიკული ნაწილი	89
2.12. შერეული სწავლება	91
თეორიული მიმოხილვა	91
პრაქტიკული ნაწილი	93

კარი 2 სასწავლო მაგალითები

ცოდნის კაფე	97
„პირველი ნაბიჯი“ საქართველო	102
„უკეთესი მომავლისთვის“ და „იკორთა“	105
ფერმერული კოოპერატივები	108
სამოქალაქო საზოგადოება უნგრეთში - ლეგიტიმურობის გაძლიერება ზენოლის დასაძლევად ..	113
კამპანია ირანის დისკრიმინაციული კანონმდებლობის შესაცვლელად	117
2015 წლის ლტოლვილთა კრიზისი ევროპაში	121
მხარი დაუჭირეთ Standing Rock-ს	135
ორგანიზაცია ACT UP NEW YORK	144
გამოყენებული ლიტერატურა	154

მეთოდოლოგიური რეკომენდაციები სასწავლო აქტივობებისთვის

თამაზ კობეხიძე

შესავალი

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მეთოდოლოგიური რეკომენდაციები და სასწავლო მაგალითები განკუთვნილია საუნივერსიტეტო კურსის, „სამოქალაქო საზოგადოების როლი“ მხარდასაჭერად. კურსი შემუშავდა საქართველოში მოქმედ რამდენიმე უნივერსიტეტთან პარტნიორობით და შევიდა მათ სასწავლო პროგრამებში.

დღემდე არსებული სასწავლო მასალები და ინსტრუქციები გვთავაზობს სწავლის მრავალფეროვან შესაძლებლობასა და უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართულობას, რათა ხელი შეეწყოს სამოქალაქო საზოგადოების პრინციპებისა და მნიშვნელობის გააზრებას. სახელმძღვანელო, აგრეთვე, ხელს შეუწყობს აქტიური მოქალაქეობისა და სამოქალაქო მონაწილეობის წახალისებას, რეალურ ცხოვრებაში არსებული პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირებას და მათი გადაჭრის გზებზე ფიქრს. სტუდენტთა ანალიტიკური, პრობლემების იდენტიფიცირებისა და გამოკვეთის, ასევე მათი გადაჭრის უნარების გასავითარებლად, სახელმძღვანელო გვთავაზობს მოკვლევაზე დაფუძნებულ მეთოდებს, ასევე სოციალურ მეცნიერებებში დანერგილი მეცნიერული მეთოდების ელემენტებს (კვლევის მიდგომების, იარაღებისა და ტექნიკის ჩათვლით) მონაცემების შეგროვებისა და ანალიზისთვის (მაგ. სავლე კვლევა, მაგალითების კვლევა, ეთნოგრაფიული კვლევა, ემპათიური კვლევა და სხვა). ასევე სახელმძღვანელო გვთავაზობს სტუდენტთა დამოუკიდებელი სწავლებისა და მოსწავლეთა თემის ჩამოყალიბების ხელშეწყობის ინსტრუმენტებს, რათა სწავლისა და სწავლების პროცესი პროდუქტიული და ინდივიდუალურ სტუდენტზე მორგებული გახდეს.

შესავალის სახით, გვინდა სტუდენტებს შევახსენოთ, თუ რა არის მეცნიერება და რით განსხვავდება ცოდნის მეცნიერული წყარო არამეცნიერული წყაროსგან. სახელმძღვანელო გვთავაზობს მეცნიერებისა და ცოდნის მეცნიერული წყაროების მოკლე განმარტებებს. ამასთან, სახელმძღვანელოს სხვა აღწერილობითი ნაწილები (კონცეფციები და მეთოდები) გამიზნულია ლექტორის დასახმარებლად, რათა საჭიროების შემთხვევაში, გააცნოს ისინი სტუდენტებს.

ზემოხსენებულთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელო არ ისახავს მიზნად სოციოლოგიური კვლევის მეთოდების სრულფასოვან სწავლებას, არამედ ყურადღებას ამახვილებს მოკვლევაზე დაფუძნებული სწავლებისა და მეცნიერული კვლევის მეთოდებსა და ტექნიკაზე და შეესაბამება სასწავლო კურსს - „სამოქალაქო საზოგადოების როლი“, რათა მეთოდებისა და ტექნიკის გამოყენება ბუნებრივად შეერწყას კურსის მასალებს, არა როგორც სილაბუსის დამატებითი თემა, არამედ როგორც არსებული თემებისა და მასალების ირგვლივ სავარჯიშოების, ცოდნის გაღრმავებისა და პრაქტიკაში გამოყენების საშუალება. ამ მიზნით, სახელმძღვანელო მოიცავს შემდეგს:

- ▶ თემების აღნიშვნებს სახელმძღვანელოდან „სამოქალაქო საზოგადოების როლი“, რომელთა განხილვის დროს შეთავაზებულია მოცემული მეთოდის გამოყენება;
- ▶ ჯვარედინი თემების ჩამონათვალს, რაც მიუთითებს სახელმძღვანელოს ფარგლებში ურთიერთდაკავშირებულ თემებსა და სავარჯიშოების ურთიერთჩანაცვლების საშუალებაზე;
- ▶ მოცემული მეთოდების/მოდულების გამოყენების რეალურ მაგალითებს;
- ▶ თეორიულ მასალას მოსდევს სავარჯიშო სტუდენტებისთვის, რომელიც ასევე შედგება (ა) ინსტრუქციისგან ლექტორებისთვის და (ბ) სტუდენტების დავალებისგან და ინსტრუქციისგან.

1. მეცნიერება და მეცნიერული კვლევები

1.1. მეცნიერება

შეერთებული შტატების სამხრეთ ფლორიდის უნივერსიტეტის პროფესორის ანოლ ბატაჩარჯის მიხედვით ზოგისთვის მეცნიერება მხოლოდ საშუალო სკოლის ან კოლეჯის დონის რთული კურსებია, როგორებიცაა, მაგალითად, ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია და განკუთვნილია მხოლოდ ყველაზე გამორჩეული სტუდენტებისათვის. სხვებისთვის მეცნიერება თეთრ ხალათებში გამოწყობილი მეცნიერების ხელობაა, სადაც ისინი სპეციალურ აღჭურვილობასა და ლაბორატორიებს იყენებენ. ეტიმოლოგიურად, სიტყვა „მეცნიერება“ მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან *Scientia*, რაც ნიშნავს „ცოდნას“. მეცნიერება კი გულისხმობს ნებისმიერ დარგში „მეცნიერული მეთოდით“ მიღებული ცოდნის სისტემურ და ორგანიზებულ ნაწილს (Bhattacharjee 2012, p.1).

ვინრო გაგებით მეცნიერება, რასაც ინგლისურ ენაზე science-ად მოიხსენიებენ და რომელიც არ მოიცავს ჰუმანიტარულ დარგებს, თავის მხრივ, შეიძლება დაიყოს ორ ფართო კატეგორიად: ბუნებისმეტყველება და სოციალური მეცნიერება. საბუნებისმეტყველო დარგებისგან განსხვავებით, რომლებიც შეისწავლის ბუნებრივად არსებულ საგნებს ან ფენომენებს (მაგ. სინათლე, საგნები, მატერია, დედამიწა, ციური სხეულები ან ადამიანის სხეული), სოციალური მეცნიერებები წარმოადგენს ადამიანების ან ადამიანთა ერთობების მეცნიერებას (მაგ. ჯგუფები, ფირმები, საზოგადოება და ეკონომიკა) და მათ ინდივიდუალურ ან კოლექტიურ ქცევას. სოციალური მეცნიერება შესაძლებელია დაიყოს დისციპლინებად, როგორებიცაა ფსიქოლოგია (ადამიანის ქცევის მეცნიერება), სოციოლოგია (სოციალური ჯგუფების მეცნიერება) და ეკონომიკა (ფირმების, ბაზრებისა და ეკონომიკის მეცნიერება) (ibid., p.1).

საბუნებისმეტყველო მეცნიერება სოციალური მეცნიერებისგან რამდენიმე ასპექტით განსხვავდება. საბუნებისმეტყველო მეცნიერება ძალიან კონკრეტული, ზუსტი, დეტერმინირებული და ნაკლებად დამოკიდებულია იმ ადამიანზე, ვინც ახდენს მეცნიერულ დაკვირვებას. მაგალითად, ფიზიკაში მეცნიერული ექსპერიმენტი, როგორიცაა ხმის სიჩქარის გაზომვა მოცემული დინამიკიდან, უნდა გვაძლევდეს ერთსა და იმავე შედეგებს, მიუხედავად ექსპერიმენტის დროისა და ადგილისა ან იმ ადამიანისა, ვინც ატარებს ექსპერიმენტს. ამ შემთხვევაში, თუკი ორი სტუდენტი ატარებს ერთსა და იმავე ექსპერიმენტს და იღებს განსხვავებულ პასუხებს ეს, ჩვეულებრივ, ნიშნავს, რომ ერთს ან ორივე სტუდენტს აქვს დაშვებული შეცდომა. ამის საპირისპიროდ, ამას ვერ ვიტყვით სოციალურ მეცნიერებებთან მიმართებაში, რომელიც, ჩვეულებრივ, ნაკლებადაა ზუსტი ან დეტერმინისტული და მეტად ბუნდოვანი. მაგალითად, თუკი ჩვენ ვზომავთ ადამიანის ბედნიერებას, ჰიპოთეზური ინსტრუმენტის გამოყენებით, შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ ერთი ადამიანი მეტად ან ნაკლებად ბედნიერია (ან დარდიანი) სხვადასხვა დღეს ან იმავე დღის განსხვავებულ დროს. უფრო მეტიც, არ არსებობს რაიმე ერთი ინსტრუმენტი ან საზომი, რომელიც სიზუსტით გაზომავს ადამიანის ბედნიერებას. შესაბამისად, იმავე დროის მონაკვეთში – ერთი საკვლევი ინსტრუმენტის გამოყენებით ერთი კონკრეტული ადამიანი შესაძლებელია „გაიზომოს“, როგორც „მეტად ბედნიერი“ და მეორე ინსტრუმენტის გამოყენებით „ნაკლებად ბედნიერი“. ეს ნიშნავს, რომ სოციალური მეცნიერებები გამოირჩევა გაზომვის უზუსტობის შედარებით მაღალი დონით. შესაბამისად, საჯარო პოლიტიკასთან მიმართებაში სოციალური მეცნიერებების დახმარებით მიღებულ გადაწყვეტილებებზე საკმაოდ ბევრი უთანხმოებაა ანალიტიკოსებსა და ექსპერტებს შორის. მაგალითისთვის, თუკი საბუნებისმეტყველო მეცნიერებს შორის არც ისე ბევრი უთანხმოებაა შუქის ან მზის ირგვლივ დედამიწის ბრუნვის სიჩქარესთან მიმართებაში – სოციალურ მეცნიერებს შორის უამრავი კამათი და წინააღმდეგობრივი აზრებია იმის თაობაზე, თუ როგორ მოვაგვაროთ სოციალური პრობლემები, როგორიცაა გლობალური ტერორიზმი, ეკონომიკური რეცესია და სხვ. (ibid., p.2).

1.2. მეცნიერული კვლევა

მარტივი კითხვის დასმისას, თუ რა არის კვლევა – შესაძლებელია განსხვავებული პასუხები მივიღოთ, გამომდინარე იქიდან, თუ ვის დავუსვამთ ამ კითხვას. ზოგიერთებმა შესაძლებელია გვიპასუხებენ, რომ ისინი რეგულარულად იკვლევენ ვებსივრცეს და პოულობენ მათთვის სასურველ ადგილებს სურსათისა და მომსახურების შესაძენად. სატელევიზიო არხები აწარმოებენ კვლევებს გამოკითხვის ფორმით, ხალხისთვის საინტერესო თემებზე, როგორებიცაა მომავალი არჩევნები ან სამთავრობო პროექტები. სტუდენტები იკვლევენ ინტერნეტ სივრცეს, რათა მოიძიონ ინფორმაცია დავალებების შესასრულებლად, ან კვლევის პროექტისთვის მონაცემების შესაგროვებლად და გასაანალიზებლად. ბიზნესები და კონსულტანტები იკვლევენ სხვადასხვა პოტენციურ გადაწყვეტილებას ორგანიზაციული პრობლემების შესამცირებლად ან მომხმარებლის მყიდველობითი უნარების გამოსავლენად.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ვერცერთი ზემოხსენებული კვლევა ჩაითვლება „მეცნიერულ კვლევად“, თუკი: 1) მას წვლილი არ შეაქვს მეცნიერებაში და 2) არაა ჩატარებული მეცნიერული მეთოდით (Bhattacharjee, 2012, p.1).

მეცნიერული მეთოდი ოპერირებს ორ – თეორიულ და ემპირიულ დონეზე. თეორიული დონე მოიცავს ბუნებრივი ან სოციალური ფენომენის ირგვლივ აბსტრაქტული კონცეფციების შემუშავებას და ამ კონცეფციებს შორის ურთიერთობის დადგენას (მაგ. „თეორიის შექმნა“). ამასთან, ემპირიული დონე მოიცავს თეორიული კონცეფციისა და ურთიერთობების ტესტირებას იმის დასადგენად, თუ რამდენად ემთხვევა ისინი ჩვენ მიერ რეალობის დაკვირვებას, უკეთესი თეორიების შექმნის მიზნით. დროთა განმავლობაში თეორია მეტად და მეტად იხვეწება (უკეთ ასახავს რეალობას) და მეცნიერება იძენს გამოცდილებას. მეცნიერული კვლევა მოითხოვს მუდმივ „მოძრაობას“ თეორიასა და დაკვირვებას შორის. როგორც თეორია, ასევე დაკვირვება მეცნიერული კვლევის მნიშვნელოვანი კომპონენტებია. მაგალითად, დასკვნების გაკეთება მხოლოდ დაკვირვებაზე დაყრდნობით და თეორიის უგულებელყოფა არ განიხილება მეცნიერულ კვლევად (ibid., p.2).

ზემოხსენებულთან ერთად, მრავალმა ადამიანმა სოციოლოგიური განათლების გარეშე იცის, რა ხდება სოციალურ სამყაროში. ხანდახან მათი ცოდნა საფუძვლიანია, ხანდახან – არა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გავიაზროთ, როგორ და საიდან იციან ადამიანებმა ის, რაც იციან და შევაჯეროთ ინფორმაცია მეცნიერულ ცოდნასთან.

ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებისთვის დამახასიათებელია არამეცნიერული დასაბუთების ოთხი ტიპი: შემთხვევითი დაკვირვებიდან მიღებული ცოდნა, შერჩევითი მტკიცებულებებიდან მიღებული ცოდნა, ჭარბი განზოგადების საფუძველზე დაფუძნებული ცოდნა და ავტორიტეტის ან ტრადიციის საფუძველზე დამყარებული ცოდნა (Little, 2016, pp. 50-60).

ცოდნის მეცნიერული და არამეცნიერული წყარო

(Amy Blackstone, 2012, *Sociological Inquiry Principles: Qualitative and Quantitative Methods.*)

ცოდნის წყარო	აღწერა
შემთხვევითი დაკვირვება	როცა ვაკვირდებით ყოველგვარი სისტემატური პროცესის გარეშე, დაკვირვების ობიექტის შესაფასებლად
შერჩევითი დაკვირვება	როცა ვხედავთ მხოლოდ იმ მაგალითებს, რომელიც გვინდა, დავინახოთ, ან როცა ვვარაუდობთ, რომ მხოლოდ ის მაგალითები არსებობს, რომელსაც ვიცნობთ ან გამოგვიცდია
ჰიპერგანზოგადობა	როცა მიუხედავად ჩვენი დაკვირვების შეზღუდული ხასიათისა, ვვარაუდობთ, რომ ამგვარი ტენდენცია ზოგადად არსებობს
ავტორიტეტი/ტრადიცია	სოციალურად განსაზღვრული ცოდნის წყარო, რომელმაც შესაძლებელია ჩამოაყალიბოს ჩვენი რწმენები სიმართლესა და სიცრუეზე
მეცნიერული კვლევის მეთოდი	სოციალური სამყაროს შესახებ სწავლებისა და შემეცნების ორგანიზებული და ლოგიკური გზა

1.3. სოციალური მეცნიერებები და მათი შესწავლა

როგორც ცნობილია, სოციალური მეცნიერება მეცნიერების ნაწილია და მისი მიზანია სადო-ეებებისა და ამ საზოგადოებების წევრებს შორის ურთიერთობების შესწავლა. მაგალითად, ევროპის სამეცნიერო ფონდი (Europe Science Foundation) სოციალურ მეცნიერებებს განსაზღვრავს, როგორც საგნებს, რომლებიც შეისწავლის და ხსნის ადამიანებს (ESF 2013). შესწავლა და ახსნა მოიცავს მრავალს: ადამიანის ტვინის მუშაობიდან დაწყებული და საზოგადოების ფუნქციონირებით დამთავრებული. თავდაპირველად, ტერმინს გამოიყენებდნენ სოციოლოგის დარგის აღსანიშნავად, თუმცა, დღეს იგი მოიცავს აკადემიური დისციპლინების ფართო მრავალსა ხეობას, როგორებიცაა ეკონომიკა, გეოგრაფია, ანთროპოლოგია, ბიზნესისა და მენეჯმენტის მეცნიერებები, მედია მეცნიერებები, პოლიტიკური მეცნიერებები, ფსიქოლოგია, სამართალი, სოციალური პოლიტიკა და სხვ., სადაც თითოეული დისციპლინა ასევე მოიცავს დისციპლინების ფართო არჩევანს.

სოციალური მეცნიერებები უახლოვდება ჰუმანიტარულ მეცნიერებებს, რადგან ორივე სწავლობს ადამიანებს და მათ წარსულს, ახლანდელსა და მომავალ ცხოვრებას. მიუხედავად ამისა, ბრიტანეთის აკადემიის მიხედვით (The British Academy 2017), ჰუმანიტარული მეცნიერებები სწავლობს ადამიანს და ინდივიდუალურ შემთხვევებს, როცა სოციალური მეცნიერებები მოიცავს საერთო პოპულაციას.

გამოჩენილი სოციოლოგი პიტერ ბერგერი (Peter L. Berger) თავის 1963 წლის წიგნში „მოპატიჟება სოციოლოგიაში: ჰუმანიტარული პერსპექტივა“ (Invitation to Sociology: A Humanistic Perspective) აღწერს სოციოლოგს, როგორც ადამიანს, „რომელსაც სურს დისციპლინირებულად შეისწავლოს საზოგადოება“ და რომ სოციოლოგებს გააჩნიათ ბუნებრივი ინტერესი ხალხის ცხოვრების მონუმენტური მომენტების მიმართ და ასევე შეპყრობილნი არიან ყოველდღიური ბანალური მოვლენებით (Berger, ციტ. Little , 2016, p.103).

2. სოციალური მეცნიერებების კვლევებისა და სწავლების მეთოდები

სოციალური კვლევები აკავშირებს სტუდენტთა ცოდნასა და აზროვნებას რეალურ ცხოვრებასთან, როგორც ადგილობრივი, ასევე გლობალური მასშტაბით. ამასთან, სოციალური კვლევების შესწავლა მნიშვნელოვანია, რადგან ეხმარება სტუდენტებს ადეკვატური რეაგირება მოახდინონ იმ განსხვავებებზე, რაც არსებობს საზოგადოებაში, როგორც კარგმა მოქალაქეებმა გააკეთონ ინფორმირებული არჩევანი და დაასაბუთონ საკუთარი გადაწყვეტილებები საერთო სიკეთის შესაქმნელად.

სოციალური მეცნიერებების ერთ-ერთი ამოცანაა წარმატებული მოქალაქეების აღზრდა, რომლებიც ხელს შეუწყობენ დემოკრატიული პროცესების გაუმჯობესებას. ამასთან, დემოკრატიული მოქალაქეობის ფორმირების საფუძველია ეფექტური გადაწყვეტილების მიღების უნარი, რაც ემყარება ცოდნასა და მეცნიერულ დასაბუთებას. სოციალური მეცნიერებების კიდევ ერთი ამოცანა სოციალიზაციის ხელშეწყობაა (Memişoğlu 2011, p. 256).

ყველა საზოგადოებას სურს, რომ არსებული კულტურული ფასეულობები შეასწავლოს ახალგაზრდებს, რათა ეს მემკვიდრეობა ახალ თაობებს გადაეცეს. ახალი თაობების მიერ ამ ფასეულობების შექმნის პროცესს უწოდებენ სოციალიზაციას (ibid., p. 296). ამასთან, მკვეთრად ცვლად დემოკრატიულ საზოგადოებაში, კრიტიკულ და შემოქმედებით მოქალაქეებს არსებული სოციალური ფასეულობების გადაფასებით შეუძლიათ ახალი ფასეულობების გენერირება. ეფექტურმა დემოკრატიულმა მოქალაქემ ცოდნაზე და არგუმენტაციაზე დაყრდნობით უნდა გაფილტროს ყოველი მტკიცებულება (Öztürk and Dilek, ციტ. Memişoğlu 2011, p. 296).

სოციალური მეცნიერებების ამგვარი ხედვა, სწავლის პროცესში საჭიროებს შესაბამისი სტრატეგიების შერჩევას, რომლებიც ხელს შეუწყობს სტუდენტთა კოგნიტური და ემოციური ფუნქციების განვითარებას (Sivakumar 2018, p. 208). სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, სადაც უზრუნველყოფილია აქტიური მონაწილეობა, სადაც ფასდება სტუდენტები და მათი აზრი და ინფორმაციის გაანალიზება ინტეგრირებულია რეალურ ცხოვრებასთან – დადებით დამოკიდებულებას უღვივებს სტუდენტებს სოციალური მეცნიერებების სასწავლო პროგრამების მიმართ. ამასთან, თანამედროვე მიდგომები მოითხოვს, რომ ლექტორებმა გაიაზრონ და გადაწყვიტონ, კურსი სავსე უნდა იყოს ენციკლოპედიური ინფორმაციით, თუ არჩევანი გააკეთონ საგნების სიღრმისეულ გააზრებაზე, მოვლენებსა და კრიტიკულ აზროვნებაზე; დაისახონ მიზნად, სტუდენტები აღიჭურვონ მათი მომავლისთვის საჭირო ინფორმაციით და სხვ. (Özden, ციტ. Memişoğlu 2011, p.297).

ცხადია, რომ სწავლების ტრადიციული მეთოდები ნაკლებადაა ორიენტირებული ზემოთქმულზე, ხოლო თანამედროვე პედაგოგების ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა შემოქმედებითი, კრიტიკული და მრავალი მიმართულებით მოაზროვნე ადამიანების აღზრდა, რომლებსაც შეუძლიათ ისწავლონ სწავლა, გადაჭრან პრობლემები, პასუხი აგონ საკუთარ სწავლაზე და აქვთ უნარი მიიღონ ჯანსაღი გადაწყვეტილებები (Saban, ციტ. Memişoğlu 2011, p. 297). ამის მისაღწევად, სოციალური მეცნიერებების სწავლების მეთოდები იყენებს მოკვლევაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდებსა და ტექნიკას.

მოკვლევაზე დაფუძნებული მეთოდი შემუშავდა და განვითარდა მე-20 საუკუნის 60-იან წლებში და მრავალი პედაგოგის მხრიდან აღქმულ იქნა, როგორც „ახალი პედაგოგიკა“. სწავლების ეს მეთოდი უპირატესობას ანიჭებს სტუდენტთა კითხვებს, იდეებსა და ანალიზს. სტუდენტების პერსპექტივიდან, მოკვლევაზე დაფუძნებული სწავლება ფოკუსირდება ღია კითხვის ან პრობლე-

მის გამოძიებაზე. აქ სტუდენტებმა უნდა გამოიყენონ მტკიცებულებაზე დაფუძნებული არგუმენტაცია და დასახონ პრობლემის გადაწყვეტის შემოქმედებითი გზები, რომლებსაც წარმოადგენენ და დაიცავენ. ამასთან, მასწავლებლის პერსპექტივიდან, მოკვლევაზე დაფუძნებული სწავლება გულისხმობს მეთოდებს, რომლებიც სტუდენტებს მისცემს საშუალებას, გაცდნენ ზოგად ცნობისმოყვარეობას და გადააბიჯონ კრიტიკული აზროვნებისა და გააზრების სივრცეში. ეს მეთოდი მოითხოვს სტუდენტთა ხელშეწყობასა და დახმარებას, რათა დასვან კითხვები, გაიარონ გამოკვლევის პროცესი, ამ უკანასკნელის ნამოწყებისა და სტრუქტურირების ჩათვლით (Guido 2017). განათლების მკვლევრების აზრით, საერთო ჯამში, მოკვლევაზე დაფუძნებული ინსტრუქცია სასწავლო მეთოდია, რომელიც „აერთიანებს სტუდენტთა ცნობისმოყვარეობას და მეცნიერულ მეთოდს, კრიტიკული აზროვნების უნარების განსავითარებლად“ (Warner & Myers 2020, p.2). ამასთან, ნიშანდობლივია, რომ მოკვლევაზე დაფუძნებული სწავლება განათლების ფილოსოფია და საერთო მიდგომაა და არა მკაცრი წესები და ინსტრუქცია. მოკვლევაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდებია: სიტუაციური ანალიზი (case study), ჯგუფური პროექტები, კვლევის პროექტები, სავლესე სამუშაოები, კონკრეტულ სტუდენტებზე მორგებული სავარჯიშოები და სხვ.

მოკვლევაზე დაფუძნებული სწავლების მნიშვნელოვანი კომპონენტები

(XQ Institute 2020):

კომპონენტი	აღწერა
1. ორიენტაცია/დაკვირვება	ლექტორი წარადგენს ახალ თემას ან კონცეფციას. სტუდენტები შეისწავლიან თემას, კვლევის, უშუალო ინსტრუქციებისა და პრაქტიკული სამუშაოების საშუალებით.
2. კითხვები/გააზრება	სტუდენტები ადგენენ თემასთან დაკავშირებულ კითხვებს, აკეთებენ პროგნოზებს, ვარაუდებს და ჰიპოთეზებს.
3. გამოძიება	გამოკვლევაზე დაფუძნებული სწავლების ყველაზე ხანგრძლივი ნაწილი. სტუდენტები იღებენ ინიციატივას (ლექტორის დახმარებით), რათა ჩაატარონ კვლევა, აღმოაჩინონ პასუხები, იპოვონ მტკიცებულებები, დაადასტურონ ან უარყონ ჰიპოთეზა.
4. დასკვნა	ინფორმაციისა და მონაცემების შეგროვების შემდეგ, სტუდენტები შეიმუშავენ დასკვნებს და გასცემენ პასუხებს დასმულ კითხვებზე. ასევე შეამოწმებენ, რამდენად მცდარია ან სწორია მათი ჰიპოთეზა. ამან შესაძლებელია დამატებითი კითხვები გააჩინოს.
5. დისკუსია/ინფორმაციის გაზიარება	სტუდენტებს აქვთ საშუალება ისწავლონ ერთმანეთისგან, შედეგების პრეზენტაციის საშუალებით. ლექტორის მხრიდან აქ მნიშვნელოვანია დისკუსიისა და დებატების, ასევე ახალი კითხვებისა და შთაბეჭდილებების წახალისება.

ცხადია, რომ ვერც ერთ ცალკეულ სწავლების მეთოდს ადეკვატურად ვერ მივუსადაგებთ სწავლების ყველა სიტუაციას. შესაბამისად, საუკეთესოა არა ერთი რომელიმე მეთოდი, არამედ მეთოდების კომბინაცია, რაც შესაძლებელს ხდის სასურველი მიზნების მიღწევას.

2.1. ეთნოგრაფიული კვლევა

თეორიული მიმოხილვა

ეთნოგრაფიული კვლევა წარმოადგენს ხალხისა და კულტურების სისტემურ შესწავლას, სოციალურ ინტერაქციებს, ქცევას და აღქმებს, რაც წარმოიშობა ჯგუფებში, გუნდებში, ორგანიაციებსა და თემებში. კვლევის ეს ფორმა ეყრდნობა მონაცემთა შეგროვების თვისებრივ მეთოდს, რომლის მეშვეობით მკვლევრები ახდენენ დაკვირვებას ან/და ინტერაქციაში შედიან შესწავლის მონაწილეებთან/სუბიექტებთან, მათი ცხოვრების რეალურ გარემოში. ამასთან, კვლევის შედეგები, ჩვეულებრივ, წარმოგვიდგება ვიზუალური და წერილობითი ფორმით (Reeves et al. 2008, pp.512-518).

ამ ტიპის კვლევის პირველი მაგალითები ჩაატარეს ანთროპოლოგებმა და სოციოლოგებმა, რომელთაც სურდათ გასცნობოდნენ სხვადასხვა აბორიგენი ხალხის რეალობას. ტრადიციულად, ეთნოგრაფიული კვლევა ტარდებოდა ხანგრძლივი პერიოდის (თვეების ან წლებისა) კი მანძილზე, თუმცა უკანასკნელი პერიოდიდან მეცნიერები ასევე მხარს უჭერენ საკვლევი საგნის/კულტურის შესწავლის უფრო მოკლე ვადებს (Pink and Morgan 2013, p. 1-2).

ეთნოგრაფიული კვლევის შემთხვევაში, კვლევის საგნის შესწავლა ხდება ამ უკანასკნელის კულტურულ კონტექსტში. ეთნოგრაფიული კვლევის ამოცანაა, დეტალური დაკვირვებისა და გამოკითხვების შედეგად, სრულფასოვნად წარმოადგინოს ადამიანების შეხედულებები და მოქმედება და ასევე ის გარემო (ბუნება, ხმები), სადაც ადამიანები ცხოვრობენ (Reeves et al. 2008, p.512). ამასთან, დაკვირვების საგანია ისეთი ასპექტები, როგორებიცაა ენა, სოციალური ურთიერთობები, რელიგიური თუ პოლიტიკური შეხედულებები და სხვა. ეთნოგრაფიული კვლევისას, მკვლევარი გარკვეული დროით ერთვება საკვლევ გარემოში და აკვირდება და ინიშნავს შესწავლის ობიექტის ყოველდღიურ ცხოვრებას, შემდეგ კი აანალიზებს და ხსნის მის ქცევას. როგორც ითქვა, ამ შემთხვევაში, მონაცემების შეგროვება ხდება უშუალოდ დაკვირვების ტექნიკის გამოყენებით, ფორმალური და არაფორმალური ინტერაქციის მეშვეობით კვლევის სუბიექტებთან, პირადი საველე ჩანიშვნებით, ხოლო მონაცემთა ანალიზი მოიცავს გააზრებასა და „შინაარსის შეძენას“ (Bhattacharjee 2012, p.5). უფრო დეტალურად, ეთნოგრაფიული კვლევის ტექნიკა მოიცავს ხუთ ძირითად მეთოდს: ნატურალიზმს, მონაწილეზე დაკვირვებას, ინტერვიუს, გამოკითხვასა და დოკუმენტების შესწავლას. კერძოდ:

► **იცხოვრე და იმუშავე და მონაწილეობითი დაკვირვება:** ეთნოგრაფიული კვლევის ეს ორი მეთოდი ერთმანეთის მსგავსია. ამ მეთოდებით, მკვლევარი მოიხვეჭს საკვლევი ჯგუფის ნდობას და ხდება მისი ნაწილი, რათა შეეძლოს შესაფერისი შეკითხვების დასმა და ქცევის შესწავლა. იცხოვრე და იმუშავე მეთოდი ასევე ცნობილია, როგორც ნატურალიზმი. ეთნოგრაფიული კვლევის ეს ტექნიკა გულისხმობს კვლევის ობიექტის/ცვლადების დაკვირვებას ამ უკანასკნელისთვის ბუნებრივ გარემოში, ქცევითი ტენდენციების გამოსავლენად და აღსაწერად. ეს ტექნიკა შესაძლებელია მოიცავდეს გარკვეული დროის განმავლობაში საკვლევ ჯგუფთან ან ადამიანებთან ცხოვრებას მათთვის ბუნებრივ გარემოში, მათი აქტივობების აღსაწერად. ნატურალიზმი ეთნოგრაფიული კვლევის უძველესი მეთოდია და მან შესაძლებელია წარმოშვას გარკვეული დონის სიახლოვე და კავშირები საკვლევ ობიექტებსა და მკვლევარს შორის. შესაბამისად, ამ მეთოდის გამოყენებისას, მნიშვნელოვანია, რომ მკვლევარმა უზრუნველყოს მინიმალური ჩარევა, რათა დაცულ იქნას კვლევის შედეგების ობიექტურობა. **მონაწილეობითი დაკვირვება** წარმოადგენს ეთნოგრაფიული კვლევის მონაცემთა შეგროვების მეთოდს, სადაც მკვლევარი აგროვებს ინფორმაციას კვლევის ობიექტებთან აქტიური ინტერაქციისა და მათ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობის საშუალებით. მიუხედავად მსგავსებისა, „იცხოვრე და იმუშავე“ მეთოდისგან განსხვავებით, მონაწილეობითი დაკვირვებისას, მკვლევარი ხდება საკვლევი ჯგუფის აქტიური წევრი, რაც აძლევს მას ისეთი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას, რაც ხელმისაწვდომია მხოლოდ ჯგუფის წევრებისთვის. ორივე მეთოდი შესაძლებელია იყოს ფარული და ღია. ფარული დაკვირვება მოიცავს საკვლევი ობიექტის ინფორმირებულობის გარეშე მის დაკვირვება-აღწერას, ხოლო ღია ნატურალისტური დაკვირვებისას საკვლევმა ობიექტებმა იციან, რომ მათ შეისწავლიან. ორივე შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ საკვლევი ჯგუფის წევრები კომფორტულად გრძნობდნენ თავს მკვლევართან, რადგან ამ შემთხვევაში მათი ქცევა მეტად ბუნებრივი იქნება. საკვლევ ჯგუფში შესვლამდე, მკვლევარმა საფუძვლიანად უნდა მოამზადოს კვლევის დიზაინი. ასევე ორივე შემთხვევაში კვლევის

ამ მეთოდებთან დაკავშირებულია მთელი რიგი შეზღუდვები, როგორებიცაა: ა) მკვლევრის არსებობამ შესაძლებელია გავლენა მოახდინოს კვლევის ობიექტზე, რაც ზეგავლენას მოახდენს შედეგებზე და ბ) მკვლევრისა და საკვლევ ობიექტებს შორის შესაძლებელია წარმოიშვას ურთიერთობები და კავშირები, რამაც ასევე შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს კვლევის ობიექტურ შედეგებზე.

- ▶ **ინტერვიუ¹:** ეთნოგრაფიული ინტერვიუ თვისებრივი კვლევის მეთოდია, რომელიც აერთიანებს დაკვირვებასა და ერთი ერთზე დისკუსიას. ეს ფართოდ გამოყენებული ტექნიკა გულისხმობს პირად შეხვედრებს ჯგუფის სხვადასხვა წევრთან, რათა მიღებულ იქნას მეტად დეტალური ინფორმაცია ჯგუფის წევრების კულტურის, წესებისა და მოტივაციების შესახებ. მკვლევრისთვის მიზანშეწონილია ამ ინტერვიუებისთვის კარგად მომზადება, რაც გულისხმობს წინასწარ კონტექსტურ მოკვლევას და საკვლევ ჯგუფის წევრების მიზნებისა და ქცევის ირგვლივ შესაბამისი მონაცემების შეგროვებას და კითხვარის მომზადებას. ეთნოგრაფიული ინტერვიუ, ჩვეულებრივ, არაფორმალური და სპონტანურია, და გამომდინარეობს საკვლევ ობიექტისა და მკვლევრის ურთიერთობიდან. ეთნოგრაფიული ინტერვიუ ხშირად გამომდინარეობს მონაწილეობითი დაკვირვების მეთოდიდან, სადაც მკვლევარი აქტიურადაა ჩართული საკვლევ ჯგუფში, მათი ცხოვრების შესახებ მეტი ინფორმაციის მოსაპოვებლად.
- ▶ **გამოკითხვა:** ეთნოგრაფიული კვლევისას შესაძლებელია ასევე გამოკითხვის მეთოდის გამოყენება. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია კვლევის ჰიპოთეზის დასმა და შემდგომ მისი გამოკითხვის საშუალებით შემოწმება. გამოკითხვა ხდება სტრუქტურირებული კითხვარების საშუალებით, სადაც კონკრეტული კითხვები შესაძლებელია მოიცავდეს საკვლევ ობიექტების გრძნობებს, მოსაზრებებს სიტუაციის შესახებ, ქცევის წესებს და სხვ. კვლევის ჩატარებამდე მკვლევარმა უნდა აირჩიოს წარმომადგენლობითი ნიმუში, ხოლო დასრულების შემდეგ – გაანალიზოს და ახსნას საკვლევ ჯგუფის წეს-ჩვეულებებისა და ქცევის მიზეზები.
- ▶ **დოკუმენტების ანალიზი:** ეთნოგრაფიული კვლევა შესაძლებელია ასევე საჭიროებდეს საკვლევ ობიექტის ირგვლივ წერილობითი ინფორმაციის ან/და დოკუმენტების შეგროვებას და გაანალიზებას. ეს დოკუმენტები შეიძლება მოიცავდეს მასალების ფართო სპექტრს, როგორებიცაა წერილები, მოთხრობები, დღიურები, ანგარიშები, ოფიციალური დოკუმენტები, გამოქვეყნებული ეთნოგრაფიული კვლევები და სხვა.

ეთნოგრაფიული კვლევისას ერთი ან რამდენიმე მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია სფეროზე, შერჩევის მოცულობასა და კვლევის მიზნებზე .

მკვლევარმა უნდა მაქსიმალურად დეტალურად, წერილობით აღწეროს მიღებული გამოცდილება, ისე, რომ მკითხველმა სრულად გაიზიაროს საკვლევ ობიექტის კულტურა. ეთნოგრაფიული კვლევის უპირატესობას წარმოადგენს კონტექსტის მიმართ მგრძნობელობა, მდიდარი და ნიუანსებით სავსე ინფორმაცია და რესპონდენტების მინიმალური შეზღუდვა. ეთნოგრაფიული კვლევის საშუალებით, სტუდენტები უფრო ღრმად გაიაზრებენ სამოქალაქო საზოგადოების როლს, ფუნქციებსა და იმ გარემოს, რომელშიც იგი ოპერირებს, აუდიტორიის, პროცესების, მიზნებისა და კონტექსტის ჩათვლით.

¹ ინტერვიუს ჩატარების ტექნიკა და მაგალითები იხილეთ შესაბამის თავში

ეთნოგრაფიული კვლევა: ალკოჰოლური სასმელების მოხმარება ახალგაზრდებში

(Daniel Briggs, Ivan Gololobov, n/d)

ახალგაზრდებისა და ალკოჰოლის მოხმარების ეთნოგრაფიულმა კვლევამ რუსეთსა და დიდ ბრიტანეთში გამოიყენა ეთნოგრაფიული მეთოდების ტექნიკა (ინტერვიუები, დისკუსიები და საველე დაკვირვებები).

რუსეთში ჩატარებული კვლევა ფოკუსირებას ახდენს ე.წ. პანკებზე და შესაბამისად, პანკების გარემოზე, მუსიკაზე და „ანდეგრაუნდზე“. უნდა ითქვას, რომ პანკ-სცენები და მუსიკალური „ანდეგრაუნდი“ ყოველთვის გამოირჩეოდა მძიმე ალკოჰოლის მოხმარებით. გვიანი 1970-ანი წლებიდან მოყოლებული, როცა საბჭოთა კავშირში პირველად გაჩნდა პანკების ჯგუფები, ალკოჰოლი კონტრკულტურული იდენტობისა და პანკების პოეტური ცხოვრების სტილის განუყოფელ ნაწილად იქცა. დღევანდელ დღეს, ალკოჰოლი რჩება პანკების კონცერტების, ღონისძიებების და თავყრილობების ჩვეულებრივ ატრიბუტად. ივან გოგოლობოვის მიერ ჩატარებული რუსი პანკების კვლევა დაეფუძნა დაკვირვებითი მონაწილეობის ტექნიკას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და ორ სპეციალურად განხორციელებულ საველე გასვლას. პირველი საველე გასვლა განხორციელდა კრასნოდარში, სამხრეთ რუსეთში (2009 წ. აგვისტო-ნოემბერი) და მეორე სანკტ-პეტერბურგში (2010 წ. მარტი-ივნისი). მკვლევარი შეუერთდა ახალგაზრდების რამდენიმე ჯგუფს, ვინც დაკავშირებული იყო ადგილობრივ პანკ-სცენასთან და იცხოვრა მათი არაორდინალური და შემოქმედებითი ცხოვრებით რამდენიმე თვის განმავლობაში. პანკების ყოველდღიური ცხოვრებაზე დაკვირვებასთან ერთად, მკვლევარმა ჩაატარა 40-ზე მეტი ინტერვიუ მუსიკოსებთან, აქტივისტებთან, მუსიკალურ ჟურნალისტებთან, მენეჯერებთან, პროდიუსერებთან, ფანებთან და სხვ. ცხადია, რომ კვლევის განმავლობაში იშვიათი იყო შემთხვევა, როცა ინტერვიუ, საუბარი ან არაფორმალური შეხვედრა ტარდებოდა ალკოჰოლის გარეშე და ყველა დაკვირვებას თან უძღოდა ალკოჰოლის ქარბი მოხმარება.

ბრიტანეთის ახალგაზრდების მიერ ალკოჰოლის მოხმარების ეთნოგრაფიული კვლევა ჩაატარა დანიელ ბრიგმა. მისი კვლევა ფოკუსირდებოდა „დასვენების გამოცდილებაზე“. 1960-იანი წლებიდან, ბრიტანეთის მოქალაქეები მასობრივად ატარებენ შვებულებას საზღვრებს გარეთ. ბრიტანელები, ჩვეულებრივ, შვებულებას ატარებენ საბერძნეთში, იტალიასა და ესპანეთში. 1980-ანი წლებიდან, ექსტაზისა და ელექტრონული მუსიკის გამოჩენასთან ერთად, განსაკუთრებით პოპულარული გახდა კუნძულები - მაიორკა და იბიცა. მას შემდეგ ამ კუნძულებმა შეიძინეს მუსიკის, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის კულტურული კუთვნილება. შედეგად, ბევრი ბრიტანელი ახალგაზრდა განწყობილია დიდი რაოდენობის ალკოჰოლის მოხმარებაზე საზღვარგარეთ დასასვენებლად ყოფნის დროს. ცხადია, სახლიდან წასვლა და ყოველდღიური რუტინისგან და პასუხისმგებლობებისგან დასვენება დაკავშირებულია გართობასთან. დანიელ ბრიგმა თავდაპირველად ჩაატარა საპილოტე დისკუსიები (ფოკუს-ჯგუფები) დიდ ბრიტანეთში თემის ექსპერტებთან და შემდეგ გაემგზავრა მოკლე საველე გასვლაზე კუნძულ იბიცაზე. მკვლევარმა გამოიყენა ეთნოგრაფიული მეთოდის დაკვირვების ტექნიკა, ალკოჰოლის მოხმარების განსხვავებულ ვითარებაში. რადგანაც მრავალი ახალგაზრდა მოგზაურობდა მეგობრების წრეში – მკვლევარმა ჩაატარა დისკუსიები (ფოკუს-ჯგუფები) კონკრეტულ სამეგობროებში (სულ 17 ფოკუს-ჯგუფი 5 დღეში). ფოკუს-ჯგუფების ჩატარებამ საშუალება მისცა მკვლევარს ასევე გამოეყვლინა „ჯგუფური მომენტები“ და დასვენების კონტექსტში ალკოჰოლის დაღვევის რეალური ატმოსფერო.

ნორსფილდის ესპანურენოვანი იმიგრანტების თემი და არსებული აღქმები

(Green Bouzard, Polina Bugayev, Brian Kantor, Nichole Rohlfen St.Olaf Collage, Ethnographic Research Methods, n/d)

უნივერსიტეტის სტუდენტებმა გამოიყენეს ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდები, სათემო კვლევის პროექტის განსახორციელებლად, ნორსფილდის საჯარო ბიბლიოთეკასთან და სამოქალაქო ორგანიზაციებთან - Riverwalk Arts Quarter და Growing Up Healthy Rice County თანამშრომლობით. კვლევა იძიებს ნორსფოლდში ლათინური ამერიკიდან იმიგრირებული ესპანურენოვანი თემის გამოცდილებასა და აღქმებს.

კვლევის ფოკუსს წარმოადგენდა თემი, იდენტობა და კავშირები ნორსფილდის ფართო თემთან, ესპანურენოვან იმიგრანტებსა და დანარჩენ თემს შორის. რატომ ჩამოდიან ესპანურენოვანი იმიგრანტები ნორსფილდში? მათი აზრით, როგორ აღიქმებიან სხვების მიერ? რას წარმოადგენენ ყველაზე ხელშესახები ბარიერები ნორსფილდის ესპანურენოვან იმიგრანტებსა და დანარჩენ თემს შორის კავშირების შესაქმნელად? ეს და მსგავსი კითხვები დაუსვს ადგილობრივ მაცხოვრებლებს. სტუდენტების მონაცემები და ანალიზი დაეყრდნო ფოკუს-ჯგუფებს, ინტერვიუსა და დაკვირვებას, რაც შესაძლებელი გახდა ადგილობრივ სამოქალაქო ორგანიზაციასთან Growing Up Healthy Rice County და ესპანურენოვანი თემის ლიდერებთან თანამშრომლობით.

კვლევამ დაადგინა, რომ არსებობს სურვილი და საჭიროება, რათა შედგეს მეტი საუბარი და ინფორმაციის გაზიარება ესპანურენოვანი იმიგრანტების გამოცდილებაზე უსაფრთხო გარემოში, ასევე, რათა მოხდეს კულტურების გაზიარება და გააზრება ნორსფილდის ესპანურენოვან იმიგრანტ მოქალაქეებსა და დანარჩენ მოქალაქეებს შორის.

პრაქტიკული ნაწილი

მეთოდის გამოყენება შესაძლებელია საუნივერსიტეტო კურსის შემდეგი სასწავლო თემების განხილვისას

- თემა 1:** სამოქალაქო საზოგადოების მიმოხილვა, მაგალითები და ტერმინები;
- თემა 3:** სამოქალაქო საზოგადოების ფორმები და შემადგენლობა (სოციალური საწარმო);
- თემა 4:** სამოქალაქო საზოგადოების ზეგავლენა და წვლილი;
- თემა 6:** სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში;
- თემა 8:** სამოქალაქო საზოგადოება და ბიზნესი;
- თემა 11:** სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციული ასპექტები (დაფინანსების წყაროები).

ჯვარედინი თემები

- ▶ ემპათიური კვლევა;
- ▶ ინტერვიუს ტექნიკა;
- ▶ კვლევის კითხვა-ფორმულირება;
- ▶ პრობლემის იდენტიფიცირება;
- ▶ პროექტის მეთოდი.

რეკომენდებული სასწავლო მაგალითები

- ▶ ცოდნის კაფე;
- ▶ ფერმერული კოოპერატივები;
- ▶ კამპანია ირანის დისკრიმინაციული კანონმდებლობის შესაცვლელად;
- ▶ მხარი დაუჭირეთ Standing Rock-ს;
- ▶ ორგანიზაცია ACT UP ნიუ-იორკი.

ლექტორის ინსტრუქცია

(ადაპტირებულია Education for Fashion Tech და University of North Carolina at Charlotte-ს სასწავლო მასალებიდან)

დავალემა შესაძლებელია შესრულდეს ინდივიდუალურად ან პატარა ჯგუფებში (3-5 სტუდენტი), რათა წამოიწყონ, შეიმუშაონ, დაგეგმონ და ჩაატარონ ეთნოგრაფიული კვლევა.

დავალეების მიცემისთანავე და სანამ სტუდენტები გავლენ სავლელ სამუშაოზე, მიზანშეწონილია სტუდენტებს ჩაუტარდეთ შესაბამისი ინსტრუქტაჟი და ასევე, მათი აღჭურვა ეთნოგრაფიული კვლევის ჩატარების იარაღებით:

- ▶ გაცნობა თვისებრივ კვლევის მეთოდებთან, რაც დაკავშირებულია ეთნოგრაფიულ კვლევასთან (მონაწილეობითი დაკვირვება, ჩანიშვნების გაკეთება, ვიზუალური ასახვა, მონაცემების შეგროვების ნახევრად-სტრუქტურირებული ტექნიკა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მონაცემების ანალიზი და წარმოდგენა.
- ▶ მნიშვნელოვანია ინსტრუქტორმა გააცნოს სტუდენტებს ხალხის ყოველდღიური საქმიანობის გადაღების ან/და აღწერის ეთიკური და სამართლებრივი ჩარჩო. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებმა არ გააკეთონ აუდიო, ვიდეო ან ხელნაწერი ჩანაწერები მონაწილეებისგან მიღებული წერილობითი თანხმობის გარეშე. ასევე, სტუდენტებმა უნდა შეატყობინონ მონაწილეებს კვლევის მიზნების შესახებ და როგორ იქნება მიღებული მონაცემები გამოყენებული.
- ▶ დაგეგმვის ეტაპის მნიშვნელოვანი ნაწილია სტუდენტების წახალისება, რათა დამოუკიდებლად ჩაატარონ მოსამზადებელი სამუშაოები: ჩაიხედონ მათ კვლევასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მეორად წყაროში, როგორებიცაა ბლოგები და ვებგვერდები, წიგნები, პუბლიკაციები, ანგარიშები, მედია რეპორტაჟები და სხვ. ასევე სასარგებლო იქნება ეთნოგრაფიული ფილმების ნახვა.

ეთნოგრაფიული კვლევის მაგალითები:

(ა) კითხვა: როგორ ახდენს სოციალური მოძრაობა ხალხის მობილიზებას?

ქვეკითხვები:

- ▶ როგორ გადიან კონტაქტზე მოსახლეობასთან?
- ▶ რა გზებით ავრცელებენ ინფორმაციას?
- ▶ როგორ ხდება მოსახლეობის მოტივირება?
- ▶ რა ამოძრავებს სოციალურ მოძრაობას?
- ▶ რა ძირითად გამოწვევებს აწყდება?

სავლელ სამუშაო: სოციალური მოძრაობის აქტივობის დაკვირვება (ქუჩაში, სათავო ოფისში, მიტინგამდე და მიტინგის შემდეგ და სხვ.)

(ბ) კითხვა: რა ტიპის პარტნიორული ურთიერთობები აკავშირებთ საჯარო პოლიტიკის საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო ორგანიზაციებს?

ქვეკითხვები:

- ▶ როგორ დაიწყო პარტნიორობა და რა იყო ამის მიზეზი?
- ▶ როგორ მუშაობს პარტნიორობა პრაქტიკაში, პასუხისმგებლობებისა და საქმის გადანაწილების კუთხით?
- ▶ რა ძირითადი გამოწვევებია პარტნიორულ ურთიერთობაში და რა იქნება ამის შედეგი? რას
- ▶ წარმოადგენენ პარტნიორობის ძირითადი ელემენტები?

საველე სამუშაო: ინტერნეტ სივრცეში არსებული ინფორმაციის თვალის დევნება, ორგანიზაციებში „ჩართვა“ და პროცესებზე დაკვირვება.

დავალება და ინსტრუქცია სტუდენტებისთვის

თქვენს თემებში/ქალაქებში/ქვეყანაში შეარჩიეთ სამოქალაქო ორგანიზაცია (მაგ. ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაცია, სოციალური მოძრაობა, სათემო კავშირი ან სხვ.) და ჩაატარეთ ეთნოგრაფიული კვლევა.

თქვენი ეთნოგრაფიული კვლევა იქნება ადამიანთა ჯგუფის თვისებრივი შესწავლა მათ ყოველდღიურ გარემოში. ამასთან, ემპირიული დაკვირვებებისა და სხვა ნახევრად-სტრუქტურირებული მონაცემების შეგროვების შედეგად მიღებული მონაცემები (მაგ. დაკვირვება, ფოკუს-ჯგუფები, ინტერვიუ) შესაძლებელია იქნას გამოყენებული ახალი ცოდნის შესაქმნელად, რაც უკავშირდება სამოქალაქო სექტორის მოტივაციას, ქცევას, განწყობებს, სურვილებს, პრობლემებსა და წარმატების ხედვებს, საზოგადოების მიმართ და მათი მხრიდან დამოკიდებულებას და სხვ.

თქვენ უნდა ჩამოაყალიბოთ ეთნოგრაფიული კვლევის კითხვა (რის გამოკვლევა გსურთ), შეარჩიოთ სიტუაცია/დარგი/ორგანიზაცია და შეაგროვოთ ეთნოგრაფიული მონაცემები, მონაწილეობის, მონაწილე-დამკვირვებლის ან დამკვირვებლის როლში.

დავალება 1:

თქვენ უნდა დააკვირდეთ ან მონაწილეობა მიიღოთ საკვლევო ორგანიზაციის ცხოვრების მინიმუმ **5 ეპიზოდში (მინიმუმ 30 წუთით თითო შემთხვევაში)**. კვლევისას, უნდა გადაიღოთ ფოტო ან/და ვიდეო, გააკეთოთ ჩანიშვნები, წერილობით განავრცოთ ისინი საბოლოო შედეგების, ანალიზისა და დასკვნებისთვის.

დავალება 2:

მინიმუმ 4 კვირის განმავლობაში უნდა ჩართოთ რაც შეიძლება მეტი თქვენი მეგობარი/კონტაქტი/პედაგოგი/ოჯახის წევრი და სხვ. ეთნოგრაფიულ საუბარში მათი სამოქალაქო აქტივიზმის ჩვევების/პრაქტიკის შესახებ.

დავალებას აქვს ორი მიზანი: 1) „შიგნიდან“ შეისწავლოთ სამოქალაქო სექტორი/სამოქალაქო აქტივიზმი და შეაგროვოთ მონაცემები (ფოტოები, ვიდეო, ტრანსკრიპტი და სხვ), საველე გასვლების საშუალებით და 2) გაანალიზოთ, შეაფასოთ და წარმოადგინოთ კვლევის შედეგები ფოტორეპორტაჟის (ან/და მოკლე ვიდეოს) ფორმით, რომელსაც თან ერთვის წერილობითი მასალა (შედეგები, დასკვნები და სამომავლო რეკომენდაციები-ხედვები).

ღამხმარე საკითხები

- ▶ სავლელე ჩანანერი შედგება მნიშვნელოვანი გარემოების/ფაქტის/განწყობის შესახებ ჩანანერებისგან, მკვლევრის მოსაზრებებისგან. ჩანანერები გაკეთდეს მნიშვნელოვანია ისე, რომ მოგვიანებით გაგახსენოთ დაკვირვების კონტექსტი. ჩანანერები უნდა ასახავდეს თქვენი გამოცდილების „ამბავს“. დაწერეთ რაც შეიძლება მეტი, ისე, რომ იყოს ასარჩევი და მკითხველს ჰქონდეს შეგრძნება, რომ თავად იყო იქ. ჩაინიშნეთ სპეციფიკური დეტალები და გამონათქვამები, რომლებიც შესაძლებელია შევიდეს საბოლოო ანგარიშში
- ▶ დაკვირვების ობიექტი არის ხალხი და მათი ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია და გარემო, ყველაფერი, რაც დაეხმარება მკითხველს გაიაზროს თქვენი გამოცდილება:
 - ხალხი;
 - კონტექსტი, გარემო, პირობები;
 - კომუნიკაციები, მოქმედება, ინტერაქციები;
 - შთაბეჭდილებები;
 - როგორ/როდის/სად ახდენენ კომუნიკაციას, მათთან/თქვენთან;
 - რას ნიშნავს მათი კომუნიკაცია?
 - გრძნობები: რა გრძნობები გეუფლებათ? რა ემოციებს განიცდიან მონაწილეები? რა შეგრძნებას გიტოვებთ საკვლევი ველი? მძიმეა? რბილი? მკვეთრი? შეუფერხებელი?
 - ვიზუალური მხარე: რას ხედავთ? როგორ გამოიყურება საკვლევი ველი? ვინ არიან იქ? ვინ არაა? სად არიან? ახლოს არიან? შორს? ლამაზია? უშნოა? ნათელია?
 - ხმები: რა გესმით? როგორ ჟღერს საკვლევი ველი? სასიამოვნოდ?
 - არასასიამოვნოდ? რაზე საუბრობენ ადამიანები? რას ამბობენ?
 - ჩაინერეთ ნებისმიერი სიტყვა ან ფრაზა, რაც მოგეჩვენებათ საინტერესოდ. იყენებენ თუ არა განსხვავებულ ლექსიკას?
 - როგორ ახდენენ ადამიანები არავერბალურ კომუნიკაციას?
- ▶ დასკვნები და შეჯამება

კვლევის დასკვნებისა და შეჯამების გაკეთებისას, მნიშვნელოვანია თქვენი აზრები და შეხედულებები მხარდაჭერილი იყოს მტკიცებულებებით. მაგალითად, იმის მაგივრად, რომ დაწეროთ „კაცი გაბრაზებული ჩანდა“, უნდა დაინეროს „კაცი გაბრაზებული ჩანდა, რადგან მთელი დროის განმავლობაში წარბშეკრული იყო და საუბრობდა ხმამაღლა და დაძაბული ტონით.“

ეთნოგრაფიული კვლევის ნაბიჯები

- 1 შეარჩიეთ თქვენთვის საინტერესო/საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სოციალური დარგი;
- 2 შეარჩიეთ მოცემულ დარგში მომუშავე სამოქალაქო ორგანიზაცია/ადამიანთა წრე;
- 3 გაუკეთეთ ფორმულირება კვლევის მიზანს და შეიმუშავეთ კვლევის შესაბამისი კითხვა/ები, რაც შეესაბამება ეთნოგრაფიულ კვლევას;
- 4 შეარჩიეთ კომუნიკაციის კონტექსტი (როგორ დაუკავშირდებით და რას შესთავაზებთ ორგანიზაციას/როგორ გახვალთ კონტაქტზე საკვლევ ობიექტებთან);
- 5 გამომდინარე სიტუაციიდან და თქვენი მიზნებიდან, თქვენ შესაძლებელია იყოთ დამკვირვებელი, მონაწილე-დამკვირვებელი. ასევე, თქვენი დაკვირვება შესაძლებელია იყოს ფარული ან ღია;
- 6 თუკი თქვენ ინტერაქციაში შედიხართ კვლევის მონაწილეებთან ან/და თუკი თქვენთვის ცნობილია მონაწილეთა სახელები, აუცილებელია მათგან კვლევაზე წერილობითი თანხმობის მიღება;

- 7 გადით ველზე და დააკვირდით. დაწერეთ დეტალური „შენიშვნები“. აუცილებლად ჩაინიშნეთ თქვენი პირადი შთაბეჭდილებები. ამან უნდა მოიცვას კონტექსტის აღწერა და კონტექსტის ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია. გადაიღეთ ფოტოები ან/და ვიდეო კადრები;
- 8 ჩაბეჭდეთ და განავრცეთ თქვენი შენიშვნები, დაალაგეთ თემების მიხედვით (კოდირება);
- 9 გადაარჩიეთ ფოტოები, დაამონტაჟეთ ვიდეო-კადრები;
- 10 მოამზადეთ პრეზენტაცია.

ეთნოგრაფიული კვლევის ანგარიშის ფორმატი

საკითხის წინაპირობა

მოიცავს საჭირო ინფორმაციას საკვლევ საკითხთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია, რომ აქვე აღწეროს თემის შერჩევის (აკადემიური: გამოყენებითი და პრაქტიკული) მიზეზები და მნიშვნელობა. ასევე, ყურადღება გაამახვილეთ კვლევის პრობლემებზე.

დიგეზივის მიმოხილვა

მოიძიეთ თქვენს თემასთან დაკავშირებული მინიმუმ სამი სტატია ან კვლევა სანდო წყაროებიდან, გააკეთეთ ამ წყაროების მოკლე აღწერა.

კვლევის მეთოდოლოგია

ამ ნაწილში ნათლად აღწერეთ თქვენი ეთნოგრაფიული კვლევის ნაბიჯები და პარამეტრები. რას იკვლევდით, როგორ, ვინ იყო საკვლევნი ობიექტი/საკვლევნი ველი, რამდენი დრო გაატარეთ ველზე და რა სპეციფიკური ეთნოგრაფიული მეთოდები/ტექნიკა გამოიყენეთ. აქვე, შესაძლებელია კვლევის შეზღუდვების აღწერა.

კვლევის მიზნები

რა შედეგები დადო კვლევამ? რა დასკვნების გაკეთებაა შესაძლებელი? რა ინტერპრეტირება/ანალიზია შესაძლებელი მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით?

შეჯამება და დასკვნა

შეჯამეთ თქვენი კვლევა და გააკეთეთ დასკვნები, რომლებიც უნდა იქნას მოწოდებული თქვენი კვლევის კითხვების პასუხებად.

დანახიები: (საჭიროების შემთხვევაში) ფოტო/ვიდეო მასალა.

2.2. ემპათიური კვლევა

თეორიული მიმოხილვა

ფულტონის მიხედვით, ემპათია წარმოადგენს „ჩვენს ინტუიციურ შესაძლებლობას გავაიგივოთ საკუთარი თავი სხვა ადამიანების აზრებთან და გრძნობებთან – მათ მოტივაციასთან, ემოციურ და მენტალურ მოდელებთან, ფასეულობებთან, პრიორიტეტებთან, პრეფერენციებთან და შიდა კონფლიქტებთან“ (Koskinen et al, p.9). ამასთან, ემპათია, როგორც სხვისი ემოციებისა და პირობების შეგრძნებისა და გაგების უნარი, შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც სამოქალაქო საზოგადოების წევრის/აქტივისტის ფუნდამენტური უნარი, რათა, საკუთარი როლისა და ფუნქციების აღსრულების პროცესში, სიღრმისეულად შეიცნონ ადამიანები (ბენეფიციარების, დაინტერესებული მხარეებისა და სხვ.), ხოლო სამოქალაქო საზოგადოების პროდუქტი, მომსახურება, სისტემები და გამოცდილებები ეხმარება ადამიანების საჭიროებებს, მოლოდინებსა და სურვილებს. ამასთანავე, ემპათია წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის განუყოფელ ნაწილს, რადგან იგი ხელმისაწვდომს ხდის სხვა ადამიანების რეალობასა და პერსპექტივებს, ავლენს შიდა დინებებს და შესაძლებელს ხდის მოიძებნოს ისეთი გამოსავლები, რომლებიც ნაკარნახევია ადამიანების გამოცდილებითა და ქცევით (Fulton Suri 2003, p. 52).

მიუხედავად იმისა, რომ ემპათია დიდი ხანია წარმოადგენს ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის განხილვის საგანს, ინტერპერსონალური ურთიერთობებისა და კულტურათაშორისი კონტექსტის გამო, მზარდ ყურადღებას იხვეჭს სოციალურ მეცნიერებებში (Leake 2019, p. 1)

ზემოხსენებულთან მიმართებაში, განსხვავებული პერსპექტივებისა და სოციალური მდგომარეობის პირობებში, ემპათიური კვლევის მეთოდები შემუშავებულია, რათა მკვლევარი, უპირველესად, იყოს დამკვირვებელი და ვარაუდების გაკეთებამდე, შეაგროვოს საკმარისი ინფორმაცია საკვლევი პრობლემის შესახებ. ემპათიური კვლევის სტრატეგიები სცდება ტრადიციული კვლევის მეთოდებსა და მიდგომებს, სადაც მკვლევარი ობიექტური და დისტანცირებულია საკვლევი ობიექტისგან. ემპათიური კვლევისას, მკვლევარი და საკვლევი არიან თანამშრომლები, რომლებიც ერთობლივად იაზრებენ და ქმნიან ცოდნას რეალური პრობლემების გადასაჭრელად შესაბამისი გადაწყვეტილებებისთვის (Thomas 2013, p.1).

ნიშანდობლივია, რომ ამ მიდგომისათვის მთავარია ადამიანი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს ადამიანზე ორიენტირებული მიდგომაა. იმ პირობებში, როცა სხვადასხვა სტრატეგიისა და პროგრამის ავტორები ცდილობენ საზოგადოებაში არსებული პრობლემების მოგვარებას („როგორ“), მომხმარებლისა და მისი კონტექსტის მართებულად შესწავლის, გათვალისწინების ან გააზრების გარეშე („რატომ“), რეალური პრობლემების გადაჭრას, ძალისხმევის საბოლოო შედეგებზე ფოკუსირებამდე, ადამიანური საჭიროებებისა და მოტივაციების გააზრება სჭირდება („რა“) (Thomas & McDonagh 2013, pp. 1-5).

სამოქალაქო მონაწილეობასთან მიმართებაში, ემპათიური კვლევა ხაზს უსვამს პრობლემის ან/და გამოცდილების გააზრების მნიშვნელობას არა ჩვენი საკუთარი, არამედ, სამოქალაქო საზოგადოების/მოსახლეობის პერსპექტივიდან. ეს მეთოდი მიზნად ისახავს გავიგოთ ადამიანის ემოციები და ცხოვრებისეული გამოცდილება, რათა სამოქალაქო საზოგადოებას ადეკვატური რეაგირება ჰქონდეს.

პრობლემის იდენტიფიცირებიდან პრობლემის გადაწყვეტამდე

სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის პროცესში მნიშვნელოვანია იმის გააზრება, თუ რა სურს სინამდვილეში „მომხმარებელს“. დაინტერესებულ მხარეებთან, ბენეფიციარებთან და სხვ. ურთიერთობა გვაძლევს საშუალებას ნათლად დავინახოთ, რას წარმოადგენს პრობლემა და, დივერგენტული აზროვნების² საშუალებით, დავინახოთ ამ პრობლემების გადაწყვეტის პოტენციური გზები. ამ შემთხვევაში, გუნდის წევრები თავისუფალი აზროვნების პროცესში გვთავაზობენ იდეებს, პრობლემის გადაწყვეტის შემოქმედებითი გზების მოსაძიებლად და საუკეთესოს გამოსავლენად.

ამ პროცესში მნიშვნელოვანია ემპათიური კვლევის გამოყენება, რათა უკეთ შევავსოთ პრობლემის გადაწყვეტის ვარიანტები. შესაძლებელია, რომ ვერც ერთმა შეთავაზებულმა ვარიანტმა ვერ დაგვანახოს სასურველი შედეგი ან/და ამ პროცესში დავინახოთ ახალი პრობლემები, რომლებიც ასევე საჭიროებს რეაგირებას.

ემპათიური კვლევის მეთოდები გულისხმობს ადამიანების ყოველდღიური ცხოვრებიდან მონაცემების შეგროვებას და ანალიზს, პოტენციურ „მომხმარებლებსა“ და დაინტერესებულ მხარეებთან მკვლევრის უშუალო ჩართულობისა და ინტერაქციის გზით (Battarbee et al., Leonard & Rayport, Mattelmäki et al., Fulton Suri, Postma et al., ციტ. Tellez & Gonzalez-Tobon 2019, p. 910).

ემპათიური კვლევის სტრატეგიები აერთიანებს გამოყენებით ეთნოგრაფიას (დაკვირვება, ინტერვიუ და საუბრები ცოცხალ ადამიანებთან³), როგორც მეტად შემეცნებით და არა შემფასებელ მეთოდებს. აქ მჟღავნდება მეტი, ვიდრე „რას ამბობს ხალხი“, რადგან ხალხი ხშირად ამბობს, რომ აკეთებს ერთს, სინამდვილეში აკეთებს მეორეს და გრძნობს სულ სხვა რამეს, კონკრეტული გამოცდილებისას (Thomas 2013, p.1).

ემპათიური კვლევის ტექნიკა ხშირად იყენებს მარტივ ტექნიკებს ფსიქოლოგიიდან და ბიჰევიორული მეცნიერებებიდან (Brand Genetics 2017). ემპათიური კვლევისას, ჩვეულებრივ, გვთავაზობენ შემდეგ სტრატეგიებს: ა) ხალხზე დაკვირვება მათ ბუნებრივ გარემოში და პოტენციური „მომხმარებლებისადმი“ „პროდუქტის“ შეთავაზება, მათი ქცევის დაკვირვების მიზნით ბ) ხალხის ჩართვა აქტივობაში, სადაც სხვადასხვა ტექნიკის გამოყენება (მაგ. ხატვა, ამბების მოყოლა, კოლაჟების გაკეთება და სხვ.) დაგვეხმარება ხალხის გაუმჟღავნებელი განწყობების გამოვლენაში გ) ხალხის „ტყავში“ ყოფნა, რაც მოიცავს როლურ თამაშებს, სიმულაციებს, გამოცდილების გამეორებას და სხვ. (Fulton Suri 2003, p.52).

▶ დაკვირვება

ხალხზე დაკვირვება ბუნებრივ გარემოში წარმოადგენს ეთნოგრაფიული კვლევის მსგავს ტექნიკას. ამასთან, ეს ტექნიკა გულისხმობს საკვლევი ობიექტების ბუნებრივ გარემოში მათთვის ახალი „პროდუქტის“ შეთავაზებას და მათ ქცევაზე დაკვირვებას (რას აკეთებენ, როგორ აკეთებენ და რატომ აკეთებენ). ამ ტექნიკის საშუალებით შესაძლებელი ხდება პოტენციური პრობლემების გამოვლენა – რა ზეგავლენა აქვს ჩვენს ძალისხმევას და რა გამოწვევებია რეალურ სამყაროში ჩვენ მიერ შეთავაზებული გამოსავლების შედეგად. მკვლევრის როლია დააკვირდეს პროცესებს და სისტემებს. აქვე, შესაძლებელია ჩანაწერების, ფოტოების, ვიდეოს და სხვ. გაკეთება. ყველა კითხვაზე პასუხის გაცემის შემდეგ შესაძლებელია სპეციფიკური კითხვების დასმა გამომწვევებსა და მოტივაციებთან დაკავშირებით:

² დივერგენტული აზროვნება (Divergent thinking) (ფსიქ.) წარმოადგენს აზროვნების პროცესს ან მეთოდს, რომელიც გამოიყენება კრეატიული იდეების წარმოსაქმნელად, პრობლემის გადასაჭრელად მრავალი შესაძლო ვარიანტის გააზრებით.

³ ინტერვიუების მაგალითები, მეთოდები და ტექნიკა იხილეთ შესაბამის თავში

▶ თანამშრომლობა და ჩართულობა

წარმოდგენილი ტექნიკის გამოყენება ხდება უშუალოდ საკვლევო ობიექტების ჩართულობით და მათთან თანამშრომლობით:

• ემპათიური „მეფინგი“ (აღწერა)

ემპათიური მეფინგი (empathy mapping) წარმოადგენს ტექნიკას, რომელიც გამოიყენება სხვების ემოციური სამყაროს უკეთ გასაგებად. როგორც სახელიდან გამომდინარეობს, მისი მიზანია რესპონდენტის ემოციური სამყაროს მოხაზვა – მაგალითად, რა უყვარს ან სძულს ყველაზე მეტად, რის იმედები/შიშები აქვთ პროდუქტთან, მომსახურებასთან, საკითხთან, გამოცდილებასთან ამ სიტუაციასთან დაკავშირებით.

• გამოცდილების „კადრები“ (Storyboarding the Experience)

ეს მეთოდი მოიცავს სკეტჩების სერიას, რომელიც თანმიმდევრულად, ნაბიჯ-ნაბიჯ (კინო-კადრების მსგავსად) მისი პერსპექტივიდან ხსნის საკვლევო ობიექტის გამოცდილებას. ეს საკმაოდ სახალისო საშუალებაა ბენეფიციარის/მომხმარებლის გამოცდილების გასაზიარებლად. ეს მეთოდი საუკეთესოა გარკვეული პრობლემების, განცდების ან უთანხმოებების გამოსავლენად, რაც ბენეფიციარებს/თემის წევრებს/კლიენტებს შესაძლებელია გააჩნდეთ.

▶ „ადამიანის ტყავში ყოფნა“ (Walking in Their Shoes)

ეს ტექნიკა წარმოადგენს ემპათიური კვლევის ე.წ. „ოქროს სტანდარტს“ – სავლელე კვლევას, როცა მკვლევარი იღებს უშუალო გამოცდილებას, თუ როგორია იყო ადამიანი, რომლის გაგებაც გვსურს. ეს არის პირველი პირის პერსპექტივის გამოკვლევა. ეს მეთოდი ყველაზე უკეთ „ამხელს“, რადგან ეყრდნობა პირად ჩართულობას. მიუხედავად იმისა, რომ ვერც ერთი ზემოთ მოყვანილი ტექნიკა სრულად ვერ ჩაანაცვლებს „ოქროს სტანდარტს“, როცა სრულფასოვანი სავლელე კვლევა ჭარბ დროსა და რესურსებს მოითხოვს და არაპრაქტიკულია – შედარებით მარტივი მექანიზმები გვეხმარება იმის გამოსააშკარავებლად, თუ რას გრძნობენ და განიცდიან სხვები.

ბუნებრივია, ემპათიურ კვლევას ახასიათებს გარკვეული შეზღუდვები. გვხვდება შემთხვევები, როცა მკვლევარი ფოკუსირდება მხოლოდ საკვლევო ობიექტის გამოცდილებაზე და გამორჩება შიდა ინფორმაცია, რომლის მოძიება მნიშვნელოვანია საქმიანობის სამომავლო დაგეგმვისთვის (Mattelmäki et al., ციტ. Tellez & Gonzalez-Tobon 2019, p, 910). ამ მდგომარეობას ხშირად თან ახლავს ობიექტურობისა და განზოგადების ჩარჩოს დაკარგვა, როცა მკვლევარი მეტად მჭიდრო კავშირს ამყარებს სხვა ადამიანის გრძნობებთან. სიგალისა (Segal) და ფალტენ სურის (Fulton Suri) მიხედვით, ამ ხაფანგისგან თავის აცილებისთვის მნიშვნელოვანია ბალანსის დაცვა, „თავისუფალი“ ემპათიური სტრატეგიებისა და „მკაცრი“ დაკვირვების ტექნიკების კომბინაციით (Segal and Fulton Suri, ციტ. Tellez & Gonzalez-Tobon 2019, p. 914).

მაგალითი

ახალი მომსახურება შინაური ცხოველებისთვის

საზოგადოება „ჩვენი მეგობრები“ სამოქალაქო ორგანიზაციაა, რომელიც იცავს შინაური ცხოველების უფლებებს. ერთი წლის წინ ორგანიზაციამ წამოიწყო სოციალური სანარმო და სხვა საქმიანობასთან ერთად, მომსახურებას უწევს შინაური ცხოველების მფლობელებს. ახალი სერვისების შემუშავების პროცესში, ორგანიზაციამ გადაწყვიტა მომსახურებაზე არჩევანი გაეკეთებინა იმის მიხედვით, თუ რა ენდომებოდა პოტენციურ მომხმარებელს და ამისათვის გადაწყვიტა ემპათიური კვლევის ჩატარება. კვლევას უნდა გამოეყვლინა, თუ რას ნიშნავს ძაღლის პატრონობა ადამიანებისთვის და რა მოლოდინები აქვთ მომსახურებიდან. ორგანიზაციამ გამოიყენა საკუთარი ფეისბუქ გვერდი, სადაც ქსელის წევრებს გააცნეს მიზნები. ამასთან, თხოვნით მიმართეს გვერდის მომხმარებლებს, გაეზიარებინათ შინაურ ცხოველებთან ურთიერთობის ამსახველი ფოტოები და ვიდეოები. ფოტო და ვიდეო მასალა გამოყენებულ იქნა მომხმარებლების სურვილების შესასწავლად და იმის გასაგებად, თუ რა გავლენას ახდენდა ეს ურთიერთობა გამოყენებულ სერვისებზე. შედეგები წარმატებული აღმოჩნდა. გუნდმა შეისწავლა ფოტო და ვიდეო მასალები, შეთანხმდა მომხმარებლის ძირითად საზრუნავზე მათ შინაურ ცხოველებთან მიმართებაში და ჩამოაყალიბა იდეები ახალი მომსახურებით ბაზარზე შესასვლელად.

მაგალითი

მოხალისეობა მცხეთის მუნიციპალიტეტში

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩარდახის სკოლის მე-11 და მე-12 კლასელებმა გადაწყვიტეს დახმარებოდნენ სოფელში მცხოვრებ მოხუცებს. ახალგაზრდების შეკრებაზე, სადაც განიხილებოდა თუ რა ტიპის დახმარება უნდა გაეწიათ მოხალისეებს – ბევრი საჭირობოროტო საკითხი წამოიჭრა. აქ იყო როგორც ეზოს დალაგება, ასევე, ბოსტანში დახმარება, სახურავის გადახურვა, პროდუქტების მოტანა, სახლის დალაგება, ღობის აღდგენა და სხვ. იმისათვის, რომ უკეთ გაეგოთ თუ რას გრძნობენ მოხუცები და რა არის მეტად მნიშვნელოვანი, რის მოგვარებაც საკუთარი ძალებით შეძლებდნენ – მოხალისეებმა გადაწყვიტეს ემპათიური კვლევის ჩატარება.

კვლევის ჩასატარებლად შეირჩა 15 მოხუცი. ახალგაზრდები ეწვივნენ ყველას სათითაოდ და საუბრებთან ერთად, ფოტო და ვიდეო საშუალებებით აღბეჭდეს მოხუცების პრობლემები. მნიშვნელოვანია, რომ ფოტოსა და ვიდეოზე აღიბეჭდა ის, რაზეც გაამახვილეს ყურადღება მოხუცებმა, რა მოსწონდათ და რა არა, რასთან ცდილობდნენ გამკლავებას და რას ვერ ახერხებდნენ.

მოკვლევის შედეგად, ახალგაზრდებს მიეცათ საშუალება დაკვირვებოდნენ მოხუცებს მათთვის ბუნებრივ გარემოში და გაეგოთ მოხუცების აზრები.

პრაქტიკული ნაწილი

მეთოდის გამოყენება შესაძლებელია საუნივერსიტეტო კურსის შემდეგი სასწავლო თემების განხილვისას

თემა 3: სამოქალაქო საზოგადოების ფორმები და შემადგენლობა (სოციალური სანარმო);

თემა 4: სამოქალაქო საზოგადოების ზეგავლენა და წვლილი;

თემა 8: სამოქალაქო საზოგადოება და ბიზნესი;

თემა 11: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციული ასპექტები (დაფინანსების წყაროები).

ჯვარედინი თემები:

- ▶ ეთნოგრაფიული კვლევა;
- ▶ ინტერვიუს ტექნიკა;
- ▶ პროექტის მეთოდი;
- ▶ პრობლემის იდენტიფიცირება;
- ▶ პრობლემის გადაწყვეტა.

რეკომენდებული სასწავლო მაგალითები

- ▶ ფერმერული კოოპერატივები;
- ▶ ცოდნის კაფე;
- ▶ პირველი ნაბიჯი საქართველო;
- ▶ იკორთა.

ლექტორის ინსტრუქცია

დავალების შესრულება რეკომენდებულია მცირე ჯგუფებში (3-5 სტუდენტი), რათა წამოიწყონ, შეიმუშაონ, დაგეგმონ და ჩაატარონ ემპათიური კვლევა.


დავალების მიცემისთანავე, სანამ სტუდენტები გავლენ საველე სამუშაოზე, მიზანშეწონილია სტუდენტებს ჩაუტარდეთ შესაბამისი ინსტრუქტაჟი და ასევე, მათი აღჭურვა ემპათიური კვლევის ჩატარების იარაღებით:

- ▶ მონაცემების შეგროვების ნახევრად-სტრუქტურირებული ტექნიკა, ინტერვიუ, მონაცემების ანალიზის და წარმოდგენა, ადამიანზე ორიენტირებული „რატომ? როგორ? და რა?“ მიდგომა (იხ. ქვემოთ)
- ▶ მნიშვნელოვანია ინსტრუქტორმა გააცნოს სტუდენტებს ხალხის ყოველდღიური საქმიანობის გადაღების ან/და აღწერის ეთიკური და სამართლებრივი ჩარჩო. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებმა არ გააკეთონ აუდიო, ვიდეო ან ხელნაწერი ჩანაწერები მონაწილეებისგან მიღებული წერილობითი თანხმობის გარეშე. ასევე, სტუდენტებმა უნდა შეატყობინონ მონაწილეებს კვლევის მიზნები და ის, თუ როგორ იქნება მიღებული მონაცემები გამოყენებული.
- ▶ დაგეგმვის ეტაპის მნიშვნელოვანი ნაწილია სტუდენტების წახალისება, რათა დამოუკიდებლად ჩაატარონ მოსამზადებელი სამუშაოები. მაგალითად, ურჩიეთ სტუდენტებს ჩაიხედონ მათ კვლევასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მეორად წყაროში, როგორებიცაა ბლოგები და ვებგვერდები, წიგნები, პუბლიკაციები, ანგარიშები, მედია რეპორტაჟები და სხვ.

ადამიანზე ორიენტირებული მიდგომა და “მეფინგი”

ყოველდღიურ ცხოვრებაში და ასევე სოციალური საქმიანობის/პროგრამის დაგეგმვისას/განხორციელებისას, ხშირად გვეხმარება: „ტრენინგის ჩატარების შემდეგ, ქალები გამოიმუშავენ ლიდერის თვისებებს და აქტიურად ჩაერთვებიან პოლიტიკურ ცხოვრებაში“, ან „ფერმერებს არ ანუხებთ, რა კანონს მიიღებს პარლამენტი“, „კარგად ვიცი, ჩვენს პროექტში რა ანუხებს მოსახლეობას“, „სტუდენტებს არ მოსწონთ უნივერსიტეტის მიდგომა კლასგარეშე აქტივობებთან მიმართებაში“. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია გვექონდეს გარკვეული წარმოდგენა იმაზე, თუ რას ფიქრობს „მომხმარებელი“ – რეალობაში ჩვენ დანამდვილებით ვერ ვიტყვით, რას ფიქრობს ან რა ანუხებს, ან რას გააკეთებდა ეს „მომხმარებელი“, თუკი თავად არ ვართ ეს უკანასკნელი. არ ვიცით, რა ხდება „მომხმარებლის“ თავში. ჩვენ შეგვიძლია ვიკვლიოთ, დავაკვირდეთ, დავსვათ კითხვები და ვივარაუდოთ. და თუკი დავუთმობთ დროს, რათა უკეთ გავიგოთ რას სურთ მათ – გაჩნდება თანაგრძნობა, რაც დაგვეხმარება საქმიანობის უკეთეს დაგეგმვასა და განხორციელებაში.

ლიდერობის ექსპერტის საიმონ სინეკის (Simon Sinek) „ოქროს წრედის“ თეორია ხსნის, თუ როგორ შეუძლიათ ლიდერებს მოახდინონ კოოპერირების, ნდობისა და ცვლილების სტიმულირება ბიზნესში. თეორია ეფუძნება ავტორის კვლევას იმის შესახებ, თუ როგორ ფიქრობენ, მოქმედებენ და ახდენენ კომუნიკაციას ყველაზე წარმატებული ორგანიზაციები, თუკი დაიწყებენ კითხვით „რატომ“. სინეკის კონცეფცია მოიცავს სამ ფენას: რატომ, როგორ და რა (იხ. ნახატი 1)



ნახატი 1

შიდა წრე ეხება კითხვას „რატომ“ – რატომ ვართ მოტივირებულნი, რომ მივიღოთ ჩვენი მიზნებისკენ (მაგ. ამბიციები, ფილოსოფია). შუა წრე ეხება კითხვას „როგორ“ – როგორ ვაღწევთ ჩვენს მიზნებს (მაგ. კონკრეტული მოქმედება) და გარე წრე ფოკუსირდება კითხვაზე „რა“ – რა არის პროცესის შედეგი (მაგ. პროდუქტი, პრაქტიკის/ნების შეცვლა) (Thomas & McDonagh 2013, pp.1-2).

დანყება კითხვით „რატომ“ მნიშვნელოვანია, რადგან (Chaffey 2020):

- ▶ ყველა ორგანიზაციამ დედამიწაზე იცის, **რას აკეთებს**. ესაა პროდუქტი ან მომსახურება, რომელსაც სთავაზობენ.
- ▶ ზოგმა ორგანიზაციამ იცის, თუ **როგორ აკეთებს** ამას. ესაა ის, რაც ორგანიზაციას ხდის განსხვავებულს სხვებისგან და გამოყოფს კონკურენტებისგან.
- ▶ ძალიან ცოტა ორგანიზაციამ იცის, **რატომ აკეთებს** იმას, რასაც აკეთებს. რატომ არ გულისხმობს ფულის კეთებას, არამედ შედეგს. **რატომ** არის რწმენა და ის ძირითადი მიზეზი, რატომაც არსებობს ორგანიზაცია.

„ერთად XXI საუკუნეში“

ხელოვნების საყმაწვილო ცენტრი „ართ ჰოლი“ ინკლუზიური ტიპის ორგანიზაციაა (რა). სასწავლო პროცესთან ერთად, წელიწადში მინიმუმ ორჯერ ცენტრის აღსაზრდელები მონაწილეობენ თეატრალურ წარმოდგენაში (როგორ). თუმცა, ის, რაც ხდის ორგანიზაციას გამორჩეულს და განსაკუთრებულს არის „რატომ“: ორგანიზაცია აძლევს მოზარდებს საშუალებას განავითარონ ნიჭი და შესაძლებლობები. „რატომ“ არის ის მოტივაცია, რაც ხელს უწყობს საზოგადოების ნდობას და ხანგრძლივ პერსპექტივაში ცვლის ქცევას. მრავალი ღონისძიების ორგანიზებისას, მათი სლოგანია „ერთად XXI საუკუნეში“.

როგორც მკვლევრები, თუკი ჩვენ უშუალოდ ჩავეძიებით, რა პრობლემას უმკლავდება დაკვირვების ობიექტი, მიზნობრივი ჯგუფი, შევიგრძნობთ იმედგაცრუებას, მოვუსმენთ მათ – გავიგებთ მათ გრძნობებს, მოტივაციებს და პერსპექტივებს, რაც დაგვეხმარება საქმიანობის დაგეგმვაში.

მიზნობრივი აუდიტორიის ემპათიური მეფინგი⁴ მარტივად აღსაქმელი ვიზუალური გამოხატულებაა, რაც გვეხმარება უკეთ გამოვავლინოთ და შევისწავლოთ მიზნობრივი აუდიტორიის/„მომხმარებლის“ ქცევა და განწყობები, ე.ი. ეს ინსტრუმენტი გვეხმარება უკეთ გავუგოთ ჩვენს მომხმარებელს. სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის, აქტივისტებისთვის და უბრალოდ იმ ადამიანებისთვის, ვისაც სურთ რაიმე სოციალური აქტივობის, პროდუქტის, მომსახურებისა და სხვ. განხორციელება – ემპათიური მეფინგის სესია საუკეთესო სავარჯიშოა, რადგან საკითხის ეფექტურ გადაწყვეტას ესაჭიროება რეალური პრობლემისა და ამ პრობლემის განმცდელი ადამიანის გაგება. ეს სავარჯიშო გვაძლევს საშუალებას, საკითხი გავიაზროთ მიზნობრივი ჯგუფის პერსპექტივიდან, მათი მიზნებისა და გამოწვევების ჩათვლით. ემპათიური მეფინგი მარტივი სასემინარო აქტივობაა, რომლის გაკეთება შესაძლებელია დაინტერესებული მხარეების, ბენეფიციერების ან/და მიზნობრივი აუდიტორიის წარმომადგენლების მონაწილეობით.

ემპათიური მეფინგი ყველაზე სასარგებლოა საქმიანობის/აქტივობის/პროგრამის შემუშავების საწყის ეტაპზე – ბენეფიციარის/კლიენტის/მომხმარებლის საერთო მოკვლევის შემდეგ, მაგრამ საქმიანობის კონცეფციისა და მოთხოვნების დაგეგმვამდე. მეფინგის პროცესი სისტემაში მოიყვანს წინასწარი მოკვლევის მიგნებებს და ხორცს შეასხამს ბენეფიციარის/კლიენტის/მომხმარებლის საჭიროებებს. ამ მეთოდის უპირატესობებია:

- ▶ ბენეფიციარის/კლიენტის/მომხმარებლის უკეთესად გაგება;
- ▶ ინფორმაციის ვიზუალური ფორმულირება სიცხადისთვის;
- ▶ წინასწარი მოკვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის გადამოწმება;
- ▶ სწრაფი და იაფი;
- ▶ მარტივად დასალაგებელი, ხელთ არსებული ინფორმაციასა და მიზნებზე დაყრდნობით;
- ▶ ჯგუფის წევრებს შორის აზრების შეჯერება;
- ▶ საქმიანობის/აქტივობის/პროექტის განხორციელების პროცესში ახალი მონაცემების დამატების შესაძლებლობა.

⁴ ადაპტირებულია UX Booth -ს წამყვანი მკვლევრის Jennifer Leigh Brown-ის სტატიიდან Empathy Mapping: A Guide to Getting Inside Consumer's Head (June 27, 2018)

ემპათიური რუკის შექმნა

რუკის შესაქმნელად აუცილებელია ა) მოგროვდეს წინასწარი ინფორმაცია საკვლევო საგნის/ობიექტის ირგვლივ, ბ) მოძიებულ იქნას რამდენიმე ადამიანი/პირი დაინტერესებული მხარეებიდან/პოტენციური ბენეფიციარებიდან/კლიენტებიდან, გ) ორგანიზება გაუკეთდეს განმარტებული გუნდისა და ბენეფიციარების/კლიენტების შეკრებას.

რუკის შესაქმნელად დაგვჭირდება დიდი თაბახის ფურცელი ან თეთრი დაფა, ფერადი ფურცლები და მარკერები.

ვადებები და ნაბიჯები

ფურცელი/დაფა იყოფა რამდენიმე სექციად, სადაც ცენტრში ბენეფიციარი/კლიენტი. ჩვეულებრივ, ბენეფიციარს/კლიენტს ასახავენ, როგორც დიდ ცარიელ თავს (იხ. ფიგურა 2).

ბენეფიციარის/კლიენტის გარშემო, ფურცელი დაყოფილია სექციებად ან კვადრატებად. თითო სექცია დასათაურებულია კატეგორიით. რომელიც განიხილავს ბენეფიციარის/კლიენტის გარე დაკვირვების სამყაროს და „შიდა“ მსოფლმხედველობას: რას აკეთებს ბენეფიციარი/კლიენტი, რას ხედავს, რა ესმის, რას ფიქრობს და რას გრძნობს (განცდებისა და მიღწევების ჩათვლით). ჭგუფი მუშაობს ერთობლივად, რათა წინასწარი მოკვლევის შედეგები შეჯერდეს ბენეფიციარის/კლიენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციასთან.

ფიგურა 2 - ემპათიური ხუკა



ნაბიჯი 1: ფოკუსის და მიზნის დადგენა

ვინ არის რუკის „გმირი“?

ვინ არის ის ბენეფიციარი/კლიენტი, ვისი გაგებაც და თანაგრძნობაც გვსურს? აქ ხდება მისი სიტუაციის ან როლის შეჯამება. თუ გვყავს რამდენიმე „ტიპის“ ბენეფიციარი/კლიენტი – მათ სათითაოდ დასჭირდებათ საკუთარი რუკის გაკეთება.

რა არის სასურველი შედეგი?

რა შეიძლება გააკეთოს ბენეფიციარმა/კლიენტმა, რას ელით? როგორ „გამოიყურება“ წარმატება? მაგალითად, რა უნდა გააკეთოს მან განსხვავებულად ან რა განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღოს? მიუხედავად იმისა, რომ ეს აქტივობა ემსახურება არა რაიმეს გაყიდვას ან დაგეგმვას, არამედ ბენეფიციარის/კლიენტის გაგებასა და მის მიმართ ემპათიის გამოხატვას – ამ კითხვებზე პასუხის გაცემა გვეხმარება გავიაზროთ მომავალი საქმიანობის/აქტივობის/პროექტის შინაარსი.

ნაბიჯი 2: გარე სამყაროს აღწერა

გარე სამყაროს აღწერის თანმიმდევრობას არ აქვს კონკრეტული წესი, თუმცა, მეტად პროდუქტიულია ბენეფიციარის/კლიენტის მიერ დანახული სამყაროს აღწერიდან დაწყება. სასარგებლო იქნება ბენეფიციარის/კლიენტის გამოცდილებიდან და ვარაუდიდან დაწყება და შემდეგ სხვა სექციების შევსება (რას ხედავს, ამბობს, აკეთებს და ესმის).

რას ხედავს?

რას ხედავს ბენეფიციარი/კლიენტი ყოველდღიურ გარემოში? ეს შეიძლება იყოს ხალხი, მათი აქტივობა ან ნივთები. რას აკეთებს გარშემო ხალხი? რას აკვირდება, უყურებს, კითხულობს ბენეფიციარი/კლიენტი საკუთარ გარემოში, რაც ზეგავლენას ახდენს მასზე? აქ მნიშვნელოვანია ბენეფიციარის/კლიენტის (და არა „მკვლევრის“) სამყაროს აღწერა.

რას აკეთებს ან ამბობს?

როგორ იქცევა ბენეფიციარი/კლიენტი? რა განწყობები აქვს ან რას ამბობს? განწყობებმა შეიძლება მოიცვას სხვების მიმართ საქციელი ან ის, თუ როგორ გამოხატავს საკუთარ აზრს. გარკვეულ შემთხვევებში და თუ შესაძლებელია, სასარგებლოა მოინიშნოს ქცევის/კომუნიკაციის ცვლილება ან საჯარო და კერძო საქციელის/საუბრების განსხვავება, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მაგალითად, ბენეფიციარმა/კლიენტმა შესაძლებელია თავდაპირველად დადოს „პოსტი“ ფეისბუქზე და შეატყობინოს ყველას პრობლემის თაობაზე, თუმცა ამჟამად აღარ აკეთებს ამას.

რა ესმის მას?

რა ესმის ბენეფიციარს/კლიენტს და რა გავლენას ახდენს ეს მასზე? მხედველობაშია მისაღები პირადი კავშირები ოჯახთან, მეგობრებთან და თანამშრომლებთან, ასევე ის, თუ რას ამბობენ მედიაში, რა გავლენა აქვს სოციალურ მედიას და დარგის ექსპერტებს. აქ აქცენტი უნდა გაკეთდეს საკითხებზე, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ბენეფიციარის/კლიენტის აზროვნებაზე და საქციელზე არა ზოგადად, ინფორმაციაზე.

ნაბიჯი 3: შიდა სამყაროს აღწერა

გარე ელემენტების აღწერის შემდეგ, ფოკუსი ინაცვლებს ბენეფიციარის/კლიენტის შიდა სამყაროზე – იმ გრძნობებზე და აზრებზე, რომელთა დაკვირვება შეუძლებელია. ამის გამოვლენა შესაძლებელია პირდაპირი კითხვებით, ან ბენეფიციარის/კლიენტის გამონათქვამებიდან/ციტატებიდან.

რას ფიქრობს ან გრძნობს ბენეფიციარი/კლიენტი?

რას აქვს ბენეფიციარისთვის/კლიენტისთვის იმხელა მნიშვნელობა, რომ ფიქრობს ამაზე? აქ მხედველობაში მისაღება რთვორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური ფიქრები. რა აყენებს კარგ ან ცუდ განწყობაზე? რაზე ნერვიულობს ან რა არ აძინებს? რაიმეს გაკეთებისას ან მცდელობისას განიხილავს თუ არა გზებს და შესაძლებლობებს? რას გრძნობს? ეშინია? ნერვიულობს? აღფრთოვანებულია?

შიშები და მიღწევები

შემდეგ მნიშვნელოვანია გააზრებულ იქნას ბენეფიციარის/კლიენტის შიშებისა და მიზნების დეტალები. რას გულისხმობს წარმატება და წარუმატებლობა? აქ ვლინდება იმედგაცრუება და გამოწვევები, ასევე ბენეფიციარის/კლიენტის წინააღობები. რა მიზნები და ოცნებები აქვს ბენეფიციარს/კლიენტს. კატეგორია „მიღწევა“ კი მოიცავს, თუ რის მიღწევა ან რის ქონა უნდა მას.

ემპათიური კვლევის საილუსტრაციო თემები:

- ▶ დაბალშემოსავლიანი/ღარიბი/მრავალშვილიანი ოჯახის მხარდაჭერა, რათა დავეხმაროთ ოჯახური პრობლემების მოგვარებაში;
- ▶ მიუსაფარ მოხუცთათვის უფასო სასადილოს მოწყობა;
- ▶ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის გასართობი ადგილის მოწყობა.

დავალება და ინსტრუქცია სტუდენტებისთვის

დავალება 1

*** განკუთვნილია დამოუკიდებელი მუშაობისთვის ჯგუფებში**

გაიაზრეთ და ჩამოწერეთ თქვენს საზოგადოებაში არსებული მცირე ან/და მარგინალიზებული ჯგუფების პრობლემები (მაგ. ეთნიკური უმცირესობები, ოჯახური ძალადობის მსხვერპლები, მიუსაფარი მოხუცები, ქუჩის ბავშვები, საცხოვრისის გარეშე მყოფი ადამიანები და სხვ.). შეარჩიეთ ერთ-ერთი, რომელიც მეტად აქტუალურია ან/და ხელმისაწვდომია თქვენი ემპათიური კვლევისთვის. თქვენ გევალებათ, ემპათიური კვლევის მეთოდის („თანამშრომლობა“) ემპათიური მეფინგის გამოყენებით, აღწეროთ ამ ადამიანების/ჯგუფების პრობლემები.

დავალების შესრულების ნაბიჯები:

- ▶ გააკეთეთ ზოგადი მოკვლევა საკვლევი პრობლემის ირგვლივ;
- ▶ გამოავლინეთ დაინტერესებული პირი/ები და მოიწვიეთ სემინარზე;
- ▶ დაგეგმეთ სემინარი და მოამზადეთ ყველა საჭირო მასალა (დაფა/ფორმატი, ფერადი ქაღალდები, მარკერები);
- ▶ ჩაატარეთ სემინარი;
- ▶ წარმოადგინეთ სემინარის შედეგები და ანალიზი ლექციაზე.

დავალება 2

*** საკლასო სავაჩიშო**

გაიაზრეთ და ჩამოწერეთ თქვენს საზოგადოებაში არსებული მცირე ან/და მარგინალიზებული ჯგუფების პრობლემები (მაგ. ეთნიკური უმცირესობები, ოჯახური ძალადობის მსხვერპლები, მიუსაფარი მოხუცები, ქუჩის ბავშვები, საცხოვრისის გარეშე მყოფი ადამიანები და სხვ.). შეარჩიეთ ერთ-ერთი, რომელიც მეტად აქტუალურია ან/და ხელმისაწვდომია თქვენი ემპათიური კვლევისთვის. თქვენ გევალებათ, ემპათიური კვლევის მეთოდის („თანამშრომლობა“) ემპათიური მეფინგის გამოყენებით, აღწეროთ ამ ადამიანების/ჯგუფების პრობლემები.

დავალების შესრულების ნაბიჯები:

დღე 1 – ლექციაზე შეარჩიეთ მიზნობრივი „მომხმარებელი“

დღე 2-5 – კლასგარეშე მოიძიეთ ინფორმაცია საკვლევი სემინანტის ირგვლივ, შეხვდით დაინტერესებული ჯგუფის წარმომადგენლებს და გამოკითხეთ ისინი, რუკის

კომპონენტების გამოყენებით (ციტატების ასახვის ჩათვლით);

დღე 6. (ა) – ლექციის დროს დაიყავით 2-3 კაციან ჯგუფებად და 5-10 წუთის განმავლობაში შეავსეთ ემპათიური რუკის ცარიელი ველები; (ბ) გააერთიანეთ თქვენი რუკები ერთ ძირითად რუკაზე, შეაჯერეთ თქვენი მიგნებები და პრობლემების გადაჭრის გზები.

2.3. გამოძიების მეთოდი

თეორიული მიმოხილვა

გამოძიების ან აღმოჩენის მეთოდი ხელს უწყობს განსხვავებულ აზროვნებას და შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს დამოუკიდებლად მოიძიონ და აღმოაჩინონ ინფორმაცია. ეს მიდგომა ახალისებს სტუდენტთა ენთუზიაზმს საკითხების ლოგიკურად გასააზრებლად. გამოძიების მეთოდი მოიცავს პრობლემის იდენტიფიცირებას და ინფორმაციის ანალიზს, პრობლემის გადასაჭრელად სავარაუდო გამოსავლის მოძებნას ისე, რომ შესაძლებელი იყოს გამოსავლის განზოგადება.


გამოძიების მეთოდი განსაკუთრებით კარგად მუშაობს სოციალურ მეცნიერებებში, სადაც სტუდენტი არა მარტო სტუდენტია, არამედ ისტორიკოსი, სამოქალაქო აქტივისტი და მკვლევარი. ეს მეთოდი იძლევა საშუალებას, მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამოვიძიოთ საზოგადო მოვლენები, თუმცა, არა მხოლოდ, როგორც ფაქტების ნაკრები, არამედ მკაცრად კონსტრუირებული არგუმენტები (Beaglelearning 2021). სტენფორდის უნივერსიტეტის მიხედვით, „სოციალური გამოძიების კურსები ფოკუსირდება ისეთი სოციალური ხასიათის კითხვების წამოწევაზე, როგორცაა, მაგალითად, სოციალური მოწყობა, ადამიანის ქცევა და სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ორგანიზაციების ფორმები (Stanford University 2021)“.

სამოქალაქო საზოგადოების სწავლებასთან მიმართებაში, გამოძიების მეთოდი ხელს უწყობს სტუდენტებში ისეთი შესაძლებლობების განვითარებას, რაც საშუალებას მისცემს „შეისწავლონ, გაანალიზონ, ახსნან და იდავონ ჩვენი სოციალური სამყაროს ინტერდისციპლინარულ გამოწვევებზე (Stanford University 2021)“. მეთოდი ითვალისწინებს შეკითხვებს, პირველადი წყაროების შესწავლას და ისტორიულ ან/და ფართო პერსპექტივაში დასკვნების გაკეთებას. ითვლება, რომ ეს პროცესი აღვივებს სტუდენტთა ცნობისმოყვარეობას, აუმჯობესებს ანალიტიკურ, შეფასებით და კრიტიკული აზროვნების უნარებს, ხელს უწყობს ჩართულობას.

როგორც ვაქციოთ სტუდენტები მკვლევრებად?

გამოძიების მეთოდს ბევრი საერთო აქვს მულტიკულტურულ განათლებასთან. ამ მეთოდის გამოყენებისას პედაგოგმა უნდა შესთავაზოს სტუდენტებს რეკომენდაციები, რათა დაეხმაროს მათ პრობლემის გამოსწორების გზების მოძიებაში, კვლევის ჩატარებაში ან ინფორმაციის დამუშავებაში. მიუხედავად ამისა, მეთოდის გამოყენება თავდაპირველად მოითხოვს ლექტორის მხრიდან საკვანძო კითხვების დასმას, რასაც მოჰყვება სტუდენტების მხრიდან შინაარსის განხილვა, მტკიცებულებაზე დაფუძნებული ახსნების შემუშავება და წარმოქმნილი იდეების ანალიზი. დასმული კითხვები უნდა ასახავდეს საყოველთაო მნიშვნელობის საკითხებს და უბიძგოს სტუდენტებს გადახედონ საკუთარ ფასეულობებსა და რწმენებს (Massialas, Sprague, & Hurst, ციტ. Beshears 2012, p.17).

როგორც ნაჩვენებია მე-3 ფიგურაზე, გამოძიებაზე დაფუძნებული სწავლება არის პროცესი, რომელიც მოითხოვს რეფლექტორულ აზროვნებას, რაც აერთიანებს შინაარსობრივ და უნარებზე დაფუძნებულ სწავლებას.



ფიგურა 3

გამოძიებისა და პრობლემების გადაწყვეტის პროცესში, შეცდომების დაშვება სწავლების ბუნებრივი ნაწილია და არ უნდა იქნას აღქმული, როგორც ნეგატიური ან იქნას თავიდან აცილებელი. პირიქით, ამოცანები, რომლებიც მოითხოვს გამოძიების პროცესში ეტაპებს შორის წინ და უკან მოძრაობას – ეხმარება სტუდენტებს მეტი შინაარსი გამოიტანონ სწავლებიდან (Yilmaz, ციტ. Beshears 2012, p.18).

მიუხედავად გამოძიების ტექნიკის მნიშვნელობის აღიარებისა, სასწავლო პროცესში პედაგოგები აწყდებიან ისეთ გამოწვევებს, როგორებიცაა ტექნიკური (გამოძიების მნიშვნელობა) და პირადი (რწმენები, გამოცდილებები, ცოდნა, პრეფერენციები, მოტივაცია და სხვ.) ბარიერები – როგორ დაეხმარონ სტუდენტებს კითხვების ფორმულირებაში, რაც გამოიწვევს შინაარსიან გამოძიებას, როგორ გადაითარგმნოს ეს კითხვები ექსპერიმენტში და აქტივობაში, რაც გააფართოებს სტუდენტების კონცეპტუალურ ცოდნას, როგორ წაუძღვნენ სტუდენტებს მტკიცებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებებისკენ და როგორ განავითარონ სტუდენტების კომპეტენციები, რათა მათ შეძლონ მეცნიერული მიგნებებისა და ცოდნის დაკავშირება (Lamme, Pringle and Fang 2010, p.3-7).

ზემოხსენებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად, ამერიკის ეროვნული განათლების სტანდარტები გამოყოფს გამოძიებაზე დაფუძნებული სწავლების ხუთ მნიშვნელოვან თვისებას, რომელთა გამოყენება შესაძლებელია ინსტრუქციის სახით. კერძოდ:

1. როგორც ითქვა, სწავლება ორგანიზებულია შინაარსის შემცველი კითხვის გარშემო. კითხვა უნდა იყოს წინასწარ მომზადებული და იძლეოდეს ფართო, სიღრმისეული და მრავალმხრივი გამოძიებისა და განხილვის შესაძლებლობას. უფრო მეტიც, კითხვები უნდა იყოს მიმართული სამყაროში არსებული პროცესების, ობიექტების, მოვლენებისა და ურთიერთობების მიზეზებსა და წარმოშობაზე;
2. კითხვებზე პასუხების გასაცემად, სტუდენტებისთვის პრიორიტეტული უნდა იყოს მტკიცებულება. სტუდენტები იძიებენ დაზუსტებულ ინფორმაციას მრავალჯერადი დაკვირვების გზით (ბუნებრივ გარემოში) და ასევე, მეორადი წყაროებიდან (სახელმძღვანელოები, ელექტრონული წყაროები და სხვ.). ყველა მტკიცებულება ექვემდებარება გადამოწმებას და შემდგომ გამოძიებას;
3. სტუდენტები აყალიბებენ მტკიცებულებების განმარტებებს. განმარტებები უნდა დაეყრდნოს ლოგიკასა და არგუმენტაციას, და არა პირად რწმენებს, რელიგიურ ფასეულობებს, მითებს ან ცრურწმენებს;
4. სტუდენტები საკუთარ განმარტებებს ალტერნატიულ განმარტებებთან მიმართებაში აფასებენ. სხვა შესაძლო განმარტებების შესახებ სტუდენტები იგებენ სხვა სტუდენტებთან ინფორ-

მაციის გაზიარებით და საკითხავი მასალებიდან. ამ პროცესმა უნდა ხელი შეუწყოს სტუდენტებს, არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, დააზუსტონ ან გადახედონ საკუთარ განმარტებებს;

5. სტუდენტები წარმოადგენენ და იცავენ საკუთარ განმარტებებს. სტუდენტები, არსებული მეცნიერული ცოდნის გამოყენებით, ავლენენ კითხვებისა და ჰიპოთეზის ჩამოყალიბების შესაძლებლობას, აღწერენ საგამოძიებო პროცესს და ექსპერიმენტულ მტკიცებულებას, წარმოადგენენ განმარტებებს და აგებენ ლოგიკურ არგუმენტაციას.

მაგალითი

ლოს-ანჯელესი: როგორ ებრძვიან სოციალური ადვოკატები ხელმძღვანელ საცხოვრისისა და უსახლკარო ადამიანების პრობლემას

ხმოვი მუშაობს სამოქალაქო აქტივიზმში: კოლექტიური ქმედების მოკვლევა (Paul Lichterman, 2021)

სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტის სოციოლოგიისა და რელიგიის პროფესორმა პოლ ლიჩერმანმა აალორძინა ტრადიცია, რომელიც კოლექტიური პრობლემების კოლექტიურად მოგვარების მოკვლევას გულისხმობს. მკვლევარი თან დაყვებოდა და სწავლობდა ლოს-ანჯელესის სამი კოალიციისა და 12 ორგანიზაციის გრასრუტ აქტივისტებს, არამომგებიანი ორგანიზაციების წევრებსა და თემის მოხალისეებს მათ მიერ ჩატარებული კამპანიების პროცესში, როცა იბრძოდნენ ხელმისაწვდომი საცხოვრებლისთვის, ახალი საცხოვრებლის აშენებისთვის ან უსახლკარო ადამიანების პრობლემების მოგვარებისთვის. ლიჩერმანის მიხედვით, იმისათვის, რომ გავიგოთ თუ როგორ აგებენ სოციალური ადვოკატები თავის კამპანიებს, ადგენენ საჩივრებს ან ირჩევენ მიზნებს – აუცილებელია გავცდეთ სტანდარტულ სტრატეგიულ მიდგომებსა და აზროვნებას.

კვლევაზე დაყრდნობით, ლიჩერმანმა შეიმუშავა სოციოლოგიური ჩარჩო, რომელიც ავლენს სოციალური პრობლემების მოგვარების ძირითად (როგორც სადავო, ასევე უტყუარ) ამოცანებს, როგორც გრასრუტების, ასევე პროფესიონალი ადვოკატების მიერ. ასევე კვლევაზე დაყრდნობით, მკვლევარი ასკვნის, რომ სოციალური ადვოკატების კოლექტიური ქმედების დამახასიათებელი სტილი წარმოშობს განსხვავებულ წარმოდგენებს, თუ რა არის სტრატეგიული და როგორი ნაბიჯები უნდა გადაიდგას.

ზემოხსენებულთან ერთად, მოკვლევის ტექნიკის გამოყენებამ საშუალება მისცა მკვლევარს გამოეკვლინა კულტურული ნიმუშები, როგორებიცაა ის, თუ რატომ იშლება კოალიციები, მიუხედავად იმისა, რომ წევრები თანხმდებიან მრავალ საკითხზე, ან რა განასხვავებს უსახლკარო ადამიანების მხარდასაჭერად გამართული კამპანიებს სხვა კამპანიებისგან.

ინფორმაციის ტენდენციური წყარო vs ინფორმაციის სარწმუნო წყარო

(ადაპტირებულია წყაჰმდან: Kathryn Starke, 2020, Recognizing Bias: How to Find Credible Sources, Teaching Strategies)

სწავლის, კვლევის ან მოკვლევის პროცესში სტუდენტები იძიებენ ინფორმაციას სხვადასხვა წყაროდან. ცხადია, რომ დღეს, მოძიებული ინფორმაციის უდიდესი წილი ელექტრონულ წყაროებზე მოდის. სოციალური მედიისა და ზოგადად, ინტერნეტის საშუალებით, სტუდენტებს შეუზღუდავად მიეწოდებათ ინფორმაცია, რომლის ღირებულება არათანაბარია. ამდენად, კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს ტენდენციური ინფორმაციის გარჩევა სარწმუნო ინფორმაციისგან.

რას წარმოადგენს ტენდენციური წყარო?

მერიამ ვებსტერის (Merriam Webster) ლექსიკონის მიხედვით, ტენდენციურობა გულისხმობს რაიმე პერსპექტივისკენ/აზრისკენ გადახრას ან დაუსაბუთებელ მსჯელობას (merriam-webster.com 2021). წყარო ტენდენციურია, როცა ავტორი იყენებს კონკრეტული ფაქტების ნაკრებს ან ირჩევს სიტყვებს რაიმე საკითხთან დაკავშირებით სპეციფიკური გრძნობის ან დამოკიდებულების გადმოსაცემად. ტენდენციური წყაროს ავტორი ცდილობს მკითხველი დაარწმუნოს რაიმე პოზიციაში. დღეს სოციალური მედიის დომინირებიდან გამომდინარე, ტენდენციურმა წყაროებმა თითქმის სრულად შეავსეს საინფორმაციო სივრცე. მსგავსი დინამიკა შეინიშნება ჟურნალისტიკაშიც, სადაც სულ უფრო ხშირად გვეხვები ტერმინი „ტენდენციური მედია“ ან „ფეიქ ნიუსი“ (Starke 2020). შესაბამისად, მკითხველს, როცა რაიმე წყაროს ეცნობა, ესაჭიროება მეტი დაფიქრება, მან მართო ტენდენციური ინფორმაციის ამოცნობა კი არ უნდა შეძლოს, არამედ სარწმუნო წყაროების მოძებნაც.

როგორ მივხვდეთ ტენდენციურია თუ არა წყარო?

თუ მკითხველმა იცის რას ეძებს – ტენდენციური წყაროს ამოცნობა ადვილდება. სტუდენტს შეუძლია ისწავლოს დიდი მოცულობის ინფორმაციის იდენტიფიცირება და ანალიზი ნებისმიერი წყაროდან, თუმცა, ამისი ყველაზე მარტივი და ეფექტური საშუალებაა ერთი და იმავე თემის ან/და ორაზროვანი საკითხის გადამოწმება და შედარება განსხვავებულ წყაროებში და პლატფორმებზე.

როცა ვისმენტ ან ვუყურებთ რამეს, მნიშვნელოვანია დავსვათ კითხვები, რაც დაგვეხმარება გავარკვიოთ, რამდენად სარწმუნოა წყარო: ვინაა წყაროს სამიზნე აუდიტორია? რამდენად უფლებამოსილია ავტორი კონკრეტულ საკითხთან ან საკვლევ სფეროსთან მიმართებაში? რა შთაბეჭდილებები დაგიტოვავს წყარომ? რა ფაქტებია გამოტოვებული?

შესაბამისად, პირველ რიგში, იმისთვის, რომ გავიგოთ ტენდენციურია თუ არა წყარო, უნდა გავარკვიოთ, რა არის წყაროს მიზანი – დარწმუნება, მხარდაჭერა, ბაზარი, გაყიდვა, გართობა, სტიმულირება თუ პროპაგანდა. თუკი ავტორის მიზნები ესადაგება რომელიმე ზემოჩამოთვლილ კატეგორიას – მეტი ალბათობაა, რომ წყარო ტენდენციურია. ტენდენციურობა ასევე ვლინდება, თუკი:

- ▶ წყარო გვანჯდის მხოლოდ ცალმხრივ შეხედულებას ან ანალიზს რაიმე სადავო საკითხზე;
- ▶ სიძულვილის/ნეგატიური ენაა გამოყენებული საპირისპირო ან განსხვავებული შეხედულებების აღსაწერად;
- ▶ ვებგვერდზე ჩნდება რეკლამა ან ბმულები, რომელიც არ მუშაობს.

მას მერე, რაც გავარკვევს სტატიის ან მიმოხილვის გამოქვეყნების ავტორისეულ მიზეზებს, მნიშვნელოვანია მკითხველმა გაიგოს, ვისი (პირი ან დაწესებულება) სახელითაა დაწერილი მოწოდებული ინფორმაცია. ელექტრონული წყაროების შემთხვევაში აუცილებელია ამ მიზნით „ჩვენს შესახებ“ და „მისიის განაცხადის“ კატეგორიების შესწავლა. ამით მკითხველი უკეთ იაზრებს ინსტიტუციის მიზნებს და კონკრეტული სტატიის/ნაშრომის/ნარკვევის შექმნის მიზეზებს.

როგორ ვიპოვოთ სარწმუნო წყაროები?

სარწმუნო წყაროების მოძიება, ინფორმაციის მიღება, ფაქტებისა და პერსპექტივების შესწავლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სასწავლო პროცესში. ცხადია, რომ დღევანდელ დღეს სარწმუნო წყაროს მოძიება გაცილებით რთულია, ვიდრე ინტერნეტის ხანამდე. სარწმუნო წყაროს მოძიების ტექნიკის გამოყენების ყველაზე ეფექტური გზაა, რომ მკითხველი, უპირველესად, იყოს სკეპტიკური და გადამოწმების გარეშე არ ენდოს მოძიებულ ინფორმაციას.

ამასთან, საკვლევ საგნის ირგვლივ რეალური ფაქტების მოსაძიებლად მნიშვნელოვანია ნეიტრალური წყაროს მოძიება. ნეიტრალური წყარო ასწავლის ან ინფორმაციას აწვდის მკითხველს. ამგვარი წყაროს მოსაძიებლად, შესაძლებელია რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა:

- ▶ შემონმდეს ავტორის კავშირი ინსტიტუციასთან და რეგალიები/სტატუსი;
- ▶ შემონმდეს, აქვს თუ არა ავტორს მოცემული საკითხის გამოცდილება და ექსპერტიზა;
- ▶ შემონმდეს, იყენებს თუ არა ავტორი სხვა წყაროებს საკუთარ ნაშრომში (სხვა წყაროების გამოყენება სარწმუნოებას მატებს ნაშრომს);
- ▶ შემონმდეს, ვინაა გამომცემელი და რამდენად სარწმუნოა იგი;
- ▶ შემონმდეს, რამდენად ახალია ინფორმაცია;
- ▶ შემონმდეს გამომცემლის ვებგვერდი, რათა გაიგოთ, აქვს თუ არა რაიმე შესაბამისი ან უფრო ახალი ბმული, რაც მარტივად ხელმისაწვდომია მკითხველისთვის;
- ▶ შემონმდეს, აქვს თუ არა სტატიას რაიმე მითითება პირველწყაროზე.

ზემოხსენებულთან ერთად, სარწმუნო წყაროს ძიებაში, ფაქტებისა და ფასეული ინფორმაციის საპოვნელად საუკეთესო გზაა საგანმანათლებლო ორგანიზაციების მიერ აკადემიური სტატიებისა და ნაშრომების მოძიება.

მაგალითი

AllSides™ ვებგვერდია, რომელიც მიზნად ისახავს დემოკრატიული საზოგადოების გაძლიერებას დაბალანსებული სიახლეების, განსხვავებული პერსპექტივებისა და რეალური დიალოგების გზით.

საიტი ადამიანებს სთავაზობს ინფორმაციას და იდეებს, რათა მოქალაქეებმა უკეთ შეიცნონ სამყარო და ერთმანეთი. საიტის დაბალანსებული სიახლეები, მედია ტენდენციურობის რეიტინგები, სამოქალაქო დიალოგის შესაძლებლობები და ტექნოლოგიური პლატფორმა ხელმისაწვდომია ყველასათვის და შესაძლებლობას იძლევა ინტეგრირებული იქნას ნებისმიერი სკოლის, უნივერსიტეტის, მედია კამპანიისა და ა. შ. მიერ.

Allsides.com-ს სლოგანია:

არ დარჩეთ მოტყუებულნი ტენდენციური მედიითა და ფეიქ-ნიუსით;

ობიექტური მედია არ არსებობს, ჩვენ გთავაზობთ დაბალანსებულ სიახლეებს და სამოქალაქო დისკურსს.

პრაქტიკული ნაწილი

მეთოდის გამოყენება შესაძლებელია საუნივერსიტეტო კურსის შემდეგი სასწავლო თემების განხილვისას

თემა 6: სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში;

თემა 8: სამოქალაქო საზოგადოება და ბიზნესი;

თემა 11: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციული ასპექტები (დაფინანსების წყაროები);

ჯვარედინი თემები:

- ▶ სიმულაციის მეთოდი;
- ▶ პროექტის მეთოდი;
- ▶ პრობლემის იდენტიფიცირება;
- ▶ პრობლემის გადაწყვეტა;
- ▶ ინტერვიუ კვლევაში.

ლექტორის ინსტრუქცია

იმისათვის, რომ სტუდენტებმა მართებულად შეასრულონ დავალება, შეთავაზებულია შემდეგი სტრატეგიის გამოყენება: (ადაპტირებულია წყაროდან: Lamme L L., Pringle R M., Fang Zh., 2010, Language and Literacy in Inquiry-Based Science Classrooms, Grades 3-8, Teaching Science as Inquiry).

გამოძიების მნიშვნელოვანი თვისებები	სასწავლო აქტივობა
საკვლევი კითხვის გააზრება	<p>ხელი შეუწყვეთ სტუდენტებს, გაშალონ კითხვაში მოყვანილი გარემოებები/თემები. სტუდენტების დასახმარებლად, ისაუბრეთ თემის შესახებ მოკლე ლექციის სახით, ან აჩვენეთ ვიდეო.</p> <p>მიუთითეთ საკითხავი ლიტერატურა და განიხილეთ ლექციაზე შესაბამისი საკითხები (სამოქალაქო საზოგადოება და ბიზნესი, სამოქალაქო საზოგადოების დაფინანსების მეთოდები, ქართული სამოქალაქო საზოგადოების ისტორია და სხვ.).</p>
მტკიცებულებების გამოვლენა	<p>სტუდენტებმა უნდა გამოყოფონ საკვლევი საკითხის ცვლადები (ბიზნესის ზეგავლენა, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ელემენტები და სხვ.), შეიმუშაონ პროცედურები და სტრატეგიები მონაცემების შესაგროვებლად და წარსადგენად (აქ შეგროვება შესაძლებელია მოიცავდეს სამაგიდო კვლევას ან/და საველე სამუშაოებს).</p>
მტკიცებულებებზე დაფუძნებული განმარტებების ფორმულირება	<p>ხელი შეუწყვეთ სტუდენტებს, რომ განმარტებები, ექსპერიმენტულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ააგონ.</p> <p>განიხილეთ სტუდენტებთან, რომ განმარტებები, რომლებიც ეფუძნება პირად რწმენებს ან რელიგიურ ფასეულობებს, საინტერესოა, მაგრამ არაა მეცნიერული.</p>
განმარტებების შეფასება	<p>წარუდგინეთ სტუდენტებს ინფორმაცია სახელმძღვანელოდან და წაახალისეთ, რათა ერთმანეთს შეადარონ საკუთარი და ტექსტის (ან სხვა სტუდენტების) მიერ შემოთავაზებული განმარტებები;</p>
შეთავაზებული განმარტებების წარდგენა და დაცვა	<p>წაახალისეთ სტუდენტები, რათა საჯაროდ წარადგინონ საკუთარი განმარტებები.</p> <p>მოაწყეთ დებატები.</p>

დავალება და ინსტრუქცია სტუდენტთათვის

თემა: ქართული სამოქალაქო აქტივიზმი

ძირითადი კითხვა: რა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართული ბიზნესი სამოქალაქო საზოგადოების განვითარების საქმეში 1921 წლამდე და რა როლი აქვს მას ახლა? რა სხვაობაა და რა საერთოა მიდგომებში?

დავალება წარმოადგენს ჯგუფურ საკლასო სავარჯიშოს.

დაიყავით მცირე ჯგუფებად, რათა განიხილოთ თანამედროვე სამოქალაქო აქტივიზმის თავისებურებები, რა საერთო აქვს და რით განსხვავდება ის 1921 წლამდე არსებული სამოქალაქო აქტივიზმისგან საქართველოში. დამხმარე კითხვები:

- ▶ რას აღიქვამდა საზოგადოება პრობლემად მაშინ და რას აღიქვამს ახლა?
- ▶ რა არის ამ განსხვავების მიზეზი/ები?
- ▶ ჰქონდათ თუ არა ხალხის მხარდაჭერა და რა იყო ამის მიზეზი?
- ▶ რა როლი ჰქონდა პოლიტიკურ ვითარებას?
- ▶ ჰქონდა თუ არა რაიმე პოლიტიკური შედეგი? მაშინ? ახლა?

2.4. სიმულაციის მეთოდი

თეორიული მიმოხილვა

სოციალური მეცნიერებების სწავლების (გამოძიებაზე დაფუძნებული მეთოდის) ერთ-ერთი მიმართულებაა სიმულაციის მეთოდი. ეს მეთოდი მოიცავს როლურ თამაშებს, მოდელირებას, გათამაშებას და სხვ. პერისა და სხვების (Perry et al., ციტ. Shamsudina et al. 2012, p. 585) მიხედვით, სიმულაციის გამოყენების მოდელები ექსპერიმენტული სწავლების ნაწილია. ამ შემთხვევაში, სტუდენტი თავსდება ლექტორის მიერ შექმნილ სამყაროში და თავისი მოქმედებით თვითონ ხდება ექსპერიმენტის საგანი. ეს მეთოდი ეფექტური საშუალებაა, დავეხმაროთ სტუდენტებს უკეთ გაიგონ კონცეფციის ან/და მდგომარეობის ნიუანსები.

მარტივად რომ ვთქვათ, სიმულაციის მეთოდი რეალური სიტუაციის მოდელია. ჩვეულებრივ, სასწავლო პროცესში სიმულაციები გამოიყენება ისეთი (თეორიული) კონცეფციების ან პრინციპების შესასწავლად, რომლებზე დაკვირვება საკმაო სირთულეს წარმოადგენს. სიმულაცია ჩვენი წარსული და დღევანდელი საზოგადოების იდეების, პრობლემების, საკითხებისა და რეალობის დინამიკური და ცოცხალი წარდგენის მეთოდია (Sivakumar 2018, p.208).

სიტყვა „სიმულაცია“ მოდის ლათინური სიტყვიდან „Similis“, რაც ნიშნავს მსგავს საქციელს, მსგავსებას. შესაბამისად, ნავარაუდევია, რომ ამ მეთოდის საშუალებით შეიქმნება ვითარება, სადაც აქტივობები რეალური ცხოვრების მსგავსი იქნება. სიმულაციის მეთოდის სამი ძირითადი სახეობა არსებობს: ისტორიული სიმულაცია, სიმულაციური აქტივობა და სიმულაციური თამაში (ibid., p.208).

ისტორიული სიმულაციები წარმოადგენს წარსულში მომხდარი მოვლენების ინსცენირებას, რეალური გმირებისა და ფაქტების ასახვით. სიმულაციური თამაშები გამოიყენება საგანმანათლებლო მიზნებისთვის. ამ შემთხვევაში თამაშის აქტივობები მოიცავს წესებს, შეჯიბრს და მოთამაშეებს. თუკი ისტორიული სიმულაციის შემთხვევაში, ამბის დასაწყისი და დასრულება ცნობილია (ეყრდნობა ისტორიულ ფაქტებს) და სიმულაცია მიზნად ისახავს შემდგარი ამბის უკეთ გააზრებას და გაანალიზებას, თამაშის შედეგებს განაპირობებს მოთამაშეების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

სიმულაციური აქტივობებით თამაშში ჩართული ახალგაზრდები საერთო გამოცდილებას იღებენ, რაც მეტად შინაარსიანსა და ეფექტიანს ხდის სასწავლო პროცესს. იმ თემების გააზრება, რომლებიც გვეჩვენება რთულად და აბსტრაქტულად (მაგ. მორალურობა, დემოკრატია, პატრიოტიზმი, სოციალური კაპიტალი, ლიდერობა და სხვ.) – ადვილდება სიმულაციის დროს.

სამოქალაქო საზოგადოების როლის გააზრების კონტექსტში, სიმულაციური მიდგომები გვაძლევს შესაძლებლობას, სტუდენტებმა დაინახონ სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობა, ზეგავლენა მოახდინოს პოლიტიკურ პროცესებზე, გაიაზრონ სამოქალაქო სექტორისა და ბიზნესის თანამშრომლობის ფორმები და პერსპექტივები, შეაფასონ ქართული სამოქალაქო საზოგადოების ფორმები და სხვ. ზემოხსენებულთან ერთად, სიმულაციური თამაშები სტუდენტებს აქცევენ დაინტერესებულ მხარეებად, აუმჯობესებენ მათ სოციალურ უნარებს, უვითარებენ ემპათიას და ხელს უწყობენ აქტიურ და კრიტიკულ მოქალაქეობას.

სიმულაციური მეთოდის გამოყენების დანიშნულებებია: პროგნოზი, წარმოდგენა, ტრენინგი, გართობა, განათლება, მტკიცება და აღმოჩენა (Axelrod 2005, pp. 3-5).

- 1. პროგნოზი.** სიმულაციას აქვს საშუალება, შეარჩიოს რთული თემა, გადაამუშაოს/დასვას ჰიპოთეზები და შედეგად შეიმუშაოს პროგნოზი. მაგალითად, თუკი ჩვენი მიზანია პროგნოზი გავაკეთოთ სამოქალაქო სექტორის პოლიტიკის ადვოკატირების შედეგზე ადგილობრივ ან ეროვნულ დონეზე – სიმულაცია ამის საუკეთესო ტექნიკაა.
- 2. წარმოდგენა.** სიმულაცია ასევე შეიძლება იქნას გამოყენებული გარკვეული ემოციების/ამოცანების/მოქმედებების წარმოსადგენად. აქ შესაძლებელია გავიაზროთ და წარმოვადგინოთ ადამიანის ემოციები, წარმოდგენები, სოციალური ინტერაქციები, გადაწყვეტილებების მიღება და სხვ.

- 3. ტრენინგი და განათლება.** სიმულაციის დანიშნულება - გარკვეული უნარები შევძინოთ სტუდენტებს – უდავოა. ტრენინგიდან განათლებამდე კი ერთი ნაბიჯია. ინტერაქტიული სიმულაციები საშუალებას აძლევს სტუდენტებს იმოქმედონ ჰიპოთეზურ გარემოში, სადაც უწევთ მრავალ ცვლადთან შეხება. ეს იძლევა საშუალებას, სტუდენტებმა შეისწავლონ ურთიერთობები და პოზიციები, ფაქტები და გარემოებები, გააკეთონ დასკვნები – რაც პირდაპირ ემსახურება სტუდენტთა მიერ საკითხის გააზრებას და გამოყენებას.
- 4. გართობა.** დღევანდელ დღეს, როცა სტუდენტების გარემო გაჯერებული და გადატვირთულია ინფორმაციითა და სხვა გამაღიზიანებლებით, გაცილებით რთული გახდა სტუდენტთა დაინტერესება და ფოკუსირება სასწავლო თემაზე. სიმულაცია, როგორც გართობის საშუალება, ერთ-ერთი მძლავრი მეთოდია სტუდენტების კონცენტრაციისთვის.
- 5. მტკიცებულება.** სიმულაცია შესაძლებელია გამოყენებულ იქნას გარემოების/ფაქტის ეგზისტენციალურ მტკიცებულებად. მაგალითად, შესაძლებელია სიმულაციამ დაამტკიცოს, რომ რაიმე კომპლექსური საქციელი (მაგალითად, მოხალისეობა, სოციალური კაპიტალის მოქმედება, ორგანიზაციაში გაერთიანება და სხვ.) შესაძლებელია გამომდინარეობდეს გარკვეული წესიდან/გარემოებიდან (მაგ. სახელმწიფოს პოლიტიკა, ადათი, რელიგია და სხვა).
- 6. აღმოჩენა.** სიმულაციის გამოყენება ახალი ურთიერთობებისა და პრინციპების აღმოსაჩენად არანაკლებ მნიშვნელოვანია სოციალური მეცნიერებებისთვის. ნიშანდობლივია, რომ სიმულაციების მარტივი მოდელებიც კი სასარგებლო იარაღია საკვლევო საკითხის აღმოსაჩენად და გასააზრებლად.

სიმულაციის მეთოდი შესაძლებელია შევადაროთ კვლევის ორ სტანდარტულ მეთოდს – ინდუქციურს და დედუქციურს. ცნობილია, რომ ინდუქციური მეთოდი გამოიყენება ემპირიული მონაცემის აღმოსაჩენად (მაგ. მოსახლეობის აზრის/დამოკიდებულების გამოკითხვა), ხოლო დედუქციური მოიცავს ვარაუდებიდან გამომდინარე შედეგების აღმოჩენას. სიმულაციური მეთოდი კი, თავის მხრივ – დედუქციის მეთოდის მსგავსად – იწყება ვარაუდების გამოთქმით, თუმცა ინდუქციური მეთოდის მსგავსად ახდენს გარკვეული მონაცემების გენერირებას. აქვე უნდა ითქვას, რომ ტიპური ინდუქციისგან განსხვავებით, სიმულაციური მონაცემები მიიღება მოცემული სიმულაციისთვის შემუშავებული/შეთანხმებული წესების ნაკრებიდან და არა უშუალოდ რეალური სამყაროს ცვლადების გაზომვიდან. იმ დროს როცა ინდუქციის გამოყენება შესაძლებელია მონაცემებში კანონზომიერების მოსაძებნად და დედუქციის გამოყენება – ვარაუდების შედეგების დასადგენად, სიმულაციის მოდელირება გამოიყენება ინტუიციის გასაძლიერებლად (Axelrod 2005, p. 4-5).

მინაწერი

რატომ სიმულაცია?

- ▶ როცა სტუდენტები თამაშობენ გამყიდველისა და მყიდველის როლს და ცდილობენ გარიგდნენ რაიმე პროდუქტის ყიდვა-გაყიდვაზე – ისინი სწავლობენ როგორ მუშაობს ბაზარი.
- ▶ როცა სტუდენტი თამაშობს პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელს, რომელსაც კონკრეტული მოთხოვნებით მიმართავს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი – სტუდენტები სწავლობენ კრიტიკას, მოლაპარაკებებს და კონსენსუსამდე მისვლის ტექნიკას.
- ▶ როცა სტუდენტი თამაშობს მონყვლადი ჯგუფის წარმომადგენელს, რომელიც იბრძვის თავისი უფლებებისთვის, სტუდენტი აფასებს და აკეთებს პროგნოზებს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე.

პრაქტიკული ნაწილი

მეთოდის გამოყენება შესაძლებელია საუნივერსიტეტო კურსის შემდეგი სასწავლო თემების განხილვისას

თემა 3: სამოქალაქო საზოგადოების ფორმები და შემადგენლობა;

თემა 6: სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში;

თემა 7: სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო;

თემა 8: სამოქალაქო საზოგადოება და ბიზნესი;

თემა 11: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციული ასპექტები (დაფინანსების წყაროები).

ჯვარედინი თემები:

- ▶ გამოძიების მეთოდი;
- ▶ პრობლემის იდენტიფიცირება;
- ▶ დებატები.

რეკომენდებული სასწავლო მაგალითები

- ▶ სამოქალაქო აქტივიზმი უნგრეთში;
- ▶ პირველი ნაბიჯი საქართველო;
- ▶ ცოდნის კაფე;
- ▶ იკორთა;
- ▶ მხარი დაუჭირეთ Standing Rock-ს;
- ▶ ორგანიზაცია ACT UP ნიუ-იორკი.

ლექტორის ინსტრუქცია

სიმულაციის მეთოდების გამოყენებას საკმაოდ დრო ესაჭიროება. ზოგს შესაძლებელია ერთი საათი დასჭირდეს, ზოგიერთს კი – რამდენიმე კვირა. სიმულაციების მასშტაბი და შინაარსი მრავალფეროვანია, და, ბუნებრივია, გამომდინარეობს დასახული ამოცანიდან. ამასთან, სტუდენტები ხშირად ხმაურობენ, ირღვევა წესრიგი და პროცესი რთულად გასაკონტროლებელი ხდება. სიტუაციაზე კონტროლის დაკარგვის რისკების შესამცირებლად, მნიშვნელოვანია სიმულაციის საერთო პრინციპების დაცვა (University of New South Wales (Australia) 2021):

1. რამდენადაც შესაძლებელია, მოემზადეთ წინასწარ:

- ▶ სიმულაციების დაწყებამდე, სტუდენტები უნდა გაეცნონ პროცედურებს. ამისთვის სასარგებლოა წერილობითი სახელმძღვანელოს/წესების ჩამოწერა;
- ▶ შეძლებისდაგვარად, მოამზადეთ პასუხები ყველა სავარაუდო კითხვაზე, რათა არ შეფერხდეს სიმულაციის პროცესი;
- ▶ ზუსტად განსაზღვრეთ, რისი მიღწევა გასურთ სიმულაციის საშუალებით. მრავალ სიმულაციას გააჩნია ერთზე მეტი საგანმანათლებლო მიზანი. შეიმუშავეთ შეფასების კრიტერიუმები და წინასწარ გაუზიარეთ სტუდენტებს თქვენი მოლოდინები.

2. ყურადღებით ადევნეთ თვალი პროცესს:

- ▶ ლექტორი უნდა აკვირდებოდეს სიმულაციის პროცესს, რათა სტუდენტებს ესმოდათ, რას გულისხმობს პროცესი და მიიღონ მაქსიმალური სარგებელი. სასურველია, ლექტორმა საკუთარ

თავს დაუსვას შემდეგი კითხვები:

- რამდენად იძლევა მოცემული სიმულაცია რეალური ვითარების შეფასების შესაძლებლობას?
- რამდენად კარგადაა განსაზღვრული საგანმანათლებლო მიზნები?
- რამდენად ახერხებს მოცემული ჯგუფი ბუნდოვანი საკითხების გააზრებას?
- რამდენად ესმით სტუდენტებს მათი როლი?
- რამდენად იყენებენ პრობლემის გადაწყვეტის ტექნიკებს?
- რამდენად ესაბამება მოკვლევის დინამიკა პრობლემის შინაარსს?
- თანამშრომლობენ მონაწილეები?
- შეუძლიათ სტუდენტებს საკითხის წარმატებით გადაწყვეტა?
- შეუძლიათ სტუდენტებს საკვლევ კითხვების დასმა?
- საჭირო იქნება შემდგომი აქტივობები?

3. შეფასების გააზრება

მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია სიმულაციური დავალების შეფასება, ლექტორის გადასაწყვეტია, თამაშები გამოიყენოს მხოლოდ საგანმანათლებლო თუ ასევე, შეფასების მიზნებისთვის. სასურველია, სიმულაციის შემდგომი აქტივობები ემსახურობდეს პროცესზე უკუგებას და არა სტუდენტთა მონაწილეობას.

იმისთვის, რომ სიმულაციური თამაშებიდან მივიღოთ მაქსიმალური ეფექტი, მეთოდი, ჩვეულებრივ, ინტეგრირებულია სასწავლო თემაში. მეთოდის გამოყენება შესაძლებელია როგორც თემის შესასწავლად, ასევე მიღებული ცოდნისა და უნარების გამოსაყენებლად და შესაფასებლად.

სიმულაციური ლექცია-სემინარის ჩატარება

სიმულაციის ჩატარება შესაძლებელია ინდივიდუალურად ერთ სტუდენტთან (საილუსტრაციოდ), მცირე ჯგუფებში, ან დიდ ჯგუფებში. სიმულაცია ხორციელდება რამდენიმე ეტაპად. სიმულაციის დაწყებამდე დარწმუნდით, რომ სტუდენტებს ესმით, რას გულისხმობს სიმულაცია და რას ისახავს მიზნად.

ტიპური სიმულაცია რამდენიმე ეტაპს მოიცავს (ადაპტირებულია წყაროდან: BrainyApples.com, 7 Ways to Step Away from the Lecture Podium & Revitalize Your Social Studies Classroom, 2021):

1. თემის წარდგენა

თემა უნდა შეირჩეს და სიტუაციური მაგალითი შემუშავდეს წინასწარ.

2. წინაპირობა

სიმულაციის მიზნებიდან გამომდინარე, სტუდენტს შესაძლებელია ესაჭიროებოდეს გარკვეული საბაზისო ცოდნა სიმულაციური აქტივობის დაწყებამდე. მაგალითად, თუკი სტუდენტს არ სმენია/წაუკითხავს ან უსწავლია რელიგიური თემების მიერ დაფუძნებული სამოქალაქო ორგანიზაციების შესახებ, ვერ მოვთხოვთ განასხვაონ ეს უკანასკნელნი რელიგიური თემებისგან. ამ შემთხვევაში, სიმულაციის წამოწყებას ესაჭიროება წინასწარი მომზადება (წინასწარ საკითხავი მასალის მითითება, ან თემის ლექციაზე განხილვა). იმისთვის, რომ სტუდენტმა გაიაზროს, რა ინფორმაცია აქვს მას და რა ინფორმაცია აკლია – სასარგებლოა ფურცელზე/დაფაზე ჩამოიწეროს საკითხები (ა) რა ვიცით და (ბ) რა არ ვიცით.

3. როლების განაწილება

გადაანაწილეთ როლები, ან მიეცით სტუდენტებს საშუალება, თავად აირჩიონ მათთვის სასურ-

ველი როლი. დარწმუნდით, რომ სტუდენტს აქვს გააზრებული მინიჭებული როლის (პერსონაჟის/ორგანიზაციის) ვინაობა/ფუნქცია.

4. სიმულაცია

მას შემდეგ, რაც სტუდენტები შეისწავლიან თემას და გაიაზრებენ, რა როლი უნდა შეასრულონ, მათთან ერთად გაიარეთ სიმულაციის მიზნები და მიმართულებები. სიმულაციის პროცესში არასოდეს გააჩეროთ სტუდენტები, არ გააწყვეტინოთ მათ, არ მისცეთ რჩევა ან ეცადოთ შეუცვალოთ მათ მიერ შერჩეული მიმართულება. არ ჩაერიოთ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი სტუდენტები მოგმართავენ რჩევაზე გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით. ამ აქტივობის მნიშვნელობა სტუდენტთა კრიტიკული აზროვნების განვითარება და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებაა.

5. შედეგები და უკუგება

სიმულაციის დასრულების შემდეგ, სასურველია სტუდენტებმა შეაჯამონ, ხოლო ლექტორმა უკუგება გააკეთოს პროცესზე. ეს ეტაპი სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, გაანალიზონ თავიანთი მოქმედება და განიხილონ რა მოხდა და რატომ. ეს ის ეტაპია, როცა სტუდენტთა უმეტესობა სხვა სტუდენტებთან და ლექტორთან კომუნიკაციის შედეგად უფრო ღრმად გაიაზრებს, რა მოხდა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა, ისაუბრონ თავიანთ ემოციებსა და გრძნობებზე.

ქვემოთ ჩამოთვლილი კითხვები განკუთვნილია სიმულაციის დასრულების შემდეგ საუბრისათვის. ამ კითხვების დასმა შესაძლებელია კლასში ან მცირე ჯგუფებში განსახილველად:

- ▶ რა ისწავლეთ ამ ექსპერიმენტიდან?
- ▶ რა იყო ძირითადი შენიშვნები/დაკვირვებები?
- ▶ რა იყო საინტერესო ან მოულოდნელი?
- ▶ როგორ გრძნობდით თავს როლში?
- ▶ რა საერთო ჰქონდა სიმულაციას რეალურ მოვლენებთან და რა იყო განსხვავება? (ე.წ. ისტორიული სიმულაციის შემთხვევაში)
- ▶ როგორ ფიქრობთ, რას გააკეთებდით სხვანაირად? რატომ?
- ▶ როგორ და რით უკავშირდებიან მოვლენები _____ ? (თემა)
- ▶ როგორაა შესაძლებელი სიმულაციური თამაშის გამოსწორება?
- ▶ რამდენად დაგეხმარათ აქტივობა უკეთესად გაგეგოთ კონცეფცია?

დავალება და ინსტრუქცია სტუდენტებისთვის: სიმულაცია

სიმულაციური მაგალითი 1 მოქალაქეთა მონაწილეობა ურბანული დაგეგმვის პროცესში

სიმულაცია ავლენს ქალაქის მოსახლეობის განსხვავებულ ინტერესებს ურბანული განვითარების პროცესში მონაწილეობისას. მოცემული სიმულაციის მიზანია არა აუცილებლად კონსენსუსის მიღწევა, არამედ ქალაქის განვითარების საქმეში მოქალაქეთა მონაწილეობის საკითხების გააზრება და კომუნიკაცია ახალი პერსპექტივიდან.

მონაწილეთა რაოდენობა 15-20 სტუდენტი;

სიმულაციის ხანგრძლივობა – 3 საათი;

1-ლი საათი – მოცემულობის გაცნობა, საბაზისო ინფორმაციის მოძიება;

მე-2 საათი – როლების განაწილება, შესაბამისი არგუმენტაციის აგება და მტკიცებულებების მომზადება;

მე-3 საათი – სიმულაცია და სიმულაციის შეჯამება-უკუგება.

მოცემულობა:

კახეთის რეგიონის, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ღია სხდომაზე განიხილება ქალაქ თელავის შემოგარენში მდებარე მიტოვებული ტერიტორია და მისი განვითარების პერსპექტივა. მიტოვებულ ტერიტორიაზე მდებარეობს ძველი, მე-15 საუკუნის ქარის წისქვილი, რომელიც დანგრევის პირასაა. კულტურული მემკვიდრეობის დამცველები უკვე დიდი ხანია იბრძვიან, რათა წისქვილს მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი, მაგრამ, ჭერჭერობით – უშედეგოდ. სხდომას ესწრებიან პოტენციური ინვესტორები, ქალაქის ადმინისტრაცია, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, ჟურნალისტები, არქიტექტორები, კულტურული მემკვიდრეობის დამცველი აქტივისტები და აქტიური მოქალაქეები. ქალაქის ადმინისტრაცია წარადგენს ინვესტიციის გეგმას, რომელიც ითვალისწინებს წისქვილის დანგრევას და ტერიტორიაზე ღვინის ქარხნის აშენებას. ადმინისტრაციის თქმით, საინვესტიციო პროექტი შექმნის დამატებით 3000 სამუშაო ადგილს. თუმცა, დამსწრე საზოგადოებაში ვლინდება როგორც მხარდამჭერი, ასევე ოპოზიციური განწყობები არსებული გეგმის მიმართ.

დავალება:

- ▶ კარგად გაიაზრეთ ქალაქის/მოსახლეობის საჭიროებები;
- ▶ შეარჩიეთ და გადაინაწილეთ სხდომის მონაწილეთა როლები;
- ▶ როლებიდან გამომდინარე, ჩამოწერეთ და გაიაზრეთ ინდივიდუალური ინტერესები;
- ▶ ინტერესების ირგვლივ გაიაზრეთ და ჩამოწერეთ თქვენი პოზიციები და ამ პოზიციების მიზანშეწონილობის მტკიცებულებები;
- ▶ ყურადღება გაამახვილეთ სამოქალაქო მონაწილეობის ბერკეტებზე, თანამშრომლობაზე, ადვოკატირებასა და ლობირებაზე, მხარდამჭერების მობილიზებაზე;
- ▶ ჩამოწერეთ, რა იცით და რა არ იცით მოცემული მაგალითიდან გამომდინარე;
- ▶ მოიძიეთ ინფორმაცია იმაზე, რაც არ იცით;
- ▶ გაითამაშეთ საკრებულოს სხდომა.

სიმულაციური მაგალითი 2 სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობა

სიმულაცია ფოკუსირდება სამოქალაქო საზოგადოების როლზე და იმ გზებზე, რომლითაც ისინი ზეგავლენას ახდენენ რეფორმებზე, ასევე სამოქალაქო ორგანიზაციებს შორის კონკურენციაზე, ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე და სხვ. მონაწილეებს ევალებათ აითვისონ სხვადასხვა სამოქალაქო აქტორის როლი და იპოვონ გზა თანამშრომლობისკენ. ამის გარდა, თანამშრომლობამ უნდა წვლილი შეიტანოს ევროპის ფონდის მიერ დადგენილ მიზნებში – დემოკრატია და სტაბილურობაში. დისკუსიებისა და მიზნების დასახვის გზით, აქტორებმა უნდა მიიღონ ისეთი გადაწყვეტილება, რაც წაადგება ქვეყანას.

მონაწილეთა რაოდენობა 15-20 სტუდენტი;

სიმულაციის ხანგრძლივობა - 3 საათი;

1-ლი საათი – მოცემულობის გაცნობა, საბაზისო ინფორმაციის მოძიება;

მე-2 საათი – როლების განაწილება, შესაბამისი არგუმენტაციის აგება და მტკიცებულებების მომზადება;

მე-3 საათი – სიმულაცია და სიმულაციის შეჯამება-უკუგება.

მოცემულობა:

კუნძული თაია მდებარეობს ხმელთაშუა ზღვაში. მე-20 საუკუნის შუა წლებში ქვეყანამ გადაიტანა არაერთი სამოქალაქო ომი, რევოლუცია და მღელვარებები. სიტუაციის დარეგულირებასთან ერთად, საერთაშორისო პარტნიორებმა ხელი შეუწყვეს და დღემდე უწყობენ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი ნაწი-

ლი მეტ-ნაკლები წარმატებით აკონტროლებს ხელისუფლებას. ამასთან, ბოლო წლებში გაჩნდა სამოქალაქო აქტივიზმის პირველი ნიშნები. ქვეყნის განვითარებასთან ერთად, საერთაშორისო დონორები და პარტნიორები მეტად ალაპარაკდნენ სამოქალაქო სექტორისა და ხელისუფლების თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობაზე, რაც გამოიხატება სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების სამთავრობო საბჭოებში და კომისიებში შეყვანით, საჯარო პოლიტიკის განხორციელების პროცესში მათი ჩართულობით და სხვა მშვიდობიანი მექანიზმებით. ბოლო პერიოდში, თაიაზე დემოკრატიისა და სტაბილურობის მხარდასაჭერად, ევროკავშირმა დააფუძნა ფონდი და აპირებს, რომ მნიშვნელოვანი თანხები გამოყოს სამოქალაქო სექტორისა და სახელმწიფოს თანამშრომლობისთვის.

ახალგაზრდული ორგანიზაცია „წინ ევროპისკენ“ დაარსდა თაიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ. ახალგაზრდული მოძრაობის წევრები უკვე სამი წელია იბრძვიან როგორც ქვეყანაში საჭირობო საკითხების მოსაგვარებლად, ასევე უშუალოდ სტუდენტების უფლებების დასაცავად. ერთ-ერთი საკვანძო საკითხია რეგიონიდან ჩამოსული სტუდენტების საცხოვრებელი უზრუნველყოფა. მოძრაობის წევრების თქმით, უნივერსიტეტები ვერ უზრუნველყოფს სტუდენტებს საერთო საცხოვრებელი და ოჯახებს დამატებითი ფინანსური ტვირთი აწვებათ. ადამიანები ჩამოდიან სასწავლებლად რეგიონებიდან და რეალურად ამ საცხოვრისით უზრუნველყოფაში ეხარჯებათ იმაზე მეტი თანხა, ვიდრე სწავლის გადასახადია. მოლაპარაკება ხელისუფლებასთან რამდენიმე წელია მიმდინარეობს და წინა თვეში გამოჩნდა საკითხის დადებითად გადაწყვეტის ნიშნები. მოლაპარაკების მაგიდასთან მაღალი რანგის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პრობლემა მართლაც საჭიროებს გადაჭრას და რომ ხელისუფლება მუშაობს რეგიონებიდან ჩამოსული სტუდენტებისთვის (მიზნობრივი სტიპენდიის სახით) საცხოვრებლისთვის თანხების გამოსაყოფად.

უკანასკნელ დროს, ადგილობრივ პოლიტიკაზე ზეგავლენას ახდენს შემდეგი გამოწვევები:

1. რამდენიმე თვეა, სახალხო მოძრაობა „ბასტა“ პერმანენტულად აწყობს საჯარო პროტესტებს ხელისუფლების წინააღმდეგ, რაც მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მიერ აღიქმება, როგორც ქვეყნის დესტაბილიზაციის მცდელობა;
2. „ბასტა“-ს გამოჩენის შემდეგ მკვეთრად გააქტიურდა მოძრაობა „ჩოხა“, რომელიც უპირის-პირდება მოძრაობას „ბასტა“. მიუხედავად იმისა, რომ ამბობენ, თითქოს მოძრაობა „ჩოხა“ ხელისუფლების მხარდაჭერით სარგებლობს – ამის მტკიცებულება არ არსებობს. ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ წლების განმავლობაში მოძრაობა „ჩოხა“ საჯაროდ აცხადებდა, რომ ეროვნული ტრადიციების მიმდევარია – ორგანიზაციას საკმაო მხარდაჭერა აქვს ფართო საზოგადოებაში.

ახალგაზრდული მოძრაობის ავტორიტეტის გამო, ამ უკანასკნელს თანამშრომლობის თხოვნით მიმართეს როგორც მოძრაობამ „ბასტა“, ასევე მოძრაობამ „ჩოხა“. ახალგაზრდული მოძრაობა დადგა დილემის წინაშე – ითანამშრომლოს თუ არა რომელიმე ორგანიზაციასთან. რა უნდა გაკეთდეს, რომ მათი მოლაპარაკება ხელისუფლებასთან არ ჩაიშალოს და ასევე მათთვის ხელმისაწვდომი გახდეს ევროპის ფონდის ფინანსური რესურსი.

დავალბა:

- ▶ კარგად გაიაზრეთ სამოქალაქო საზოგადოების განსხვავებული აქტორების როლი;
- ▶ შეარჩიეთ და დაინაწილეთ როლები;
- ▶ როლებიდან გამომდინარე, ჩამოწერეთ და გაიაზრეთ ინდივიდუალური ინტერესები;
- ▶ ინტერესების ირგვლივ გაიაზრეთ და ჩამოწერეთ თქვენი პოზიციები და ამ პოზიციების მიზანშეწონილობის მტკიცებულებები;
- ▶ გაიაზრეთ, თუ რა შეიძლება გაკეთდეს, რათა სამოქალაქო საზოგადოების განსხვავებულ აქტორებმა უკეთ ითანამშრომლონ;
- ▶ ყურადღება გაამახვილეთ თანამშრომლობისა და კოოპერირების ბერკეტებზე, გადაწყვეტილების მიღების ტექნიკაზე, სამოქალაქო მონაწილეობის ბერკეტებზე, ადვოკატირებასა და ლობირებაზე, მხარდამჭერების მობილიზებაზე, დონორებთან და ხელისუფლებასთან ურთიერთობაზე;

- ▶ ჩამონერეთ, რა იცით და რა არ იცით მოცემული მაგალითიდან გამომდინარე;
- ▶ მოიძიეთ ინფორმაცია იმაზე, რაც არ იცით;
- ▶ გაითამაშეთ შეხვედრები სხვადასხვა მხარესთან/აქტორებთან.

2.5. პროექტის მეთოდი

თეორიული მიმოხილვა

პროექტის მეთოდი წარმოადგენს მიდგომას, რომლის დროსაც სტუდენტები იყენებენ მიღებულ ცოდნას და უნარებს რეალური პრობლემების გადასაჭრელად, ფართო მოკვლევის პროცესის გამოყენებით. ლექტორი ნათლად აყალიბებს სტანდარტებს, პარამეტრებს, ეტაპებს, თუმცა სტუდენტები დამოუკიდებლად გეგმავენ, ამუშავებენ და ახორციელებენ პროექტს (Howell 2003).

პროექტის მეთოდი ავტონომიური სწავლების ერთ-ერთი თვალსაჩინო მიდგომაა. სწავლების ეს მეთოდი წარმოიქმნა პრაგმატიზმის ფილოსოფიიდან. თავისი შინაარსით, პროექტის მეთოდი დაკავშირებულია ცხოვრებისეულ სიტუაციასთან და ორიენტირებულია გამოცდილების მიღებაზე. სწავლების სტრატეგია რამდენიმე პრინციპს ეფუძნება, კერძოდ (TeachersAdda 2020):

- ▶ **მიზანშეწონილობის პრინციპი** გულისხმობს ისეთი პროექტების შერჩევას, რომლებიც მეტად უკავშირდება სოციალურ ცხოვრებას;
- ▶ **მზაობის პრინციპი** უკავშირდება პრობლემის გადაწყვეტის გზების მოძიებას სტუდენტის აქტიური მონაწილეობით;
- ▶ **სწავლა-კეთებით პრინციპი** – სტუდენტები ასრულებენ დავალებებს და ცდიან ახალს, რაც ამდიდრებს მათ ცოდნას;
- ▶ **სოციალიზაციის პრინციპი** – ავითარებს ჯგუფური მუშაობისა და კოოპერირების უნარებს;
- ▶ **ინტერდისციპლინური** მიდგომა გულისხმობს განსხვავებულ საგანში მიღებული ცოდნის გამოყენებას სოციალური პრობლემების გადასაჭრელად.

პროექტის განხორციელება შესაძლებელია ინდივიდუალურად, ან სტუდენტთა ჯგუფის მიერ, როცა პროექტის შინაარსი და მოცულობა მეტად შეესაბამება ჯგუფურ სამუშაოს. ინდივიდუალური პროექტები იძლევა საშუალებას, სტუდენტი ინდივიდუალურად დააკვირდეს და შეაგროვოს ინფორმაცია კონკრეტულ თემასთან/საკითხთან დაკავშირებით, რაც, შესაბამისად, ცოდნის მიღების საშუალებაა. ამასთანავე – ჯგუფური პროექტები არა მარტო იძლევა ინფორმაციის შეგროვებისა და დავალების კოლექტიურად შესარულების შესაძლებლობას, არამედ ერთმანეთისგან სწავლის საშუალებასაც.

მიღებულია, რომ ცოდნის გამოყენება, კონკრეტული ინფორმაციის მოძიება და რეალურ სივრცეში წარმოდგენა/განხორციელება მოტივაციას უზრდის სტუდენტებს. პროექტის განხორციელებისას მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტმა გამოიყენოს ინფორმაციის მიღების ყველა შესაძლო წყარო.

პროექტის მეთოდს ორი ძირითადი მიდგომა ახასიათებს:

1. სტუდენტები ცოდნას იძენენ სისტემატური სასწავლო კურსის მსვლელობისას და შემდგომ ამ ცოდნას და უნარებს იყენებენ პროექტის განხორციელების დროს;
2. სტუდენტი ირჩევს პროექტს (რაიმე პრობლემას, რომლის გადაჭრა სურს) და შემდგომ, ინსტრუქტორთან ერთად, განიხილავს, თუ რა ტიპის ცოდნა ესაჭიროება მოცემული პრობლემის გადასაჭრელად, ამასთანავე, სწავლობს შესაბამის ტექნიკას და კონცეფციებს.

ორივე შემთხვევაში, პროექტს სტუდენტები დამოუკიდებლად ახორციელებენ. ასევე, ორივე შემთხვევაში მნიშვნელოვანია რეფლექსიისთვის დროის გამოყოფა პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე.

სამოქალაქო საზოგადოების გააზრებისას, პროექტის განხორციელება შესაძლებელია მოიცავდეს რეალური სამოქალაქო ორგანიზაციის საქმიანობის შესწავლას, ფიქციური სამოქალაქო ორგანიზაციის შექმნას და მისი სტრატეგიის დაწერას, საჯარო პოლიტიკის რომელიმე მიმართულებით სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების როლის შესწავლას და მათი წარმატების ისტორიის დაწერას და სხვა.

პრაქტიკული ნაწილი

მეთოდის გამოყენება შესაძლებელია საუნივერსიტეტო კურსის შემდეგი სასწავლო თემების განხილვისას:

თემა 2: სამოქალაქო საზოგადოების თეორიები;

თემა 3: სამოქალაქო საზოგადოების ფორმები და შემადგენლობა;

თემა 4: სამოქალაქო საზოგადოების ზეგავლენა და წვლილი;

თემა 7: სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო;

თემა 8: სამოქალაქო საზოგადოება და ბიზნესი;

თემა 11: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციული ასპექტები (დაფინანსების წყაროები).

ჯვარედინი თემები:

- ▶ ავტონომიური (დამოუკიდებლად) სწავლება;
- ▶ სიმულაციური მეთოდი;
- ▶ ინტერვიუს ტექნიკა;
- ▶ გამოძიების მეთოდი;
- ▶ პრობლემის იდენტიფიცირება;
- ▶ პრობლემის გადაწყვეტა.

ლექტორის ინსტრუქცია

პროექტის ხანგრძლივობა 3 კვირიდან 5 კვირამდეა. დავალების შესრულება შესაძლებელია ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებში (3-5 ადამიანი).

პროექტის თემა შეირჩევა ლექტორის მიერ, ან სტუდენტებთან ერთობლივი განხილვის შედეგად. შერჩეული პრობლემა უნდა იყოს ავთენტური და ასახავდეს სტუდენტების/მოსახლეობის/თემის რეალურ საჭიროებებს.

აქტივობის დაწყებამდე მნიშვნელოვანია ძირითადი პრობლემის ფორმულირება. მაგალითად: „რა წარმატებას აღწევს სამოქალაქო ორგანიზაციები ქვეყანაში მშვიდობის მხარდასაჭერად?“, „საიდან ფინანსდება სამოქალაქო სექტორი საქართველოში?“, ან „რა როლი აქვს სამოქალაქო სექტორს საქართველოში სიღარიბის დაძლევის საქმეში?“. კითხვა და თემა უნდა იყოს ფართო და მრავლისმომცველი.

პროექტის დაწყებამდე მნიშვნელოვანია სტუდენტებმა წაიკითხონ შესაბამისი მასალა, სადაც ლექტორმა უნდა მიუთითოს, თუ რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება. საკითხავ მასალასთან ერთად, მნიშვნელოვანია სტუდენტები დამატებით გაეცნონ საჭირო ინფორმაციას ელექტრონული და სხვა წყაროებიდან. საჭიროებიდან გამომდინარე, სტუდენტებს ასევე შესაძლებელია დაევალოთ სხვადასხვა სახის ვიდეო ჩინასწარი და შემდგომ საკვლევი ინფორმაციის მოსაძიებლად, შესაბამისი კვლევის ტექნიკის (ეთნოგრაფიული კვლევა, ემპათიური კვლევა, ინტერვიუ და სხვ.) გამოყენებით.

დავალება და ინსტრუქცია სტუდენტებისთვის

დავალება 1: სოციალური მედია კამპანია

დავალების შესრულების ვადა: 5-8 კვირა

დავალება გულისხმობს თქვენ თემში/ქალაქში/საზოგადოებაში არსებული პრობლემის იდენტიფიცირებას, ანალიზს – სიღრმისეულ გააზრებას და პრობლემის გადაჭრის ხელშეწყობის მიზნით, სოციალური მედია კამპანიის დაგეგმვას და წარმართვას.

დავალება შედგება 2 ნაწილისგან:

1. პრობლემის იდენტიფიცირება და კითხვის დასმა (ფორმატი იხ. ქვემოთ)

ამ ეტაპზე წერილობით უნდა მოამზადოთ პრობლემის იდენტიფიცირებისა და გარემოს ანალიზის დოკუმენტი და გადაუგზავნოთ ლექტორს უკუგებისათვის. კომენტარებისა და შენიშვნების შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), უნდა დაიწყოთ კამპანიის დაგეგმვა.

2. სოციალური მედია კამპანია

სოციალური მედია-კამპანია, შესაძლებელია, მოიცავდეს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგი ელემენტებით:

- ▶ სოციალური მედია-გვერდის შექმნა და მართვა;
- ▶ პრობლემის ირგვლივ დეტალური ინფორმაციის შეგროვება პირველწყაროებიდან;
- ▶ მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე „ამბების“ დაწერა და განთავსება სოციალურ მედიაში;
- ▶ ფოტოებისა და ვიდეო მასალების მოგროვება პირველწყაროსთან და განთავსება;
- ▶ (საჭიროების შემთხვევაში) ფონდების მოძიება საკითხის მხარდასაჭერად.

პროექტის განხორციელებისას უნდა მომზადდეს: მინიმუმ 3 ინტერვიუ, მინიმუმ 5 „ისტორია“, მინიმუმ 10 ფოტო/ვიდეო რეპორტაჟი, ფონდების მოძიების მინიმუმ 1 კამპანია, მოხდეს პრობლემის იდენტიფიცირება და კითხვის დასმა.

- ▶ აღწერეთ ის პრობლემა, რომლის გადაჭრასაც ეცდებით თქვენი კამპანიის საშუალებით და დასვით მთავარი კითხვა;
- ▶ აღწერეთ ის საზოგადოება/თემი, სადაც ეს პრობლემა არსებობს: ა) რა გეოგრაფიულ არეალს მოიცავს პრობლემა? ვინ ისარგებლებს თქვენი ძალისხმევის შედეგად? რა ასაკობრივ, ეთნიკურ, გენდერულ თუ სხვ. კატეგორიაზე გექნებათ აქცენტი?
- ▶ რა იცით ამ ჯგუფების შესახებ? შეისწავლეთ ის საზოგადოება/თემი, რომელზეცაა ორიენტირებული თქვენი ძალისხმევა?
- ▶ რას აკეთებს სახელმწიფო პრობლემის მოსაგვარებლად?
- ▶ გამოავლინეთ და აღწერეთ მინიმუმ 3 არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც ცდილობს ზემოაღნიშნული პრობლემის მოგვარებას. უპასუხეთ კითხვებს: რა ორგანიზაციაა, რა ზომის, რა არის ამ ორგანიზაციის დაფარვის არეალი, რა არის ამ ორგანიზაციის ბიუჯეტი, რა პროგრამებს ახორციელებენ, ვინ აფინანსებს და სხვ.

დავალება 2: სამოქალაქო სექტორის წარმატების ისტორია

დავალება სრულდება ინდივიდუალურად და გულისხმობს თემში არსებული რომელიმე სამოქალაქო ორგანიზაციის შესწავლას და მისი საქმიანობის წარმატების ისტორიის ასახვას. დავალების შესრულება შესაძლებელია როგორც წერილობით, ასევე ფოტო ან ვიდეო რეპორტაჟის ფორმით, რომელსაც თან უნდა ახლდეს წერილობითი ფაქტობრივი ინფორმაცია.

დავალების შესასრულებლად აუცილებელია ისეთი მექანიზმების გამოყენება, როგორებიცაა ეთნოგრაფიული ან/და ემპათიური კვლევის ელემენტები, ინტერვიუ, პრობლემის იდენტიფიცირება და სხვ.

სავარაუდო ფორმატი

- ▶ ზოგადი ინფორმაცია;
- ▶ ორგანიზაციის მისია და ხედვა;
- ▶ ვის ემსახურება ორგანიზაცია? რატომ ესაჭიროებათ დახმარება?
- ▶ რას გულისხმობს სამოქალაქო ორგანიზაციის პროგრამა ან მომსახურება?
- ▶ გამონვევის/პრობლემის დეტალური აღწერა (იმ საჭირობოროტო საკითხების აღწერა, რომელთა მოგვარებასაც გულისხმობს ორგანიზაციის საქმიანობა, პროექტი ან მომსახურება);
- ▶ სამოქალაქო ორგანიზაციის მოქმედება
 - ▶ კონკრეტულად, რა მოიმოქმედა სამოქალაქო ორგანიზაციამ და რატომ? როგორ
 - ▶ გადალახა ზემოხსენებული გამონვევა?
 - ▶ როგორ ეხმიანება ჩატარებული საქმიანობა ორგანიზაციის მისიას და ხედვას?
- ▶ პოზიტიური შედეგის აღწერა
სამოქალაქო ორგანიზაციის ზეგავლენის დეტალური აღწერა, რათა მკითხველმა ნათლად დაინახოს და გაიაზროს საქმიანობის მნიშვნელობა, კერძოდ:
 - ▶ როგორ გააუმჯობესა სამოქალაქო ორგანიზაციის საქმიანობამ/მოქმედებამ თემის/ადამიანის მდგომარეობა?
 - ▶ რა დადებითი ზეგავლენა იქონია ამ საქმიანობამ მომავალზე? რა გაკეთდა
 - ▶ განსაკუთრებით კარგად?
- ▶ ძირითადი „გაკვეთილები“/შეჯამება
 - ▶ რა ისწავლა ორგანიზაციამ აღწერილი საქმიანობის შედეგად?
 - ▶ რა იყო მოულოდნელი? რა არის ძირითადი მიღწევა და რა ხედვაა სამომავლოდ კიდევ უკეთესი შედეგებისთვის? რა არის ძირითადი გზავნილი საზოგადოებისთვის?

დავალება 3: სამოქალაქო ორგანიზაციის „დაფუძნება“ და სამოქმედო გეგმის შემუშავება

თქვენ ხართ საქართველოს მოქალაქე (ფიზიკური პირი). ყოველდღიურ ცხოვრებაში (საქმიანობაში) ხედავთ უამრავ პრობლემას თქვენ გარშემო. ეს პრობლემა შესაძლებელია იყოს ეკოლოგია, ან ადამიანის უფლებების დაცვა, და ასევე – თუნდაც ახალგაზრდა პოეტების პოპულარიზაცია, ფერმერთა ხელშეწყობა ან სხვა. იმისთვის, რომ წვლილი შეიტანოთ თქვენთვის მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრის საქმეში, გადაწყვიტეთ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნა.

ამრიგად, თქვენ გაქვთ სამი ძირითადი ამოცანა:

- ▶ შეისწავლოთ საჭირობოროტო საკითხი;
- ▶ „შექმნათ“ სამოქალაქო ორგანიზაცია;
- ▶ შეიმუშაოთ პირველი 1 წლის სტრატეგიული გეგმა.

დარგის ან/და საჭირობოროტო საკითხის იდენტიფიცირებისთვის მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით პირველივე ლექციიდან ფიქრის დაწყება. იფიქროთ იმ დარგზე, რაც გაინტერესებთ, ან სადაც ხედავთ პრობლემებს.

დოკუმენტის ფორმატი

შესავალი

საკითხის წინაპირობა, პრობლემის მოკლე და სიტუაციური ანალიზი – რას წარმოადგენს პრობლემა? რატომაა საჭირო საკითხზე რეაგირება.

არსებული მდგომარეობა/გარემოს ანალიზი

ა) საკითხის ირგვლივ არსებული მონაცემები/ სტატისტიკა, ადამიანის უფლებები, ხელისუფლების ვალდებულებები, კანონმდებლობა, პასუხისმგებლობა, საჯარო პოლიტიკის შედეგები და სხვა.;

ბ) შეისწავლეთ ორგანიზაციის გარემო და ის საზოგადოება/თემი, რომელშიც განლაგდება და მოუწევს მუშაობა ორგანიზაციას (გეოგრაფიული არეალის დემოგრაფიული და ეკონომიკური სტატუსი);

გ) გამოავლინეთ და აღწერეთ მინიმუმ 3 არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც ცდილობს ზემოაღნიშნული პრობლემის მოგვარებას. უპასუხეთ კითხვებს: რა ორგანიზაციაა, რა ზომის, რა არის ამ ორგანიზაციის დაფარვის არეალი, რა არის ამ ორგანიზაციის ბიუჯეტი, რა პროგრამებს ახორციელებს, ვინ აფინანსებს და სხვა.

ორგანიზაციის მოკლე მიმოხილვა:

ა) ორგანიზაციის სახელი და მისია;

ბ) წარმოადგინეთ ორგანიზაციის დაფუძნების გრძელვადიანი მიზნები. განსაზღვრეთ, თუ რას ემსახურება ორგანიზაცია, რა პრობლემების გადაჭრას ცდილობს? პრობლემის აღწერილობიდან გამომდინარე, დაასაბუთეთ, თუ რატომ არის საჭირო მსგავსი ორგანიზაციის შექმნა სწორედ ახლა – კონკრეტული დროის მონაკვეთში?

გ) რა გეოგრაფიულ არეალს მოიცავს თქვენი ორგანიზაცია? ვინ უნდა ისარგებლოს თქვენი მომსახურებით? კაცებმა, ქალებმა, ბავშვებმა თუ სხვამ? რა ასაკობრივ კატეგორიაზე გექნებათ აქცენტი? რა იცით ამ ჯგუფების შესახებ?

დ) შეადარეთ სხვა ორგანიზაციებს (ზემოთ აღწერილს); შეაფასეთ, თუ რა ზეგავლენა შეიძლება იქონიოს ზემოაღნიშნული ორგანიზაციების საქმიანობამ თქვენ ორგანიზაციაზე.

ე) ორგანიზაციის შიდა სისტემა:

1. ორგანიზაციის სავარაუდო სტრუქტურა, თანამშრომლების სავარაუდო რაოდენობა და ფუნქციები;
2. ორგანიზაციის ქონება;
3. ორგანიზაციის რესურსები;
4. ორგანიზაციის სავარაუდო პარტნიორები.

ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები (სამოქმედო გეგმა)

ჩამოაყალიბეთ **მოკლევადიანი** სტრატეგიული ამოცანები, რომლის მოგვარებაზეც იქნება ფოკუსირებული თქვენი ორგანიზაცია საქმიანობის **1 წლის განმავლობაში**. გაითვალისწინეთ კონკრეტული მიზნობრივი ჯგუფი. პირველმა წელმა უნდა გადაგადგმევინოთ ნაბიჯები თქვენი მიზნებისკენ.

ა) ჩამოაყალიბეთ **ინსტიტუციური ამოცანები**. როგორი იქნება ორგანიზაციის შიდა მონყოლა საქმიანობის 1 წლის დასრულებისას. რამდენი თანამშრომელი გეყოლებათ და ვინ იქნებიან მმართველი საბჭოს წევრები, როგორ აპირებთ მათ მოზიდვას, რა როლს დააკისრებთ მოხალისეებს?

ბ) ჩამოაყალიბეთ **მოკლევადიანი პროგრამული მიზნები და ამოცანები**: რა პროგრამების და/ან პროექტების გახორციელებას აპირებთ 1 წლის განმავლობაში. მიუდექით რეალისტურად;

გ) ჩამოაყალიბეთ მხარდაჭერების მოზიდვის/საზოგადოებასთან ურთიერთობის მიზნები და ამოცანები. აღწერეთ, თუ როგორი იქნება თქვენი მარკეტინგისა და კომუნიკაციის მიზნები და ამოცანები, ასევე სამოქმედო გეგმა: როგორ მოიზიდავთ მხარდამჭერებს, მარკეტინგის რა მეთოდებს გამოიყენებთ და რა ხერხებს მიმართავთ.

დ) ჩამოაყალიბეთ **მოკლევადიანი ფინანსური მიზნები და ამოცანები**: რა ფინანსური შესაძლებლობები შეიძლება იქნას გამოყენებული? რა ფინანსური პოტენციალია სავარაუდო?

2.6. პრობლემის იდენტიფიცირება

თეორიული მიმოხილვა

ამბობენ, რომ ალბერტ აინშტაინმა თქვა: „თუ მომცემთ ერთ საათს პლანეტის გადასარჩენად – 59 წუთს დავხარჯავ პრობლემის იდენტიფიცირებაზე და ერთ წუთს ამ პრობლემის გადაჭრაზე“. ცხადია, რომ პრობლემის სწორად იდენტიფიცირება არა მხოლოდ პრობლემის გადაჭრის პირველი ნაბიჯია, არამედ ხშირად მასზეა დამოკიდებული პრობლემის გადაჭრის წარმატება.

პრობლემა განისაზღვრება, როგორც „მიუღებელი შეუსაბამობა სასურველსა და არსებულს შორის“ (Christ & Arañas, ციტ. Kember 2018). შესაბამისად, პრობლემის ანალიზი მიზნად ისახავს ამ შეუსაბამობის საზღვრების განსაზღვრას. პრობლემის იდენტიფიცირების პროცესი გათვითცნობიერებულად ან, ხშირად, გაუთვითცნობიერებლად ხდება: ქუჩაში, სახლში ან უნივერსიტეტში რაიმე პრობლემის დანახვით, ან სანაცნობო წრეში რაიმე საჭირობოროტო საკითხის აღნიშვნით. ამ ეტაპზე, პრობლემის მასშტაბზე, ან რატომ არსებობს ეს პრობლემა – ცოტა რამეა ცნობილი. შესაბამისად, პრობლემის იდენტიფიცირების პროცესი იძიებს სავარაუდო პრობლემას.

პრობლემის იდენტიფიცირების ტექნიკა იყენებს ისეთ მეთოდებს, როგორებიცაა მიმოხილვა, ინტერვიუ, დაკვირვება და გამოცდა ინფორმაციის მოსაძიებლად, რათა პრობლემა შესაბამისობაში მოვიდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ სტანდარტიზებულ ჩარევებთან ან/და გამოსავლებთან (Kember 2018). თუკი პრობლემის ანალიზის პირველი ნაბიჯი, პრობლემის იდენტიფიცირება – კარგადაა გააზრებული და დაწერილი, იგი პრობლემის გადაჭრის წინაპირობაა.

პრობლემის იდენტიფიცირება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ▶ აღიარება, რომ შეუსაბამობა არსებობს (ე.ი. დადგენა, რომ პრობლემა არსებობს);
- ▶ პრობლემის ძირეული მიზეზების გამოვლენა, რაც მოიცავს სხვადასხვა წყაროდან პრობლემის შესახებ ინფორმაციის მოგროვებას (არსებული კვლევები, ანგარიშები და სხვ. დოკუმენტები, დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული ინფორმაცია, მოკვლევა და სხვ.);
- ▶ პრობლემის იდენტიფიცირების განცხადების შემუშავება, რაც გულისხმობს პრობლემის მიზეზების აღწერას, მის შედეგებსა და ზეგავლენას.

პრობლემის განაცხადი წარმოადგენს პრობლემის მოკლე აღწერას სპეციფიკურ კონტექსტში. პრობლემის განაცხადის შემუშავება გვეხმარება თავი ავარიდოთ გაუგებრობასა და განსხვავებულ ინტერპრეტაციებს, პრობლემის გადაჭრის გზების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში (Veneklasen & Miller 2007, p. 127).

პრობლემის ეფექტური იდენტიფიცირება უნდა იყოს გარკვეული (არა ბუნდოვანი), ობიექტური (არ იძლეოდეს დასკვნების გაკეთების საშუალებას) და სპეციფიკური (უცხო მსმენელისთვის). ჰოუელის, ჰოსპის და კურნისის (Howell, Hosp, & Kurns, ციტ. Kember 2018) მიხედვით, პრობლემის განაცხადი ეფექტურია, თუკი უცხო ადამიანი, რომელსაც გავუზიარებთ პრობლემის განაცხადს, გაიზიარებს პრობლემას და შეძლებს იმავე პრობლემის აღმოჩენას გარემოში.

მაგალითად, შესაძლებელია გვეგონოს, რომ ფრაზები „მონაწილეობის ნაკლებობა“, „სოციალური პოლიტიკა“, „კორუფცია“, „ქუჩის ბავშვები“, „დემოკრატიზაციის პროცესი“, ან „სასამართლო რეფორმა“ ადეკვატურად ხსნის პრობლემას. მიუხედავად ამისა, ეს პირობითი ტერმინები არ გვაძლევს საკმარის ინფორმაციას დაინტერესებული მხარეების მიერ პრობლემის თანაბრად აღსაქმელად. მაგალითად, ქუჩის ბავშვებთან დაკავშირებული პრობლემა ზოგიერთების მიერ შესაძლებელია გაგებულ იქნას, როგორც განათლების ხელმიუწვდომლობა, სხვებისთვის კი – როგორც ქუჩებში კრიმინალის ზრდის პრობლემა. ორივე შეხედულება კავშირშია ქუჩის ბავშვებთან, თუმცა ორივე პრობლემის გადაჭრას ესაჭიროება განსხვავებული სტრატეგია და მიდგომა. ამასთან, ხშირად ეს პირობითი ტერმინები აღწერს პრობლემის გადაწყვეტას და არა თავად პრობლემას (მაგ. სასამართლო რეფორმა, ან დემოკრატიზაციის პროცესი, სოციალური პოლიტიკა და სხვ.).

ქვემოთ მოყვანილია პრობლემის განაცხადის მაგალითები სხვადასხვა ქვეყნიდან, რომლებიც კარგად ასახავს არსებულ პრობლემას და შეიცავს მათი გადაწყვეტის გზებს (ადაპტირებულია წყაროდან VeneKlasen & Miller 2007, A New Weave of Power, People & Politics: The Action Guide for Advocacy and Citizen Participation, Planning Moment 3: Identifying and Defining Problems):

პრობლემის განაცხადის მაგალითები	
პირობითი ტერმინი	პრობლემის განაცხადი
გოგონების არაადეკვატური განათლება (განა)	ქვეყანაში დაწყებითი სკოლების დამამთავრებელი კლასებიდან გოგონების გადინება ხდება. ბევრ მშობელს სჯერა, რომ გოგონების განათლებაში ინვესტიცია რესურსების ფუჭად ხარჯვაა, რადგან ისინი გათხოვდებიან. ამასთან, მასწავლებლები და სასკოლო მასალები ხაზს არ უსვამენ გოგონების განათლების მნიშვნელობას, ხოლო ზოგიერთი მშობელი იძულებულია, გადარჩენის მიზნით, ამუშაოს ბავშვი.
არასრულფასოვანი ჯანდაცვა (ზიმბაბვე)	პირველადი ჯანდაცვა ზედმეტად ძვირია დაბალშემოსავლიანი და ღარიბი ადამიანებისთვის და ხელმიუწვდომელია სოფლად მცხოვრები მოსახლეობის უმეტესობისთვის. წამლები ხელმიუწვდომელია და ძვირი. საავადმყოფოებში და კლინიკებში კადრების და განსაკუთრებით, კვალიფიცირებული კადრების ნაკლებობაა. ხალხი გაუნათლებელია ჯანმრთელობის დაცვის კუთხით და არ აქვს უნარი მოითხოვოს უკეთესი მკურნალობა ან განმარტოს, რა ანუხებთ. ეს პრობლემა განსაკუთრებით ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ქალებზე და ბავშვებზე, რომლებსაც აქვთ ჯანმრთელობის სპეციფიკური საჭიროებები, და რომლებმაც უნდა მოუარონ ოჯახის სხვა წევრებს ავადმყოფობისას.
შრომითი უფლებების დარღვევა (ინდოეთი)	მუშები ცუდად განათებულ ქარხანაში შრომობენ დღეში 12 საათი. მათი ხელფასი 50 ცენტზე ნაკლებია საათში. ხშირად, მუშებს ხანგრძლივი დროით უგვიანებენ ხელფასებს, მაგრამ მათ სამუშაოს დაკარგვის შიშით, არ აქვთ შესაძლებლობა, მოითხოვონ ანაზღაურება.

პრაქტიკული ნაწილი

მეთოდის გამოყენება შესაძლებელია საუნივერსიტეტო კურსის შემდეგი სასწავლო თემების განხილვისას

- თემა 4:** სამოქალაქო საზოგადოების ზეგავლენა და წვლილი;
- თემა 6:** სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში;
- თემა 7:** სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო;
- თემა 8:** სამოქალაქო საზოგადოება და ბიზნესი;
- თემა 11:** სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციული ასპექტები (დაფინანსების წყაროები).

ჯვარედინი თემები:

- ▶ გამოძიების მეთოდი;
- ▶ პროექტის მეთოდი;
- ▶ სიმულაციის მეთოდი.

ლექტორის ინსტრუქცია

სავარჯიშოს დრო: 2 საათი

კლასში სავარჯიშოს დაწყებამდე, სტუდენტებს უნდა დაევალოთ რაიმე საჭირობო საკითხის იდენტიფიცირება და მის გარშემო კლასგარეშე ინფორმაციის შეგროვება.

წარმოდგენილი სავარჯიშო მიზნად ისახავს დაეხმაროს მათ, ვინც უკვე შეარჩია პრობლემა/თემა – უკეთ აღწერონ, თუ როგორ განიცდიან პრობლემას რეალური ადამიანები. სავარჯიშო ასევე სასარგებლოა პირობითი ტერმინის მეტად ეფექტურად აღწერისთვის (ადაპტირებულია წყაჩოდან *VeneKlasen L.V., & Miller V., 2007, A New Weave of Power, People & Politics: The Action Guide for Advocacy and Citizen Participation, Planning Moment #3: Identifying and Defining Problems*).


დავალების შესასრულებლად, სტუდენტები უნდა დაიყონ მცირე ჯგუფებად (3-4 წევრი), შეარჩიონ პრობლემა და მათი ქვეყნის/თემის/ქალაქის 2 წარმომადგენლის პერსპექტივიდან (ვისაც უშუალოდ ეხება შერჩეული პრობლემა) – იდენტიფიცირება გაუკეთონ პრობლემის კონკრეტულ მახასიათებლებს. სტუდენტებმა ანალიზი უნდა წარადგინონ ქალაქში ნახატის ფორმით (იხ. ნახატი 1), რასაც თან უნდა ახლდეს პრობლემის განაცხადი (პრობლემის გადაჭრის ელემენტების ჩათვლით).

ნახატი 1: ნახატის/პრობლემის მაგალითი 2 წარმომადგენლის პერსპექტივიდან:

საიდუხტაციო პირობება – პირობითი გეხმინი: სუსტი ჯანდაცვა

გმირი 1: 22 წლის ასაკის ქალი, დაბადებულია ქვეყნის დედაქალაქიდან მოშორებულ, ერთერთ რეგიონში. დაასრულა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 4 კლასი. პირველი შვილი გააჩინა 14 წლის ასაკში. ახლა ჰყავს 4 შვილი და მუშაობს ფერმაში.

გმირი 2: 37 წლის, ქალაქში დაბადებული ქალი. მას აქვს საუნივერსიტეტო (არასრული) განათლება და პირველი შვილი გააჩინა 25 წლის ასაკში. ახლა ჰყავს 2 შვილი, გაყრილია და მუშაობს ოფისში.



დავალბა და ინსტრუქცია სტუდენტებისთვის

პრობლემის იდენტიფიცირება: პრობლემის ანატომია

ცხადია, რომ ფართო და კომპლექსური პრობლემები მოიცავს მრავალ განსხვავებულ განზომილებას და ასევე, პრობლემების ბუნება იცვლება კონტექსტისა და ადამიანის შესაბამისად. სტუდენტების მცირე ჯგუფები (3-4 წევრი თითო ჯგუფში) იდენტიფიცირებას გაუკეთებენ პრობლემის კონკრეტულ მახასიათებლებს, მათი ქვეყნის/თემის/ქალაქის 2 წარმომადგენლის პერსპექტივიდან, ვისაც უშუალოდ ეხება (შერჩეული) პრობლემა. ანალიზის წარდგენა უნდა მოხდეს ქალაქად, ნახატის სახით. ნახატის მომზადების შემდეგ, ჯგუფებში შეიმუშავეთ პრობლემის განაცხადი, რომელიც (შეძლებისდაგვარად) უნდა მოიცავდეს პრობლემის გადაჭრის ელემენტებს.

დავალბების შესრულების გეგმა:

1. დაიყავით ჯგუფებად;
2. შეარჩიეთ პრობლემა;
3. შეარჩიეთ ორი ადამიანი თქვენი თემიდან/სოფლიდან/ქვეყნიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს პრობლემა. აღწერეთ ისინი დეტალებში (ასაკი, წარმომავლობა, სქესი, ოჯახური მდგომარეობა, დასაქმება, პროფესია, შემოსავლის წყარო, სოციალური კლასი და ადგილმდებარეობა);
4. დახატეთ ვერტიკალური ხაზი ქალაქად. ორივე მხარეს დახატეთ ფიგურები, რომლებიც წარმოადგენს ორივე ადამიანს. ქვემოთ თითოეულს მიწერეთ ადამიანის მახასიათებლები.
5. გამოავლინეთ თითოეული გმირის სპეციფიკური პრობლემა ან მახასიათებელი, რაც დაკავშირებულია თქვენ მიერ შერჩეულ ფართო პრობლემასთან. რას იტყოდა ეს ადამიანი კონკრეტულ, სპეციფიკურ გასაჭირთან დაკავშირებით? როგორ გრძნობს გმირი პრობლემას? მაგალითად, ადამიანი არ იტყვის „უვარგისი სოციალური სისტემა“, მაგრამ შესაძლებელია თქვას - „ჩემი პენსია არ მყოფნის წამლებზე“. ჩამოწერეთ ეს პრობლემები თითოეული გმირის ირგვლივ (შემთხვევითი თანმიმდევრობით);
6. მე-5 ნაბიჯის დასრულების შემდეგ, გამოავლინეთ და გაიაზრეთ სხვა პრობლემები, რაც, შესაძლებელია გმირებმა არ ახსენონ და ჩანიშნეთ განსხვავებული ფერით (ან ცალკე ფურცელზე). ეს შესაძლებელია იყოს სამართლებრივი ინფორმაციის ნაკლებობა, სასამართლოს ხელმისაწვდომობის ნაკლებობა, ინფორმაციის ნაკლებობა, დაბალი ცნობიერება და სხვ.;
7. შეადარეთ ორი გმირი. რა საკითხი იქნება პრიორიტეტული ორივე გმირისთვის? არის თუ არა რაიმე საერთო ამ ორი განსხვავებული ადამიანის პრობლემებში? რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება მათ გამოცდილებაში? რატომ არის ეს განსხვავება? რა შეიძლება გაკეთდეს, რათა ხელი შეეწყოს საერთო პრობლემის მოგვარებას?
8. გამოვლენილ პრობლემებზე დაყრდნობით, დაწერეთ პრობლემის განაცხადი, სადაც აისახება როგორც კონკრეტული პრობლემები, ასევე პრობლემების გადაჭრის პოტენციური გზები;
9. გადაამოწმეთ რამდენად კარგადაა დაწერილი პრობლემის განაცხადი:
 - ▶ თქვენ შეაგროვეთ ინფორმაცია პრობლემის შესახებ (ლიტერატურიდან, დაინტერესებული მხარეებისგან, საჭიროების შემთხვევაში – თემის წარმომადგენლებისგან);
 - ▶ შეგროვილი მონაცემები ასახავს პრობლემის ძირეულ მიზეზებს;
 - ▶ პრობლემის განაცხადი მოიცავს:
 - მას, ვისზეც ახდენს პრობლემა ზეგავლენას;
 - რამდენად მასშტაბურია პრობლემა;
 - რა ქმნის პრობლემას;
 - როდის და რა შემთხვევაში ჩნდება პრობლემა უფრო ხშირად.
 - ▶ პრობლემა ფორმულირებულია ისე, რომ ხელს უწყობს შესაძლო გადაწყვეტილებების მოაზრებას
10. წარადგინეთ თქვენი ნახატები და პრობლემის განაცხადები.

2.7. პრობლემის გადაწყვეტის მოდელი

თეორიული მიმოხილვა

პრობლემა სიტუაცია ან კონფლიქტი, სადაც ადამიანი, რაიმე ამოცანის გადაწყვეტისას უკმაყოფილებას გრძნობს. ამ შემთხვევაში, პრობლემის გადაწყვეტა გულისხმობს წინააღმდეგობის გადალახვის საუკეთესო გზის პოვნას (Morgan, ციტ. Güleç 2019, p. 50). პრობლემის გადაწყვეტა არის მიზნების მიღწევის გზაზე სირთულეების დაძლევის პროცესი და ამ პროცესში უნდა გაგვიღრმავდეს ცოდნა, განგვივითარდეს შემოქმედებითი აზროვნება და ვისწავლოთ გადაწყვეტილების მიღების მეთოდები (Yalçın, Tetik & Açıkgöz, ციტ. Güleç 2019, p.51). ითვლება, რომ პრობლემის გადაწყვეტის უნარები მნიშვნელოვნად განაპირობებს ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებას – ადამიანი ხდება პიროვნება და ადაპტირდება გარემოში. პიროვნება ვალდებულია საკუთარი ძალებითა და პრობლემის გადაწყვეტის უნარებით გაუმკლავდეს გარემოსა და პრობლემებს, ისე, რომ ყოველდღიურმა ყოფითმა პრობლემებმა ტყვეობაში არ ამყოფონ. შესაბამისად, პრობლემა შეიძლება განისაზღვროს, როგორც სიტუაცია, რომელიც აწუხებს ადამიანს, ხოლო პრობლემის გადაწყვეტა პროცესია, რომელიც გულისხმობს ძალისხმევას არსებული სირთულეების გადალახვისას კონკრეტული მიზნით (Bingham, ციტ. Güleç 2019, p.49).

დღევანდელ დღეს, საგანმანათლებლო ინსტიტუციების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია ახალგაზრდებმა აითვისონ პრობლემის გადაწყვეტის უნარები, რათა მზად იყვნენ ცხოვრებისთვის და ეს უნარები გამოიყენონ პირად და სოციალურ ცხოვრებაში (Erden, ციტ. Güleç 2019, p. 51). საგანმანათლებლო პროგრამების შესწავლისას და შეფასებისას, მკვლევრები ამტკიცებენ, რომ სხვა უნარებს შორის მაგ. კომუნიკაციის უნარები, მეცნიერული აზროვნება, ლოგიკა და დასაბუთების უნარი და სხვ.) პრობლემის გადაწყვეტის უნარებს პირდაპირი კავშირი აქვთ ახალგაზრდების წარმატებასთან (Güleç 2019, p. 52).

პრობლემის გადაწყვეტა სასწავლო პროცესია, სადაც რეალური სიტუაცია გამოყენებულია, რათა სტუდენტებმა უკეთ შეისწავლონ კონტექსტი. პრობლემის გადაწყვეტის სწავლება თავდაპირველად, 1969 წელს გამოიყენეს კანადის სამედიცინო სკოლაში, ხოლო შემდგომ ექსპერტებმა შეიმუშავეს პრობლემის გადაწყვეტის მეთოდები სხვადასხვა აკადემიური დისციპლინისთვის, მათ შორის, სოციალური მეცნიერებებისთვისაც. მთლიანობაში, პრობლემის გადაწყვეტის სწავლება მიზნად ისახავს კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაწყვეტისა და ინტელექტუალური უნარების განვითარებას და ასევე, ცხოვრებისეული გამოცდილების მიღებას.

სოციალურ მეცნიერებებში პრობლემის გადაწყვეტის მოდელს ხშირად აიგივებენ „აღმოჩენის“ ან „გამოძიების“ მოდელებთან, რადგან მეცნიერული მეთოდის ეს ვერსია შინაარსის შესწავლაზეა ფოკუსირებული (Edgington 2001). ამ კუთხით, პრობლემის გადაწყვეტის სტრატეგია მოიცავს სამ ძირითად ეტაპს: „რა“, „რატომ“ და „როგორ“, კერძოდ:

1. „რა“ ეტაპი: მოიცავს პრობლემის შერჩევას და იდენტიფიცირებას და ფორმულირებას:⁵

- ▶ პრობლემის განსაზღვრა (პრობლემის განაცხადი ან/და პრობლემის კითხვა).

2. „რატომ“ ეტაპი: განსაზღვრავს პრობლემის ირგვლივ ინფორმაციის შეგროვებას და ვარაუდების გაკეთებას:

- ▶ ჰიპოთეზის/ვარაუდის ფორმულირება (პრობლემის მიზეზის/ების ვარაუდი);
- ▶ მონაცემების შეგროვება (ლექტორის ინსტრუქციები, მიწოდებული ინფორმაცია, სახელმძღვანელო, სტუდენტის მიერ შეგროვებული და სხვ.);
- ▶ მონაცემების შეფასება და ანალიზი (შეგროვებული ინფორმაციის გააზრება);
- ▶ მონაცემების გამოყენება ჰიპოთეზის/ვარაუდის გასამართლებლად ან დასადასტურებლად (სტუდენტი აყალიბებს, რამდენად ზუსტი იყო მისი პირველადი ახსნა-ვარაუდი).

3. „როგორ“ ეტაპი: მოიცავს გადაწყვეტის გზების ძიებას:

- ▶ პრობლემის ფორმულირებაზე დაყრდნობით, სავარაუდო გამოსავლების გააზრება რამდენიმე ალტერნატივის გათვალისწინებით. რამდენიმე ალტერნატივის არსებობა მნიშვნელოვნად

⁵ იხ. ასევე თავი „პრობლემის იდენტიფიცირება“


უნყოფს ხელს პრობლემის საუკეთესო გადაწყვეტის შერჩევას;

- ▶ შერჩეული ალტერნატივების შეფასება და საუკეთესო ამორჩევა (მაგ. „გადაწყვეტილების ხის“ საშუალებით). საუკეთესო ალტერნატივის შესარჩევად მნიშვნელოვანია რამდენიმე გარემოების გათვალისწინება:
 - შერჩეულმა ალტერნატივამ უნდა გადაჭრას პრობლემა ისე, რომ არ გამოიწვიოს სხვა გათვალისწინებული პრობლემა;
 - ალტერნატივა უნდა იყოს მისაღები ყველა დაინტერესებული მხრისათვის;
 - ალტერნატივის განხორციელება უნდა იყოს შესაძლებელი.
- ▶ შერჩეული ალტერნატივის სამოქმედო გეგმის შემუშავება. ეს ეტაპი არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ზემოხსენებული ეტაპები, რადგან ამ დროს დგინდება ის ამოცანები, რომლებიც აუცილებელია მიზნის მისაღწევად.

მინაწერი

გადაწყვეტილების ხე

(ადაპტირებულია წყაროდან: lucidchart.com, 2021)



გადაწყვეტილების ხე წარმოადგენს არსებული ალტერნატივების შესაძლო შედეგების რუკას/ვიზუალურ გამოხატულებას, რომელსაც აქვს ხის ფორმა. ხე იძლევა საშუალებას, აწონოს შესაძლებელი მოქმედება, ღირებულების, სარგებლისა და ალბათობის გათვალისწინებით. ხის გამოიყენება შესაძლებელია როგორც არაფორმალური დისკუსიისას, ასევე მათემატიკური ალგორითმების საშუალებით საუკეთესო არჩევანის შერჩევას. გადაწყვეტილების ხე, ჩვეულებრივ, იწყება ერთი საკვანძო ელემენტით, რომელიც იშლება შესაძლო შედეგების აღნიშვნის კვალდაკვალ. ყოველი შედეგი აღინიშნება დამატებითი ელემენტით, რომელიც, თავის მხრივ, ასევე იშლება შესაბამისი მიმართულებებით.

ელემენტები, ჩვეულებრივ, სამი ტიპისაა: „შანსის ელემენტი“, „გადაწყვეტილების ელემენტი“ და „საბოლოო ელემენტი“:

- ▶ წრე ასახავს კონკრეტული შედეგის ალბათობას (შანსს);
- ▶ ოთხკუთხედი ასახავს მისაღებ გადაწყვეტილებას;
- ▶ სამკუთხედი ასახავს გადაწყვეტილების საბოლოო შედეგს.

მინაწერი

გადანყვეტილების მატრიცა

გადანყვეტილების მატრიცა წარმოადგენს ხაზებისა და სვეტების ერთობლიობას, რომელიც გვეხმარება ინფორმაციის ანალიზისა და შეფასებისთვის თითოეული ფაქტორის მნიშვნელობის გათვალისწინებით. გადანყვეტილების მატრიცა აფასებს და პრიორიტეტებად ალაგებს სავარაუდო გადანყვეტილებების ვარიანტებს/ალტერნატივებს. თავდაპირველად ხდება შეფასების (ანონილი) კრიტერიუმების დადგენა და შემდგომ ყოველი ალტერნატივის შეფასება ანონილი კრიტერიუმის შესაბამისად.

გადანყვეტილების მატრიცის ასაგებად აუცილებელია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

1. სიტუაციის შესაბამისი შეფასების კრიტერიუმების შემუშავება;
2. თითოეული კრიტერიუმისთვის შესაბამისი წონის მინიჭება, გამომდინარე იქიდან, რამდენად მნიშვნელოვანია კრიტერიუმი მოცემული სიტუაციისთვის (მაგ. 5 ან 10 ქულის განაწილება კრიტერიუმებს შორის);
3. ცხრილში კრიტერიუმებისა და მათი შესაბამისი წონის ჩანერა, ცხრილის ერთ (მაგ. ჰორიზონტალურ) ზღვარზე და ალტერნატივების – ცხრილის მეორე (მაგ. ვერტიკალურ) ზღვარზე;
4. თითოეული ალტერნატივის/არჩევანის შეფასება, კრიტერიუმების გათვალისწინებით. აქ ყველა კრიტერიუმისთვის უნდა დადგინდეს შესაბამისი სკალა.

მაგალითი

მეწყრით დაზარალებული ადამიანების ბედი

გადანყვეტილების მატრიცა გამოყენებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეწყრით დაზარალებული 5 ოჯახის დასახმარებლად, ალტერნატივების შესაფასებლად და გადანყვეტილების მისაღებად. პრობლემათა ჩამონათვალში მოხვდა: ა) დანგრეული სახლები, ბ) ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრად გაუარესება, გ) ფსიქოლოგიური პრობლემები.

მეწყრით დაზარალებული ოჯახების დახმარების ალტერნატივად განიხილება: ა) საქართველოს სხვა რეგიონში გადასახლება, ბ) ფინანსური დახმარება, გ) მეწყრით დაზარალებული ნიადაგის გამაგრება-აღდგენა.

1. მიუსადაგეთ ყველა ალტერნატივას ღირებულება 1-დან 5-მდე, სადაც 0 ნიშნავს ყველაზე ნაკლებად სასურველს და 5 - საუკეთესოს.

კრიტერიუმები

ალტერნატივები	ეკონომიკური მდგრადობის გაუმჯობესება	უსაფრთხოება	საკუთარი გარემოს შენარჩუნება	პროექტის ღირებულება	ოჯახების ფსიქოლოგიური მდგომარეობა	სულ
წონა	3	5	1	5	3	
სხვა უსაფრთხო ადგილას/რეგიონში გადასახლება	$1 \times 3 = 3$	$5 \times 5 = 25$	$0 \times 1 = 0$	$3 \times 5 = 15$	$3 \times 3 = 9$	52
იგივე ადგილას სახლების აშენება	$1 \times 3 = 3$	$1 \times 5 = 5$	$5 \times 1 = 5$	$3 \times 5 = 15$	$3 \times 3 = 9$	37
მინის გამაგრება	$1 \times 3 = 3$	$5 \times 5 = 25$	$5 \times 1 = 5$	$0 \times 5 = 0$	$3 \times 5 = 15$	48
ფინანსური დახმარება	$4 \times 3 = 12$	$0 \times 5 = 0$	$3 \times 5 = 15$	$2 \times 5 = 10$	$3 \times 3 = 9$	46

2. მიუსადაგეთ წონა სათითაოდ ყველა კრიტერიუმს 1-დან 5-მდე;

3. გადაამრავლეთ წონა მინიჭებულ ქულაზე, აწონილი ქულის მისაღებად (რაც ასახავს თითოეული ფაქტორის/ალტერნატივის მნიშვნელობას);

4. დააჯამეთ შენონილი ქულები.

ყველაზე ბევრი ქულის დამგროვებელი ალტერნატივა (ჩვეულებრივ) – თქვენი არჩევანია.

ცხადია, რომ პრობლემის გადაწყვეტის მეთოდი წარმოადგენს პრობლემების გადაწყვეტის გზას სარწმუნო მონაცემებსა და ინფორმაციაზე დაყრდნობით. ამასთან, პრობლემის გადაწყვეტა მენტალური და ინტელექტუალური პროცესია პრობლემის იდენტიფიცირების თვალსაზრისით. სოციალური მეცნიერებების სწავლებისას, პრობლემის გადაწყვეტის მეთოდებმა უნდა განსაზღვროს, დაამუშაოს და გამოიყენოს მონაცემები დასკვნების გასაკეთებლად და გადაწყვეტილებების მისაღებად (Dogru, ციტ. Nasriah 2017).

პრობლემის გადაწყვეტის მეთოდის გამოყენების რჩევები (Maheshwari 2017):

- ▶ სტუდენტებს გააცანით პრობლემის გადაჭრის რაც შეიძლება მეტი სტრატეგია (როგორცაა, მაგ. „გადაწყვეტილების ხე“, „გადაწყვეტილების მიღების მატრიცა“ და სხვ.);
- ▶ დასვით კითხვები და მიეცით რეკომენდაციები. სთხოვეთ სტუდენტებს იწინასწარმეტყველონ – „რა მოხდებოდა, რომ“ ან ახსენით, რატომ მოხდა ასე. ეს დაეხმარება სტუდენტებს, განავითარონ აზროვნების ანალიტიკური და დედუქციური უნარები;
- ▶ გამოიყენეთ ჯგუფური დავალებები. ჯგუფური დავალებებისას, სტუდენტები ეხმარებიან ერთმანეთს, ისმენენ განსხვავებულ აზრებს, რაც ეხმარება მათ პრობლემის გადასაჭრელად მეტი ალტერნატივის გააზრებაში;
- ▶ დაეხმარეთ სტუდენტებს გაიგონ პრობლემის არსი. იმისათვის, რომ გადაჭრან პრობლემა, სტუდენტებმა უნდა განსაზღვრონ საბოლოო მიზანი. თუკი, თქვენი დახმარებით, სტუდენტები უპასუხებენ კითხვებს „რა?“ და „რატომ?“- მათ გაუადვილდებათ პასუხების მოძებნა კითხვაზე – „როგორ?“;
- ▶ პრობლემის გადაწყვეტის პროცესში ნუ უკარნახებთ სტუდენტებს მზა პასუხებს, არამედ ეცადეთ პროცესის მოდელირებას;

- ▶ დაუთმეთ პრობლემის გადაწყვეტის სავარჯიშოებს საკმარისი დრო, რადგან სრული პროცესს, შესაძლებელია, არაერთი სასწავლო სემინარი დასჭირდეს;
- ▶ სასწავლო პროცესი დააფუძნეთ კონკრეტულ კონტექსტზე. მნიშვნელოვანია პრობლემის გადაწყვეტის უნარების გამომუშავება გამოყენებით კონტექსტში, რაც გულისხმობს პრობლემის არა აბსტრაქტულად, არამედ ცხოვრებისეულ მაგალითებზე დაყრდნობით გადაწყვეტას.

პრაქტიკული ნაწილი

მეთოდის გამოყენება შესაძლებელია საუნივერსიტეტო კურსის შემდეგი სასწავლო თემების განხილვისას:

თემა 11: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციული ასპექტები (დაფინანსების წყაროები)

ჯვარედინი თემები:

- ▶ გამოძიებაზე დაფუძნებული სწავლება;
- ▶ პროექტის მეთოდი;
- ▶ სიმულაციური მეთოდი;
- ▶ პრობლემის იდენტიფიცირება.

რეკომენდებული სასწავლო მაგალითები

- ▶ ცოდნის კაფე;
- ▶ სამოქალაქო აქტივიზმი უნგრეთში;
- ▶ პირველი ნაბიჯი საქართველო;
- ▶ იკორთა;
- ▶ მხარი დაუჭირეთ Standing Rock-ს.

ლექტორის ინსტრუქცია

როგორც ვიცით, პრობლემის გადაწყვეტის მეთოდი აერთიანებს თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ აქტივობებს. პროცესი რთავს მონაწილეებს კომპლექსური და პრობლემური საკითხების გააზრებაში და ხელს უწყობს შესაბამისი გადაწყვეტილებების მოძიებაში. პროცესის მოტივაცია იზრდება, თუკი პრობლემის სცენარი ეყრდნობა რეალური ცხოვრების მაგალითებს. ამგვარი დავალების შესრულება უკეთესია ვიზუალური ხერხების გამოყენებით (ნახატები, გრაფიკები, სიმბოლოები). დავალების შესრულება შესაძლებელია ინდივიდუალურად (წერილობით), ან ჯგუფურად (პრეზენტაციის სახით).

პროცედურულად, პრობლემის გადაწყვეტის სავარჯიშო სამ ფაზად იყოფა: (ა) აქტივობამდე ფაზა/დაგეგმვის ფაზა, (ბ) აქტივობის ფაზა და (გ) პოსტაქტივობის ფაზა/შეფასების ფაზა, კერძოდ:

ა. დაგეგმვის ფაზა:

- ▶ შერჩეული პრობლემის/განაცხადის საფუძველზე, მიეცით სტუდენტებს შესაძლებლობა პრობლემის განაცხადში მოყვანილი ინფორმაციის ინტერპრეტირება მოახდინონ;
- ▶ ჩამოაწერინეთ, რა არის ცნობილი პრობლემის შესახებ და დაეხმარეთ, განსაზღვრონ ის საკითხები/ინფორმაცია, რაც აუცილებელია იცოდნენ საკითხის გადასაჭრელად (რა ვიცით და რა უნდა ვიცოდეთ);
- ▶ შეარჩიეთ და შეთანხმდით გამოსაყენებელ სიმბოლოებზე.

ბ. განხორციელების/აქტივობის ფაზა

- ▶ არსებული ინფორმაციისა და ფაქტების საფუძველზე, მიეცით საშუალება სტუდენტებს შეარჩიონ ალტერნატივები. მნიშვნელოვანია, სტუდენტებმა შეიმუშაონ რამდენიმე ალტერნატივა პრობლემის გადასაჭრელად (მოგვიანებით) საუკეთესოს შესარჩევად;
- ▶ დაეხმარეთ სტუდენტებს შეარჩიონ ალტერნატივების შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც თავი გაიზომება ალტერნატივები;
- ▶ საშუალება მიეცით სტუდენტებს, შეარჩიონ ერთი საუკეთესო ალტერნატივა;
- ▶ ხელი შეუწყეთ სტუდენტებს გამოსახონ/შეიმუშაონ შერჩეული ალტერნატივის ამოცანები.

გ. შეფასება

ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია სტუდენტმა მიიღოს მართებული შენიშვნები ჩატარებულ სამუშაოსთან მიმართებაში. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული პროცესის ყველა ეტაპი – სათითაოდ: რა გაკეთდა კარგად, სად იყო შეცდომები, რა იყო ამ შეცდომების მიზეზი და სხვ. აქვე მნიშვნელოვანია სტუდენტების აზრის გაგება პროცესთან მიმართებაში და ისეთი კითხვებს დასმა, როგორებიცაა: „რას ფიქრობ პროცესზე?“, „კმაყოფილი ხარ თუ არა მიღებული შედეგებით?“, „რატომ ფიქრობ, რომ ეს მიდგომა ადეკვატურია პრობლემაზე პასუხის გასაცემად?“ და სხვა.

დავალბა და ინსტრუქცია სტუდენტებისთვის

დავალბა1: თემში არსებული პრობლემის გადანყვეტა

წარმოდგენილი დავალბა გულისხმობს თქვენს თემში/გარემოში არსებული პრობლემის გააზრებას და პრობლემის გადასაჭრელად კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

პრობლემათა არეალი შეუზღუდავია, თუმცა გადანყვეტის პროცესში თქვენ უნდა აირჩიოთ რაიმე ტიპის სამოქალაქო ორგანიზაცია, რომლის სახელითაც მოახდენთ პრობლემის იდენტიფიცირებას და პრობლემის გადანყვეტის გზების ძიებას. შერჩეული სამოქალაქო ორგანიზაცია შესაძლებელია იყოს საბინაო ამხანაგობა, უნივერსიტეტის თვითმმართველობა, სოფლის თემი, ფერმერული მეურნეობას/კოოპერატივი, ადამიანის უფლებათა დამცველი ჯგუფი, სოციალური მოძრაობა და სხვ.

შეარჩიეთ თქვენს თემში/გარემოში არსებული ერთი პრობლემა და შეიმუშავეთ მისი გადანყვეტის გზები. ინდივიდუალური დავალბა უნდა შესრულდეს წერილობით (მინიმუმ 5 - მაქსიმუმ 10 გვერდი), ხოლო ჯგუფური (3-5 წევრი) – პრეზენტაციის სახით.

დავალბების შესასრულებლად:

1. გაიაზრეთ პრობლემა. მნიშვნელოვანია, რომ კარგად გაიაზროთ პრობლემის ბუნება და მასთან დაკავშირებული მიზნები;
2. აღწერეთ ბარიერები, რაც წინ ელოდება პრობლემის გადაჭრას/მიზნის მიღწევას. რა ქმნის პრობლემას?
3. შეიმუშავეთ პრობლემის განაცხადი, რომელიც ასევე მოიცავს პრობლემის გადანყვეტის შესაძლებლობებს;
4. იდენტიფიცირება გაუკეთეთ ალტერნატივებს. უნდა შეიმუშაოთ მინიმუმ 2 ალტერნატივა. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად შესაძლებელია იყოს ერთზე მეტი ალტერნატივა/სტრატეგია;
5. შეიმუშავეთ კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით გაზომავთ ალტერნატივებს;
6. აღწერეთ და გაზომეთ შერჩეული ალტერნატივები, შერჩეულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით. ამისთვის შესაძლებელია ერთ-ერთი მეთოდის გამოყენება:

- ▶ ვიზუალური გრაფიკების გამოყენება (მაგ. „გადაწყვეტილების ხე“, „გადაწყვეტილების მიღების მატრიცა“ და სხვ.)

დავალების ფორმატი

▶ შესავალი

საკითხის წინაპირობა, პრობლემის მოკლე და სიტუაციური ანალიზი – რას წარმოადგენს პრობლემა? რატომაა საჭირო საკითხზე რეაგირება. პრობლემის განაცხადი.

▶ არსებული მდგომარეობა

საკითხის ირგვლივ არსებული მონაცემები/სტატისტიკა, ადამიანის უფლებები, ხელისუფლების ვალდებულებები, პასუხისმგებლობა, საჯარო პოლიტიკის შედეგები და სხვ.

▶ ალტერნატიული პოლიტიკის ვარიანტები

ჩამოწერეთ და ახსენით მინიმუმ 2 ალტერნატიული პოლიტიკა. შეიმუშავეთ კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით შეაფასებთ ალტერნატიულ პოლიტიკებს. იმსჯელეთ თითოეულის დადებითზე და უარყოფითზე, გადაწყვეტილების ხის, ან სხვა გადაწყვეტილების მიღების ტექნიკის გამოყენებით.

▶ ალტერნატიული პოლიტიკის შერჩევა

შეარჩიეთ და წარმოადგინეთ შერჩეული გადაწყვეტილება. რატომაა ეს საუკეთესო? რითაა უკეთესი სხვა ალტერნატივებთან შედარებით?

▶ სამოქმედო გეგმა

ჩამოწერეთ შერჩეული ალტერნატივის სამოქმედო გეგმა სპეციფიკური, გაზომვადი, მიღწევადი და დროში განერილი ამოცანებით, რომელიც ასევე უნდა მოიცავდეს ძალაუფლების მქონე/პრობლემის გადაწყვეტაზე ზემოქმედების მქონე მხარეებს, პოტენციურ მოკავშირეებს/პარტნიორებს და სხვ.

2.8. ინტერვიუ კვლევაში

თეორიული მიმოხილვა

სოციალური მეცნიერებების სწავლების პროცესში ერთ-ერთი გადამწყვეტი ადგილი უკავია რესპონდენტების გამოკითხვას, რაც, ხშირად, შეუძლებელია ინტერვიუს ჩატარების გარეშე.

ინტერვიუ, ჩვეულებრივ, წარმოადგენს კვლევის ტექნიკას, რომელიც მოიცავს რესპონდენტისადმი დასასმელ ღია ან დახურულ კითხვებს, საკვლევი საგნის ირგვლივ ინფორმაციისა და მონაცემების შესაგროვებლად. ინტერვიუერს სურს გაიგოს რესპონდენტის აზრი კარგად დაგეგმილი კითხვების საშუალებით (QuestionPro.com 2021).

ზემოხსენებულთან ერთად, კვლევის ინტერვიუს მეთოდების სწავლება და უნარების განვითარება სტუდენტებს მისცემს საშუალებას სასურველი სიზუსტით მიიღონ ინფორმაცია საზოგადოებაში და თემებში არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით, რათა განახორციელონ პროექტები ან/და შინაარსი შესძინონ სამოქალაქო აქტივიზმს.

კვლევის ინტერვიუების ფუნდამენტური ტიპები

მკვლევარი ატარებს ინტერვიუს შერჩეულ მონაწილეებთან, როცა ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია მხოლოდ მიზნობრივი აუდიტორიის წარმომადგენლებთან შეხვედრით ან/და პირადი კომუნიკაციით. ინტერვიუ გვადლევს საშუალებას, მივიღოთ მეტად დეტალური ინფორმაცია საკვლევი საკითხის ირგვლივ. განასხვავებენ კვლევის ინტერვიუს სამ ფუნდამენტურ ტიპს:

სტრუქტურირებული ინტერვიუ:

სტრუქტურირებული ინტერვიუ კვლევის საკმაოდ ხისტი მეთოდია, რომელიც შედეგის ანალიზის ძალიან მწირ შესაძლებლობას იძლევა. იგი ასევე ცნობილია, როგორც სტანდარტიზებული ინტერვიუ და მნიშვნელოვნად რაოდენობრივია თავის მიდგომაში. კითხვები ამ ტიპის ინტერვიუში წინასწარაა განსაზღვრული, საჭირო დეტალური ინფორმაციის შესაბამისად. სტრუქტურირებული ინტერვიუები გამოიყენება გამოკითხვისას, ყველა სესიის ერთგვაროვნების შენარჩუნების მიზნით. ამ ტიპის ინტერვიუში კითხვები შესაძლებელია იყოს ღია ან დახურული – გამომდინარე მიზნობრივი პოპულაციის ტიპიდან. დახურული კითხვები შესაძლებელია დაისვას, რათა გავიგოთ რესპონდენტთა პრეფერენციები და შეხედულებები. ამასთან, ღია კითხვები შეიძლება გამოვიყენოთ ინტერვიუს კონკრეტულ ნაწილში, რაიმე საკითხის დეტალების გამოსავლენად.

ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუ:

ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ გვთავაზობს საკმაოდ კარგ მანევრირების საშუალებას რესპონდენტის შესწავლის პროცესში, ამავედროულად, ინტერვიუს საბაზისო სტრუქტურის შენარჩუნებით. იმ შემთხვევაშიც კი, როცა საუბარი სახელმძღვანელოს თანხლებით ხდება – მკვლევარს ეძლევა საკმაო მოქნილობის შესაძლებლობა. ინტერვიუს სტრუქტურის გათვალისწინებით, მკვლევარს შეუძლია მისდიოს ნებისმიერ ახლად გაჩენილ იდეას ან კითხვას, რაც უზრუნველყოფს შედეგების დაგვარად სრული ინფორმაციის მიღებას.

არასტრუქტურირებული (ან სიღრმისეული) ინტერვიუ:

სიღრმისეული ინტერვიუ, ჩვეულებრივ აღინერება, როგორც საუბარი კონკრეტული მიზნით – შეაგროვო ინფორმაცია საკვლევი საგნის ირგვლივ. ამ ტიპის ინტერვიუსთვის დამახასიათებელია კითხვების მინიმალური რაოდენობა, რადგან მეტად ნააგავს ჩვეულებრივ საუბარს, თუმცა საბაზისო (საკვლევი) საგნის გათვალისწინებით. მკვლევრების მიერ სიღრმისეული ინტერვიუს გამოყენების ძირითადი მიზანია რესპონდენტთან სიახლოვის დამყარება, რომლის მეშვეობით იზრდება რესპონდენტის გულწრფელობის შანსები. გამომდინარე იქიდან, რომ ამ შემთხვევაში არაა რაიმე ტიპის სახელმძღვანელო, მკვლევარს უწევს ყურადღების მიქცევა, რომ რესპონდენტმა ზედმეტად არ გადაუხვიოს საკვლევი თემიდან. სასურველი შედეგისთვის, მკვლევარმა მხედველობაში უნდა მიიღოს შემდეგი ფაქტორები:

- ▶ ინტერვიუს მიზნები;
- ▶ რესპონდენტის ინტერესი და უნარები;
- ▶ ყველა საუბარი უნდა გაიმართოს კვლევისთვის მისაღებ საზღვრებში;
- ▶ მკვლევრის ცოდნა და უნარები უნდა შეესაბამებოდეს ინტერვიუს მიზნებს;
- ▶ მკვლევარს უნდა ესმოდეს არასტრუქტურული ინტერვიუსთვის მისაღები და მიუღებელი ხერხები/ეთიკური სტანდარტები.

კვლევის ინტერვიუს მეთოდები

კვლევის ინტერვიუს ჩასატარებლად გამოყოფენ სამ ძირითად მეთოდს, რომელთა გამოყენება დამოკიდებულია საკვლევი საგნის მოთხოვნებზე:

- ▶ **პირადი ინტერვიუ:** ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული მეთოდია, სადაც რესპონდენტებს პერსონალურად უსვამენ კითხვებს. რესპონდენტის პასუხებს მკვლევარი ინიშნავს შემდგომი ანალიზისთვის.
- ▶ **სატელეფონო ინტერვიუ:** ფართოდ გამოიყენება და იძლევა ელექტრონულ კვლევასთან კომბინირების შესაძლებლობას.
- ▶ **ელექტრონული ფოსტის ან ვებგვერდის ინტერვიუ:** ელექტრონული კვლევა სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს, რადგან ინტერნეტის მზარდ მოხმარებასთან ერთად, სახეზეა მომხმარებლის მზარდი მიგრაცია ელექტრონულ სივრცეში.

მკვლევრის შეხედულების გამორიცხვა

ინტერვიუს აღებისას (განსაკუთრებით, ნახევრადსტრუქტურული ან არასტრუქტურული ინტერვიუს შემთხვევაში), იოლია მკვლევარი მოექცეს რესპონდენტის ზეგავლენის ქვეშ, ან პირიქით – თავისი შეხედულებებით ზეგავლენა მოახდინოს რესპონდენტის პასუხებზე. ეს ამახინჯებს კვლევის მიმდინარეობას და ხელს უშლის შედეგების ობიექტურობას. ამგვარი გარემოებების თავის ასაცილებლად, მნიშვნელოვანია მკვლევრის შეხედულების გამორიცხვა ინტერვიუს პროცესიდან.

ინტერვიუს ჩამორთმევისას, მკვლევრის შეხედულებები შესაძლებელია გამოიხატოს:

- ▶ რეაქციით რესპონდენტის ნათქვამზე;
- ▶ სიტუაციის შეფასებით;
- ▶ შიდა დიალოგითა და კითხვებით გარემოზე;
- ▶ ჩვენი შეფასებით, რა არის სწორი ან არასწორი, კარგი ან ცუდი.

ბუნებრივია, რომ რესპონდენტის ნათქვამი, შესაძლებელია ზეგავლენას ახდენდეს მკვლევრის ემოციებზე. მიუხედავად ამისა, მკვლევრის მიერ შეხედულებების ან/და ემოციების მოცილება იძლევა რესპონდენტის სრულფასოვანი ანალიზის შესაძლებლობას.

როგორ გამოირიცხოს მკვლევრის ემოციები და შეხედულებები

(ადაპტირებულია წყაროდან: Rob Strati, “Removing One’s Point of View from the Research Process”, 2018)

ინტერვიუს დაწყებამდე მკვლევარმა უნდა:

- ▶ გულწრფელად გაიაზროს საკუთარი პოზიცია საკვლევ საკითხთან მიმართებაში და განსაზღვროს, რომ ის ნამდვილად მისი პოზიციაა – დღეს, კონკრეტულ ადგილას და ცხოვრების კონკრეტულ მომენტში;
- ▶ მხედველობაში მიიღოს და გაიაზროს საკუთრივ შემუშავებული კვლევის დიზაინის ან საკვლევ საკითხის დაცვის სურვილი;
- ▶ გაიაზროს, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ იდეებია, რომლებთან მიჯაჭვა არაა საჭირო;
- ▶ მზად იყოს აღიაროს და მიიღოს სხვების აზრი, რადგან ნებისმიერი სხვა შეხედულება 100%-ით ლეგიტიმურია – როგორც შეხედულება. მკვლევარს არ მოეთხოვება დაეთანხმოს სხვის

ლეგიტიმურ შეხედულებას, არამედ მხოლოდ აღიაროს, რომ ამგვარი შეხედულება არსებობს და გამომდინარეობს გარკვეული გამოცდილებიდან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მკვლევარი არის დამკვირვებელი, რომელიც დოკუმენტირებას უკეთებს სხვის გამოცდილებებს;

- ▶ გაიაზროს ნებისმიერი წინასწარგანწყობები, რაც შესაძლებელია ჰქონდეს რესპონდენტთან მიმართებაში, თუკი მის შესახებ ინფორმაცია უკვე არსებობს;
- ▶ ახსოვდეს და განასხვაოს საკუთარი შეხედულებები სხვა ადამიანის შეხედულებებისგან.

ინტერვიუს ფიოს:

ინტერვიუს სესიის დროს მკვლევრის შეხედულებები და აზრები ისევ იჩენენ თავს. ისევეა დიდი ალბათობა, რომ მკვლევარმა ინტუიციურად მისცეს რეაქცია ან უპასუხოს რესპონდენტის ნათქვამს.

ჩოლის გამოვიყენოთ საკუთარი შეხედულება

მკვლევრის მიზანია, რომ გვერდზე გადადოს და დათმოს საკუთარი შეხედულებები, როცა ეს ეხება მსჯელობას. თუმცა, საკუთარი შეხედულებები მკვლევარმა უნდა გამოიყენოს რესპონდენტის სიღრმისეულად გასაგებად, დაკვირვებისთვის და საუბრის სწორი მიმართულებით წარმართვისთვის. მკვლევარმა უნდა მოახერხოს:

- ▶ გადადოს საკუთარი აზრი, არ გაეფანტოს ყურადღება და მოახერხოს მოსმენა;
- ▶ წაიკითხოს სტრიქონების შორის და „მოისმინოს“ ის, რაც არაა ხმამაღლა ნათქვამი. აქ ყურადღება უნდა მიექცეს სახის მიმიკას, „სხეულის ენას“, პაუზების მნიშვნელობას და სხვ. მნიშვნელოვანია ასევე ყურადღება გამახვილდეს იმ მოტივაციებსა და განზრახვებზე, რაც საფუძველში უდევს რესპონდენტის ნათქვამს. თუკი რესპონდენტის მიმიკა, პაუზა და სხვ. გარკვეულ განმარტებებს მოითხოვს – შესაძლებელია მათი დაზუსტება (მაგ: „მე შევამჩნიე, რომ როცა აღწერდით პროცესს – ოდნავ გაგელიმათ“, ან „შეგიძლიათ მითხრათ რას გრძნობდით და რა იყო ამ გრძნობების მიზეზი?“)

ინტერვიუს სესიის შემდეგ

ანალიზი და ანგარიში. მკვლევარი აჯამებს, იაზრებს და ანალიზს უკეთებს მიღებულ ინფორმაციას. აქ მნიშვნელოვანია საკითხების პრიორიტეტებად დალაგება, რათა კვლევის ანგარიში მართებულად ასახავდეს საკვლევ ინფორმაციას.

პრაქტიკული ნაწილი

მეთოდის გამოყენება შესაძლებელია საუნივერსიტეტო კურსის შემდეგი სასწავლო თემების განხილვისას

თემა 11: სამოქალაქო საზოგადოების თეორიები;

თემა 3: სამოქალაქო საზოგადოების ფორმები და შემადგენლობა;

თემა 4: სამოქალაქო საზოგადოების ზეგავლენა და წვლილი;

თემა 10: გლობალიზაცია და სამოქალაქო საზოგადოება.

ჯვარედინი თემები:

- ▶ ეთნოგრაფიული კვლევა;
- ▶ ემპათიური კვლევა;
- ▶ გამოძიების მეთოდი
- ▶ სიმულაციური მეთოდი.

რეკომენდებული სასწავლო მაგალითები

- ▶ ცოდნის კაფე;
- ▶ პირველი ნაბიჯი საქართველო;
- ▶ იკორთა;
- ▶ ფერმერული კოოპერატივები;
- ▶ სამოქალაქო საზოგადოება უნგრეთში;
- ▶ კამპანია ირანის დისკრიმინაციული კანონმდებლობის შესაცვლელად;
- ▶ 2015 წლის ლტოლვილთა კრიზისი ევროპაში;
- ▶ მხარი დაუჭირეთ Standing Rock-ს;
- ▶ ორგანიზაცია ACT UP ნიუ-იორკი.

ლექტორის ინსტრუქცია

დავალების მიცემამდე, მნიშვნელოვანია სტუდენტები გაეცნონ ინტერვიუს ტექნიკას. სასარგებლო იქნება ასევე ინტერვიუს სავარჯიშოს გაკეთება კლასში. სავარჯიშოს ჩასატარებლად გთავაზობთ:

- 1.** კლასში წამოიწევა რაიმე საჭირბოროტო საკითხი (მაგ. დაწყებით სკოლაში არსებული პრობლემები, ან ქალაქში მიწის ზედა გადასასვლელების ნაკლებობა, ან შშმ პირებისთვის არაადაპტირებული გარემო და სხვ.);
- 2.** სრულ ჯგუფთან ერთად, შერჩეული თემის ირგვლივ პრობლემები დეტალურად უნდა ჩამოინეროს;
- 3.** კლასი იყოფა (4-5) კაციან ჯგუფებად. ჯგუფების რაოდენობა უნდა იყოს წყვილი. ჯგუფების ნახევარს ეძლევა დავალება, რომ მოამზადოს კითხვები ინტერვიუსთვის, ხოლო მეორე ნახევარს – რათა შეძლებისდაგვარად შეისწავლოს თემა – მოიძიოს ინტერნეტ წყაროები, გამოავლინოს მოცემული დარგში მომუშავე სამოქალაქო ორგანიზაციები. მოსამზადებელი დრო 45 წუთია;
- 4.** მოსამზადებელი დროის გასვლის შემდეგ, თითო ჯგუფი გამოყოფს „მკვლევარს“ და „რესპონდენტს“, რომლებიც ჩაატარებენ ინტერვიუს სესიას.

დავალება და ინსტრუქცია სტუდენტებისთვის

ინდივიდუალური დავალება გულისხმობს ქართული საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემების გამოყოფას და იმის გარკვევას, თუ რა კეთდება ქვეყანაში მოცემული მიმართულებით.

დავალების შესასრულებლად:

1. გამოავლინეთ თქვენთვის საინტერესო მიმართულება (ცხოველთა დაცვა, ეკოლოგია, დემოკრატიის მშენებლობა, არჩევნები, ადამიანის უფლებები და სხვ.);
2. მოიძიეთ წინასწარი ინფორმაცია საკითხის ირგვლივ (რა პრობლემებია, რა გამოწვევებია, რა კეთდება სახელმწიფოში ამ მიმართულებით, ვინ არიან დაინტერესებული მხარეები და სხვ.);
3. შეარჩიეთ სამოქალაქო ორგანიზაცია, რომელიც საქმიანობს არჩეული მიმართულებით და ჩაწერეთ და გაანალიზეთ ინტერვიუ ორგანიზაციის წარმომადგენელთან;
4. გამოავლინეთ შესაბამისი დაინტერესებული პირი ხელისუფლებიდან, ბიზნესიდან ან სხვ. და ჩაწერეთ და გაანალიზეთ ინტერვიუ მასთან;
5. მოკლედ შეაჯამეთ/შეადარეთ მიღებული პასუხები და წარმოადგინეთ მოკლე პრეზენტაციის სახით.

ინტერვიუს ჩატარების ინსტრუქცია

(ადაპტირებულია წყაიხოდან: Carter McNamara, Authenticity Consulting, LLC 2021 General Guidelines for Conducting Research Interviews)

ინტერვიუს დაწყებამდე – სანამ დაიწყებთ ინტერვიუს კითხვების ჩამოწერას, ნათლად ჩამოაყალიბეთ საკუთარ თავთან რა პრობლემის ან საჭიროების გადასაჭრელად იქნება გამოყენებული ინტერვიუდან მიღებული ინფორმაცია. ეს დაგეხმარებათ ყველა კითხვის ფოკუსის შენარჩუნებაში.

ინტერვიუსთვის მომზადება

1. ინტერვიუს ჩასატარებლად აირჩიეთ ადგილი, სადაც ნაკლებად გაიფანტება თქვენი და რესპონდენტის ყურადღება. თავი აარიდეთ ხმაურს და უზრუნველვყავით, რომ რესპონდენტი კომფორტულად გრძნობდეს თავს, რაც, ხშირად რესპონდენტის სახლში ან სამუშაო გარემოშია მეტად შესაძლებელი;
2. ახსენით ინტერვიუს მიზეზი;
3. მხედველობაში მიიღეთ კონფიდენციალურობის საკითხები. ახსენით ვისთვისაა განკუთვნილი მიღებული ინფორმაცია და როგორ მოხდება მონაცემების ანალიზი. თუკი საჭირო იქნება რესპონდენტის ციტატების გამოყენება – აუცილებელია რესპონდენტისგან (წერილობითი) თანხმობის მიღება;
4. რესპონდენტს მოკლედ აუხსენით ინტერვიუს ფორმატი და უთხარი, რამდენ ხანს გასტანს ინტერვიუ;
5. მიეცით რესპონდენტს თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია (თუ დასჭირდებათ მომავალში) და ჰკითხეთ აქვს თუ არა რაიმე კითხვა, ინტერვიუს დაწყებამდე;
6. არ მიენდოთ საკუთარ მენსიერებას! სთხოვეთ რესპონდენტს ინტერვიუს ჩაწერის თაობაზე (დიქტოფონით ან/და რვეულში/კომპიუტერში).

კითხვების თემები

ჩვეულებრივ, გამოყოფენ ექვსი ტიპის თემებს:

1. **ქცევა** – რა გააკეთა ან რას აკეთებს რესპონდენტი;
2. **შეხედულებები/ფასეულობები** – რას ფიქრობს რესპონდენტი თემასთან დაკავშირებით;
3. **გრძნობები** – რესპონდენტი ხანდახან ამბობს, „მე ვფიქრობ...“ - მნიშვნელოვანია ამის შემჩნევა და აღნიშვნა;
4. **ცოდნა** – თემასთან დაკავშირებული ფაქტები;
5. **სენსორული** – რას ხედავს, ეხება, რა ესმის, რას აგემოვნებს ან ყნოსავს რესპონდენტი;

6. წინაპირობა/დემოგრაფია – სტანდარტული საბაზისო კითხვები, როგორცაა ასაკი, განათლება და სხვ.

შენიშვნა: ზემოხსენებული კითხვების დასმა შესაძლებელია წარსულთან, აწმყოსთან და მომავალთან მიმართებაში.

კითხვების შინაარსი და ფორმულირება

კითხვების ტიპზე და ფორმულირებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კვლევის ფარგლებში მიღებული პასუხები. ცუდად ფორმულირებული ან ბუნდოვანი კითხვების შედეგად მიიღება შინაარსს მოკლებული პასუხები და ისინი კვლევისთვის ღირებული აღარაა. დილმანი (Dillman, ციტ. Lumenlearning.com 2021) რეკომენდაციას აძლევს კარგი კვლევის კითხვების შექმნის რამდენიმე კანონს. ამასთან, კვლევის ყველა კითხვა უნდა გააზრებულ იქნას შემდეგ კონტექსტში:

- ▶ რამდენად გასაგებია კითხვა? კვლევის კითხვა უნდა იყოს ფორმულირებული მარტივი ენით, რთული სიტყვებისა და ჟარგონის (მათ შორის პროფესიული) გარეშე, რომელიც ვერ იქნება გასაგები ტიპური რესპონდენტისთვის. ყველა კითხვა უნდა დაიწეროს ამ მანერით, რათა გაადვილდეს გაგება. გამონაკლისს წარმოადგენს სპეციალიზებულ ჯგუფზე განკუთვნილი (მაგ. ექიმები, მკვლევრები, იურისტები და სხვ) კითხვარი/კითხვა. ამ შემთხვევაში აუცილებელია იმ ტერმინების ცოდნა, რაც დამახასიათებელია რესპონდენტის კულტურისთვის/პროფესიისთვის;
- ▶ ფრთხილად დასვით „რატომ“ კითხვები. ამ ტიპის კითხვებს მივყავართ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებამდე, რომლებიც შესაძლებელია არ არსებობდეს. ამასთან, მსგავსმა კითხვებმა შესაძლებელია რესპონდენტი ჩააყენოს თავდაცვის პოზიციაში, რადგან იძულებული ხდება დაასაბუთოს თავისი პასუხი;
- ▶ კითხვა არ უნდა იყოს ნეგატიურად ფორმულირებული. ნეგატიურად შედგენილი კითხვები (მაგ. არ უნდა მოუმატოს მთავრობამ გადასახადები?) აბნევს რესპონდენტს და მოაქვს არაზუსტი პასუხები;
- ▶ კითხვა არ უნდა იყოს ბუნდოვანი. კითხვა არ უნდა შეიცავდეს სიტყვებს ან გამონათქვამებს, რომელთა ინტერპრეტირებაა შესაძლებელი განსხვავებული რესპონდენტების მიერ განსხვავებულად. მაგალითად, თუ რესპონდენტს ეკითხებიან, რა არის მისი წლიური შემოსავალი – გაურკვეველია იგულისხმება ხელფასი, დახმარება, ქონების გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი თუ სხვ.;
- ▶ კითხვა არ უნდა შეიცავდეს ტენდენციურ სიტყვებს. ტენდენციურ სიტყვად/კითხვად იგულისხმება კითხვა/სიტყვა/ტონი, რომელიც უბიძგებს რესპონდენტს უპასუხოს რაიმე განსაზღვრული პასუხით. ამასთან, კითხვები უნდა იყოს მაქსიმალურად ნეიტრალური. თავი აარიდეთ ისეთ სიტყვებს/ფრაზებს, რაც ზეგავლენას მოახდენს პასუხებზე (მაგ. კითხვა „თვლით თუ არა, რომ ქალაქში მოუწესრიგებელია საზოგადოებრივი ტრანსპორტი?“ ამ კითხვით მკვლევარი ა) თითქოს და გამოხატავს საკუთარ აზრს და ბ) პოტენციურ ზეგავლენას ახდენს რესპონდენტის პასუხზე. სწორად დასმული კითხვა იქნება: „რას ფიქრობთ ქალაქში არსებულ საზოგადოებრივ ტრანსპორტზე?“ კითხვის დასმისას ნეგატიური ან პოზიტიური სტატისტიკის მოყვანა, იქამდე, სანამ რესპონდენტი გასცემს პასუხს დასმულ კითხვაზე – ასევე გავლენას ახდენს რესპონდენტზე (მაგ.: განცხადება და კითხვა „უკანასკნელმა კვლევამ აჩვენა, რომ მოსახლეობის 90% ეთანხმება ახალ რეგულაციას. რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენ ამ რეგულაციით?“ აფიქრებინებს რესპონდენტს, რომ ვალდებულია დაეთანხმოს, რადგან უმეტესობა ასე ფიქრობს. სწორი კითხვა იქნება: „ამა და ამ დროს მიღებულია ესა და ეს რეგულაცია. რას ფიქრობთ ამ რეგულაციასთან დაკავშირებით?);
- ▶ კითხვა არ უნდა იყოს ორმაგი შინაარსის. ორმაგი შინაარსის კითხვა მოიცავს რამდენიმე სავარაუდო პასუხს. მაგ. კითხვა „ხართ კმაყოფილი სკოლის ბიბლიოთეკით და სპორტული დარბაზით?“ მოიცავს ორ ობიექტს და რესპონდენტი შესაძლებელია კმაყოფილი იყოს ბიბლიოთეკით, მაგრამ არ იყოს კმაყოფილი სპორტული დარბაზით. ერთ ჯერზე უნდა დაისვას მხოლოდ ერთი კითხვა;

- ▶ კითხვა არ უნდა იყოს ძალიან ზოგადი. ხანდახან ზედმეტად ზოგადი კითხვები სიზუსტით ვერ ასახავს რესპონდენტის აღქმებს. მაგ. იმის მაგივრად, რომ რესპონდენტს ვკითხოთ, როგორ მოეწონა კონკრეტული წიგნი – სჯობს ვკითხოთ, გაუწევს თუ არა ამ წიგნს რეკომენდაციას;
- ▶ კითხვა არ უნდა იყოს ზედმეტად დეტალური. თავი აარიდეთ უსარგებლო დეტალებს;
- ▶ კითხვა არ უნდა შეიცავდეს დარწმუნებას/ვარაუდებს. თუკი თქვენ ჰკითხავთ რესპონდენტს, რას ფიქრობს რა დადებითი მოაქვს გადასახადების შემცირებას – თქვენ ვარაუდობთ, რომ გადასახადის შემცირებას მოაქვს დადებითი შედეგი;
- ▶ რესპონდენტებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი ინფორმაცია, რომ გვიპასუხონ დასმულ კითხვებზე. თუ რესპონდენტი არ ფლობს საჭირო ინფორმაციას, შესაძლებელია მაინც გაგცეთ პასუხი, რომელიც არ იქნება ფასეული კვლევის მიზნებისთვის.

კითხვების თანმიმდევრობა

ჩვეულებრივ, კითხვები უნდა ლოგიკურად მისდევდეს ერთი მეორეს. კითხვების დაწყება უმჯობესია ნაკლებად მგრძნობიარე კითხვებიდან – მეტად მგრძნობიარე კითხვებამდე, ფაქტობრივი კითხვებიდან – ქცევით ან განწყობით კითხვებამდე და მეტად ზოგადი კითხვებიდან – მეტად სპეციფიკურ კითხვებამდე.

ინტერვიუ შედგება სამი ძირითადი ბლოკისგან:

- 1.** საბაზისო და დემოგრაფიული ინფორმაცია (ასაკი, სამუშაო ადგილი, საცხოვრებელი ადგილი და სხვ.);
- 2.** ანმყოფი დასვით კითხვები ანმყოფე, სანამ დაეკითხებით წარსულზე ან მომავალზე. ანმყოფე საუბარი, ჩვეულებრივ, უფრო მარტივია, ვიდრე წარსულზე ან მომავალზე. ამასთან, სადავო საკითხებზე გადასვლამდე (აზრები მომავლის შესახებ, გრძნობები და დასკვნები), პირველ ყოვლისა, მნიშვნელოვანია არსებული ფაქტების შესახებ ინფორმაციის ამოღება. ამ მიდგომით, რესპონდენტები უფრო იოლად ერთვებიან ინტერვიუში, სანამ საჭირო გახდება მათი შეხედულებების გამოთქმა;
- 3.** წარსული და მომავალი. დასვით კითხვები წარსულზე (რა იყო მიზეზი, როგორ დაიწყო და სხვ.) და მომავალზე (როგორ უნდა იყოს, რას ფიქრობს რესპონდენტი რა იქნება საუკეთესო გზა და სხვ.);
- 4.** ინტერვიუს ბოლო კითხვა, ჩვეულებრივ, საშუალებას აძლევს რესპონდენტს, სურვილისებრ დაამატოს რაიმე ინფორმაცია და გამოხატოს თავისი შთაბეჭდილება ინტერვიუდან.

ინტერვიუს მსვლელობა

- 1.** უუზრუნველყავით ინტერვიუს ჩანერა;
- 2.** ერთ ჯერზე დასვით მხოლოდ ერთი კითხვა;
- 3.** ეცადეთ შეინარჩუნოთ მაქსიმალური ნეიტრალურობა – არ აჩვენოთ მძაფრი ემოციური რეაქციები რესპონდენტის პასუხებზე. მოიქეცით ისე, ვითომ ეს უკვე გასმენიათ;
- 4.** წაახალისეთ პასუხები კეთილგანწყობით;
- 5.** გააკეთეთ გადასვლები ერთი თემიდან მეორეზე (მაგ. „ჩვენ ვისაუბრეთ (თემა) და ახლა იქნება გადავიდეთ (სხვა თემა)“);
- 6.** არ დაკარგოთ ინტერვიუს კონტროლი – მართეთ რესპონდენტი ისე, რომ იგი არ ასცდეს საკვლევ თემას ან არ დახარჯოს ზედმეტი დრო ერთი პასუხის გაცემაზე.

ინტერვიუს შემდეგ

- 1.** შეამოწმეთ ჩანაწერი;
- 2.** გადახედეთ ჩანიშვნებს და (სანამ გახსოვთ) შეავსეთ ინფორმაციით;
- 3.** ჩაიწერეთ ნებისმიერი ტიპის დაკვირვება, რაც თვალში მოგხვდათ ინტერვიუს დროს (ადგილი, რესპონდენტის ნერვიულობა, რაიმე მოულოდნელობა და სხვ.).

2.9. დებატები: სიტყვით გამოსვლის ძალა და დებატები

თეორიული მიმოხილვა

დებატები მნიშვნელოვანი აქტივობაა ნებისმიერი უნარის მქონე სტუდენტისთვის. დებატი ხელს უწყობს როგორც აკადემიურ მოსწრებას, ასევე მნიშვნელოვანია ზოგადად ცხოვრებისეული გამოცდილებისთვის. ანალიტიკოსების აზრით, დებატები აყალიბებს საჭაროდ საუბრის თავდაჯერებულობას და აზრების გამოხატვის სიციხადეს. სხვების წინაშე საუბარი სასარგებლოა მრავალი ცხოვრებისეული მიმართულებით, თუმცა ეს სარგებელი არ შემოიფარგლება მხოლოდ უშუალოდ საუბრის უნარ-ჩვევების შექმნით, არამედ კრიტიკული აზროვნებისა და კვლევის უნარების განვითარებით, რაც მოსდევს დებატებისთვის მომზადებას. დებატები ხელს უწყობს სტუდენტების მიერ ერთი და იმავე საკითხის განსხვავებული პერსპექტივებიდან დანახვას, ავითარებს ანალიტიკურ აზროვნებას და ასწავლის ოპონენტის არგუმენტაციაში სუსტი ადგილების დანახვას. ამასთან, სტუდენტები ეჩვევიან საკუთარი აზრების გადმოცემას, განსხვავებული შეხედულებების შეფასებას და რაც მთავარია, მოითხოვენ მტკიცებულებების მოსაძიებლად ინფორმაციის მოკვლევასა და წყაროების შეფასებას. საერთო ჯამში, ითვლება, რომ დებატები თანამედროვე მოქალაქისთვის აუცილებელი უნიკალური საშუალებაა, რათა განუვითაროს კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა და შემოქმედებითობა (Stanford National Forensic Institute 2021).

კატარის ფონდის დებატების ცენტრის (Debate Center of Qatar Foundation 2021)⁶ მიხედვით, დებატების გამოყენება სწავლების პროცესში მოიცავს შემდეგ დადებით ელემენტებს:

- ▶ მრავალმხრივი ცოდნის მიღება სხვადასხვა დისციპლინიდან, აკადემიური საგნების მიღმა;
- ▶ სტუდენტის თვითდაჯერებულობის და თვითშეფასების გაზრდა;
- ▶ სტუდენტთა ჩართულობაზე ორიენტირებული, აქტიური აქტივობა;
- ▶ კრიტიკული აზროვნების განვითარება;
- ▶ აზრების ჩამოყალიბებისა და ორგანიზების შესაძლებლობის განვითარება;
- ▶ სტუდენტის ანალიტიკური, კვლევისა და შენიშვნების გაკეთების უნარების განვითარება;
- ▶ დაბალანსებული, ინფორმირებული არგუმენტაციის უნარების გაუმჯობესება, ასევე დასაბუთებისა და მტკიცებულების გამოყენების შესაძლებლობა;
- ▶ ეფექტური სიტყვის დაწერა და წარმოთქმა;
- ▶ ჯგუფური სამუშაოს წახალისება.

დებატების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს სოკრატეს მეთოდი (ან სოკრატეს დებატი), რაც გულისხმობს ადამიანებს შორის თანამშრომლობითი არგუმენტირებული დიალოგის ფორმას. სოკრატეს მეთოდი ეფუძნება კითხვების დასმას და პასუხების გაცემას, კრიტიკული აზროვნების სტიმულირებისთვის, აზრებისა და წინაპირობების გამოხატვისთვის. სოკრატეს დისკუსიების გამართვა შესაძლებელია მხოლოდ ღია კითხვების დასმით, რათა ხელი შეეწყოს აზროვნებას.

⁶ კატარის დებატების ცენტრი არის კატარის განათლების, მეცნიერებისა და თემის განვითარების ფონდის წევრი. იგი დაფუძნდა 2008 წელს და წარმოადგენს დებატების ეროვნულ ორგანიზაციას. ფონდი მიზნად ისახავს „თავისუფალი აზრის, ღია დისკუსიისა და კონსტრუქციული დებატების მამოძრავებელ ძალად ჩამოყალიბებას“ კატარში, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში და სხვაგან (Qatarfoundation, 2021)

სოკრატეს დისკუსია – სამოქალაქო და მოქალაქეობა: მმართველობა და დემოკრატია

დისკუსია ეგება ფასეულობებზე, პრინციპებსა და ინსტიტუციებზე, რომლებიც ხელს უშლის საქართველოში მმართველობის დემოკრატიულ ფორმებს. ასევე განიხილება სამოქალაქო საზოგადოების როლი მმართველობის გაუმჯობესებისა და პასუხისმგებლობების გაზიარების საქმეში.

პროცესი: ღია კითხვები დაისმის პროცესის დაწყებამდე, მაგალითად: „ბევრ ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოება მჭიდროდ თანამშრომლობს ხელისუფლებასთან. რას ფიქრობთ სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობაზე პოლიტიკურ პროცესში?“

1. ტექსტობრივი ანოტაცია

სტუდენტებს ეძლევათ დრო, რათა წაიკითხონ შესაბამისი ტექსტები, გააკეთონ ჩანიშვნები, ჯგუფებში თათბირობენ საკითხებზე.

2. სოკრატეს დისკუსია

სტუდენტები სხდებიან წრეში, რათა ყველა ხედავდეს ერთმანეთს. ლექტორი იმეორებს ღია კითხვას. სტუდენტები იყენებენ ჩანაწერებს, რათა გამართონ დისკუსია საკითხის ირგვლივ. სტუდენტები იწყებენ წინადადებებს ისეთი ფრაზებით, როგორცაა: „ჩემი აზრით“, „მე არ ვეთანხმები“, „მე მინდა დავამატო“, „იქნებ უკეთ განმარტო რას გულისხმობ“ და სხვ.

იდეალურ შემთხვევაში, ჯგუფის ყველა წევრი იღებს მონაწილეობას დისკუსიაში.

რეფლექსია: დისკუსიის შემდეგ სასარგებლოა გაკეთდეს ჩატარებული აქტივობის ანალიზი. შესაძლებელია ეს მოხდეს წერილობით და აღწეროს შთაბეჭდილებები, უკმაყოფილება და კმაყოფილება, მიგნებები და სხვ.

პროვოკაციული განცხადებები, როგორც პრობლემის გადაწყვეტის იარაღი

დებატების ერთ-ერთ სახეობას ე.წ. „დოჰას დებატები“ (Doha Debate) წარმოადგენს. ეს ინოვაციური მიდგომა გულისხმობს კონკურენტი ჯგუფებისთვის პროვოკაციული განცხადების შეთავაზებას. განცხადება უნდა იქნას მხარდაჭერილი ერთი გუნდის და უარყოფილი მეორე გუნდის მიერ. დოჰას დებატები მოიცავს საუბრებსა და არგუმენტების წარდგენას, რათა მოხდეს განსხვავებული მოსაზრებების შეჯერება და მოიძებნოს საჭირო როტო საკითხებზე კონსენსუსი. მაგ.: „არასამთავრობო სექტორი საქართველოში თვითგადარჩენის გზაა და არა დემოკრატიის საფუძველი“.

პროვოკაციული განცხადებების ირგვლივ დებატების მოწყობა შესაძლებელია ასევე ერთსა და იმავე წყაროდან კონფლიქტური განცხადების ამოღებით და რაიმე რეალური მოვლენის კომპლექსურ საკითხზე ფოკუსირებით (Edgington 2001):

ამერიკელი დიპლომატი და ამერიკის მესამე პრეზიდენტი (1801-1809) ტომას ჯეფერსონი თავის საჯარო ნაშრომებში მხარს უჭერდა თანასწორობას, თუმცა თავად ჰყავდა მონები. დებატების ფარგლებში სტუდენტებს დაევალებათ არგუმენტირებულად გაერჩიათ შეუსაბამობები ჯეფერსონის სიტყვებსა და საქციელს შორის.

სამსჯელო კითხვა: „ტომას ჯეფერსონი იყო ფარისეველი, რადგან წერდა და ლაპარაკობდა ყველა ადამიანის თანასწორობაზე და ამავდროულად ჰყავდა მონები“

საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, დასმული კითხვა გამოყენებულ იქნება მთავარ გადასაჭრელ პრობლემად, ხოლო სხვა დაკავშირებული კითხვები ხელს შეუწყობს პრობლემის გადაწყვეტას. საკითხის შესწავლა-გამოძიებისას დაისმის შემდეგი კითხვები: იყო ის რასისტი? იმავე პირობებში და მდგომარეობაში მყოფი სხვა ადამიანები ასევე ავლენდნენ ამ შეუსაბამობას? რა სოციალური და პოლიტიკური კლიმატი იყო იმ დროს? რამდენად ამართლებს ამგვარ შეუსაბამობას იმდროინდელი მოვლენები? სადმე (ნაწერებში, გამოსვლებში) აღიარებს ჯეფერსონი ამ შეუსაბამობას? რას ფიქრობდა იგი მონობაზე? როგორ ეპყრობოდა საკუთარ მონებს? რამდენად აისახა ეს შეუსაბამობები მის ხედვებში და ოცნებებში შეერთებულ შტატებთან დაკავშირებით? რამდენად მოახდინა ზეგავლენა ამ შეუსაბამობამ ჯეფერსონის ნაწერებისა და მიღწევების მნიშვნელობაზე?

სტუდენტები დაიყვანენ ჯგუფებად და ჩაერთონ პრობლემის მოგვარების პროცესში.

ზემოხსენებულ კითხვებზე პასუხების გასაცემად, სტუდენტებმა შეაგროვეს საჭირო მონაცემები, გაანალიზეს შესაბამისი ლიტერატურული წყაროები (მაგ. კონგრესის ბიბლიოთეკაში არსებული ტომას ჯეფერსონის ნაშრომები, წერილები, მის შესახებ ნარკვევები და სხვ.)

პრაქტიკული ნაწილი

მეთოდის გამოყენება შესაძლებელია საუნივერსიტეტო კურსის შემდეგი სასწავლო თემების განხილვისას

თემა 2: სამოქალაქო საზოგადოების თეორიები;

თემა 4: სამოქალაქო საზოგადოების ზეგავლენა და წვლილი;

თემა 5: სამოქალაქო საზოგადოების ისტორია;

თემა 6: სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში;

თემა 7: სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო;

თემა 8: სამოქალაქო საზოგადოება და ბიზნესი;

თემა 10: გლობალიზაცია და სამოქალაქო საზოგადოება.

ჯვარედინი თემები:

- ▶ გამოძიების მეთოდი;
- ▶ სიმულაციის მეთოდი;
- ▶ პრობლემის იდენტიფიცირების მეთოდი.

რეკომენდებული სასწავლო მაგალითები

- ▶ ცოდნის კაფე;
- ▶ პირველი ნაბიჯი საქართველო;
- ▶ იკორთა;
- ▶ ფერმერული კოოპერატივები;
- ▶ სამოქალაქო საზოგადოება უნგრეთში;
- ▶ კამპანია ირანის დისკრიმინაციული კანონმდებლობის შესაცვლელად;
- ▶ 2015 წლის ლტოლვილთა კრიზისი ევროპაში;
- ▶ მხარი დაუჭირეთ Standing Rock-ს;
- ▶ ორგანიზაცია ACT UP ნიუ-იორკი;

ლექტორის ინსტრუქცია

(ადაპტირებულია წყაროდან: *Michael D. Evans, Using Classroom Debates as a Learning Tool, Social Education 57(7), 1993, pp. 370, 993 National Council for the Social Studies*)

დებატების მოწყობა შესაძლებელია სწავლის ნებისმიერ ეტაპზე, თუმცა, მეტი სარგებელი მოაქვს სასწავლო თემის დასრულების ბოლოს. გამომდინარე იქიდან, რომ სტუდენტები იძიებენ ინფორმაციას დებატების თემის ირგვლივ და შემდეგ უსმენენ ერთმანეთის დებატებს – ისინი ამდიდრებენ საკლასო გაკვეთილებზე მიღებულ ცოდნას. სასწავლო თემის ბოლოს დებატების გამართვა ასევე იძლევა სტუდენტთა შეფასების შესაძლებლობასაც – რამდენად კარგად აითვისეს მოცემული თემა.

დებატების გასამართად შესაძლებელია ორი ან სამი ერთმანეთთან დაკავშირებული თემის შერჩევა, რაც შესაბამისობაშია გავლილ თემასთან. დებატების მოსაწყობად კლასი იყოფა ორ ან სამ ჯგუფად (თემების რაოდენობიდან გამომდინარე). ჯგუფები სასურველია შედგეს ისე, რომ თანაბრად გადანაწილდნენ სხვადასხვა შესაძლებლობის სტუდენტები.

ორივე (ან სამივე) ჯგუფი უნდა დაიყოს კიდევ ორ გუნდად: შერჩეული თემის მხარდასაჭერად ან უარსაყოფად. შედეგად, თითო თემას ეყოლება როგორც დამცველი, ასევე მოწინააღმდეგე. ჯგუფებს შორის თემების გადანაწილება ხდება შემთხვევითი შერჩევით. ასევე შემთხვევითი შერჩევით ხდება თემის მხარდამჭერი და მოწინააღმდეგე გუნდების შერჩევა. ამგვარი შერჩევა/ გადანაწილება იძლევა საშუალებას, სტუდენტებმა შეისწავლონ საკითხი პერსპექტივიდან, რომელიც, შესაძლოა განსხვავდებოდეს მათი პირადი შეხედულებისგან.

მომზადება

დებატების დაწყებამდე, სტუდენტებმა მინიმუმ ერთი კვირის განმავლობაში უნდა შეისწავლონ მოცემული საკითხი და ივარჯიშონ ღია განცხადებებისა და პრეზენტაციების გაკეთებაში. მოსამზადებელი ეტაპის დროს მნიშვნელოვანია სტუდენტებს დახმარება გაეწიოთ ინფორმაციის მოძიებისა და მოკვლევის პროცესში. ეს, გარკვეულწილად, დამოკიდებულია თავად სტუდენტებზე. მაგალითად, ზოგიერთ კლასში საკმარისია სტუდენტებს მიეწოდოთ წასაკითხი წყაროები, ხოლო ზოგიერთებს კი დასჭირდეთ დამატებითი ახსნა, თუ როგორ გამოიყენონ მოძიებული ინფორმაცია დებატისთვის.

ამავე ეტაპზე, პროცესის მონიტორინგისა და ხელშეწყობის მიზნით, სტუდენტებს უნდა მიეცეს საშინაო დავალება, მოიძიონ ინფორმაცია, რომელსაც კლასში მოიტანენ. სტუდენტებს ასევე უნდა ახსოვდეთ, რომ მზად უნდა იყვნენ იმ სავარაუდო პოზიციებისთვის, რომელსაც მოისმენენ ოპონენტებისგან. შესაბამისად, ორივე ჯგუფმა მაქსიმალურად კარგად უნდა შეისწავლოს საკითხი, რათა დებატების დროს ნაკლები იყოს მოულოდნელობა.

ინფორმაციის შეგროვების შემდეგ, სტუდენტები ამზადებენ პოსტერებს საკუთარი პოზიციის ილუსტრირებისთვის და ემზადებიან პრეზენტაციისთვის. დებატებამდე ერთი ან ორი დღით ადრე კარგი იქნება გაიარონ დებატების მოკლე რეპეტიცია, რათა სტუდენტებმა უფრო უკეთ გაიგონ, რა მოეთხოვებათ.

დებატების დღე

დებატების დღეს, თითოეული გუნდი ირჩევს მოდერატორს აუდიტორიიდან. მოდერატორი იღებს პასუხისმგებლობას დაიცვას დებატების წესები, როგორებიცაა: დროის ლიმიტები, თემიდან არგადახვევა, სპიკერებისადმი პატივისცემა და ეტიკეტის დაცვა.

თითო დებატის ხანგრძლივობა 20 წუთია. ერთი ჯგუფი (ერთი თემის ირგვლივ) ატარებს დებატებს, ხოლო დანარჩენები უსმენენ და სვამენ ქულებს.

ყოველი დებატი იწყება ორივე გუნდის მიერ წარმოთქმული განცხადებით (საკითხის მხარდაჭერა და ოპონირება). მოდერატორი შემდეგ სვამს დამატებით კითხვებს და ორივე მხარეს აძლევს დროს, გასცენ პასუხები. ხუთი წუთით ადრე დებატების დამთავრებამდე – ორივე ჯგუფი აჯამებს საკუთარ პოზიციას.

დასრულების შემდეგ

დებატების დასრულების შემდეგ, აუდიტორია ან/და ჟიური ასახელებს გამარჯვებულ გუნდს იმ ქულების მიხედვით, რომელსაც წანასწარ დაადგენს ლექტორი (იხ. ქვემოთ). კრიტერიუმები შეიძლება იყოს რელევანტურობა, თავაზიანობა, არგუმენტის სიძლიერე, ენთუზიაზმი, ინტერესი და სხვ. საინტერესო ბანერები, შესაძლოა, ასევე შეფასდეს დამატებითი ქულებით. სტუდენტების შეფასება შესაძლებელია ინდივიდუალურად და ასევე ჯგუფურად, სადაც ინდივიდუალური ქულები ჯამდება და შეადგენს გუნდის ქულას⁷.

პირველი დებატის დასრულების შემდეგ, იგივე მიდგომაა მეორე (და ასევე მესამე) დებატებთან მიმართებაში: ერთი ჯგუფი ატარებს დებატებს, ხოლო დანარჩენები უსმენენ და სვამენ ქულებს. სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია დებატების ვიდუო გადაღება, რაც იძლევა შემდგომი ანალიზის შესაძლებლობას. ჩანაწერების გამოყენება ასევე შესაძლებელია მომდევნო წლებში სტუდენტებისთვის დებატების პროცესის საჩვენებლად.

⁷ ასევე, შესაძლებელია მხოლოდ გუნდის შეფასება, ინდივიდუალური შეფასების გარეშე.

დებატების ჟიურის შესავსები ბარათი

თემის მხარდამჭერი გუნდის შეფასება

კრიტერიუმი	4	3	2	1	ქულა:
1. ორგანიზება და თემის გაზრდა. ძირითადი არგუმენტები და პასუხები მოწოდებულია გასაგებად და თანმიმდევრულად.	აბსოლუტურად გასაგები და თანმიმდევრული პრეზენტაცია	ძირითადად გასაგები და თანმიმდევრული	გასაგები გარკვეულ ნაწილებში, მაგრამ არა სრულად	სრულიად გაურკვეველი	
2. არგუმენტების გამოყენება: მხარდამჭერი არგუმენტების გამართულობა	ძალიან ძლიერი და სარწმუნო არგუმენტები წარმოდგენილი	ბევრი კარგი არგუმენტი წარმოდგენილი, მცირედი პრობლემებით	კარგი არგუმენტები, თუმცა მნიშვნელოვანი პრობლემებით	არგუმენტები არაა წარმოდგენილი, ან მცირე რაოდენობით და ისიც სუსტი	
3. კონტრარგუმენტები და ოპონირება მოწინააღმდეგე გუნდის არგუმენტებში სისუსტეების გამოვლენა ოპონენტების არგუმენტებზე თავდაცვის უნარი	საუკეთესო ჯვარედინი შერკინება და თავდაცვა მოწინააღმდეგე გუნდის შეტევაზე	კარგი ჯვარედინი შერკინება და თავდაცვა, მხოლოდ რამდენიმე შეცდომით	საკადრისი ჯვარედინი შერკინება, რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემით	ძალიან სუსტი შერკინება ან თავდაცვა	
4. პრეზენტაციის სტილი: ხმა და საუბრის ტონი გამოხატვის სიხშირე, არგუმენტების სიზუსტე-ყველაფერი ემსახურება აუდიტორიის ყურადღების მიპყრობას და დარწმუნებას გუნდის პოზიციაში.	სტილის ყველა მიმართულებით იყო დაცული	სტილის უმეტესი მიმართულებით იყოს დაცული	სტილი რამდენიმე მიმართულებით იყო დაცული	ძალიან სუსტად იყო დაცული სტილი	
					ქულების ჯამი
					საშუალო (გაყავით 4-ზე)

დავალება და ინსტრუქცია სტუდენტებისთვის

დებატების თემები:

თემა 1: დელიბერაციულ (თათბირობით) დემოკრატიას მეტი უპირატესობა აქვს, ვიდრე არჩევით დემოკრატიას;

თემა 2: სწრაფი რეფორმა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობა;

თემა 3: არასამთავრობო სექტორი საქართველოში თვითგადარჩენის გზაა და არა დემოკრატიის საფუძველი;

თემა 4: გლობალიზაციის პირობებში, სამოქალაქო სექტორი მეტად ეხმარება გლობალურ გამოწვევებს, ვიდრე საქართველოს მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან თემებს;

თემა 5: ე.წ. „არაცივილური“ ასოციაციები ისეთივე სამოქალაქო სექტორია, როგორც დანარჩენი სამოქალაქო ორგანიზაციები;

თემა 6: ქართული სამოქალაქო სექტორის საქმიანობას ვერ ვუნოდებთ ქველმოქმედებას.

დებატებისთვის მომზადების სახელმძღვანელო

დებატების ტექნიკა მოიცავს მცირე ჯგუფებს შორის შეჯიბრს რაიმე წინასწარ შეთანხმებულ თემაზე, სადაც ერთი გუნდი იცავს მოცემულ განცხადებაში ასახულ გარემოებებს, ხოლო მეორე კი - უარყოფს. შესაძლებელია, ჯგუფმა შეარჩიოს ლიდერი, რომელიც წამოიწყებს დისკუსიას. მიუხედავად ამისა, ჯგუფის ყველა წევრს უნდა მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა წვლილი შეიტანონ დისკუსიაში.

იმისათვის, რომ წარმატებით მოემზადოთ და ჩაატაროთ დებატები, აუცილებელია შემდეგი:

1. კვლევა

იმისათვის, რომ მოახდინოთ ეფექტური კომუნიკაცია, მნიშვნელოვანია ფაქტების ცოდნა. გააკეთეთ საშინაო დავალება. წაიკითხეთ საკვლევო თემის ირგვლივ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია. ცალკე ჩაინიშნეთ კვლევის პროცესში აღმოჩენილი მნიშვნელოვანი ციტატები/ფაქტები, რაც გამოგადგებათ დებატების პროცესში. დებატების მომზადების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ორივე მხარის არგუმენტების მოძიებას და გააზრებას. ამისათვის, თემა გაიაზრეთ განსხვავებული პერსპექტივიდან. შეაგროვეთ მტკიცებულებები ყველა საპირისპირო არგუმენტის მხარდასაჭერად.

2. პოზიციის გათავისება

მიუხედავად იმისა, რომ საკითხის შესწავლა მნიშვნელოვანია განსხვავებული პერსპექტივიებიდან, ბუნებრივია, კამათისათვის ასარჩევია ერთ-ერთი პოზიცია. არაა გამორიცხული, რომ თქვენ პირადად არ ეთანხმებოდეთ თქვენი გუნდის პოზიციას (შერჩეული თემის მხარეს), თუმცა, მომზადების პროცესში მნიშვნელოვანია ისე გაითავისოთ პოზიცია, რომ არგუმენტები სრული თავდადებითა და დარწმუნებით წარადგინოთ. თუ თქვენ შეგემჩნათ ყოყმანი – თქვენი არგუმენტები არადაამაჯერებელი იქნება.

3. დებატის აგება

დებატების დროს აზრები/წერილობითი სახელმძღვანელო დაალაგეთ შემდეგი გეგმით:

- ▶ შესავალი – ლაკონიურად;
- ▶ მტკიცებულება – წინასწარ შეარჩიეთ 4-დან 6-მდე ყველაზე ძლიერი მტკიცებულება;
- ▶ დასკვნა – გაიმეორეთ თეზისი და გამოყავით (დაამატეთ) ის მომენტები, სადაც თქვენ შეძელით ოპონენტის პოზიციის უარყოფა.

4. ვარჯიში

საჯარო გამოსვლის წინ ნერვიულობა ბუნებრივია, თუმცა, რაც უფრო ბევრს ივარჯიშებთ ხმამაღლა – მეგობრების, ოჯახის წევრების წინაშე, ან თუნდაც, მარტო - სარკის წინ – მეტად გაგიადვილებათ სიმშვიდის შენარჩუნება. თავდაჯერებულობა დაგეხმარებათ გამარჯვებაში.

5. პრეზენტაცია

- ▶ ჩაიცვით შესაბამისად – უფრო სერიოზულად იქნებით აღქმულნი;
- ▶ ღრმად ისუნთქეთ;
- ▶ ისაუბრეთ გასაგებად და ლაკონიურად და ისე, რომ ყველას ესმოდეს რას ამბობთ;
- ▶ ეცადეთ თვალის კონტაქტი დაამყაროთ დამსწრე აუდიტორიის წევრებთან;
- ▶ ხელთ იქონიეთ თქვენი შენიშვნები, მაგრამ თვალის შესავლებად და არა წასაკითხად;
- ▶ იქონიეთ ბლოკნოტი, რათა ჩაინიშნოთ კონკურენტი გუნდის მიერ გამოთქმული არგუმენტები კონტრარგუმენტები;
- ▶ ისაუბრეთ მარტივი სიტყვებით;
- ▶ არ ისაუბროთ მონოტონურად, რომ არ გახდეთ მოსაწყენი;

- ▶ ისაუბრეთ ენთუზიაზმით. ენთუზიაზმი მეტად სარწმუნოს გახდის თქვენს არგუმენტებს;
- ▶ კონკურენტი გუნდის პრეზენტაციის დროს უნდა გონებაში და წერილობით ჩაინიშნოთ კონტრარგუმენტები. თქვენ არ გექნებათ დრო, რომ დაამარცხოთ ყველა არგუმენტი, ამიტომ უნდა შეარჩიოთ ყველაზე მნიშვნელოვანი.

6. კონფლიქტის მოგვარება

კარგი ორატორი შეინარჩუნებს ფოკუსს და არ გადაუხვევს იმ საკითხიდან, რომელსაც განიხილავენ. გახსოვდეთ – მოწინააღმდეგე გუნდი არ „გადმოვა“ თქვენს მხარეზე. თქვენი არგუმენტები განკუთვნილია აუდიტორიისთვის, რათა გაიზიარონ და დაეთანხმონ თქვენს პოზიციას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია არა პიროვნებებზე, არამედ არგუმენტებზე ფოკუსირება. ასევე მნიშვნელოვანია, წაგების შემთხვევაში, შედეგების საკადრისად აღიარება. ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია კონფლიქტების თავიდან აცილებისთვის.

2.10. დამოუკიდებელი (თვითმართული) სწავლების მეთოდები

თეორიული მიმოხილვა

დამოუკიდებელი (ან თვითმართული) სწავლება ეფექტური გზაა სტუდენტებისთვის სწავლის უნარების გასავითარებლად, რაც გამოადგება ცხოვრების მანძილზე.

ის სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, ახსნან და შეიმუშაონ საკუთარი სამოქმედო გეგმა, შეისწავლონ, თუ რა და როგორ ისწავლონ, რათა დასახულ მიზნებს მიაღწიონ. ამ შემთხვევაში, სტუდენტები შეთანხმებულ სასწავლო მიზნებს დამოუკიდებლად სწავლებისა და აზროვნების გზით აღწევენ. ზემოხსენებულთან ერთად, სტუდენტები ეუფლებიან შესწავლის უნარების რეგულირების ტექნიკას, რაც მათში ავითარებს როგორც სწავლების, ასევე თვითშეფასების უნარებს.

ტერმინი self-directed learning (დამოუკიდებლად სწავლება ან თვითმართული სწავლება) გამოიყენება უმაღლესი განათლების თეორიებში და აკადემიურ საუბრებში იმის თაობაზე, თუ რა გზებითაა შესაძლებელი მასალის შესწავლა. ზრდასრულთა განათლების ექსპერტის, მალკომ ნოულსის (Knowles, ციტ. Lumenlearning.com 2021), „დამოუკიდებლად სწავლება წარმოადგენს პროცესს, როცა ადამიანი სხვების დახმარებით ან მის გარეშე იღებს ინიციატივას, შეაფასოს სწავლის საკუთარი შესაძლებლობები, ფორმულირება გაუკეთოს სასწავლო მიზნებს, გამოავლინოს ადამიანური და მატერიალური რესურსები სწავლისთვის, შეარჩიოს და განახორციელოს შესაბამისი სასწავლო სტრატეგიები და შეაფასოს სწავლის შედეგები.

დამოუკიდებელი სწავლების მეთოდი ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ფორმალურ გარემოში – კოლეჯში ან უნივერსიტეტში. ზოგიერთი ლექტორი ხელს უწყობს დამოუკიდებელ სწავლებას შემოქმედებითი დავალებებით, რაც უბიძგებს სტუდენტებს მეტი დამოუკიდებლობისკენ. არის შემთხვევები, როცა სტუდენტი მისდევს დამოუკიდებელი სწავლების მეთოდებს, რადგან უნდა, რომ გაიგოს მეტი, ან კურსის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია არასაკმარისია. ამ გამოწვევას სტუდენტი უმკლავდება წარმატების მისაღწევად ინდივიდუალური სასწავლო სტრატეგიის შემუშავებით (მაგ. დამატებითი მასალებისა და ინფორმაციის მოძიება და სხვ.) – რადგან დარწმუნებულია, რომ მისი მიზნებისა და ამოცანების აღსრულებისათვის ესაჭიროება მეტი, ვიდრე ხელმისაწვდომია კურსის ფარგლებში.

სოციალურ მეცნიერებებთან მიმართებაში, თვითმართვის და თვითშეფასების უნარები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ეს დარგები საჭიროებს დაგეგმვასა და კვლევას, ასევე გამოწვევებისა და პრობლემებისადმი არაორდინალური გამოსავლებისა და გადაწყვეტების მოძიებას. თვითმართული სასწავლო პროცესი ხელს უწყობს თავდაჯერებულობის, ინიციატივისა და მიზანდასახულობის განვითარებას.

მიუხედავად ზემოთქმულისა, დამოუკიდებელი სწავლება შესაძლებელია საკმაოდ პრობლემური აღმოჩნდეს თუნდაც მეტად მოტივირებული სტუდენტებისთვის. მიღებულია, რომ დამოუკიდებელი სწავლება ოთხი ძირითადი ეტაპისგან შედგება: მოემზადო სწავლებისთვის, დასახო სასწავლო გეგმები და გააკეთო სწავლის გეგმა, ჩაერთო სასწავლო პროცესში და შეაფასო სწავლება (Education for Fashion 2021). ვატერლოოს უნივერსიტეტის სწავლების სრულყოფის ცენტრი ზემოხსენებულ ეტაპებს შემდეგნაირად განმარტავს (University of Waterloo 2021):

ეტაპი 1: სწავლების მზაობის შეფასება

სტუდენტებს დამოუკიდებლად სწავლისთვის და ცოდნის შესაძენად სხვადასხვა უნარი და განწყობა სჭირდებათ. ეს ეტაპი გულისხმობს სტუდენტების თვითშეფასების ჩატარებას, რაც მოიცავს არსებულ მდგომარეობას, სწავლის ჩვევებს, ოჯახურ მდგომარეობას და მხარდაჭერას როგორც სასწავლო დაწესებულებაში, ასევე სახლში. ამ ეტაპზე ასევე ხდება დამოუკიდებელი სწავლების ადრეული გამოცდილების შეფასება (ეს შესაძლებელია იყოს ნებისმიერი დისციპლინის, მათ შორის მუსიკის, მხატვრობის, ენისა და სხვ. შესწავლა). თუკი სტუდენტი გამოავლენს დამოუკიდებლობას, ორგანიზებულობას, თვითდისციპლინას, კომუნიკაციის ეფექტურობას, ასევე კონსტრუქციული უკუგების მიმღებლობას და თვითშეფასების უნარს – ის მზადაა დამოუკიდებელი (თვითმართული) სწავლებისთვის.

ეტაპი 2: სასწავლო მიზნების დასახვა

მნიშვნელოვანია სასწავლო მიზნების შესახებ კომუნიკაცია სტუდენტსა და მრჩველ ინსტრუქტორს შორის. სასწავლო გეგმების დასახვის პროცესში სტუდენტმა პასუხი უნდა გასცეს ისეთ კითხვებს, როგორებიცაა: „სად ხარ ახლა?“, „სად გინდა მისვლა?“, „როგორც მიხვდები, რომ მიაღწიე მიზანს?“ და სხვ. ამასთან, სასწავლო მიზნების ნათლად გასააზრებლად და შესათანხმებლად სტუდენტსა და ინსტრუქტორს შორის მნიშვნელოვანია ე.წ. „სასწავლო კონტრაქტის“ შემუშავება. სასწავლო კონტრაქტები, ჩვეულებრივ მოიცავს:

- ▶ სასწავლო ერთეულის სწავლების მიზნებს;
- ▶ აქტივობების სტრუქტურას და თანმიმდევრობას;
- ▶ აქტივობების შესრულების გრაფიკს;
- ▶ თითო მიზნისთვის საჭირო მასალებს დეტალურად;
- ▶ შეფასების (ქულის მინიჭების) დეტალებს;
- ▶ შეფასებასა და უკუგებას თითო მიზნისთვის;
- ▶ ინსტრუქტორთან შეხვედრების გეგმას;
- ▶ სხვა შეთანხმებებს, მაგ. რა ხდება დაგვიანებული დავალების შემთხვევაში და სხვ.

კონტრაქტის შემუშავებას უნდა მოსდევდეს პუნქტების გადახედვა და შეფასება, რათა აღებული ვალდებულებები რეალისტური იყოს. უნდა დაისვას ისეთი კითხვები, როგორებიცაა: რა შეიძლება ვერ გაკეთდეს? ზედმეტად ბევრი სამუშაოა თუ ზედმეტად ცოტა? რამდენად რეალისტურია დროში განერილი გეგმა? და სხვ.

ეტაპი 3: სასწავლო პროცესში ჩართვა

აუცილებელია, რომ სტუდენტებმა გაიაზრონ საკუთარი სწავლების სტილი, როგორც მოსწავლეებმა იმისათვის, რომ დაინახონ დამოუკიდებელი სწავლების საჭიროებები.

⁸ დეტალური თვითშეფასების სახელმძღვანელო იხ. ქვემოთ - „დავალება და ინსტრუქცია სტუდენტებისთვის“ ქვეთავში.

⁹ დეტალური კითხვების ჩამონათვალი იხ. ქვემოთ - „დავალება და ინსტრუქცია სტუდენტებისთვის“ ქვეთავში.

სწავლების პრეფერენციები/სწავლების სტილი

სოლომანისა და ფელდერის მოდელი (Soloman-Felder Model)

(ადაპტირებულია წყაროდან: Felder R. & Soloman B, (2002), *Learning Stiles and Strategies*,; Felder, R. (1996). *Matters of Style*. ASEE Prism, December, pp. 18-23)

სწავლების სტილის პრეფერენციები გულისხმობს „ადამიანისთვის დამახასიათებელ თვისებებს და პრეფერენციებს ინფორმაციის დამუშავების პროცესში“ (Felder 1996). Soloman-Felder - ის სწავლების სტილის მოდელი აერთიანებს ძირითადი მიდგომების უმეტესობას, რათა გააზრებულ იქნას სწავლების პრეფერენციები და შემუშავებული, რათა კოლეჯისა და უნივერსიტეტის სტუდენტებმა თავად შეიცნონ საკუთარი სწავლების სტილის პრეფერენციები. Soloman-Felder-ის ინდექსის სწავლების სტილების ოთხივე სკალას აქვს ორი საპირისპირო პრეფერენცია. შესაძლებელია, რომ ერთი და იგივე ადამიანი იყენებდეს ყველა პრეფერენციას, თუმცა, სხვადასხვა დოზით.

აქტიური/რეფლექტორული სკალა: როგორ გირჩევნიათ ინფორმაციის დამუშავება?

აქტიური	რეფლექციური
აქტიური ადამიანი სწავლობს ინფორმაციის „გააქტიურებით“, ე.ი. მათ ურჩევნიათ გადაამუშაონ ინფორმაცია მასზე საუბრით, ან გამოცდით.	რეფლექციური ადამიანი სწავლობს ინფორმაციაზე ფიქრის საშუალებით. მათ მოქმედებამდე ურჩევნიათ კარგად გაიაზრონ და გაიგონ ინფორმაცია.

შეგრძნება/ინტუიციის სკალა: როგორ გირჩევნიათ მიიღოთ ინფორმაცია?

შეგრძნება	ინტუიცია
ამ ტიპის ადამიანებს ურჩევნიათ მიიღონ კონკრეტული და პრაქტიკული ინფორმაცია. ისინი ორიენტირებულნი არიან დეტალებზე, ფაქტებზე და ციფრებზე და ურჩევნიათ გამოიყენონ გამოცდილი პროცედურები. ისინი რეალისტები არიან და უყვართ პრაქტიკული სამუშაოები.	ინტუიციური ადამიანები იღებენ აბსტრაქტულ, ორიგინალურ და თეორიაზე ორიენტირებულ ინფორმაციას. ისინი უყურებენ „დიდ სურათს“ და ცდილობენ დაინახონ კანონზომიერება. მათ მოსწონთ შესაძლებლობებისა და კავშირების გამოვლენა განსხვავებულ ფაქტებს შორის და მუშაობენ იდეებზე.

ვიზუალური/ვერბალური სკალა: როგორ გირჩევნიათ ინფორმაციის წარმოდგენა?

ვიზუალური	ვერბალური
„ვიზუალურ მოსწავლეებს“ ურჩევნიათ მასალების ვიზუალური პრეზენტაციები: დიაგრამები, გრაფები, ნახატები და სხვ.	„ვერბალურ მოსწავლეებს“ ურჩევნიათ სიტყვებით ახსნა – როგორც წერილობით, ასევე სიტყვიერად.

თანმიმდევრული/გლობალური სკალა: როგორ გირჩევნიათ ინფორმაციის ორგანიზება?

თანმიმდევრული	გლობალური
<p>ამ ტიპის ადამიანებს ურჩევნიათ ინფორმაცია იყოს დალაგებული ხაზოვნად, განსაზღვრული თანმიმდევრობით. ისინი სწავლობენ ლოგიკურად თანმიმდევრული ნაბიჯებით და ინფორმაციასთან მუშაობენ ორგანიზებულად და სისტემურად.</p>	<p>„გლობალურ მოსწავლეებს“ ურჩევნიათ ინფორმაციის მეტად კომპლექსურად დალაგება – თითქოს და შემთხვევითი მანერით, კავშირების გარეშე. მათ ხშირად აღიქვამენ დაბნეულებად და არაორგანიზებულებად, თუმცა ხშირად ქმნიან შემოქმედებით ან სწორ საბოლოო პროდუქტს.</p>

ზემოხსენებულთან ერთად, სტუდენტებმა უნდა გაიაზრონ სწავლის მიმართ საკუთარი მიდგომები:

- ▶ სიღრმისეული მიდგომა მოიცავს ტრანსფორმაციას და იდეალურია დამოუკიდებელი სწავლებისთვის. ეს მიდგომა გულისხმობს დამოუკიდებლად იდეების გაგებას, ცოდნის გამოყენებას ახალ ვითარებაში და კონცეფციის ასახსნელად ნოვატორული მაგალითების მოყვანას. ამ შემთხვევაში სტუდენტი სწავლობს მეტს, ვიდრე მოეთხოვება დავალების შესასრულებლად.
- ▶ ზედაპირული მიდგომა მოიცავს რეპროდუქციას: სასწავლო მოთხოვნების დაკმაყოფილებას, მხოლოდ იმის სწავლას, რაც აუცილებელია მოცემული დავალების კარგად შესასრულებლად. ამ შემთხვევაში სტუდენტი მიდრეკილია გამოტოვოს საკითხავ მასალაში მოცემული მაგალითები და განმარტებები.
- ▶ სტრატეგიული მიდგომა მოიცავს ორგანიზებას: შესაძლო უმაღლესი ნიშნების მიღება, იმის სწავლა, რაც აუცილებელია გამოცდის ჩასაბარებლად, ფაქტების დამახსოვრება და დროის დახარჯვა გასული გამოცდების მაგალითზე სავარჯიშოდ.

მიუხედავად იმისა, რომ ადრეული აკადემიური ნაშრომები აღიარებდა ზედაპირულ და სტრატეგიულ მიდგომებს, ამგვარი მიდგომები ვერ იქნება საკმარისი (ან შესაბამისი) დამოუკიდებელი სწავლებისთვის, რადგან ეს უკანასკნელი მოითხოვს სტუდენტების მხრიდან იდეების გაგებას და ცოდნის გამოყენებას ახალ ვითარებებში. ამ შემთხვევაში, სტუდენტებმა თავად უნდა გააბან კავშირები და თავად აიმაღლონ მოტივაცია.

ეტაპი 4: სწავლის შეფასება

იმისათვის, რომ სტუდენტი წარმატებული იყოს დამოუკიდებელი სწავლების პროცესში, მას უნდა ჰქონდეს უნარი, თავად შეაფასოს სასწავლო მიზნების მიღწევა და პროგრესი. თვითშეფასების პროცესის ხელშესაწყობად, სტუდენტებმა უნდა გააკეთონ შემდეგი:

- ▶ რეგულარულად მიიღონ კონსულტაცია მრჩეველ ინსტრუქტორისაგან (ლექტორისგან);
- ▶ მოითხოვონ უკუგება;
- ▶ საკუთარ თავს დაუსვან ისეთი კითხვები, როგორებიცაა: საიდან ვიცი, რომ ვისწავლე? რამდენად შემიძლია მასალების გამოყენება? რამდენად თავდაჯერებული ვარ მასალის ახსნისას? და სხვ.

პრაქტიკული ნაწილი

მეთოდის გამოყენება შესაძლებელია საუნივერსიტეტო კურსის შემდეგი სასწავლო თემების განხილვისას:

- თემა 1:** სამოქალაქო საზოგადოების მიმოხილვა, მაგალითები და ტერმინები;
- თემა 2:** სამოქალაქო საზოგადოების თეორიები;
- თემა 3:** სამოქალაქო საზოგადოების ფორმები და შემადგენლობა;
- თემა 4:** სამოქალაქო საზოგადოების ზეგავლენა და წვლილი;
- თემა 5:** სამოქალაქო საზოგადოების ისტორია;
- თემა 6:** სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში;
- თემა 7:** სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო;
- თემა 8:** სამოქალაქო საზოგადოება და ბიზნესი;
- თემა 9:** სამოქალაქო საზოგადოება და რელიგიური ინსტიტუტები;
- თემა 10:** გლობალიზაცია და სამოქალაქო საზოგადოება;
- თემა 11:** სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციული ასპექტები (დაფინანსების წყაროები).

ჯვარედინი თემები:

- ▶ მოსწავლეთა თემი;
- ▶ პროექტის მეთოდი;
- ▶ შერეული სწავლების მეთოდი.

რეკომენდებული სასწავლო მაგალითები

- ▶ ცოდნის კაფე;
- ▶ პირველი ნაბიჯი საქართველო;
- ▶ იკორთა;
- ▶ ფერმერული კოოპერატივები;
- ▶ სამოქალაქო საზოგადოება უნგრეთში;
- ▶ კამპანია ირანის დისკრიმინაციული კანონმდებლობის შესაცვლელად;
- ▶ 2015 წლის ლტოლვილთა კრიზისი ევროპაში;
- ▶ მხარი დაუჭირეთ Standing Rock-ს;
- ▶ ორგანიზაცია ACT UP ნიუ-იორკი.

ლექტორის ინსტრუქცია

ცნობილია, რომ საკლასო ოთახში ცოდნის მიღების ორი საშუალება არსებობს: ლექტორის მიერ მართული სწავლება და დამოუკიდებელი სწავლება. ლექტორის მიერ მართული სწავლება ცოდნის გადაცემის ტრადიციული საშუალებაა: აქ ლექტორი უძღვება გაკვეთილს და სტუდენტები მეტად პასიურნი არიან – უსმენენ და ინიშნავენ ინფორმაციას. ჩვეულებრივ, ეს მეთოდი მეტად კომფორტული შეიძლება იყოს ლექტორისთვის, რადგან აკონტროლებს, რას ასწავლის და, უმეტესწილად, იმასაც, თუ რა მეთოდებით სწავლობენ სტუდენტები. მიუხედავად ამისა, მე-20 საუკუნის 70-ან წლებში დამოუკიდებლად სწავლება გახდა დასავლური განათლების ძირითადი მამოძრავებელი და მას შემდეგ აღიარებულია სტრატეგიულ მიდგომად (Loeng 2020).

დამოუკიდებლად სწავლება არ ნიშნავს მასწავლებელზე უარის თქმას. ეს მხოლოდ მეთოდია, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს გადაწყვიტონ, თუ როგორ ისწავლონ და წარმოადგინონ მასალები. ეს ასევე არ გულისხმობს მასწავლებლის ჩანაცვლებას, რადგან მეთოდი მოითხოვს ლექტორის მხრიდან სტრატეგიის ხელმძღვანელობასა და მოდელირებას.

სამოქალაქო საზოგადოების სწავლების პროცესში, დამოუკიდებელი სწავლება ბუნებრივად გათვალისწინებული იმ ინტერაქტიური დავალებებითა და აქტივობებით, რაც დაკავშირებულია სამოქალაქო სექტორის მაგალითების შესწავლასა და განხილვასთან. ამასთან, დამოუკიდებლად სწავლების წახალისების მიზნით, შესაძლებელია ასევე შემდეგი სტრატეგიების გამოყენება:

- ▶ დახმარება მიზნების დასახვაში. ლექტორი ეხმარება სტუდენტს მიზნების დასახვაში. აქ შესაძლებელია ერთობლივად იმ საკითხების ჩამოწერა, რომელთა დაუფლება სურს სტუდენტს. ლექტორი ეხმარება სტუდენტს დასახოს რეალისტური და მიღწევადი მიზნები;
- ▶ ცოდნის გაღრმავება. მნიშვნელოვანია სტუდენტმა დაიწყოს ნაცნობი საკითხით, რაც დაეხმარება მას სწავლების პროცესის გავლაში. ამ გზით, სტუდენტი იწყებს გაცნობიერებას, თუ როგორ უნდა ისწავლოს ახალი მასალა;
- ▶ განსხვავების დანახვა სასარგებლო და უსარგებლო ინფორმაციებს შორის. როცა სტუდენტი იწყებს დამოუკიდებლად სწავლას – მნიშვნელოვანია იცოდეს, თუ როგორ განასხვავოს სარწმუნო ინფორმაცია უბრალოდ გასართობი ან ცრუ ინფორმაციისგან. სწავლების მნიშვნელოვანი ნაწილია სწორედ იმის გარკვევა, თუ რომელია სანდო ინფორმაცია;
- ▶ გამონვევის დასახვა, თამაშზე დაფუძნებული სტრატეგიების გამოყენება ხელს შეუწყობს სტუდენტთა მონაწილეობას;
- ▶ ხელი შეუწყეთ თანამშრომლობას, არაა აუცილებელი დამოუკიდებლად სწავლება ერთი ადამიანის სტრატეგია იყოს. სტუდენტებმა უნდა იცოდნენ, თუ როგორ იმუშაონ ერთად და დამოუკიდებელი სწავლების მეთოდი თანამშრომლობის წახალისების საუკეთესო საშუალებაა.

დღევანდელ დღეს, ელექტრონული რესურსების ხელმისაწვდომობა და სიმდიდრე მნიშვნელოვნად აადვილებს სტუდენტთა დამოუკიდებლად სწავლებას ტრადიციულ ან ვირტუალურ კლასებში. ამ უკანასკნელმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიიღო კოვიდ 19-ის პანდემიის პირობებში, როცა ვირტუალური კლასები სწავლების გარდაუვალი საშუალება გახდა. დამოუკიდებელი სწავლების წახალისება და განხორციელება საუკეთესო საშუალებაა ვირტუალურ გარემოში სტუდენტების დაინტერესების საქმეში, რადგან არსებობენ სტუდენტები, ვისაც მარტივად ებნევათ ყურადღება ვიდეო-კონფერენციების დროს, ან ვისაც სურს დამოუკიდებლად მასალების სწავლება ან/და პროექტების განხორციელება.

იმისათვის, რომ სტუდენტთა დამოუკიდებელი სწავლება წარმატებული აღმოჩნდეს, სასარგებლოა სტუდენტთა შემომწევა, რამდენად მზად არიან დამოუკიდებელი სწავლებისთვის და აფასებენ საკუთარ სასწავლო მიზნებს (იხ. დავალება და ინსტრუქციები სტუდენტებისთვის).

დავალება და ინსტრუქცია სტუდენტებისთვის

დავალება 1: დამოუკიდებელი სწავლება: სწავლის მზაობა

(ადაპტირებულია წყაროდან: University of Waterloo, Center of Teaching Excellence, Independent Studies, Readiness to Learn, 2021)

წარმატებულ დამოუკიდებელ სწავლებას ბევრი უნარ-ჩვევა და განწყობა სჭირდება. წარმოდგენილი სწავლების უნარების შეფასების იარაღი დაგეხმარებათ შეაფასოთ თქვენი მზაობა, ისწავლოთ დამოუკიდებლად. შეავსეთ მოწოდებული ფორმა და ასევე შეავსებინეთ ვინმეს, ვინც კარგად გიცნობთ. თვითშეფასება მნიშვნელოვანია, თუმცა სხვების აზრის მოსმენა უფრო მეტად ობიექტურ შედეგს დაგვანახებს.

უნარები და კომპეტენცია	საკითხი მნიშვნელოვანია 1 - ძალიან 2 - საკმაოდ 3 - სუსტად 4 - უმნიშვნელო	უნარების ამჟამინდელი შეფასება 1 - საუკეთესო 2 - კარგი 3 - ადეკვატური 4 - სუსტი
ცხოვრებისეული უნარები: დროისა და რესურსების ორგანიზება თქვენს ცხოვრებაში, მუშაობისას სხვებთან თანამშრომლობა, გარემოცვის მხარდაჭერა		
დამოუკიდებლობა: დამოუკიდებლობა, მოტივირებულობა, თვითდაჯერებულობა, რესურსების არსებობა, ინიციატივა და გონივრულობა		
„საბაზისო“ უნარები: წერა-კითხვა, ციფრების ცოდნა, გრაფიკული გამოსახულების ცოდნა, კომპიუტერული ცოდნა და სხვ.		
ინფორმაციის მოძიების უნარი: ინფორმაციის მოძიების უნარი შემდეგი წყაროების გამოყენებით: ბიბლიოთეკა, ელექტრონული წყაროები, მონაცემების ინტერპრეტაცია, ცხრილები და სხვ.		
სწავლის ჩვევები: პროექტებისთვის მასალების ორგანიზება, შენიშვნების ჩაწერა, დავალების მოთხოვნების გაგება და სხვ.		
სწავლის სწავლა: დავალების მოთხოვნის გააზრება, მოქნილობა, სწავლებისათვის აუცილებელი საკითხების ცოდნა, თვითშეფასება		
დაგეგმვის უნარები: სასწავლო მიზნების მისაღწევად გეგმის შემუშავების უნარი, გეგმის განხორციელების უნარი		
პრობლემის განსაზღვრის უნარი: კითხვის ფორმულირების უნარი, რაზეც პასუხი გაეცემა სხვადასხვა მოკვლევის საშუალებით (პროექტები, ბიბლიოთეკა, საკითხავი მასალა)		
ანალიტიკური უნარი: ინფორმაციის მოსაძიებლად ეფექტური საშუალებების შერჩევის უნარი, ინფორმაციის ორგანიზებისა და ანალიზის უნარი, მეტად სანდო და შესაბამისი ინფორმაციის წყაროების შერჩევის უნარი		
კომუნიკაციის უნარი: ანგარიშის, ესეს, ინსტრუქციის, თემისა და სხვ. წერის უნარი		
შეფასების უნარი: მიღწევების დადასტურების შესახებ მტკიცებულების შეგროვების უნარი, კონსტრუქციული კრიტიკის მიღების უნარი		
საქმის ბოლომდე მიყვანის უნარი: პრობლემური საკითხების იდენტიფიცირების უნარი, სამუშაოს გადახედვის/შესწორების უნარი		

თუ (თითო სვეტში) მიღებული ქულის საშუალოა 1-დან 3-მდე – თქვენ მზად ხართ დამოუკიდებელი სწავლებისთვის. თუ (თითო სვეტში) მიღებული ქულის საშუალო სამზე მაღალია – თქვენ გარკვეული მიმართულებებით გესაჭიროებათ დახმარება, მოცემული თემის/საგნის სწავლების პროცესში.

დავალბა 2: სწავლების მიზნების დასახვა

სასწავლო მიზნების დასახვის პროცესში, მნიშვნელოვანია მთელი რიგი საკითხების გააზრება, რაც მეტად რეალისტურსა და მიღწევადს გახდის თქვენს სასწავლო მიზნებს.

წარმოდგენილი კითხვები განკუთვნილია დაგეხმაროთ საგნის/თემის შესწავლის პროცესის შემუშავებაში. დაუთმეთ დრო კითხვებზე პასუხების გაცემას, თანმიმდევრული და კონკრეტული გეგ- მის შესამუშავებლად.

დამოუკიდებელი სწავლება: საგნის სწავლის დაგეგმვის ხელშემწყობი სახელმძღვანელო

1. რა ეტაპზე ხართ ახლა?

- რა განათლება გაქვთ?
- იცით რამე ამ საგნის/თემის ირგვლივ?
- ესადაგება ეს საგანი თქვენი მისაღები სასწავლო ხარისხის მოთხოვნებს?

2. რა არის თქვენი მიზანი?

- რა გინდათ, ისწავლოთ (ცოდნა და უნარები)?
- თემის/საგნის გავლის შემდეგ რის გაკეთების უნარი უნდა გქონდეთ?

3. როგორ მიხვდებით რომ მიაღწიეთ მიზანს?

- როგორ გაუკეთებთ შეფასებას თქვენს სასწავლო მიღწევებს?
- რა ტიპის შეფასების მეთოდს ირჩევთ, რომელია მეტად შესაბამისი თქვენი მიზნებისთვის (მაგ. ესსე, პრეზენტაცია, ვებგვერდი, სხვ.)?

4. რა ხერხებით/მეთოდებით აპირებთ დასახული მიზნების მიღწევას?

რა ტიპის აქტივობებს აირჩევთ?

- წაკითხვა, დაწერა, მოყოლა ან/და დაწერა;
- საველე სამუშაო, კითხვა, მოყოლა;
- წაკითხვა, გააზრება, საველე სამუშაო/პროექტი;
- მცირე პროექტი – დამატებითი ცოდნის მიღება – დიდი პროექტის განხორციელება.

5. როდის განახორციელებთ ამას?

- შეიმუშავეთ ყოველდღიური/კვირული გეგმა;
- რა საქმიანობის გაკეთებაა საჭირო პირველ ეტაპზე?
- რა თანმიმდევრობაა საჭირო?

6. ვინ/რა დაგეხმარებათ?

- რა რესურსები გჭირდებათ?
- ჩამოთვალეთ ხალხი, ადგილები, ნაცნობები, სტატიები, მედია, და სხვ.

7. როგორ იქნება თქვენი აქტივობები შეფასებული?

- ვინ შეაფასებს თქვენს საქმიანობას/სწავლას?
- რომელი აქტივობები საჭიროებს შეფასებას?

8. რა ტიპის უკუგება გესაჭიროებათ?

- რამდენად ხშირად დაგჭირდებათ ინსტრუქტორთან კონსულტაცია?

2.11. მოსწავლეთა თემი

თეორიული მიმოხილვა

სწავლების კულტურას არსებითი ზეგავლენა აქვს სტუდენტთა აკადემიურ ქცევაზე. ყველა ლექტორს ახსოვს ენერჯითა და ენთუზიაზმით სავსე კლასი, თუმცა ამგვარი გამოცდილების ყოველდღიური რეპლიკაცია საკმაოდ რთულია. სწავლების კულტურას მრავალი ფაქტორი განაპირობებს, მოსწავლეებისა და მასწავლებლის განწყობებისა და რწმენის, საკლასო ინტერაქციის, ხელმისაწვდომი რესურსების და მასწავლებლის მიერ ინსტრუქციების პრაქტიკის ჩათვლით (Learningandadolescencemind 2021).

ანალიტიკოსების აზრით, სწავლების კულტურაზე დადებით ზეგავლენას ახდენს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის ნამდვილი მოსწავლეთა თემის შექმნა. მოსწავლეთა თემი განისაზღვრება, როგორც ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც იზიარებენ ფასეულობებსა და რწმენებს, ვინც აქტიურადაა ჩართული ერთმანეთისგან სწავლის პროცესში – სტუდენტები მასწავლებლისგან, მასწავლებელი სტუდენტისგან და სტუდენტები სტუდენტებისგან. ამ გზით, ისინი ქმნიან სწავლაზე ორიენტირებულ გარემოს, რომელშიც სტუდენტები და პედაგოგები აქტიურად და მიზანმიმართულად ერთად აგებენ ცოდნას. მოსწავლეთა თემები დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან, თანამშრომლობენ და მხარს უჭერენ ერთმანეთს (Learningandadolescencemind.org, 2021).

ზემოხსენებულთან მიმართებაში, სოციალური სწავლების თეორიები გვეხმარება გავიგოთ, თუ როგორ სწავლობენ ადამიანები სოციალურ კონტექსტში (ერთმანეთისგან) და პედაგოგებს სთავაზობენ აქტიური მოსწავლეთა თემის კონსტრუირების გზებს (Neff 2021). არიზონას უნივერსიტეტის მკვლევრისა და განათლების ექსპერტის ლინდა ნეფის მიხედვით, რუსმა პედაგოგმა და ფსიქოლოგმა ლევ ვიგოტსკიმ (Vygotski, ციტ. Neff 2021) ერთ-ერთმა პირველმა განაცხადა, რომ ადამიანები სწავლობენ ერთმანეთისგან და ერთმანეთთან ინტერაქციით. ამასთან, ვიგოტსკი ვარაუდობს, რომ სწავლების პროცესი სახეზეა, როცა სტუდენტები ურთიერთობენ თანაკურსელებთან, მასწავლებლებთან და ექსპერტებთან. შესაბამისად, პედაგოგებს შეუძლიათ შექმნან სასწავლო გარემო, რომელიც მაქსიმალურად გააძლიერებს მოსწავლეების ერთმანეთთან ინტერაქციის შესაძლებლობას, დისკუსიების, თანამშრომლობისა და უკუგების გზით. უფრო მეტიც, ვიგოტსკი ამტკიცებს, რომ კულტურა პირველადი ფაქტორია, რაც განაპირობებს ცოდნის კონსტრუირებას და ჩვენ ვსწავლობთ ამ კულტურულ პრიზმაში, სხვებთან ინტერაქციის საშუალებით და ჩვენი კულტურით ფორმულირებული კანონების, უნარებისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

პედაგოგს (ან საგნის ექსპერტს) ენიჭება მნიშვნელოვანი ფასილიტატორის როლი, რათა სასწავლო გარემოში შესაძლებელი იყოს ინტერაქცია. ანალიტიკოსები და განათლების თეორეტიკოსები ავითარებენ სოციალური პროცესის იდეებს და გვთავაზობენ სტრატეგიებს, რაც, მცირე ჯგუფების საშუალებით, ხელს შეუწყობს სიღრმისეული ცოდნის კონსტრუირებას და მოსწავლეთა აქტიური თემის შექმნას.

მნიშვნელოვანია, რომ ვიგოტსკი ამტკიცებს, რომ სწავლის პროცესი ყოველთვის სახეზეა და ვერ იქნება განცალკევებული სოციალური კონტექსტისგან. შესაბამისად, სასწავლო სტრატეგიები, რომლებიც ხელს უწყობს ექსპერტული ცოდნის განაწილებას, სადაც სტუდენტები თანამშრომლობენ და ერთად მუშაობენ კვლევაზე, ერთმანეთს უზიარებენ შედეგებს და ერთობლივად ქმნიან საბოლოო პროდუქტს – გვეხმარება თანამშრომლობითი მოსწავლეთა თემის შექმნაში. ვიგოტსკის თეორიის მიხედვით, ცოდნის კონსტრუირება ხდება სოციალურ კონტექსტში, რომელიც მოიცავს სტუდენტი-სტუდენტი და ექსპერტი-სტუდენტი თანამშრომლობას რეალურ ცხოვრებისეულ პრობლემებსა ან ამოცანებზე და ეფუძნება ინდივიდუალური კულტურით განპირობებული თითოეული ადამიანის ენას, უნარებსა და გამოცდილებას (Vygotski, ციტ. Neff 2021).

მოსწავლეთა თემის იდეა ეფუძნება თეზისს, რომ შესწავლა ხდება, როცა ადამიანები ერთობლივად მონაწილეობენ რაიმე ნამონყებაში, სადაც ყველას განკუთვნილი აქვს აქტიური (თუმცა ხშირად, ასიმეტრიული) როლი სოციო-კულტურულ აქტივობაში (Neff 2021). მოსწავლეთა პოზიტიური თემი მხარს უჭერს სტუდენტთა განსხვავებულ შესაძლებლობებს, რაც მიიღწევა ყველაწევრისთვის მათი კვალიფიკაციისა და კომფორტის შესაბამისი მონაწილეობის უზრუნველყოფით.

აქვე მნიშვნელოვანია მონაწილეთა უსაფრთხო ყოფნა და კითხვების დასმისა და შეცდომების დაშვების მზაობა. ამ ტიპის ჩართულობის ხელშეწყობა მოტივაციას უზრდის სტუდენტებს, შესაბამისად, უსაფრთხო თემი, სადაც სტუდენტები და პედაგოგები მოკავშირეები არიან მნიშვნელოვანია უკეთესი ჩართულობისთვის და აკადემიური წარმატებისთვის (Learningandadolescencemind.org, 2021).

სასწავლებელმა, რომელიც დაინტერესებულია მოსწავლეთა თემის შექმნაში, ერთი კლასის, ან მთლიანად სასწავლო დაწესებულების ფარგლებში, უნდა მისდოს შემდეგ რეკომენდაციებს ჩართულობისთვის და აკადემიური წარმატებისთვის (Learningandadolescencemind.org, 2021):

- ▶ ხელი შეუწყოს, ივარაუდოს და მოითხოვოს ავთენტური კოლეგიალობა სისტემის ზრდასრულ წევრებს შორის;
- ▶ მოდელირება გაუკეთოს, ხელი შეუწყოს და ჰქონდეს სტუდენტთა მონაწილეობის და აქტიური ჩართულობის მოლოდინი;
- ▶ ყველა სტუდენტის მიმართ ჰქონდეს მაღალი მოლოდინები, ამავედროულად, შესაბამისი სოციალური და აკადემიური მხარდაჭერის უზრუნველყოფით;
- ▶ სტუდენტებში გააღვივოს კუთვნილების გრძნობა, განსხვავებული კომპეტენციისა და ექსპერტიზის აღიარებით.

მოსწავლეთა თემის მიდგომა გარკვეულ კითხვებს სვამს სასწავლო გარემოს დიზაინთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო აუდიტორიები ბევრად შეიცვალა წლების განმავლობაში და მეტადაა ორიენტირებული სოციალურ ინტერაქციაზე, მოსწავლეთა თემის შექმნა მაინც განსხვავებულ მიდგომებს მოითხოვს. ტორონტოს უნივერსიტეტისა და ბოსტონის კოლეჯის მკვლევრებმა ჩამოაყალიბეს რვა განზომილება, რომელიც გვთავაზობს მოსწავლეთა თემისთვის აუცილებელ პირობას. კერძოდ (Bielaczyc & Collins 1999):

თემის მიზნები: სასწავლო აუდიტორიების უმეტესობა ხელს უწყობს კულტურას, სადაც სტუდენტებმა უნდა შეისწავლონ ერთი და იგივე რამ ერთსა და იმავე დროს. იმის მაგივრად, რომ ფოკუსირდნენ განსხვავებულ გამოცდილებაზე და პრობლემების გადაწყვეტაზე, აქცენტი კეთდება კონკრეტული საგნის შესწავლაზე. ამის საპირისპიროდ, მოსწავლეთა თემის მიზანია განავითაროს სწავლების კულტურა, სადაც როგორც ცალკეული ადამიანები, ასევე მთლიანად თემი სწავლობს თუ როგორ ისწავლოს. უფრო მეტიც: თემის წევრები ერთმანეთს უზიარებენ ინდივიდუალურ ცოდნას საგნის უფრო სიღრმისეულად გასააზრებლად. სტუდენტები სწავლობენ მრავალი პერსპექტივის შეჯერებას, პრობლემების განსხვავებული გზებით გადაჭრას და ერთმანეთის ცოდნისა და უნარების გამოყენებას პრობლემების გადაჭრის პროცესში. აქ მიღებულია განსხვავებული წევრების პატივისცემა და დაფასება.

სასწავლო აქტივობები: გამომდინარე იქიდან, რომ მიზანია სწავლის კულტურის ხელშეწყობა, მოსწავლეთა თემის აქტივობებმა უნდა უზრუნველყოს (1) ინდივიდუალური განვითარებისა და ასევე, ცოდნის კონსტრუირების თანამშრომლობითი საშუალებები, (2) თემის წევრებს შორის ცოდნისა და უნარების გაზიარების საშუალებები და (3) სასწავლო პროცესის ვიზუალური და ვერბალური თვალსაჩინოება. მოსწავლეთა თემის მიდგომა, ჩვეულებრივ, იყენებს სასწავლო აქტივობების ფართო სპექტრს, როგორებიცაა ინდივიდუალური და ჯგუფური კვლევა, საკლასო დისკუსიები, პრეზენტაციების ერთობლივი მომზადება, თანამშრომლობითი მიდგომა პრობლემის გადაწყვეტისას, სადაც სტუდენტები ინაწილებენ ფუნქციებს საერთო მიზნის მისაღწევად და სხვ.

მასწავლებლის როლი და ძალაუფლება: კლასების უმეტესობაში მასწავლებელი განსაზღვრავს, რა ისწავლება და ასევე აფასებს სტუდენტების სამუშაოს. ამისგან განსხვავებით, მოსწავლეთა თემის მიდგომა გულისხმობს მასწავლებლისგან სტუდენტის ხელმძღვანელობით განხორციელებული აქტივობის ორგანიზებასა და ფასილიტაციას. ძალაუფლების გადაცემა ხდება მაშინ, როცა სტუდენტი თავად ხდება პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და სხვების სწავლაზე. სტუდენტი ასევე ივითარებს საკუთარი და თემის პროგრესის შეფასების უნარებს.

ცენტრალური და პერიფერიული როლი დამოკიდებულია კონტექსტზე. კლასების უმეტესობაში სტუდენტები მუშაობენ ერთსა და იმავე საკითხზე და ნავარაუდევია, რომ ყველამ უნდა მიაღწიოს ერთი და იგივე ცოდნის დონეს. მიუხედავად ამისა, ზოგიერთს შეუძლია მეტი წვლილი შეიტანოს

საერთო საქმეში დროის კონკრეტულ მონაკვეთში, ხოლო სხვებმა – სხვა დროს. გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეთა თემის წევრები ასრულებენ განსხვავებულ როლებს და მისდევენ კერძო ინტერესებს საერთო მიზნის მისაღწევად, სტუდენტებს უვითარდებათ ინდივიდუალური ექსპერტიზა და იდენტობა. მრავალფეროვნება მნიშვნელოვანია, შესაბამისად, თემში უნდა შეიქმნას ერთმანეთის პატივისცემის ატმოსფერო. საერთო მიზნის მიღწევის პროცესში და თემის წევრებში არსებული განსხვავებული კვალიფიკაციისა და ექსპერტიზის გააზრებით, ჩნდება იდენტობის, ე.ი „ვინ ვართ ჩვენ“ შემეცნება.

რესურსები. ყველა სასწავლო პროცესში გამოიყენება კლასგარეშე რესურსები ცოდნის გასაღრმავებლად, როგორებიცაა მაგ. ვებგვერდები. მიუხედავად ამისა, მოსწავლეთა თემის წევრები ერთმანეთს უზიარებენ როგორც გარე წყაროებიდან მიღებული ცოდნის შინაარსს, ასევე სწავლის პროცესს, რაც ბოლოს კოლექტიური ცოდნის ნაწილი ხდება.

დისკურსი. მოსწავლეთა თემის მიდგომა გულისხმობს, რომ იდეებისა და პრაქტიკის აღმწერი ენა წარმოიქმნება სხვადასხვა ცოდნის წყაროსთან ინტერაქციით და თემის წევრებს შორის მოლაპარაკებით. თემი შეიმუშავებს გზებს სასწავლო პროცესის, გეგმების, მიზნებისა და ვარაუდების არტიკულირებისთვის. ჩვეულებრივი კლასისგან განსხვავებით, სადაც მასწავლებლები და ტექსტები ფორმალურ ენას მისდევენ, მოსწავლეთა თემში დისკურსი ატარებს მედიუმის ფუნქციას, იდეების ფორმულირებისა და გაცვლისათვის.

ცოდნა. მოსწავლეთა თემებში აქცენტი კეთდება მრავალმხრივი ინდივიდუალური კომპეტენციის და ასევე კოლექტიური ცოდნის განვითარებაზე. იმისათვის, რომ სტუდენტმა აამაღლოს კომპეტენცია, მან ღრმად უნდა შეისწავლოს საკითხი. კომპლექსური საკითხის შერჩევა მნიშვნელოვანია. საკვლევ თემა შეირჩევა არა შემთხვევით, არამედ ფოკუსირდება შესასწავლი საგნის საკვანძო პრინციპებსა და იდეებზე. აქ ასევე მხარდაჭერილია ცოდნის ცირკულარული ზრდა, სადაც ნასწავლის ირგვლივ დისკუსიები თემის წევრებს შორის ხელს უწყობს თემის საერთო ცოდნის გაღრმავებას.

პროდუქტი. სწავლის პროცესში სწავლის პროდუქტზე კონცენტრირებამ შესაძლებელია გამოიწვიოს აქცენტის გადატანა უფრო მეტად შეფასების ქულაზე და არა – შინაარსიან სწავლაზე. ამ შემთხვევაში საბოლოო ერთობლივი ღონისძიება ან პროდუქტი, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში შეიქმნება, გვეხმარება მოსწავლეთა თემის აშენებაში.

სკარდამალია და ბერეიტერის ცოდნის მაშენებელი თემები (Scardamalia & Bereiter's Knowledge-Building Communities)

(Bielaczyc K, & Collins 1999, *Learning Communities in Classrooms: A Reconceptualization of Educational Practice*)

Scardamalia-მ და Bereiter-მა (1991, 1994) შეიმუშავეს მოდელი, რომელსაც დაარქვეს Knowledge-Building Communities.

მოდელი წარმოადგენს კომპიუტერის დახმარებით მოსწავლეთა თემის ხელშემწყობ პროგრამას. პროგრამა სტუდენტებს აძლევს საშუალებას იმუშაონ ერთად, რათა გააღრმავონ საკუთარი და მთელი კლასის ცოდნა. მოდელი გულისხმობს სხვადასხვა საგანში პრობლემების კვლევას, რამდენიმე კვირის ან თვის განმავლობაში. მუშაობისას, სტუდენტები თავის იდეებსა და კვლევის შედეგებს ტვირთავენ მოდელში – შენიშვნების ბაზაში. აპლიკაცია საშუალებას აძლევს სტუდენტების ჩანაწერები დალაგდეს თეორიის შემუშავების ან დებატების ფორმატში. სტუდენტებს შეუძლიათ წაიკითხონ ერთმანეთის ბაზები, დაამატონ ტექსტი, გრაფები, კითხვები, სხვა ჩანაწერებზე გადასასვლელი ბმულები, კომენტარები და სხვ.

როცა ერთი სტუდენტი კომენტარს აკეთებს მეორე სტუდენტის სამუშაოზე – სისტემა ავტომატურად აცნობს ავტორს ამის შესახებ. აპლიკაცია მიზნად ისახავს ისეთი ბაზის შექმნას, რაც ხელს შეუწყობს საერთო ცოდნის დაგროვებას (ა) ინდივიდუალური ჩანაწერებით, სადაც სტუდენტები განსაზღვრავენ პრობლემებს, აყალიბებენ საწყის თეორიებს, აჯამებენ რა არის გამოსაკვლევი პრობლემის გადასაჭრელად ან მათი თეორიის გასაუმჯობესებლად, ტვირთავენ ნახატებს, დიაგრამებს და სხვ., (ბ) სტუდენტის ან მასწავლებლის მიერ შექმნილი დაკავშირებული ჩანაწერების გრაფიკული გამოსახულებებით, (გ) ახალი ჩანაწერებისა და ძველი ჩანაწერების დაკავშირების შესაძლებლობებით და (დ) ჩანაწერების სისტემურად დალაგებით.

ნებისმიერი ამ ტიპის აქტივობა – ჩანაწერები შესაძლებელია გამოქვეყნდეს საერთო ავტორობით. ეს ხდება იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტი ჩათვლის, რომ ჩანაწერები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს კოლექტიურ ცოდნაში და გამოვა წინადადებით ჩანაწერების გამოცემასთან დაკავშირებით. რედაქტორთა ჯგუფი და მასწავლებელი იღებენ გადაწყვეტილებას გამოიცეს თუ არა ჩანაწერი. სასწავლო წლის ბოლოს კლასი იღებს გადაწყვეტილებას რამდენიმე ჩანაწერთან დაკავშირებით, რომ ისინი დარჩეს ბაზაში შემდეგი კლასებისთვის. ამ ყველაფრის მიზანია სტუდენტები ჩაერთონ ცოდნის მზარდ კონსტრუირებაში, სადაც ისინი თანმიმდევრულად სწავლობენ პრობლემის იდენტიფიცირების, კვლევისა და დისკურსის საშუალებით. ამ შემთხვევაში მიზანია კოლექტიურ გააზრება და არა ინდივიდუალური სწავლა ან მუშაობა.

პრაქტიკული ნაწილი

მეთოდის გამოყენება შესაძლებელია საუნივერსიტეტო კურსის შემდეგი სასწავლო თემების განხილვისას:

- თემა 1:** სამოქალაქო საზოგადოების მიმოხილვა, მაგალითები და ტერმინები;
- თემა 2:** სამოქალაქო საზოგადოების თეორიები;
- თემა 3:** სამოქალაქო საზოგადოების ფორმები და შემადგენლობა;
- თემა 4:** სამოქალაქო საზოგადოების ზეგავლენა და წვლილი;
- თემა 5:** სამოქალაქო საზოგადოების ისტორია;
- თემა 6:** სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში;
- თემა 7:** სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო;
- თემა 8:** სამოქალაქო საზოგადოება და ბიზნესი;
- თემა 9:** სამოქალაქო საზოგადოება და რელიგიური ინსტიტუტები;
- თემა 10:** გლობალიზაცია და სამოქალაქო საზოგადოება;
- თემა 11:** სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციული ასპექტები (დაფინანსების წყაროები).

ჯვარედინი თემები:

- ▶ დამოუკიდებელი სწავლება;
- ▶ შერეული სწავლება;
- ▶ პროექტის მეთოდი.

რეკომენდებული სასწავლო მაგალითები

- ▶ ცოდნის კაფე;
- ▶ პირველი ნაბიჯი საქართველო;
- ▶ იკორთა;
- ▶ ფერმერული კოოპერატივები;
- ▶ სამოქალაქო საზოგადოება უნგრეთში;
- ▶ კამპანია ირანის დისკრიმინაციული კანონმდებლობის შესაცვლელად;
- ▶ 2015 წლის ლტოლვილთა კრიზისი ევროპაში;
- ▶ მხარი დაუჭირეთ Standing Rock- ს
- ▶ ორგანიზაცია ACT UP ნიუ-იორკი.

ლექტორის ინსტრუქცია

მოსწავლეთა თემის ჩამოყალიბების ხელშესაწყობად გამოდგება ამ სახელმძღვანელოს ფარგლებში (და მის მიღმა) აღწერილი აქტივობებისა და ღონისძიებების ფართო სპექტრი. მაგალითისთვის, შეთავაზებულია შერჩეული პრობლემის ირგვლივ ინფორმაციის შეგროვება და ერთობლივი დოკუმენტის შექმნა, პროექტის მეთოდის (2.5), შერეული სწავლებისა (2.12) და დამოუკიდებელი სწავლების (2.10) მეთოდების გამოყენებით.

შეთავაზებული თემები:

დავალეა 1: ეკოლოგიის დაცვა – განვითარების სანინდარი

2000 წელს დაფუძნებული ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ წამოიწყო „მწვანეთა მოძრაობიდან“ წამოსულმა ოთხმა წამყვანმა აქტივისტმა, იმიტომ, რომ თავი აერიდებინათ „მწვანეთა პარტიის“ პოლიტიკური ზეგავლენისგან. 1990-ან წლებში არსებულ დონორთა მიერ დაფინანსებული ორგანიზაციული განვითარების უფასო კურსების დასრულებისთანავე ჩამოყალიბდა გარემოს დაცვის ირგვლივ ახალი ხედვებისა და ახალი შესაძლებლობების რეალიზაციისთვის შექმნილი სამოქალაქო ორგანიზაცია (ა(ა)იპ). დაარსების დღიდან, ორგანიზაცია მონიტორინგს უწევს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობას საქართველოში. ასევე მუშაობს ბიომრავალფეროვნებასთან, ენერგეტიკასთან, კლიმატის ცვლილებასთან და სიღარიბის დაძლევისასთან დაკავშირებულ საკითხებზე და მიიჩნევს, რომ „ეკოლოგიის დაცვა ნიშნავს განვითარებას, როგორც ასეთი“ (ქეთევან გუჯარაიძე, ინტერვიუდან, 05.02.2016).

დავალეა 2: სამოქალაქო ორგანიზაციის შემოსავლის წყაროები

სამოქალაქო ორგანიზაცია CIVITAS GEORGICA დაფუძნებულია თბილისში და არ აქვს ფილიალები საქართველოს რეგიონებში. მიუხედავად ამისა, სსო-ს ყველა პროექტი თუ აქტივობა გამიზნულია და ხორციელდება საქართველოს რეგიონებში – მთელი ქვეყნის მასშტაბით. ორგანიზაციამ თბილისის გარეუბანში შეისყიდა საცხოვრებელი სახლი და მოაწყო ტრენინგ ცენტრი, რომელსაც გასცემს იჯარით. ამ გზით ორგანიზაციას ეძლევა საშუალება დაფაროს თბილისის ოფისის კომუნალური გადასახადები (3-4 ათასი ლარი წელიწადში). ასევე ინოვაციურია ევროპის ფონდის მაგალითი, რომელიც დამატებითი შემოსავლის არსებობას სტრატეგიულად მიუდგა და 2014 წელს წამოიწყო ორწლიანი პროცესი, impact-hub-ის ლიცენზიის მისაღებად. 2016 წელს სოციალური მენარმეობის მექანიზმი ამოქმედდა, ორგანიზაციამ გააქირავა კუთვნილი ოფისის ნაწილი საერთო სივრცისა და გამოცდილების გასაზიარებლად.

დავალეა და ინსტრუქცია სტუდენტებისთვის

აირჩიეთ თემა და შერჩეულ თემაზე/ორგანიზაციაზე დაყრდნობით, მოამზადეთ საინფორმაციო ბუკლეტი, რომელიც ასახავს როგორც ორგანიზაციის საქმიანობას, ასევე თემის ირგვლივ არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს, ასევე წარმატების ისტორიას. ფორმატისთვის გამოიყენეთ პროექტის მეთოდოლოგიაში (ან სხვა შესაბამის თავებში) მოცემული ფორმატი.

2.12. შერეული სწავლება

თეორიული მიმოხილვა

ოქსფორდის ლექსიკონის მიხედვით, შერეული სწავლება წარმოადგენს განათლების სტილს, სადაც სტუდენტები სწავლობენ ელექტრონული და ონლაინ მედია და ასევე ტრადიციული საშუალებებით (Oxford Learners Dictionaries 2021). შესაბამისად, შერეული (ან ჰიბრიდული) სწავლების მეთოდი აერთიანებს ტექნოლოგიასა და ციფრულ მედიას ტრადიციულ, ლექტორის მიერ მართულ საკლასო აქტივობებთან, რაც სტუდენტებს აძლევს მეტ მოქნილებას სასწავლო პროცესში. აქ განასხვავებენ ელექტრონულ (ე.წ. ონლაინ) სწავლებასა და შერეულ სწავლებას. ელექტრონული სწავლება იძლევა საშუალებას დაესწრო კურსს სხვადასხვა ადგილიდან. ამ შემთხვევაში სტუდენტები ასრულებენ სასწავლო აქტივობებს და ფასდებიან ელექტრონულად, რაც საკლასო აქტივობების ეკვივალენტია. ამასთან, შერეული სწავლება უფრო მეტად გულისხმობს ტექნოლოგიის გამოყენებას განათლებაში. შერეული სწავლება წარმოადგენს სწავლებისა და სწავლის დიზაინის, შემუშავებისა და გადაცემის მოქნილ მიდგომას. შესაბამისად, შერეული სწავლება წარმოადგენს ტრადიციული პირისპირ სწავლებისა და ელექტრონული სწავლების ნაზავს.

შერეული სწავლების მეთოდის გამოყენებისას, ლექტორი შეიძლება იყოს კლასში, ონლაინ, ან ორივე ერთად. მიდგომები ავსებს ერთმანეთს და ონლაინ კომპონენტი (სასწავლო აქტივობები, რომლებიც გამოიყენებენ ელექტრონულ სივრცეს) ტრადიციული საკლასო სწავლების ბუნებრივი გაგრძელებაა.

ტექნოლოგიების გამოყენება სწავლებაში, შესაძლებელია, საკმაო გამოწვევების მატარებელი აღმოჩნდეს, რადგან ჰიბრიდული სწავლების მეთოდი არა მარტო ავსებს ტრადიციული სწავლების მეთოდს, არამედ ტრანსფორმაციას ახდენს და აუმჯობესებს მას (TeachThrough.com 2021). ამასთან, შერეულ სწავლებას აქვს ტრანსფორმაციული ეფექტი, როცა იგი შეჯერებული კონსტრუქტივისტულ სასწავლო სტრატეგიებთან, როგორებიცაა გამოძიება და მოკვლევა. ცხადია, რომ მოდელის წარმატებით გამოყენებისთვის, პედაგოგს ესაჭიროება დამატებითი ტრენინგი, როგორც მიდგომების, ასევე ტექნოლოგიების კუთხით, ხოლო სტუდენტებმა ნათლად უნდა გაიაზრონ, რა მოეთხოვებათ ახალ გარემოში.

ბუნებრივია, რომ ყველა სტუდენტი ერთნაირად არ სწავლობს, რაც გულისხმობს ინფორმაციის განსხვავებული საშუალებებით უკეთ ათვისებას. აშშ-ს განათლების დეპარტამენტის კვლევის მიხედვით, შერეული სწავლება განსხვავებული ფორმით ინფორმაციის მიწოდების საუკეთესო მიდგომაა, რადგან სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ შერეული მეთოდით, აქვთ უკეთესი მოსწრება, ვიდრე მათ, ვინც სწავლობს მხოლოდ ერთი ან მხოლოდ მეორე მეთოდით (TeachThrough.com 2021).

ჰიბრიდული მეთოდი არ ნიშნავს მხოლოდ სალექციო ვიდეოების ატვირთვას. განათლების ჰიბრიდული ტექნოლოგიების შემქმნელი ორგანიზაციის Education Elements-ის მიხედვით, წარმატებული შერეული სწავლება გულისხმობს ტექნოლოგიებისა და სწავლების თანხვედრას, რათა იგი ხელმისაწვდომი იყოს განსხვავებული ათვისების სტილის სტუდენტებისთვის (TeachThrough.com 2021).

უმალეს განათლებაში შერეული სწავლება შედარებით ახალი მეთოდია, თუმცა უკანასკნელ პერიოდში გახშირდა კურსის მენეჯმენტის სისტემის აპლიკაციების გამოყენება სტუდენტებთან ონლაინ დასაკავშირებლად. Blackboard და Moodle, მაგალითად ყველაზე ცნობილი აპლიკაციებია, რომლებიც ნელ-ნელა ნაცვლდება სწავლის მენეჯმენტის სისტემებით. სწავლის მენეჯმენტის პლატფორმების მეშვეობით, სტუდენტებს ხელი მიუწვდებათ ვიდეო ლექციებზე, თვალს ადევნებენ დავალებებსა და პროგრესს, ურთიერთობენ პროფესორებთან და თანაკურსელებთან და კითხულობენ დამხმარე მასალებსა და აკადემიურ სტატიებს.

აპლიკაციებით თუ აპლიკაციების გარეშე შერეული სწავლების მაგალითებია:

- ▶ სტუდენტები ასრულებენ პირისპირ სამუშაოს კლასში, შემდეგ სახლში აანალიზებენ სამუშაოს და შესაფასებლად ლექტორს უბრუნებენ ვიდეოს;

- ▶ სტუდენტები გადიან ონლაინ კურსს და ონლაინ ლექციებს შორის იღებენ პირისპირ ინსტრუქციებს ლექტორისგან;
- ▶ ტრადიციულ საკლასო ოთახში ლექტორი ატარებს ლექციას და არიგებს დამხმარე მასალებს, სტუდენტები სწავლობენ მასალებს და ასრულებენ დავალებას სახლში.

შერეული სწავლება კარგად მუშაობს დიდი მოცულობის საკურსო მასალების შემთხვევაში და მოსწავლეებთან, რომლებიც არიან დამოუკიდებელი და მოტივირებულნი. იმისთვის, რომ სტუდენტებმა აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ განათლებაზე, ამერიკის განათლებისა და სწავლისადმი მეცნიერული მიდგომის ხელშემწყობი ორგანიზაცია ELM Learning გვთავაზობს შემდეგ სტრატეგიებს (2020):

- ▶ გათვითცნობიერება. სტუდენტებმა უნდა კარგად გაიაზრონ შერეული სწავლების მიზნები და უპირატესობები. ეს მიზნები შესაძლებელია იყოს სტუდენტთა მიერ ინფორმაციის ათვისების განსხვავებული ხერხების გამოყენების აუცილებლობა, დიდი მოცულობის მასალის ეფექტურად სწავლების გზა, დროის ეფექტური გადანაწილების საშუალება და სხვ.;
- ▶ აქტივობების მრავალსახეობა. სასწავლო მეთოდები უნდა იყოს მრავალფეროვანი, რადგან ზოგიერთი სტუდენტი უკეთ სწავლობს წაკითხვით, სხვები კი – კეთებით. ისეთი მრავალფეროვნება, როგორცაა ჯგუფური დისკუსიები, ონლაინ ტესტები, როლური თამაშები, სიმულაციები და სხვ. უკეთ რთავს საგანმანათლებლო პროცესში ყველა ტიპის მოსწავლეს;
- ▶ ელექტრონული წყაროების გამოყენება. ცხადია, რომ მართებულად გამოყენების შემთხვევაში, ინტერნეტი სწავლების ძლიერი საშუალებაა. სასწავლო თემის განხილვის პროცესში ზეპირი ან წერილობითი კითხვების დასმას, შესაძლებელია, საილუსტრაციო ვიდეოს ჩვენება სჯობდეს. თუკი სტუდენტები ამ ვიდეოს სახლში ნახავენ და მზად იქნებიან შემდეგ ლექციაზე პასუხების გასაცემად, ეს, ერთი მხრივ, დაზოგავს დროს და მეორე მხრივ – პროცესს მეტად პროდუქტიულს გახდის. იგივე ეხება რაიმე კვლევის ჩატარებას საკლასო ოთახის მიღმა. ფაქტების მოყოლის მაგივრად აქ სტუდენტები თავად იძიებენ ინფორმაციას/ფაქტებს მათთვის სასურველ დროს და შემდგომ განხილავენ კლასში. ამ გზით სტუდენტებს ასევე შეუძლიათ მოკვლევაზე დაფუძნებული კითხვების შემუშავება წაკითხულ მასალაზე ან ვიდეოზე დაყრდნობით, შემდეგ ლექციაზე განსახილველად. სასარგებლოა ონლაინ მოდულების გამოყენება საკლასო პრეზენტაციებთან ერთად.

შერეული სწავლები უპირატესობები:

- ▶ იძლევა მოქნილობის საშუალებას კურსის დიზაინისა და წაკითხვის კუთხით;
- ▶ მოქნილია სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობის, აქტივობებისა და შეფასებების კუთხით;
- ▶ ხელს უწყობს სწავლისთვის სხვადასხვა ადგილის (სახლი, კლასი) გამოყენებას და დროის დაზოგვას;
- ▶ სტუდენტებს ეხმარება დამოუკიდებელი სწავლების უნარების განვითარებაში;
- ▶ იძლევა სასწავლო კურსის სისტემური განვითარების შესაძლებლობას და გვთავაზობს სრულად ონლაინ კურსისა და პირისპირ კლასების ყველა უპირატესობას ერთად;
- ▶ უფრო მეტადაა ორიენტირებული სტუდენტზე და მის მოთხოვნებზე, ვიდრე ცალკე ტრადიციული ან ონლაინ კურსები.

მაგალითი

სტუდენტები ქმნიან მულტიმედირ ჩანანერებს

(University of Bristol¹⁰)

„ქალაქის მომავალი: მიგრაცია, მოქალაქეობა და პლანეტარული ცვლილება“ ბრისტოლის უნივერსიტეტის არჩევითი საგანია. სტუდენტები სწავლობენ ბრისტოლის ურბანულ არეალს სრული კურსის განმავლობაში. ამისათვის საველე გასვლების დროს უყურებენ ბრისტოლის შესახებ გადაღებულ პოდკასტს¹¹, ფილმებს/ვიდეოებს, ამასთან, ტელეფონების გამოყენებით, სტუდენტები აგროვებენ საკუთარ მულტიმედია „საველე ჩანანერებს“, რომელთა გამოყენებით ყოველკვირეულად ეწყობა ვორქშოფები და დისკუსიები კლასში. ამ ჩანანერებისგან ასევე მონტაჟდება ჯგუფური ვიდეო პრეზენტაციები, რომლებიც ფასდება ლექტორის მიერ.

პრაქტიკული ნაწილი

მეთოდის გამოყენება შესაძლებელია საუნივერსიტეტო კურსის შემდეგი სასწავლო თემების განხილვისას

თემა 1: სამოქალაქო საზოგადოების მიმოხილვა, მაგალითები და ტერმინები;

თემა 2: სამოქალაქო საზოგადოების თეორიები;

თემა 3: სამოქალაქო საზოგადოების ფორმები და შემადგენლობა;

თემა 4: სამოქალაქო საზოგადოების ზეგავლენა და წვლილი;

თემა 5: სამოქალაქო საზოგადოების ისტორია;

თემა 6: სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში;

თემა 7: სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო;

თემა 8: სამოქალაქო საზოგადოება და ბიზნესი;

თემა 9: სამოქალაქო საზოგადოება და რელიგიური ინსტიტუტები;

თემა 10: გლობალიზაცია და სამოქალაქო საზოგადოება;

თემა 11: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციული ასპექტები (დაფინანსების წყაროები).

ჯვარედინი თემები:

- ▶ დამოუკიდებელი სწავლება;
- ▶ მოსწავლეთა თემი.

¹⁰ University of Bristol, <https://bristol.ac.uk/>

¹¹ პოდკასტი წარმოადგენს მოკლემეტრაჟიან სერიებს აუდიო ან ვიდეო ფორმატში, რომელთა ყურება/მოსმენა შესაძლებელია პერსონალური ელექტრონული გაჯეტების საშუალებით.

რეკომენდებული სასწავლო მაგალითები

- ▶ ცოდნის კაფე;
- ▶ პირველი ნაბიჯი საქართველო;
- ▶ იკორთა;
- ▶ ფერმერული კოოპერატივები;
- ▶ სამოქალაქო საზოგადოება უნგრეთში;
- ▶ კამპანია ირანის დისკრიმინაციული კანონმდებლობის შესაცვლელად;
- ▶ 2015 წლის ლტოლვილთა კრიზისი ევროპაში;
- ▶ მხარი დაუჭირეთ Standing Rock-ს;
- ▶ ორგანიზაცია ACT UP ნიუ-იორკი.

ლექტორის ინსტრუქცია

შერეული მეთოდის გამოყენების მიზნით, რამდენიმე მიმართულებითაა შესაძლებელი სტუდენტებთან მუშაობა. ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს პირისპირ სამოქალაქო საზოგადოების როლის განხილვა ქვეყნის დეცენტრალიზაციის პროცესში, ხოლო მასალის ღრმად შესწავლის მიზნით სტუდენტებისთვის შემდეგი დავალების მიცემა:

- 1.** შექმენით ონლაინ სამუშაო სივრცე, რომელიც გამოყენებულ იქნება დავალებისთვის სტუდენტებისა და თქვენ მიერ; შეგიძლიათ გამოიყენოთ ფეისბუქ გვერდი ან ჯგუფი, ასევე Google Drive-ის დოკუმენტების გაზიარების შესაძლებლობა;
- 2.** მოიძიეთ და სტუდენტებს გაუზიარეთ ვიდეო მასალები, რომელიც ასახავს საქართველოში თვითმმართველობის საკითხებზე მომუშავე ან რეგიონებში სერვისების გაუმჯობესებაზე მომუშავე სამოქალაქო ორგანიზაციების საქმიანობას. ამ ვიდეოებს სტუდენტები გაეცნობიან კლასგარეშე;
- 3.** მოიძიეთ და სტუდენტებს გაუზიარეთ სამოქალაქო სექტორის შესახებ ანგარიშები, რომლებიც ასახავს საქართველოში თვითმმართველობის რეფორმის მდგომარეობას. ამ ანგარიშებს სტუდენტები გაეცნობიან კლასგარეშე;
- 4.** მოიძიეთ და სტუდენტებს გაუზიარეთ სამოქალაქო სექტორის შესახებ ანგარიშები;
- 5.** სტუდენტებს გაუზიარეთ მაგალითი „სამოქალაქო საზოგადოება უნგრეთში“ და გაარჩიეთ ლექციის დროს;
- 6.** სტუდენტებს ევალებათ, შეარჩიონ რამდენიმე სამოქალაქო ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს თვითმმართველობის რეფორმაზე ან/და თვითმმართველობის გაუმჯობესებაზე საქართველოში (სერვისების გაუმჯობესების ჩათვლით) და გააკეთონ ჩანაწერები მათი საქმიანობის შესახებ;
- 7.** სტუდენტების ჩანაწერები, დაკვირვებები უნდა აიტვირთოს და გაზიარდეს თქვენ მიერ შექმნილ ონლაინ სამუშაო სივრცეში (იხ. პუნქტი 1) და დალაგდეს წინასწარ შეთანხმებული ფორმატით;
- 8.** კურსის ბოლოს, ჩანაწერების საფუძველზე სტუდენტებმა ერთობლივად უნდა შექმნან დოკუმენტი, რომელიც ასახავს პრობლემის/ების გადაჭრის გზებს.

დავალება და ინსტრუქცია სტუდენტებისთვის

დავალების შესასრულებლად, გამოიყენეთ ონლაინ სამუშაო სივრცე. გამოიყენეთ ასევე პრობლემის განაცხადისა და პრობლემის გადაჭრის სახელმძღვანელოები და ფორმატი (იხ. ქვეთავები 2.6 და 2.7).

1. გაეცანით ქვემოთ მოცემულ ინფორმაციას დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი მმართველობის გაუმჯობესების საქმეში სამოქალაქო საზოგადოების როლის თაობაზე.
2. გაითვალისწინეთ და გამოიყენეთ ლექტორის მიერ გაზიარებული ვიდეო მასალა და ანგარიშები სამოქალაქო სექტორის შესახებ.
3. შეარჩიეთ ერთი, ან რამდენიმე სამოქალაქო ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს თვითმმართველობის რეფორმაზე ან/და თვითმმართველობის გაუმჯობესებაზე საქართველოში (სერვისების გაუმჯობესების ჩათვლით) და გააკეთეთ ჩანაწერები მათი საქმიანობის შესახებ. თქვენი ჩანაწერები და დაკვირვებები წარმოდგენას უნდა უქმნიდეს მკითხველს, თუ რამდენად წარმატებულია შერჩეული ორგანიზაციების საქმიანობა და რა მიღწევები აქვთ თვითმმართველობის რეფორმის, თვითმმართველობის გაუმჯობესების კუთხით, რა ძირითადი გამოწვევების წინაშე დგანან ამ მხრივ და ა.შ.;
4. თქვენი ჩანაწერები და დაკვირვებები ატვირთეთ ონლაინ სამუშაო სივრცეში წინასწარ შეთანხმებული ფორმატით; გაეცანით სხვა სტუდენტების მიერ გაზიარებულ ინფორმაციას.
5. არსებულ მასალასა და ჩანაწერებზე დაყრდნობით შეიმუშავეთ ერთობლივი დოკუმენტი, რომელიც ასახავს თვითმმართველობის რეფორმის და/ან თვითმმართველობის გაუმჯობესების კუთხით პრობლემების გადაჭრის გზებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის პერსპექტივიდან. თქვენი ნაშრომი პასუხს უნდა სცემდეს შემდეგ მთავარ კითხვას:

ჩვენი უნდა მოიქცეს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია, ხათა წვდილი შეიგანოს აღწეხილი პიობდეშების მოგვახებაში (თვითმმართველობის გაუმჯობესების კუთხით)?

სამოქალაქო საზოგადოების როლი დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი მმართველობის გაუმჯობესების საქმეში

ადგილობრივი მმართველობისა და დეცენტრალიზაციის გაძლიერება საქართველოს საჯარო ადმინისტრირების რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი და საჯაროდ განცხადებული პრიორიტეტიცაა. „საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმა 2020“ მოიცავს ცალკე თავს ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებით. დოკუმენტის მიხედვით, რეფორმის მიზანს წარმოადგენს დეცენტრალიზაციის პროცესის გაუმჯობესება და ადგილობრივ დონეზე უკეთესი მმართველობის მიღწევა. რეფორმის უკანასკნელი ტალღა 2014 წელს იყო, რომლის ფარგლებში მიღებულ იქნა ახალი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი. ახალმა კოდექსმა შემოიტანა მერებისა და გუბერნატორების პირდაპირი არჩევა, ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის, ასევე მუნიციპალურ დონეზე აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებს შორის მოვალეობების მკვეთრი გამიჯვნა, ადგილობრივი ხელისუფლების ფინანსური დამოუკიდებლობის გაზრდის გარანტიები და მუნიციპალიტეტში დასაქმებულების განგრძობადი ტრენინგის მყარი ფინანსური და სამართლებრივი გარანტიები.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ადგილობრივი „ვოჩდოგ“ და არასამთავრობო ორგანიზაციები აკრიტიკებენ ხელისუფლებას რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებით. 2019 წლის ივლისში 24-მა სამოქალაქო ორგანიზაციამ გააკეთა ერთობლივი განცხადება და კრიტიკულად შეაფასა 2018-2020 გეგმა, რომელიც გულისხმობს თვითმმართველობის რეფორმის ახალ ეტაპს. სამოქალაქო ორგანიზაციების თქმით, დოკუმენტს აკლია უწყებათაშორისი ერთობა და გამჭვირვალობა. ასევე, მათი თქმით, რეფორმის პაკეტი არ პასუხობს ისეთ საჭირობორტო საკითხებს, როგორებიცაა ფინანსური მდგრადობა, ეკონომიკური აქტივობების ზრდა და შესაბამისი თვითდაფინანსების შესაძლებლობა. შედეგად, ადგილობრივი სერვისების დიდი უმრავლესობა კვლავ იქნება დაფინანსებული ცენტრალური მთავრობიდან, რაც დიდ ტვირთად აწვება ცენტრალურ ბიუჯეტს და მოიცავს ცენტრსა და რეგიონს შორის უთანასწორობის გაზრდის რისკებს. Freedom House-ის 2019 წლის მონაცემით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მოსახლეობის მხრიდან სახელდება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად სანდო ინსტიტუცია ქვეყანაში, სადაც მხოლოდ გამოკითხულთა 27% აფასებს მათ საქმიანობას კარგად (Freedomhouse 2020).

ქვეყნის დეცენტრალიზაციის პროცესში სამოქალაქო სექტორს შეუძლია ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი თემების მობილიზების, მარგინალური ჯგუფების (ქალები, ეთნიკური უმცირესობების და სხვ.) ხმის გაჟღერების, საჭიროებოტო საკითხების წამოსაწევად მოქალაქეების შესაძლებლობების ზრდისა და სხვ. საქმეში. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ იმავე ანგარიშის მიხედვით, მოსახლეობის ნდობა სამოქალაქო სექტორის მიმართ ასევე იკლებს, რაც მიუთითებს სამოქალაქო სექტორის საქმიანობის კომუნიკაციებისა და გამჭვირვალობის საჭიროებაზე.

ცოდნის კაფე

ავტორი: თამაზ კობეხიძე

შესავალი

“ბავშვობიდან დაღიძვლები ვიყავით ნაცხისფერი ძღვების ყუხებით.... მე და ჩემს მეგობრებს გვინდა, ოდნავ მაინც შევცვალოთ სოფელი. აქ ახც უნივერსიტეტი, ახც კულტურის სახლი ფუნქციონირებს, ახც ახადგაზრდი ცენტრებია, ახც პიროვნული სასწავლებლები, ახც კინო, ახც თეატრი, ახც, ახც, ახც... წახმოვიდგენიათ, ბატონო პეტიელო? სხუდი გამყინვახება და ნაცხისფერობაა სოფელი

– ასე მიმართა ნანა ბაგალიშვილმა პრემიერს 2017 წლის აპრილში (kvira.ge 2017)

ნანა ცხოვრობს ქიზიყში, წნორში. ბავშვობიდან დაამახსოვრდა გაჭირვება – ძალიან უჭირდა ოჯახს. ნანა და მისი ძმა აჭარაში დიდხანს ბებია-პაპასთან იზრდებოდნენ. 5 წლის ასაკში შეიყვანეს სკოლაში. დამოუკიდებლობა უყვარდა... არჩევანის თავად გაკეთება... სასკოლო ასაკის მოგონებებიდან ახსენდება სკოლის ეზოში დიდ ეკრანზე ფილმის ნახვა. ნაცრისფერი ყოველდღიურობის ფონზე ეს ნათელი მოგონებაა. ბავშვობიდან ჰქონდა სურვილი შეეცვალა ირგვლივ გარემო ისე, რომ თავადაც და სხვებსაც უკეთესად ეგრძნოთ თავი.

ჯერ კიდევ ევროპისმცოდნეობის მიმართულებით ბაკალავრიატზე სწავლისას, ნანამ და სიღნაღის მუნიციპალიტეტიდან თბილისში სასწავლებლად წასულმა ახალგაზრდებმა შექმნეს საინიციატივო ჯგუფი, რომელიც „ოდნავ მაინც გამოასწორებდა კატასტროფულად მომაბეზრებელ და გამყინავ გარემოს“ თავიანთ სოფლებში. ორი წლის შემდეგ მაგისტრატურაში ჩააბარა კულტურის მენეჯმენტის განხრით, რადგან სურდა ქართულ სოფლებში კულტურული მემკვიდრეობა ექცია ეკონომიკური სარგებლის მომთან საქმიანობად. თან სწავლობდა და თან რამდენიმე მცირე კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტი განახორციელა წნორსა და მიმდებარე სოფლების ახალგაზრდებისთვის. ამასობაში წნორის ინიციატივა გარდაქმნეს სამოქალაქო ორგანიზაციად „სამოქალაქო ინიციატივა“¹ (kvira.ge 2017), რომლის მიზანია სიღნაღის რაიონში გაიზარდოს სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობა და ჩართულობა პროცესებში; ახალგაზრდებისთვის შექმნას გარემო, სადაც ისინი შეძლებენ თავის რეალიზებასა და სხვადასხვა უნარის განვითარებას.

2016 წელს „სამოქალაქო ინიციატივამ“ წამოიწყო „ცოდნის კაფე“, რომელიც ერთ სივრცეში აერთიანებს წიგნის მაღაზიას, ორენოვან მულტიმედია ბიბლიოთეკას, არაფორმალური განათლების ცენტრს და კაფეს.

თავდაპირველად, იდეა ცოტა უცნაურად და არარეალურად ჟღერდა. „ჩვენი ჩანაფიქრის ასრულება არავის წარმოედგინა და ბევრს საგანმანათლებლო სივრცის შექმნის პროექტზე მუშაობა ხშირად უაზრო და დროის ფუჭ დაკარგვად მიაჩნდა. შედეგის ნახვის შემდეგ კი წნორის მოსახლეობის დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა“, – ამბობს „ცოდნის კაფეს“ თანადამფუძნებელი ქეთი მოლაშვილი (ინტერვიუდან, ოთარაშვილი 2018).

გასაკვირი არაა, რომ „ცოდნის კაფე“ ძალიან მალე გახდა პოპულარული, რადგან სიღნაღის მუნიციპალიტეტში ეს თითქმის ერთადერთი თავისუფალი სივრცე იყო² შეხვედრებისთვის, ლიტერატურული საღამოებისთვის, დისკუსიებისთვის, კინოჩვენებისთვის, ტრენინგებისა და ვორქშოპებისთვის. მხოლოდ პირველი წლის განმავლობაში „ცოდნის კაფემ“ უმასპინძლა 134 კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებას, 2674 ბავშვის, ახალგაზრდას, ზრდასრულთა და

¹ სამოქალაქო ინიციატივა, <https://www.facebook.com/civicinitiative/>

² მოგვიანებით - „ცოდნის კაფეს“ გახსნის შემდეგ, იუსტიციის სამინისტრომ გახსნა საზოგადოებრივი ცენტრი და თემმა ქედელმა სიღნაღში გახსნა კაფე, რომელიც ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შეხვედრებისთვის

ხანდაზმულების მონაწილეობით. „ცოდნის კაფეში“ 40-ზე მეტი ადამიანი უფასოდ სწავლობს ინგლისურ ენას. ამერიკელი მოხალისე ბავშვების, მოზარდების და ზრდასრულების სამ ჯგუფს აწვდის უფასო განათლებას. „ცოდნის კაფეს“ სივრცით სარგებლობა შეხვედრებისთვის ნებისმიერ ადგილობრივს უსასყიდლოდ შეუძლია. კაფეში დასაქმებულია 3 ადამიანი და ამასთან, დაარსების დღიდან, „ცოდნის კაფემ“ 20-ზე მეტ აქტიურ ახალგაზრდულ ჯგუფს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მისცა მოტივაცია დაეწყოს „ცოდნის კაფეს“ მსგავსი სივრცეების შექმნა.

თავდაპირველად, იდეას მხარი დაუჭირა „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდმა“³ და ინიციატორებს გადასცა 20 000 ლარი „ცოდნის კაფეს“ შექმნისთვის. საქმე წამოიწყო ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გამოყოფილ 40 კვ.მ. ფართში. სიღნაღის მუნიციპალიტეტი⁴ თანახმა იყო აუთვისებელი მუნიციპალური შენობის ერთი ფლიგელის გამოყოფაზე ამ საქმისთვის. მოლაპარაკებები სამი თვე გრძელდებოდა, რაც სოციალური მედია ქსელით შექდებოდა. მიუხედავად ამისა, საბოლოო ჯამში, თვითმმართველობამ საზოგადოებრივსა და კერძოს შორის არჩევანი, კერძო ბიზნესზე შეაჩერა, აქტივისტების თხოვნაზე უარი განაცხადა და სასურველი ფართი გადასცა ადგილობრივ ბიზნესს – აზომვითი ნახაზების კომპანიას, თვეში 100 ლარის ქირის სანაცვლოდ. იმ დროისთვის, „ცოდნის კაფესთვის“ საჭირო სხვა მუნიციპალური ფართი წნორში აღარ არსებობდა. საბედნიეროდ, „ცოდნის კაფეს“ დამაარსებლებს დაუკავშირდა „სამოქალაქო განათლების ფონდი“⁵ და შესთავაზა ფართის ქირაობაში 7000 ლარით დახმარება. იქირავეს ფართი და პირველ წელს თვიურად 1000 ლარს იხდიდნენ. ერთი წლის თავზე ქირა გაძვირდა - 1500 ლარი გახდა. პირველი წლის გარდა, ქირის გადახდაში არავინ ეხმარებოდა – მოგებიდან ფარავდნენ. თანხა ისედაც მნიშვნელოვანი იყო, თუმცა ამას დაემატა გარემოება, რომ დაქირავებულ ფართზე ხელშეკრულების ვადა იწურებოდა 2019 წლის 5 სექტემბერს. მეპატრონეს გადანყვეტილი ჰქონდა ფართის გაყიდვა, იმ ფასად, რასაც ახალგაზრდა აქტივისტები ვერ შეწვდებოდნენ. თანაც სივრცე პატარა იყო და ვეღარ აუდიოდა „ცოდნის კაფეში“ გამართულ ყველა საქმესა და ღონისძიებას. ასეა თუ ისე, „ცოდნის კაფე“ ღია ცის ქვეშ რჩებოდა (droa.ge 2018).

ბევრჯერ ჩავარდნენ ახალგაზრდები სასონარკვეთაში. ბევრჯერ ჰქონდათ შეგრძნება, რომ ასეთი ენთუზიაზმითა და ენერგიით წამოწყებული საქმე აღარ იარსებებდა.

“ როცა ჩვენს საქმიანობაში ჩამე გაგვიჭიხდება, სურ მაჩხაანის თეატრსა და მისი შექმნის ისტორიას ვიხსენებთ. ეს თეატრი ხაღხმა შექმნა მეცხხამეგე საუკუნეში თვითონ, თავისი ხელით და თავისი ხესუხებით. ამიტომ, სურ ვფიქრობ, როცა ხაღხსა და სოფელს უნდა, ყველაფერი გამოდის

– ამბობს ნანა ბაგალიშვილი (kvira.ge 2017)

საუკეთესო გამოსავალი იყო საკუთარი მიწის არსებობა, რომელზეც თავად ააშენებდნენ „ცოდნის კაფეს“. აღარ იქნებოდა საჭირო ქირის გადახდა. საჯარო სივრცე აშენდებოდა ყველა იმ პარამეტრის გათვალისწინებით, რაც აუცილებელია წარმატებულად ფუნქციონირებისათვის. ამასთან, კაფედან და სხვა ფასიანი მომსახურების შედეგად მიღებული შემოსავლით დაიფარებოდა კომუნალური ხარჯები და ასევე გაფართოვდებოდა საქმიანობის არეალი.

მუნიციპალიტეტისთვის მიმართვას აზრი აღარ ჰქონდა, ამიტომ, დახმარებისთვის თანამოქალაქეებს მიმართეს.

³ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი (დღეისათვის გაერთიანებულია ახალგაზრდობის სააგენტოსთან) <https://www.facebook.com/fondi.ge>

⁴ სიღნაღის მუნიციპალიტეტი <http://signagi.gov.ge/>

⁵ სამოქალაქო განათლების ფონდი, ამონაწერი მენარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

[https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFA7F\[Bkaj\]7Rw0\[dPOMAQiS8oBkFPQoqdfPIJ8prFnu3](https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFA7F[Bkaj]7Rw0[dPOMAQiS8oBkFPQoqdfPIJ8prFnu3)

გარემო

ქალაქი წნორი კახეთში, სიღნაღის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. სიღნაღის რაიონის ტერიტორია ადრე კამბეჩოვანის სახელით იყო ცნობილი, მოგვიანებით კი მას ქიზიყს უწოდებდნენ. ალაზნის ვაკეზე, ზღვის დონიდან 294 მ სიმაღლეზე მდებარე ქალაქ წნორს 1938 წლამდე საქობოსუბანი ეწოდებოდა. ქალაქად გამოცხადდა 1965 წელს. 2002 წლის აღწერის მონაცემებით ქალაქში ცხოვრობს 6066 ადამიანი.

ქალაქში ფუნქციონირებს რამდენიმე სამრეწველო საწარმო, არის სახელმწიფო ჯანდაცვისა და განათლების დაწესებულებები, 2019 წლიდან ფუნქციონირებს საზოგადოებრივი ცენტრი, რომლის მიზანია ადგილობრივი მოსახლეობისთვის სახელმწიფო სერვისებით ადგილზე სარგებლობის ხელმისაწვდომობის გაზრდა. ასევე ხორციელდება სახელმწიფო ინფრასტრუქტურული პროექტები.

ამასთან, პრაქტიკულად არ ფუნქციონირებს კულტურის სახლი, თანამედროვე ბიბლიოთეკა, ახალგაზრდული ცენტრი, არ არის მოწყობილი და განვითარებული სპორტული ინფრასტრუქტურა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ახალგაზრდები თავისუფალ დროს ქუჩაში ატარებდნენ. სხვა მრავალი რეგიონისა და ქალაქის ახალგაზრდების მსგავსად, წნორის ახალგაზრდა თაობაც მზად არ არის თანამედროვე შრომითი ბაზრისთვის. ახალგაზრდები, ძირითადად, სკოლაში დაგროვილი გამოცდილების მიხედვით იღებენ გადაწყვეტილებას მომავალი პროფესიის შესახებ, თუმცა სკოლის განათლება ახალგაზრდებისთვის თავის დასამკვიდრებლად საკმარისი არ არის. წნორში არაა არც უნივერსიტეტი და არც პროფესიული სასწავლებელი, შესაბამისად, ახალგაზრდების ნაწილი სხვა ქალაქში და, მეტწილად, თბილისში მიდის სასწავლებლად. აქ, ხშირ შემთხვევაში, გადაწყვეტილება მშობლის მიერაა არჩეული, რადგან „შვილი მხოლოდ საუკეთესო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პოპულარული ფაკულტეტის სტუდენტად მოიპოვებს; ირჩევენ პრესტიჟულ პროფესიას და ჰგონიათ მათი მომავალი უზრუნველყოფილია“ (დოლიძე 2013). მიუხედავად ზემოთქმულისა, როგორც თვითდაჯერებულობის უნარის ნაკლებობა, ასევე მართვის გამოცდილების არარსებობა ხელს უშლის მომავალ თაობას როგორც დასაქმებაში, ასევე, თვითრეალიზაციაში. ახალგაზრდები „თვითონ ვერ საქმდებიან, ვერ ქმნიან სამუშაო ადგილებს და ვერც საკუთარ თავს ასაქმებენ“ (kvira.ge 2017).

ცოდნის კაფე⁶

„ცოდნის კაფე“ საქართველოს ტერიტორიაზე პირველი თვითმობილიზებული კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეა, რომელიც ახალგაზრდების ინიციატივით შეიქმნა. 2016 წელს შექმნილი სივრცე საწყის ეტაპზე წარმოადგენდა ახალგაზრდებისთვის მოწყობილ ტერიტორიას, სადაც მათ სრულად ახალი და საჭირო ცოდნის მიღება შეეძლოთ. ამასთან, საჭიროებების გამოვლენასთან ერთად, „ცოდნის კაფემ“ ეტაპობრივად მოიცვა ყველა სხვა ასაკობრივი ჯგუფი. საჯარო სივრცე შეიქმნა იმისთვის, რომ წნორსა და მეზობელ სოფელში მცხოვრებ ადამიანებს ჰქონოდათ შესაძლებლობა ერთ სივრცეში მიიღონ „ბევრი ჭკვიანი და მყუდრო სერვისი“, ყველა ქიზიყელ ახალგაზრდასა და ზრდასრულს ჰქონდეს წვდომა თანამედროვე სამყაროსთვის საჭირო ცოდნაზე, ასევე შექმნან ახალი ცოდნა და შეძლონ დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ინიციატივების განხორციელება. ამასთან, „ცოდნის კაფეს“ მთავარი მისიაა გამოცდილებებისა და შეხედულებების გაცვლა, რადგან „თაობებს შორის კომუნიკაცია ორივე მხარისათვის სასარგებლო და აუცილებელიც კია, რადგან სწორედ მსგავსი ერთობლივი მუშაობით მიიღწევა სასურველი შედეგი“ (ინტერვიუდან, ოთარაშვილი 2018).

ა(ა)იპ „სამოქალაქო ინიციატივის“ ფარგლებში დაფუძნებული „ცოდნის კაფე“ - სოციალური საწარმოა, სადაც ეკონომიკური საქმიანობა წარმოდგენილია კაფეს „ჭკვიანი გემო“ და

⁶ <https://codnebi.ge/>

წიგნის მალაზიის ფუნქციონირებით. გამომუშავებული მოგებით საწარმო აფინანსებს ახალგაზრდებისა და პენსიონერების სოციალურ აქტივობებს. ამრიგად, სოციალური საწარმოს ძირითადი მიმართულებებია არაფორმალური განათლების ცენტრი, მულტიმედია ბიბლიოთეკა, საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე დიდი ინგლისურენოვანი ბიბლიოთეკა, სამუშაო სივრცე და რეზიდენცია.

„ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდიდან“ და „სამოქალაქო განათლების ფონდიდან“ საწყის ეტაპზე მიღებულ დახმარებასთან ერთად, „ცოდნის კაფეს“ ჰყავს ასობით მხარდამჭერი ორგანიზაცია და რიგითი ადამიანი, რომლებიც უსასყიდლოდ ამარაგებენ „ცოდნის კაფეს“ წიგნებით, ინვენტარით, ჭურჭლით და სხვა. მაგალითად, კაფეს სამზარეულოს აღსაჭურვად საქართველოს ბანკმა „ცოდნის კაფეს“ გამოუყო 38 ათასი ლარი. მრავალი ხელოვანი, მწერალი თუ ექსპერტი უსასყიდლოდ მართავს „ცოდნის კაფეში“ ლექციებს, სამუშაო შეხვედრებსა და სემინარებს.

„ცოდნის კაფე“ არის სივრცე, სადაც შესაძლებელია კულტურულ-საგანმანათლებლო და გასართობი ღონისძიებების გამართვა როგორც ახალგაზრდების, ისე ბავშვებისთვის, ხანდაზმულებისთვისა და ზრდასრულებისთვის. თავისი საქმიანობით „ცოდნის კაფე“ ხელს უწყობს ახალგაზრდებისა და ხანდაზმულების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდას. ორი წლის მანძილზე „ცოდნის კაფემ“ უმასპინძლა 400-მდე საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებას სხვადასხვა თაობის ადამიანებისთვის. 2018 წელს „ცოდნის კაფე“ დასახელდა წლის საუკეთესო სოციალურ საწარმოდ.

კამპანია დადე შენი აგური „ცოდნის კაფეს“ ასაშენებლად

2017 წლის დასაწყისში ახალგაზრდებმა წამოიწყეს სოციალური კამპანია „ცოდნის კაფეს“ ასაშენებლად. კამპანია გულისხმობს მოქალაქეებისგან თითო აგურით ან საზოგადოებრივი დონაციით შეიქმნას საგანმანათლებლო და კულტურული სივრცე რეგიონში. ამ მიზნით შეიქმნა ვებგვერდი www.codnebi.ge და კამპანია **#დადეშენიაგური** Facebook გვერდზე, რომლის საშუალებით ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია წვლილი შეიტანოს ცოდნის კაფეს მშენებლობა-გამართვაში. ცოდნის კაფეს ფონდების მოძიების ვებგვერდი: <http://codnebi.ge/donate/>

ვებგვერდი გვაუწყებს: „თუ ჩვენი წამოწყება თქვენთვის ახლობელია და ჩვენსავით ფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებები ერთიანი ძალებით შესაძლებელია, თქვენც შემატეთ თქვენი აგური ჩვენს ცოდნის კაფეს და 2020 წლიდან თქვენს სახელსა და გვარს ცოდნის კაფეს კედლებზე იპოვით“ (codnebi.ge 2020).

კამპანია **#დადეშენიაგური** მოტივატორია. Facebook გვერდზე „ცოდნის კაფე“ გვეუბნება: „დადე შენი აგური ცოდნის კაფეს და ჭკვიანი სოფლის ასაშენებლად. ჩვენ არ ველოდებით სხვას, ჩვენი ყავის, წიგნის, შარვლის, კაბის ფულად ვაშენებთ პირველ თვითმობილიზებად საგანმანათლებლო სივრცეს რეგიონში. შენი სოლიდარობა სჭირდება ცოდნის კაფეს“ (2018).

ამ დრომდე 1,500-მდე თანამოქალაქემ – ადგილობრივმა მოსახლეობამ, მწერლებმა, პოეტებმა, ქვეყნის პირველმა პირებმა, მსახიობებმა თუ ლექტორებმა „ცოდნის კაფეს“ ასაშენებლად ჯამში 81 ათას ლარზე მეტი თანხა შეაგროვეს. „ცოდნის კაფეს“ მხარდამჭერები აწყობენ ღონისძიებებს, სადაც იყიდება საკუთარი ხელით მომზადებული ტკბილეული და სხვადასხვა აქსესუარი. კამპანიას შეუერთდნენ ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები. მაგალითად, 2019 წლის 20 ოქტომბერს წნორის ცოდნის კაფეს „დადე შენი აგურის“ კამპანიას რესტორანი „ეზო“ შეუერთდა. „ეზოს“ მზარეულები და ცოდნის კაფეს მხარდამჭერი ქიზიყელი ხანდაზმულები მთელი დღის განმავლობაში სტუმრებს ქიზიყური კერძებით უმასპინძლდებოდნენ. 89 წლის ზიზო მათეშვილმა სოციალურ ქსელში „ცოდნის კაფეს“ მხარდამჭერ ვიდეოში გააზიარა ქიზიყურად მომზადებული ლობიოში მოხარშული თონის პურის რეცეპტი და ყველას მოუწოდა, „ცოდნის კაფეს“ აშენებაში საკუთარი აგური დაედო. ვიდეომ დიდი პოპულარობა მოიპოვა. მას ჰქონდა 837000-ზე მეტი ნახვა,

1700-ზე მეტი კომენტარი და 7800 გაზიარება. ამის შემდეგ გაჩნდა იდეა, რომ „ეზოში“ ქიზიყური კერძების დღე გამართულიყო და შემოსული თანხა „ცოდნის კაფეს“ ანგარიშზე გადარიცხულიყო (EWMI 2019).

„ცოდნის კაფეს“ ასაშენებლად კამპანიას მხარი დაუჭირეს საერთაშორისო დონორებმაც. მაგალითად, შეერთებული შტატების საერთაშორისო დახმარების სააგენტოს (USAID) და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის მხარდაჭერით, ეს კამპანია კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა. დაიწყო ახალი კამპანია #გააზიარეცოდნები, რომლის ფარგლებშიც რიგითი მოქალაქეები, მათ შორის ბავშვები, მოკლე ვიდეოებით მაყურებლებს პრაქტიკულ ცოდნას უზიარებენ და თან მოუწოდებენ „ცოდნის კაფეს“ აშენებაში საკუთარი წვლილი შეიტანონ (EWMI 2019).

მინის შესაძენად საჭირო 40 000 ლარი უკვე შეგროვებულია და მიწა ნაყიდა. ამ ეტაპზე გროვდება რესურსები/აგურები ცოდნის კაფეს კონსტრუქციის ასაშენებლად და, რისთვისაც შეგროვებულია სასურველი თანხის 27.40% (158692 ლარი) (codnebi.ge 2020).

„პირველი ნაბიჯი“ საქართველო

მომზადებულია კონსულტაციის და გეგმინგის ცენტრის მიერ

„პირველი ნაბიჯი“ მუშაობს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციაზე, მათი მშობლების მხარდაჭერასა და გაძლიერებაზე, დარგის ინსტიტუციურ რეფორმაზე. ორგანიზაცია 1998 წელს დააფუძნეს ნინო ქადაგიძე-ჟვანიამ და ჯეინ ენ ქორბოიმ. თავდაპირველად იგი „კასპის შეზღუდულ შესაძლებლობათა ბავშვთა სახლის“ აღსაზრდელების დახმარებას ისახავდა მიზნად. ორგანიზაციაში იხსენებენ, რომ ბავშვები ფაქტობრივად სიკვდილის პირას იყვნენ მისული, იმდენად გაუსაძლის პირობებში იყვნენ კასპის ბავშვთა სახლში. 1999 წელს საქართველოს მთავრობამ ორგანიზაციას უვადო სარგებლობაში გადასცა მიწა, სადაც დაიწყო ბავშვებისთვის საცხოვრებელი კოტეჯების მშენებლობა. აქ მალე აშენდა მცირე ზომის სახლი, სადაც კასპიდან 24 ბავშვი გადმოვიდა. ოჯახურ პირობებთან მიახლოებული საცხოვრებელი გარემოს გარდა, ბავშვები ჩართული იყვნენ ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და განვითარების პროგრამაში. ასევე ორგანიზაციის წევრები მუშაობდნენ ბავშვების მშობლებთან და შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ ბავშვის ოჯახში დაბრუნებას. ამ პერიოდიდან ორგანიზაცია სახელმწიფო დეინსტიტუციონალიზაციის პროგრამაში ჩაერთო¹.

მრავალი მოდელი, რომელიც დღეს გავრცელებულია საქართველოში, „პირველი ნაბიჯის“ ბაზაზე დაინერგა. „პირველი ნაბიჯი“ სთავაზობდა დარგის სპეციალისტებს სხვადასხვა სასწავლო პროგრამას, მუშაობდა „კასპის ბავშვთა სახლის“ დეინსტიტუციონალიზაციის საკითხზე, რაც მისი დახურვით დასრულდა კიდევ. „დღეს ჩვენ ათზე მეტ პროგრამას ვთავაზობთ მომხმარებელს,“ – ამბობს ორგანიზაციის ხელმძღვანელი თამუნა ზაალიშვილი: „მომსახურებასთან ერთად მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან თუ სხვა უწყებებთან დარგის განვითარების საკითხებზე, იქნება ეს ბავშვთან და ოჯახთან მუშაობის თანამედროვე მეთოდების ადაპტაცია-გავრცელება თუ მართვისა და დაფინანსების საკითხები.“

დაფინანსების ძირითადი წყარო ამ წლებში იყო ჯეინ ენ ქორბოის მიერ ირლანდიაში დაფუძნებული ორგანიზაცია „Next Step“-ი, რომელიც „პირველი ნაბიჯისათვის“ ფონდების მობილიზაციას ეწეოდა. დაფინანსების სტაბილური წყარო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა „პირველი ნაბიჯის“ პერსონალის განვითარებისათვის: „ამ წლებში შევძელით ბევრი რამ გვესწავლა. ვიღებდით მონაწილეობას სხვადასხვა სასწავლო პროგრამასა და ტურში, ვესწრებოდით სემინარებს,“ – იხსენებს თამუნა ზაალიშვილი. სტაბილურმა დაფინანსებამ და კვალიფიკაციის ზრდამ გავლენა მოახდინა ორგანიზაციის განვითარებაზე. დღის ცენტრს დაემატა შინამოვლის პროგრამა იმ ბავშვებისათვის, ვინც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ გამოდის სახლიდან. საჯარო სკოლა №100-თან თანამშრომლობით მოხერხდა ინტეგრირებული სწავლების კლასის შექმნა, რაც იმ დროისათვის სიახლეს წარმოადგენდა, და რამაც შეიტანა თავისი წვლილი ინკლუზიური სწავლების დანერგვაში. დაინერგა მშობლების მხარდაჭერის პროგრამა, სადაც ფსიქოლოგიურ თანადგომასა და სწავლებასთან ერთად, მშობლებს ურჩევდნენ როგორ ემოქმედათ საკუთარი უფლებების დასაცავად და მოეხდინათ თვითორგანიზება.

ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, „პირველი ნაბიჯი“ მიზანმიმართულად მუშაობდა „ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან“ ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვის განვითარების ახალი მოდელების სახელმწიფო პროგრამაში ინტეგრაციაზე. მაგალითად, ადრეული განვითარების პროგრამა, რომელიც გულისხმობდა ჩარევას ქცევითი დარღვევის პირველივე გამოვლენისთანავე, „პირველი ნაბიჯში“ დაინერგა. ადრეული ჩარევა მეტად ეფექტური მიდგომაა. იგი შევიდა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამაში და მის ფარგლებში დაფინანსება დღემდე მიმდინარეობს (საქართველოს მთავრობა, 2017). დაფინანსება ხდება ვაუჩერის მეშვეობით, რომელსაც იღებს მომხმარებელი და ირჩევს სერვისის მიმწოდებელს. სახელმწიფო პროგრამით

¹ იგულისხმება ბავშვთა რეზიდენტული ზრუნვის ჩანაცვლება მინდობით აღზრდით და სხვა ოჯახზე და თემზე დაფუძნებული სერვისებით. ამ პროცესში ფუნქციონირებას წყვეტს მსხვილი დაწესებულებები (საბჭოთა ტიპის ბავშვთა სახლები) და მათი ჩანაცვლება ხდება მცირე ზომის, საოჯახო ტიპის სახლებით, სადაც გარემო მიახლოებული უნდა იყოს საოჯახო გარემოსთან.

დაფინანსება ნაწილობრივ («60%) ფარავდა ორგანიზაციის მიმდინარე (სახელფასო ფონდი, სასწავლო და სამედიცინო მასალა, ზედნადები) და კაპიტალურ (შენობის შეკეთება, აღჭურვა) დანახარჯებს. ამიტომ „პირველი ნაბიჯი“ აქტიურად მუშაობდა სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო დონორ ინსტიტუტთან, უცხო ქვეყნების საელჩოებთან საქართველოში. სისტემატურად მუშავდებოდა საპროექტო წინადადებები და ხორციელდებოდა მათგან საგრანტო სახსრების მოპოვებაზე მიმართული მრავალი ღონისძიება. აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე დონორების პოლიტიკა ითვალისწინებდა როგორც დარგის ინსტიტუციური განვითარების, ასევე მომსახურების დაფინანსებას.

აი, რას წერდა „პირველი ნაბიჯის“ შესახებ UNICEF ამ პერიოდში: „თითქმის 10 წლის მანძილზე UNICEF და პირველი ნაბიჯი იყვნენ პარტნიორები და წარმატებით თანამშრომლობდნენ, რათა დახმარებოდნენ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებს. ორივე ორგანიზაციის მიზანი იყო შექმნილიყო სისტემა, სადაც ყველა ბავშვი საქართველოში მიიღებდა ხარისხიან მომსახურებას და მოხდებოდა მათი ინტეგრაცია საზოგადოებასთან, რასაც წარმატებით ვაღწევთ“.

2013 წლიდან ირლანდიის „Next Step“-ის დაფინანსება შემცირდა და 2016 წელს დასრულდა. ამასთან შეიცვალა საქართველოში მოქმედი დონორი ინსტიტუტების პოლიტიკა, რომელიც მომსახურებაზე, სერვისებზე ორიენტირებული საქმიანობების დაფინანსება მნიშვნელოვნად შეამცირეს. ასეთი ცვლილებები დიდი გამოწვევაა ნებისმიერი ორგანიზაციისთვის და დიდი ძალისხმევაა საჭირო, რომ ფუნქციონირება წარმატებით გააგრძელოს.

ამ გამოწვევის საპასუხოდ ორგანიზაციამ შემდეგ ნაბიჯებს მიმართა: „პირველი ნაბიჯი“ აგრძელებს თანამშრომლობას სახელმწიფოსთან. ორგანიზაცია აფართოებს მომსახურებას და 2016 წელს წერგავს აუტისტური სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამას. მას დაფინანსებს თბილისის მერია (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, 2016). პარალელურად ძლიერდება მუშაობა ფილანთროპიის მიმართულებით. აქტიურად გამოიყენება საზოგადოებასთან ურთიერთობა, იქმნება კომუნიკაციის გეგმა და ბრენდის სტრატეგია, ეწყობა მრავალი ღონისძიება, რომელთა მიზანია შემოწირულობის მობილიზაცია. „ბევრ რამეს კერძო პირებთან და კომპანიებთან მუშაობის დროს ვსწავლობდით და სტრატეგია იხვეწებოდა. ვთქვით, ვთხოვდით მცირე ზომის შემოწირულობას კონკრეტული მიზნისათვის, მაგალითად, სტიპენდიას ერთი ბავშვის მოსავლელად, რაც უფრო ხშირად გამოიღებდა ხოლმე შედეგს,“ - იხსენებს თამუნა ზაალიშვილი: „აუცილებელია პირდაპირი კონტაქტი გადაწყვეტილების მიმღებ პირთან. ხშირად ერთი დამფინანსებელი გვეხმარებოდა კავშირი დაგვემყარებინა მეორესთან.“ შეძლებისდაგვარად „პირველი ნაბიჯი“ აგრძელებს მუშაობას დონორ ინსტიტუტებთან: „მიუხედავად დაფინანსების პოლიტიკის ცვლილებისა, მაინც არიან დონორები, რომლებიც დაფინანსებენ მომსახურებასაც. მაგალითად „ღია საზოგადოება საქართველო“, რიგი საელჩოები.“

ფილანთროპიული შემოწირულებების და საგრანტო დაფინანსების პარალელურად მნიშვნელოვანი გახდა შემოსავლის სხვა წყაროების გამოყენებაც ორგანიზაციის მდგრადი დაფინანსების მოდელისათვის. „პირველი ნაბიჯის“ პრაქტიკაში ჩნდება კომერციული მომსახურება, როდესაც მშობელი იხდის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამის საფასურს ან მის ნაწილს. ხდება მომსახურების თანადაფინანსება, რაც ხელმისაწვდომს ხდის მომსახურებას მეტი ადამიანისათვის და ზრდის ორგანიზაციის ფინანსურ სტაბილურობას. დღეისათვის, ორგანიზაციის დანახარჯების 40% იფარება სახელმწიფო პროგრამიდან, 27% შემოწირულების ხარჯზე, 10% დონორი ინსტიტუტების მიერ, ხოლო 23% კი კომერციული შემოსავალი შეადგენს. ორგანიზაცია ვერ შეძლებდა განვითარებას და ფუნქციონირების გაგრძელებას რომ არა წლების განმავლობაში შექმნილი რეპუტაცია, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვის განვითარების ეფექტური პროგრამები. „მოთხოვნა ჩვენ მომსახურებაზე დღეს არ წარმოადგენს გამოწვევას,“ – ამბობს თამუნა ზაალიშვილი: „პირველი ნაბიჯის“ მთავარი გამოწვევები დღეს არის ხარისხიანი მომსახურების შენარჩუნება და ორგანიზაციის შემდგომი განვითარება.“

სხვა მნიშვნელოვანი მოხდენები „პირველი ნაბიჯის“ ისტორიიდან:

2005 წელს გაიხსნა პირველი ნაბიჯის პირველი დღის ცენტრი 30 ბავშვისთვის;

2010 წელს UNICEF-ის მოთხოვნით, პირველი ნაბიჯის ტრენერებმა სახელმწიფო ინსტიტუციების პერსონალს ტრენინგი ჩაუტარეს;

2010 წელს პირველმა ნაბიჯმა დახურა საცხოვრებელი კოტეჯები და ოჯახის მხარდამჭერი მომსახურების განვითარებას შეუდგა. ბავშვები საცხოვრებლად გრემსა და ქედელში გადავიდნენ;

ორგანიზაციამ „Save the Children“ „პირველი ნაბიჯი“ ექსპერტის სტატუსით მიიწვია, რათა დახმარებოდა მათ საქართველოს ორ რეგიონში, კახეთსა და იმერეთში, „შინ მომსახურების“ პროგრამის დანერგვაში;

2011 წლიდან პირველი ნაბიჯი ბავშვთა ზრუნვის რეფორმის მნიშვნელოვანი პარტნიორი გახდა.

- ▶ გაიხსნა მეორე დღის ცენტრი თბილისში;
- ▶ პირველმა ნაბიჯმა დაიწყო ადრეული განვითარების პროგრამა;
- ▶ გაიხსნა დღის ცენტრი ქუთაისში;
- ▶ ადრეული განვითარების პროგრამა ქუთაისსა და ბათუმში;
- ▶ პირველი ნაბიჯის ტრენერების მიერ გადამზადდა 225 სახელმწიფო სოციალურ მუშაკი და 14 დღის ცენტრის თანამშრომელი.

2017 წელს გაიხსნა აუტიზმის ახალი ცენტრი, სადაც აუტიზტური სპექტრის მკურნალობა ABA მეთოდის გარდა ახალი მეთოდით „ფლორთაიმითაც“ (Floortime) გახდა შესაძლებელი. ცენტრის გარემონტება და აღჭურვა გერმანიის საელჩოს, „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“-ს, ასევე კომპანიების – ვისოლ ჯგუფის, გალფის, საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის, ლიბერთი ბანკის და დიოს დახმარებით გახდა შესაძლებელი.

2018 წელს გაიხსნა „პირველი ნაბიჯის“ რუსთავის ფილიალი. ფილიალში ხორციელდება ადრეული განვითარების და აუტიზმის პროგრამები.

2019 წელს გაიხსნა „პირველი ნაბიჯის“ ისნის ფილიალი, სადაც პირველი ნაბიჯის სპეციალისტები ემსახურებიან აუტიზტური სპექტრის მქონე ბავშვებს.

2020 წელს პირველი ნაბიჯის ორგანიზებით და ღია საზოგადოების ფონდის მხარდაჭერით, 30 იანვარს გაიმართა კონფერენცია თემაზე – „აუტიზმის მქონე ადრეული ასაკის ბავშვებთან და მათ ოჯახებთან მუშაობის თანამედროვე მეთოდები“. მომხსენებლები იყვნენ საქართველოში მოღვაწე წამყვანი სპეციალისტები და უცხოეთიდან მოწვეული ექსპერტები. კონფერენციაზე სხვა თერაპიულ მიდგომებთან ერთად განხილული იყო საქართველოსთვის შედარებით ახალი მიდგომა DIR – Floortime, რომელიც „პირველ ნაბიჯში“ უკვე 4 წელია ინერგება.

„უკეთესი მომავლისთვის“ და „იკორთა“

მომზადებულია კონსულტაციის და გენინგის ცენტრის მიერ

სოციალური საწარმო „იკორთა“ 2012 წელს დააფუძნა არასამეწარმეო, საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ „უკეთესი მომავლისათვის.“ თავდაპირველად „იკორთა“ ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციის ერთ-ერთ პროექტს წარმოადგენდა.

ორგანიზაცია „უკეთესი მომავლისთვის“

ორგანიზაცია 2002 წელს შეიქმნა და ეწოდა ახალგაზრდული ასოციაცია „ახალგორი“, თუმცა 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად ორგანიზაციაც იძულებით გადაადგილებული აღმოჩნდა. სწორედ ამ მოვლენებმა განაპირობა ცვლილებები ორგანიზაციის ამოცანებსა და მიზნებში. ასევე შეიცვალა ორგანიზაციის სახელწოდებაც (ახალგაზრდული ასოციაცია ახალგორი) და ეწოდა ა(ა) იპ „უკეთესი მომავლისათვის“.

ორგანიზაციის მისია ასეთია: „უზრუნველყოთ ქალებისა და ახალგაზრდების პროფესიული განვითარება, კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების შესახებ მათი ცნობიერების ამაღლება, საზოგადოების ეფექტურობასა და დევნილი მოსახლეობის ხელშეწყობა, მათი სამოქალაქო საზოგადოებაში ჩართულობის გზით.“

ორგანიზაცია რამდენიმე მიმართულებით მუშაობს:

- ▶ **მშვიდობის მშენებლობა** – ამ მიმართულების ფარგლებში ორგანიზაცია მუშაობს ომით დაზარალებული მოსახლეობის სამართლებრივ და ჰუმანიტარულ საკითხებზე. ორგანიზაცია აქტიურადაა ჩართული მათი პრობლემებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებასა და საერთაშორისო დონეზე წარმოჩენაში.
- ▶ **ახალგაზრდებთან მუშაობა** – ამ მიმართულების ფარგლებში ორგანიზაცია კონფლიქტისა და კრიზისული რეგიონების წარმომადგენელი ახალგაზრდა გოგონების საგანმანათლებლო შესაძლებლობების მხარდაჭერას ეწევა, ასევე აქვს ახალგაზრდების პროფესიული განვითარების პროგრამა წეროვანის, წილკნისა და ფრეზეთის დევნილთა დასახლებებში და მცხეთა-მთიანეთის რეგიონის დევნილთა დასახლებაში კოორდინირებას უწევს Erasmus Mundus სასტიპენდიო პროგრამას. 2017 წლიდან ორგანიზაცია „უკეთესი მომავლისათვის“ არის ევროპის მოხალისეობრივი სერვისის“ (EVS) მიმღები და გამგზავნი ორგანიზაცია. სხვადასხვა ევროპულ ახალგაზრდულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით დევნილ ახალგაზრდებს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა ტრენინგ და გაცვლით პროგრამებში, რაც მათ უნარ-ჩვევების განვითარებაში ეხმარება.
- ▶ **სოციალური მენარმეობა** - 2012 წლიდან ორგანიზაციას საკუთარი სოციალური საწარმო, შპს „იკორთა“ აქვს, რომელიც ბენეფიციარებს პროფესიული განვითარების შესაძლებლობებთან ერთად დასაქმებასაც სთავაზობს. საწარმოში 12 ახალგაზრდა ქალია დასაქმებული წეროვანის დევნილთა დასახლებიდან. სოციალური საწარმო „იკორთა“ დღეს სტაბილური ბიზნესია.

ორგანიზაცია „იკორთა“

ორგანიზაციის ხელმძღვანელის ნანა ჩქარეულის იდეა დევნილი ქალების ხელშეწყობა იყო. შეჩერდნენ ქართული მინანქრის წარმოებაზე: „გვყავდა ახლობელი, რომელიც დაგვპირდა გვასწავლოს მინანქრის წარმოება და ჩვენც მოგვწონდა მინანქარი...“ პროექტი დააფინანსა ევანგელურ-ბაპტისტურ ეკლესიასთან არსებულმა ჰუმანიტარულმა ასოციაციამ „ბეთელმა“. დაფინანსება 700 ევროს შეადგენდა. შეიძინეს ლუმელი, ხელსაწყოები და ნედლეული. პროექტში ოთხი დევნილი ქალი მონაწილეობდა, თან სწავლობდნენ მინანქრის ტექნოლოგიას და თან მუშაობდნენ: „წარმოება, როგორც ასეთი ჯერ არ ხდებოდა, სულ 16 ერთეული მზა პროდუქცია დამზადდა, ეს სწავლა უფრო იყო,“ - იხსენებს ნანა ჩქარეული: „ყველაფერი „უკეთესი მომავლის“ ოფისში ხდებოდა, შეხვედრების ოთახში ერთ-ერთ მაგიდასთან. ოთახი დილით ოფისი იყო, საღამოს კი – სახელოსნო.“

შემდეგ ნანა ჩქარეულმა მიმართა „ქალთა ფონდს“, რომელმაც დააფინანსა პროექტი „ფემინისტური კოლექცია“. რეალიზაციისათვის მოეწყო რამდენიმე გამოფენა-გაყიდვა. მათ ორგანიზებას „ქალთა ფონდმა“ შეუწყო ხელი: „ყველაზე დიდი 400 ლარის საქონელი გაიყიდა. მაგრამ მოხერხდა ნედლეულის მარაგის შევსება, გარდა ამისა კიდევ ოთხმა ქალმა დაიწყო საწარმოში სწავლა“.

დაახლოებით ამ დროს მშვიდობის კორპუსის ერთ-ერთმა მოხალისემ, რომელიც მუშაობდა „უკეთეს მომავალში“, მოიფიქრა დაეპატიჟებინათ სტუმრები და მათთვის შემეცნებითი გართობა-დასვენების მიზნით სახელოსნოში ერთი-ორი საათი სამუშაო შეეთავაზებინათ. ამ შეთავაზებას „ვორქშოპი (workshop)“ დაარქვეს: „ერთი სიტყვით, ჯგუფი ჩამოვა, თვითონ იმუშავებს მინანქარზე, გაერთობა და ამაში ფულს გადაიხდის. მოწვეული სტუმრის მიერ დაწყებულ ნაკეთობას დაასრულებს სახელოსნოს ოსტატი და შემდეგ გაუგზავნით ფოსტით. მოდი, „მშვიდობის კორპუსით“¹ დავიწყეთო.“ იდეამ გაამართლა. მრავალი ჯგუფი ჩამოდიოდა. საინტერესოა ისიც, რომ სახელოსნო დევნილთა დასახლებაში დატოვეს და მისამართი არ შეუცვალეს: „იყო აზრი „ვორქშოპებისათვის“ ოთახი თბილისის ან მცხეთის რომელიმე ისტორიულ უბანში გვექირავებინა, მაგრამ მსჯელობის შემდეგ დავტოვეთ დევნილთა დასახლებაში. ეს პრინციპული მოსაზრება გახლდათ, სწორედ ადგილმდებარეობა ზრდიდა სოციალურ დატვირთვას.“ ყოველივე ამას ორი მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა: პოპულარობისა და ცნობადობის ზრდა; საწარმოს მიერ შექმნილი მზა პროდუქციის მარაგის წარმოების ადგილიდან რეალიზაცია (მოწვეული სტუმრები არა მხოლოდ მუშაობდნენ საკუთარ ნაკეთობებზე, არამედ ეცნობოდნენ და ყიდულობდნენ სახელოსნოს ოსტატების მიერ დამზადებულ და იქვე ოთახში სტენდზე განთავსებულ ნაწარმს).

„როდესაც საქმეს იწყებ შეზღუდული რესურსების და მძაფრი კონკურენციის პირობებში, ერთადერთი გამოსავალი სწორედ ასეთი ხერხებია,“ – ამბობს ნანა ჩქარეული. პოპულარობის ზრდა დაეხმარა საწარმოს სამომხმარებლო ბაზრიდან შესულიყო კორპორაციულ ბაზარზე. მათ დაუკავშირდა საგარეო საქმეთა სამინისტრო. სამინისტრომ დაუკვეთა დიპლომატიური მისიებისათვის სუვენირების წარმოება. გაფორმდა კონტრაქტი. კორპორაციული კლიენტი ძალიან მნიშვნელოვანი იყო საწარმოსათვის. იგი დღემდე მთლიანი შემოსავლის 60% -ს გენერირებს.

წარმოების მოცულობის ზრდამ აუცილებელი გახდა დამატებითი საწარმოო სიმძლავრე და თანამშრომლები. „იკორთამ“ აიღო კრედიტი და შეიძინა შენობა, სადაც გადავიდა სახელოსნო. ასევე აუცილებელი გახდა დაქირავებული ადმინისტრაციული მუშაკი (მენეჯერი), რომელიც ხელმძღვანელობას გაუნვედა სახელოსნოს – შესყიდვებს, რეალიზაციას. მენეჯერის პოზიციაზე რუსუდან მორბედაძე დაინიშნა. დიზაინზე თავად ხელოსნები მუშაობენ. დაკვეთის შემთხვევაში მენეჯერი ასევე უზრუნველყოფს დაკვეთის სიზუსტეს: „ჩვენთვის მნიშვნელოვანია ორიენტაცია კლიენტზე. ნაკეთობა ტექნიკურად სრულყოფილი უნდა იყოს, წუნის გარეშე – არ იყოს ბზარი, ფერები არ გადადიოდეს, ტიხარი შეკრული იყოს, ზედაპირი დამუშავდეს ჯეროვნად.“ ასევე ყურადღება ეთმობა პერსონალის დახელოვნებას. ყველაზე კარგი ხელოსანი შარშან გაუშვეს სტაჟირებაზე ერთ-ერთ მოწინავე სახელოსნოში. წარმოების მოცულობის ზრდამ დღის წესრიგში

¹ მშვიდობის კორპუსი (ინგლ. Peace Corps) – აშშ-ს მთავრობის დამოუკიდებელი ფედერალური სააგენტო. ორგანიზაციის მისიას წარმოადგენს მსოფლიოში მშვიდობისა და მეგობრობის ხელშეწყობა. ამ მისიის მისაღწევად იგი სამ მიზანს ემსახურება: დაინტერესებული ქვეყნების მოსახლეობის დახმარება გამოცდილების მქონე მოხალისეების მხრიდან; ამერიკელთა ყოფა-ცხოვრების უკეთ გაგება სხვა ქვეყნების მოსახლეობის მიერ სხვა ქვეყნების მოსახლეობის თავისებურებების შესახებ ცოდნის გაზრდა ამერიკელებში.

სამართლებრივი საკითხებიც დააყენა: „თუნდაც მხოლოდ ფინანსური ოპერაციებისა და აღრიცხვისათვის აუცილებელი გახდა რეგისტრაცია“. 2015 წელს მოხდა „იკორთას“ რეგისტრაცია შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოდ. „უკეთესი მომავლისთვის“ საწარმოს წილის სრული მფლობელია.

დღეს საწარმოში მუშაობს 8 ხელოსანი და მენეჯერი. მუშაობის განრიგი მოქნილია, რაც მეტად მნიშვნელოვანია აქ დასაქმებული დევნილი ქალებისათვის. საწარმოს ათამდე მომწოდებელი ჰყავს (აქსესუარები, მინაქრის ნედლეული, ვერცხლისა და სპილენძის ტიხარი და სხვა). რეალიზაცია კორპორაციული კლიენტის გარდა ხდება ათზე მეტ მაღაზიაში თბილისში, ვარძიაში, უფლისციხეში, ამერიკის საელჩოში, ბორჯომში. ხდება პროდუქციის რეალიზაცია ადგილიდან, გამოფენების დროს. ასევე ცდილობენ იმუშაონ ტურისტულ კომპანიებთან. ამის გარდა მარკეტინგული კომუნიკაცია მოიცავს ვებგვერდს და სოციალურ მედიას. ბოლო სამი წლის განმავლობაში გაყიდვების დინამიკა აჩვენებს სტაბილურ ზრდას (2016 წლიდან 2017 წლამდე 10.67%). საწარმოს წარმატებაში დიდი როლი ნანა ჩქარეულის საქმიანმა კონტაქტებმა ითამაშა, რომელიც მან სამოქალაქო ორგანიზაციაში მუშაობის დროს დაამყარა: „ბევრ ადამიანს ვიცნობდი, რადგან წლებია ვმუშაობ და ვხელმძღვანელობ „უკეთეს მომავალს.“ აღმოჩნდა, რომ ეს საქმიანი კავშირები და რეპუტაცია, რომლითაც „უკეთესი მომავალი“ სარგებლობს, თავისებური რესურსია. მას ვიყენებთ, იგი გვეხმარება.“

სოციალური მოდელი გულისხმობს დევნილი ქალების დასაქმებას. სახელფასო ფონდი გაყიდვების 40% შეადგენს. ამასთან აღსანიშნავია, რომ 2020 წლიდან მოგებაზე გავიდნენ და მოგება გამოიყენეს „უკეთესი მომავლის“ პროექტების თანადაფინანსებისათვის.

ფერმერული კოოპერატივები

ავტორი: თამაზ კობეხიძე

შესავალი

„ღიღა, სუფთა ჰაეხი, ფოთლისა და მიწის სუნი, დაღდა... და მეხე მოსავალი“.. ესაა ჩემი ბედნიეხება“, – ამბობს მაღალმთიანი გურიის სოფლის მკვიდრი, ამირან ლლონტი. ამირანს ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. მან არ მიატოვა მშობლიური გურია და თავის თავს გლეხს უწოდებს. 3000 კვადრატულ მეტრ მიწაზე ცოტ-ცოტა სიმინდიც მოჰყავდა და თავლსაც აგროვებდა. ბევრი არაფერი: ცოტას ყიდდა და ცოტასაც ოჯახში მოიხმარდა... როგორც ყველა...

ეზოს ღობის გასწვრივ მოცვი ერგო. მწვანე ღობის ფუნქციას უფრო ასრულებდა, ვიდრე რაიმე სხვას. ერთხელაც, საღამოს, ტელევიზიით გადაცემა ნახა, სადაც ფერმერებზე იყო საუბარი და კიდევ, ლურჯ მოცვზე. გადაცემაში ჭკვიანი ადამიანები ჰყვებოდნენ, რომ ლურჯი მოცვის ნერგები აშშ-დან საქართველოში პირველად 2006 წელს ჩამოიტანეს და საცდელად იმერეთში, სოფელ სიმონეთში დარგეს. შემდგომ წლებში მოცვის ნერგები ასევე გურიასა და სამეგრელოშიც გაამრავლეს, რადგან აღმოჩნდა, რომ საქართველოს ეკოლოგიური პირობები კარგად შეესაბამება ამ კულტურის წარმოებას. პერსპექტიული საქმეაო ამბობდნენ. ევროპაშიც შეიძლება გატანაო..

ყოველთვის უნდოდა ამირანს რაღაც მსგავსის გაკეთება.. „რატომაც არა?“, ფიქრობდა ამირანი, „ფერმერი გავხდები, კეთილშობილურ საქმეს გავაკეთებ.. ოჯახს წაადგება“.. იმავე გადაცემიდან სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, შეღავათიანი აგრო-კრედიტის¹ და ევროკავშირის დახმარების შესახებ შეიტყო და მყარად გადაწყვიტა ლურჯი კენკრის წარმოება ოჯახურ ბიზნესად ექცია. ასე გააკეთა კიდევ: ევროკავშირის პროგრამის დახმარებით², მჭავიანობისა და ნაყოფიერების დადგენის მიზნით, ჩაატარა ნაკვეთის ნიადაგის კვლევა და მიიღო და გააშენა ლურჯი მოცვის ნერგები. ამასთან, შეღავათიანი კრედიტით საირიგაციო სისტემა მოაწყო.

3 წელიწადში ბაღმა მოლოდინს გადააჭარბა. 1000 ნერგიდან 5 ტონაზე მეტი მოცვი მოიღო. გაყიდვა დაიწყო. მეტსაც გაყიდდა, მეტი რომ ჰქონოდა.

ამირანის ნაკვეთის მომიჯნავე ნაკვეთებიდან ერთ-ერთი ბიძაშვილს ეკუთვნის. იქაც 3000-მდე კვადრატული მეტრი იქნება. დანარჩენი ორი კი – თანასოფლელებს. 4 ნაკვეთი ერთად 3 ჰექტრამდე ადის...ერთად რომ მოეყვანათ მოსავალი და თუ გაამართლებდა – კიდევ მეტ ადამიანთან შეიძლებოდა შეამხანაგება..

ამირანმა დაითვალა რამხელა მოსავალი შეიძლება მოსულიყო...კოოპერატივს შევექმნო, იფიქრა, არასამთავრობო ორგანიზაციის „ფერმერთა ასოციაციის“ წარმომადგენლსაც შეხვდა რჩე- ვისთვის. კარგი იდეააო, ურჩიეს. უფრო კარგი შედეგის მიღებაა შესაძლებელიო, ვიდრე როდესაც ცალ-ცალკე გინევთ შრომაო. ცხადია, ერთად ხდება რესურსების მობილიზება, როგორც ადამიანური ასევე ტექნოლოგიებისო, თანაც კოოპერატივს სახელმწიფოც ეხმარება და საერთაშორისო ორგანიზაციებიცო. თუმცა, კარგია თუკი კოოპერატივი გააერთიანებს არა 2-3, არამედ გაცილებით მეტ ადამიანსო.

შეთავაზებით ამირანმა პირველად ბიძაშვილს მიმართა. უცებ დაითანხმა და ერთად სხვა თანასოფლელებთან მივიდნენ. გაუჭირდათ დათანხმება. მეზობლებმა ეჭვის თავლით შეხედეს

¹ აღნიშნული კრედიტით ფინანსდება ახალი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შექმნა და არსებული საწარმოების ტექნოლოგიური გადართობა. პროდუქტი განკუთვნილია გადამამუშავებელი, ინფრასტრუქტურული, ინტენსიური ტიპის პირველადი სასოფლო – სამეურნეო საწარმოებისათვის, მრავალწლოვანი ნარგავების გაშენებისათვის და სხვა. ამავე პროექტის ფარგლებში შესაძლებელია საგრანტო კომპონენტით სარგებლობა. კრედიტი ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ გრანტის გაცემას განსახორციელებელი პროექტების ღირებულების 50%-მდე ოდენობით (apma.ge 2015)

² სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ევროპის სამეზობლო პროგრამა (ENPARD)

კოოპერატივის იდეას – კოლმეურნეობის შექმნა გინდაო? ასე მითხრეს: „ვერაფერი გავუგეთ კანონსო, თან არც თანამედროვე ტექნოლოგიებს ვიცნობთო, არ ბიზნესის ცოდნა და უნარები გვაქვსო. ამხელა მიწა ან როგორ უნდა დავამუშაოთ, ან მოსავალი როგორ დავითვალოთ და გავანაწილოთ...“ ყვება ამირანი...„მთელი ცხოვრება მიწაზე ვმუშაობთ, რა ვიცით ჩვენ ქალაქ-დები და ბიუროკრატიაო.. ვინმე მოკლედ და გასაგებად რომ მაინც აგვიხსნიდესო... როგორ გავუნევთ კონკურენციას თურქ ფერმერებსო?.. მათ ყველაფერი უახლესი ტექნოლოგიით მოჰყავთო...“

მოლაპარაკებები პროცესში იყო, როცა მას ტელეფონით „საქართველოს ფერმერთა ასოციაციის“ წარმომადგენელი დაუკავშირდა და ფერმერთა კონფერენციაზე დაპატიჟა.

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

„საქართველოს ფერმერთა ასოციაცია“³ წარმომადგენს არასამეწარმეო არამომგებიან იური-დიულ პირს, რომელიც 2012 წლის ბოლოს დაფუძნდა. ორგანიზაცია ამჟამად 4000-მდე ფერმერს აერთიანებს მთელი საქართველოს მასშტაბით. მისი წევრი ფერმერებისგან მინიჭებული მან-დატის შესაბამისად, ასოციაცია ასრულებს ფერმერებსა და ხელისუფლებას შორის შუამავალი რგოლის ფუნქციას.

ასოციაცია ნაყოფიერად თანამშრომლობს სახელმწიფო უწყებებთან. აქტიურად იყო ჩართული სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიისა და პოლიტიკის ფორმირებაში. ასოციაცია არის სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო საბჭოს, მათ შორის, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარების ალიანსის წევრი (GAARD).

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ძირითადი მიმართულებებია: ადვოკატირება, შესაძლებ-ლობების გაძლიერება და კავშირების დამყარება. ასოციაცია მიზნად ისახავს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ფერმერთა ცხოვრების დონის გაუმჯობესებასა და სოფლის მეურნეობის სექტორის გაძლიერებას. ამ მიზნით, სხვა მომსახურებასთან ერთად, ქართველ ფერმერებს ასო-ციაცია სთავაზობს:

- ▶ ელექტრონული ბიბლიოთეკის გამოყენებასა და სექტორული ლიტერატურის ხელმისაწვდომობას;
- ▶ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროექტში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას;
- ▶ ასოციაციის მონაცემთა ბაზაზე და წევრების საკონტაქტო ინფორმაციაზე წვდომას;
- ▶ ტრენინგებზე, სემინარებზე, სამუშაო შეხვედრებზე, სასწავლო ტურებზე, გამოფენა-გაყიდვებზე და სხვა ღონისძიებებზე დასწრებას;
- ▶ სასოფლო-სამეურნეო დარგის სპეციალისტის კონსულტაციას;
- ▶ ფერმერთა პროდუქციის პოპულარიზაციას ტელევიზიით, GFA-ს ვებ-გვერდითა და სოციალური ქსელის მეშვეობით;
- ▶ სერტიფიცირებით (Geo GAP) სარგებლობას (პროდუქტის ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატის მიღება);
- ▶ პროდუქტის რეალიზაციაში ხელშეწყობას და სხვ.

გარემო

ამირანის სოფელი მაღალმთიან აჭარაშია, სადაც მოსახლეობის სიმჭიდროვე, რთული რელიეფი და მიწის ნაკვეთების სიმცირე სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის სოფლის მეურნეობის განვი-

³ საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, www.gfa.org.ge

თარებას. სოფლად მცხოვრები გურულები, ძირითადად, თვითდასაქმებულთა კატეგორიას განეკუთვნებიან და თავიანთ ოჯახურ მეურნეობებში საქმიანობენ.

სახელმწიფო რწმუნებულის ვებგვერდის მიხედვით, თანამედროვე ეტაპზე გურიის აგროსასურსათო სექტორის წინაშე მდგომ უმნიშვნელოვანეს ამოცანას სოფლისა და სოფლის მეურნეობის მაღალი ტექნოლოგიების საფუძველზე განვითარება წარმოადგენს. შესაბამისად, სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია და აგროწარმოების განვითარება, რეგიონისთვის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტულ ამოცანად განიხილება. გურიის ნიადაგები და კლიმატი იძლევა ისეთი კულტურების განვითარების საშუალებას, რომელთა განვითარება საქართველოს სხვა რეგიონებისთვის, სამეგრელოს გარდა, ნაკლებად შესაძლებელია. გურიაში განსაკუთრებით კარგი პირობებია ჩაის, ციტრუსის, სიმინდის, ბოსტნეულის, ხილის, სუბტროპიკული ეთერზეთოვანი კულტურების,

ბაღჩეულისა და მრავალწლიანი ბალახების წარმოებისთვის. ამასთან, გურიის ნიადაგ-კლიმატური პირობები იძლევა მემცენარეობის ისეთი დარგების განვითარების შესაძლებლობას, როგორცაა მეციტრუსეობა, მეჩაიეობა, კენკროვანი კულტურების (მათ შორის, ლურჯი მოცვის) წარმოება, აგრეთვე, სხვადასხვა სუბტროპიკული ხილის წარმოება, როგორცაა ხურმა, ზეთისხილი, პეკანი, ფეიხოა, ავოკადო, მუშმალა და სხვ. მერქნიან-ტექნიკური კულტურებიდან ახლო წარსულში გავრცელებული იყო ბამბუკის, ტუნგის, დაფნისა და ევკალიპტის წარმოება⁴.

(აუთვისებელი) შესაძლებლობები

საქართველო, ტრადიციულად, აგრარული ქვეყანაა. თუმცა, ეს მაღალი პოტენციალი არაა საკმარისად ათვისებული. დღეს საქართველოში სურსათის 80 პროცენტი იმპორტირებულია, ხოლო სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 10 პროცენტს არ აღემატება. ამავდროულად, მოსახლეობის 40 პროცენტზე მეტი სოფლად ცხოვრობს⁵ და ფერმერობას მისდევს (UNDP 2020).

მრავალი ადგილობრივი თუ საერთაშორისო ექსპერტი აღნიშნავს, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის საშუალებით შესაძლებელია სიღარიბის დამარცხება, სოფლად ცხოვრების გაუმჯობესება, ეკოტურიზმის განვითარება და ეკონომიკური უსაფრთხოების მიღწევა.

2014 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას, რაც ქართულ პროდუქტს გზა გაუხსნა 28 ევროპული სახელმწიფოს ერთიან შიდა ბაზარზე. თუმცა 500 მილიონზე მეტი ევროპელი მომხმარებლის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ქვეყანამ არაერთი ვალდებულება უნდა შეასრულოს.

ბოლო წლებში, სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გამოყოფილი თანხები საკმაოდ გაიზარდა (ელკანა 2016). სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმიანობა მოიცავს ცხოველისა და მცენარის სიჭანსაღის დაცვას, კვლევებს, ქართული პროდუქტების საერთაშორისო წარმოჩენას, ბიზნესზე ორიენტირებული ფერმერული ჯგუფების განვითარების ხელშეწყობას, სარწყავი და სადრენაჟე სისტემების რეაბილიტაციას, ფინანსური რესურსებისა და სანარმოო საშუალებების (სარგავი მასალა, თესლი, სასუქი, ქიმიკატები და სხვ.) ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას და სხვ. 2010-2016 წლებში სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობის დაფინანსება და მისი წილი მთლიან ბიუჯეტში შესაბამისად 48%-ით და 41%-ით გაიზარდა (ელკანა 2016). ამჟამად, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 და საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020 სექტორში მიმდინარე რეფორმების განმსაზღვრელი ძირითადი დოკუმენტებია. სოფლის მეურნეობის სტრატეგია მიზნად ისახავს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარებას, მცირე ფერმერთა გაძლიერებითა და წარმოების ზრდის ხელშეწყობით. ხოლო სოფლის განვითარების სტრატეგიის მიზანია საქართველოს სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის და სოციალური მდგომარეობის მუდმივი ზრდის უზრუნველყოფა, რომელიც დაეფუძნება მრავალფეროვან ეკონომიკურ შესაძლებლობებს, ხელმისაწვდომ სოციალურ სიკეთეებს, მდიდარ კულტურულ ცხოვრებას, გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვას.

⁴ სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია, 2020, გურია, <http://guria.gov.ge/geo/static/209>

⁵ მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მიხედვით (geostat.ge 2020)

2013 წლიდან, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო ახორციელებს პროექტს, რომლის მიზანია სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესებისათვის ხელშეწყობა ფიზიკური და იურიდიული პირების იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის გზით. პროექტის ფარგლებში, ხსენებული საწარმოები საფინანსო ინსტიტუტებისგან იღებენ შეღავათიან აგროკრედიტს/აგროლიზინგს ძირითადი და საბრუნავი საშუალებებისთვის. „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში აგრო კრედიტებს გასცემენ პროექტში მონაწილე კომერციული ბანკები და საფინანსო ინსტიტუტები. თავდაპირველად, პროექტის ერთ-ერთი კომპონენტი იყო ასევე „აწარმოე საქართველოში“ (სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო 2016). 2014 წლიდან ეს უკანასკნელი გამოეყო და შეიქმნა სსიპ „აწარმოე საქართველოში“, რომელიც ითვალისწინებს ინდუსტრიული და სოფლის მეურნეობის მიმართულებით მენარმე სუბიექტების მხარდაჭერას.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული ასოცირების ხელშეკრულების თანახმად, საქართველო იღებს ვალდებულებას „ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებას, პოლიტიკისა და საკანონმდებლო ბაზის პროგრესული დაახლოების გზით“, ცოდნის გავრცელებითა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებით, რათა სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდეს და დაიხვეწოს ადმინისტრაციული შესაძლებლობები, როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე.

სოფლის მეურნეობის განვითარების დახმარების კუთხით, ევროკავშირი საქართველოს მთავარი დონორია. დახმარების მიზანი ევროკავშირის 2017-2020 წლების სტრატეგიულ ჩარჩო-ხელშეკრულებაში შემდეგნაირადაა ფორმულირებული: „სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდა, სოფლად დასაქმებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, ეკონომიკის დივერსიფიკაციითა და ინფრასტრუქტურული განვითარებით“. ამ მიზნის მისაღწევად, ევროკავშირის პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტია „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა (ENPARD)“. ის საქართველოში 2013 წლიდან ხორციელდება და მიზნად ისახავს სიღარიბის შემცირებას. პროგრამა ეხმარება საქართველოს მთავრობას, და ასევე ადგილობრივ თემებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს. პროგრამა ასევე მხარს უჭერს მცირე ფერმერებს, ჩამოაყალიბონ კოოპერატივები, მრავალფეროვანი გახადონ რესურსები და მიიღონ თანამედროვე ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების შესახებ. 2013-2022 წლებისთვის, ENPARD-ის ბიუჯეტი საქართველოში 179.5 მილიონი ევროა⁶.

ზემოხსენებულის მიუხედავად, სოფლის მეურნეობის განვითარებას აფერხებს გაუმართავი ინფრასტრუქტურა, თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების სიმწირე და ცოდნა, გასაღების ბაზრების მოძიებისა და გამოყენების უნარები და სხვ. მთავარი პრობლემა კი გლეხების დიდი რაოდენობაა, რომლებსაც აქვთ ძალიან მცირე ზომის მიწა. ადამიანები, რომლებიც თავის პატარა ნაკვეთებს ამუშავებენ, თავს ფერმერებად არ აღიქვამენ, მხოლოდ იმიტომ აკეთებენ ამას, რომ არ აქვთ სხვა ალტერნატივა. თავს ირჩენენ ამ მცირე ნაკვეთებზე წარმოებული პროდუქტით, რომელიც არ არის საკმარისი წარმატებული ვაჭრობისთვის.

2013-2015 წწ. ევროკავშირის დელეგაციის საქართველოსი სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ატაშეს - ხუან ეჩანოვეს თქმით, ევროპაში მცირე ფერმერებს ანალოგიური პრობლემა აქვთ. მნიშვნელოვანია, რომ ფერმერებმა, რომლებსაც აქვთ 3 ჰექტარი ან ნაკლები, მეტი პროდუქტიულობისათვის ერთიანად გამოიყენონ ტექნოლოგიები და ერთიანად გავიდნენ ბაზარზე, რადგან მცირე რაოდენობის პროდუქტით დამოუკიდებლად რაიმეს მიღწევა შეუძლებელია. ევროპელი ფერმერები ასეთ შემთხვევაში სხვებთან თანამშრომლობენ და ქმნიან კოოპერატივებს, რაც ამარტივებს და ხელმისაწვდომს ქმნის ბაზარზე გასვლას.

⁶ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა (ENPARD), <https://eu4georgia.eu/ka/enpard/>

რატომ კოოპერატივები

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკაა, რომელიც განსაკუთრებით მომგებიანია მცირე და საშუალო ფერმერებისათვის. კოოპერატივები შეიძლება შეიქმნას სხვადასხვა მიზნით, მაგალითად, სანერგე მასალის შეძენა, მარკეტინგი, ახალი ბაზრის ათვისება. კოოპერაციის ფორმას განაპირობებს ფერმერთა მიზნები და ინტერესები. კოოპერატივი შესაძლებლობას აძლევს ფერმერებს, მეტი სარგებელი მიიღონ საკუთარი საქმიანობიდან. ხოლო ხარჯების გაზიარება ამცირებს ფინანსურ ტვირთს და ხელს უწყობს ინვესტიციებს ბიზნესის განვითარებაში. კოოპერატივი ასევე აადვილებს მცირე ფერმერთა გასვლას შედარებით დიდ ბაზრებზე. ის, რაც წარმოუდგენელია ცალკე აღებული მცირე მეურნეობისათვის, სავსებით რეალურია ფერმერთა კოოპერატივისთვის (UNDP 2014).

კოოპერატივების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა 2013 წელს, როდესაც შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო. ამასთან, 2013 წლის 12 ივლისს მიღებული საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ აწესრიგებს კოოპერატივების ოპერირებას და უზრუნველყოფს კოოპერატივების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამების განხორციელებას.

კოოპერატივი პრინციპულად განსხვავდება საბჭოთა კავშირის დროს არსებული „კოლმეურნეობისგან“, რადგან ეს ნებაყოფლობითი გაერთიანებაა, რომელიც დემოკრატიული პრინციპებით იმართება. ყველა წევრი თანასწორია. მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა რაოდენობის ქონებით შევაგლები კოოპერატივში – 100 ჰექტრისა და 1 ჰექტრის მფლობელი გადაწყვეტილებას ერთნაირად იღებს (ერთი წევრი – ერთი ხმა). ამასთან, ფერმერი ინარჩუნებს თავის ქონებას და პირად სარგებელს (სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო 2015). სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ხელს უწყობენ მიწის ნაკვეთების გამსხვილებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას და ხარჯების შემცირებას. ამის შედეგად იზრდება მოსავლიანობა და პროდუქციის ხარისხი, ხოლო ამასთან ერთად მისი ექსპორტზე გატანის პოტენციალიც.

ზემოხსენებულთან ერთად, კოოპერატივებისათვის ხელმისაწვდომია სახელმწიფო და უცხოური გრანტები, განსაზღვრულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში დასაქმებულების უფასო სწავლება-გადამზადება და კვალიფიკაციის ასამაღლებელი სხვა პროგრამები, მათ ხელი მიუწვდებათ იაფ საბითუმო პროდუქტებზე და განთავისუფლებულები არიან რამდენიმე სახის გადასახადისგან (UNDP 2020).

სამოქალაქო საზოგადოება უნგრეთში - ლეგიტიმურობის გაძლიერება ზენოლის დასაძლევად

ავტორი: თამაზ კობეხიძე

შესავალი

„ჩვენ საქმე გვაქვს ანაზღაურებად პოლიტიკურ აქტივისტებთან. ამასთან, ეს პოლიტიკური აქტივისტები დაფინანსებულნი არიან უცხოელების მიერ“. ეს უნგრეთის პრემიერ მინისტრის, ვიქტორ ორბანის¹ სიტყვებია მისი ცნობილი 2014 წლის გამოსვლიდან „არალიბერალური დემოკრატიის“ შესახებ. ეს სიტყვები მნიშვნელოვანია ზენოლის გასააზრებლად, რაც ამჟამად ხორციელდება დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე უნგრეთში.

უნგრეთის მთავრობა დავობს, რომ ადამიანის უფლებების დამცველ დამოუკიდებელ ორგანიზაციებს და მთლიანობაში, სამოქალაქო სექტორს არ აქვს ლეგიტიმურობა, ზეგავლენა მოახდინოს საჯარო პოლიტიკაზე, რადგან ეს ორგანიზაციები/სექტორი არაა არჩეული დემოკრატიული გზით (სახალხო არჩევნების შედეგად). იგულისხმება, რომ მხოლოდ არჩევნების შედეგად მოსულ ხელისუფლებას აქვს უფლება და პრივილეგია „გაახმოვანოს აზრები საჯარო საქმეთა შესახებ“ (Kapronczay 2017). უცხოური ფული ამ კრიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. მიუხედავად ამისა, ხელისუფლების მომხრე მედიაში გაკრიტიკებულია სამოქალაქო სექტორის მხოლოდ ის მცირე ნაწილი, რომელიც ხელს უწყობს აქტიურ მოქალაქეობას და მოუწოდებს ხელისუფლებას, იყოს ანგარიშვალდებული. *„სამოქალაქო სექტორის აკტია დევიტიმურობა და, ნაწილობრივ, მესმის, ხატომ არ გვაქვს მხარდაჭეა ხაღში. იმიტომაც იჯელებენ ხელისუფლებისგან წამოსუდ ბიადებებს. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, ჩემი ორგანიზაცია მხოლოდ უნგრელებისგან რომ ფინანსდებოდეს, მაინც არ ვიქნებოდით სასუხვედი ხელისუფლებისთვის“*, – ამბობს სტეფანია კაპრონჩეი, ორგანიზაციის უნგრეთის სამოქალაქო თავისუფლების გაერთიანება (Hungarian Civil Liberties Union) აღმასრულებელი დირექტორი. სტენფორდის სამართლის სკოლის კურსდამთავრებული სტეფანია უკვე რამდენიმე წელია მუშაობს ორგანიზაციაში. აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობამდე იგი ხელმძღვანელობდა პაციენტთა უფლებების პროგრამას. 2014 წელს იგი ასევე იყო არჩეული სამოქალაქო თავისუფლებების ორგანიზაციების საერთაშორისო ქსელის თანათავმჯდომარედ.

უნგრეთის სამოქალაქო თავისუფლების გაერთიანება² ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციაა, შესაბამისად, წარმოადგენს დაუცველებს. ორგანიზაცია რეგულარულად ახმოვანებს უუფლებო, იზოლირებული და სხვა მოწყვლადი ადამიანების მდგომარეობას, როგორებიც არიან შშმ პირები, პატიმრები, დევნილები, სიღარიბის ზღვარზე მყოფი ადამიანები და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციას არ ჰყავს ბევრი წევრი, მათი სავსე გამოცდილება და თანამშრომლობა „გრასრუტ“ პარტნიორებთან აძლევს საშუალებას ზედმინვენიტ კარგად იცოდნენ მოწყვლადი ჯგუფების მდგომარეობა.

¹ დამატებით ინფორმაცია პრემიერ მინისტრსა და მის პარტიაზე: <https://www.britannica.com/topic/Fidesz>

² დამატებით ინფორმაცია ორგანიზაციაზე: <https://hclu.hu/en>

წინაპირობა

უნგრეთში, სხვა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მსგავსად, გაცილებით დაბალია ნდობა როგორც სახელმწიფო და ბიზნეს, ასევე სამოქალაქო ინსტიტუციების მიმართ, ვიდრე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. აქ მოქალაქეები ხშირად ახასიათებენ საკუთარ ხელისუფლებას, როგორც კორუმპირებულს და ავტორიტარულს, თუმცა, ადამიანების უმეტესობა როგორც კორუფციას, ასევე ავტორიტარიზმს ჩვეულებრივ მოვლენად აღიქვამს (Vandor et al. 2017).

მიუხედავად ევროკავშირის წევრობისა, ჯერ კიდევ ახალგაზრდაა უნგრეთის დემოკრატია. 1989-1990 წლებში კომუნისტური მმართველობის დასრულებამდე, უნგრეთში, რეგიონის სხვა ქვეყნების მსგავსად, საზოგადო საქმეებში მოქალაქეთა მონაწილეობა ხელისუფლების მიერ განიხილებოდა არასასურველ ჩარევად. ადამიანებს, რომლებიც ღიად და საჯაროდ გამოთქვამდნენ საკუთარ აზრს, დევნიდნენ, უთვალთვალდებდნენ, აშინებდნენ და აკავებდნენ კიდევ. ამ ეპოქის დანატოვარი ჯერ კიდევ აისახება ადამიანთა უმრავლესობის განწყობებზე აქტიური მოქალაქეობის მიმართ: „ყველაფერს მოდებულნი და უსარგებლო“ (Kapronczay 2017).

კანონმდებლობა

2017 წლის 13 ივნისს, უნგრეთის ეროვნულმა ასამბლეამ (პარლამენტმა) მიიღო 2017 წლის LXXVI აქტი „საზღვარგარეთიდან მხარდაჭერილი ორგანიზაციების გამჭვირვალობის შესახებ“. ეს კანონი აიძულებს ასოციაციებსა და ფონდებს, რომლებიც უცხოური წყაროებიდან იღებენ წელიწადში მინიმუმ 7.2 მილიონ უნგრულ ფორინტს (დაახლოებით 25 000 აშშ დოლარი) დარეგისტრირდნენ სასამართლოში, როგორც უცხოური დაფინანსების მიმღები ორგანიზაცია. კანონის მიხედვით, ასევე სავალდებულოა უცხოური დაფინანსების შესახებ ყოველწლიური ანგარიშგება სახელმწიფოს წინაშე და სანიშნის „უცხოური დაფინანსების მიმღები ორგანიზაცია“ დადება საკუთარ ვებგვერდებსა და პუბლიკაციებზე. უცხოური დაფინანსების მიმღები ორგანიზაციების სია ასევე გამოქვეყნებულია მთავრობის ვებგვერდზე.

კანონპროექტი წარედგინა პარლამენტს 2017 წლის 7 აპრილს პარლამენტის სამი წევრის მიერ, როცა უნგრეთის მთავრობის წევრების მხრიდან ისმოდა არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ დაუსაბუთებელი ბრალდებები და ხელისუფლების გულშემატკივარი მედია ავრცელებდა დეზინფორმაციას არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ. მიუხედავად ადგილობრივი და საერთაშორისო პროტესტისა, კანონი მიიღო უნგრეთის პარლამენტის მმართველმა უმრავლესობამ.

2017 წელს, ხელისუფლების მიერ დაფინანსებულმა ანალიტიკურმა ორგანიზაციამ Századvég Foundation³ გაამართლა 2017 წელს მიღებული არასამთავრობო ორგანიზაციების შემზღვევლი კანონი. ანალიტიკური დოკუმენტი ხსნის კანონის მიღების მოტივაციას და ამტკიცებს, რომ მნიშვნელოვანია უცხოური დაფინანსების მქონე ორგანიზაციები დარეგისტრირდნენ, რადგან არასამთავრობო ორგანიზაციები ოპერირებენ, როგორც დე-ფაქტო ლობისტები. ეს კანონი მოითხოვს მხოლოდ უცხოური დაფინანსების მქონე სამოქალაქო ორგანიზაციების რეგისტრირებას, გამკაცრებული ადმინისტრაციული კრიტერიუმების დაკმაყოფილებას და ეტიკეტის „უცხოური დაფინანსება“ გამოფენას. მიუხედავად იმისა, რომ კორპორაციები და ბიზნესები ასევე ჩართულნი არიან ლობისტურ საქმიანობაში და ზეგავლენას ახდენენ საჯარო პოლიტიკაზე და ამავედროულად მოკლებულნი არიან ლეგიტიმურობას, რადგან არ არიან ხალხის მიერ არჩეულნი – 2012 წლის შემდეგ უნგრეთში არ არსებობს კანონმდებლობა ლობისტური საქმიანობის შესახებ. კიდევ სხვა – ამჟამად განხილვის პროცესში მყოფი ე.წ. „სტოპ სოროსის“ კანონპროექტის სამიზნე ასევე მხოლოდ სამოქალაქო სექტორია.

³ დამატებით ინფორმაცია ორგანიზაციაზე: <https://szadveg.hu/en>
<https://hungarianspectrum.org/2016/04/12/the-szadveg-saga-largely-useless-studies-commissioned-by-the-orban-government/>

კრიტიკა

უნგრეთის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიმართ კრიტიკა, ხშირად მხარდაჭერას ჰპოვებს მოსახლეობაში, რაც საშუალებას აძლევს ახალგაზრდა დემოკრატიის ხელისუფალს, შეავიწროოს საჯარო სივრცე არა მხოლოდ კონკრეტულ სამოქალაქო ჯგუფებზე ზეწოლით, არამედ, სხვადასხვა ხერხით, ეჭვი შეიტანოს საზოგადოების ცნობიერებაში სექტორის ლეგიტიმურობაში და, შესაბამისად, დაანესოს დამამძიმებელი შეზღუდვები სამოქალაქო საზოგადოების მიმართ.

მოწინააღმდეგეთა კრიტიკა

ლეგიტიმურობის საწინააღმდეგო არგუმენტები და ბრალდებები, ჩვეულებრივ, შემდეგია (Brechtner & Carothers 2018):

- ▶ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები „თვითდანიშნულები“ არიან, არ არიან ხალხის მიერ არჩეულნი და, შესაბამისად, არ წარმოადგენენ ხალხის ნებას;
- ▶ უცხოური დაფინანსების მიმღები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ანგარიშვალდებულნი არიან გარეშე პირებთან და არა ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან, შესაბამისად იცავენ უცხოურ და არა – ადგილობრივ ინტერესებს;
- ▶ სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფები არიან აპოლიტიკური ნიღბით მოქმედი პოლიტიკური აქტორები: „მოქალაქე ცხვრების ტყავში გახვეული პოლიტიკური მგლები“. ამ შემთხვევაში, სამოქალაქო ჯგუფების როგორც მიზნები, ასევე მეთოდები მონათლულია პოლიტიკურად და სამოქალაქო ჯგუფებსა და ოპოზიციურ პარტიებს შორის ნებისმიერი კონტაქტი გამოიყენება ამ ბრალდების მტკიცებულებად;
- ▶ სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფები განიხილებიან ელიტად, რომელიც არ წარმოადგენს ხალხს. ამ შემთხვევაში, მიუთითებენ ხოლმე უცხოეთში მიღებულ განათლებაზე, მაღალ ხელფასებზე, ხშირ მოგზაურობაზე და პრივილეგირებული ცხოვრების სხვა ელემენტებზე.

კონსტრუქციული კრიტიკა

ზემოხსენებულთან ერთად, სამოქალაქო სექტორის გულშემატკივრები და კონსტრუქციული კრიტიკოსები ამბობენ, რომ არსებული პრობლემების თავიდან აცილების ან/და მოგვარებისთვის სექტორს ესაჭიროება ლეგიტიმურობის გამყარება. ამასთან, არა მოქალაქეთა სახელით, არამედ თავად მოქალაქეების მიერ პრობლემების გაჭლერება საუკეთესო სტრატეგიად შეიძლება იქცეს ხელისუფლების მხრიდან ზეწოლის საწინააღმდეგოდ. ანალიტიკოსების თქმით, იმის მაგივრად, რომ მთელი ენერჯია დაიხარჯოს ხელისუფლების მხრიდან წამოსული ზეწოლის კონტრაგუმენტების დახვეწაზე, მნიშვნელოვანია სამოქალაქო ორგანიზაციებმა საკუთარი სიმართლის დემონსტრირება მოახდინონ (Kapronczay 2018). „სიმართლის დემონსტრირებას“, თავის მხრივ, რამდენიმე მიმართულებით აყალიბებენ, კერძოდ:

სექტორმა უკეთ უნდა გაიაზროს, რა უჭირთ მოქალაქეებს და გააკეთოს ის, რაც რეალურად სურთ მათ, შესაბამისად, მეტად ფოკუსირდნენ საკითხებზე, რომლებიც ეხმიანება მოქალაქეთა მოთხოვნებს;

- ▶ უკეთ იმუშაონ იმაზე, რომ ადამიანებმა თავად შეძლონ საკუთარი ინტერესების დაცვა და თავად მოითხოვონ პასუხები პოლიტიკური ლიდერებისგან;
- ▶ ადამიანების სახელით საუბრის „უფლების გასამყარებლად“, სამოქალაქო ორგანიზაციებმა უფრო მეტად გამჭვირვალე უნდა გახადონ საქმიანობა. ეს ეხება როგორც ბიუჯეტს, ასევე პრობლემის ირგვლივ შეგროვებული მონაცემების პროცესს და თუ როგორ აისახება ეს მონაცემები მათ მიერ შეთავაზებულ რეკომენდაციებზე;
- ▶ ქვიანური და ინოვაციური კომუნიკაციების სტრატეგიების საშუალებით, ორგანიზაციებმა უნდა განმარტონ, რას გულისხმობს „პოლიტიკური აქტივიზმი“ და რატომაა იგი სასარგებლო მოქალაქეთა უმრავლესობისთვის; როგორ აისახება თუნდაც ერთი ადამიანის ან მცირე ჯგუფის დახმარება მთელი ქვეყნის განვითარებაზე;

- ▶ სამოქალაქო ორგანიზაციებმა ხაზი უნდა გაუსვან იმ ფაქტს, რომ წარმოადგენენ არა „უცხოურ ფასეულობებს“, არამედ ადგილობრივს, რომელთა უმრავლესობა დაკანონებულია სუვერენული გადაწყვეტილებების დროს (კონსტიტუცია, ადამიანის უფლებების კონვენციები და სხვ.);
- ▶ სამოქალაქო ორგანიზაციებმა უნდა მოითხოვონ სახელმწიფოს მხრიდან არასამთავრობო სექტორისა და სხვა ორგანიზაციების (მაგალითად ბიზნესი) მიმართ თანაბარი დამოკიდებულება. ეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამჭვირვალობის გაზრდის შემთხვევაში.

კამპანია ირანის დისკრიმინაციული კანონმდებლობის შესაცვლელად

ავტორი: მაჩიამ მიხზა, კონსულტაციის და გენინგის ცენტრისთვის

წინამდებარე სტატია მიმოიხილავს 2006 წელს ირანელი ფემინისტების მიერ დაწყებულ კამპანიას სახელწოდებით „მილიონი ხელმოწერა დისკრიმინაციული კანონმდებლობის გასაუქმებლად“. კამპანიის უმთავრესი მიზანი გახლდათ ქალებისთვის თანაბარი უფლებების უზრუნველყოფა. ამისთვის, კამპანიის ავტორებმა წამოიწყეს ირანის მილიონი მოქალაქის ხელმოწერის შეგროვება სასურველი ცვლილების მისაღწევად. მიუხედავად იმისა, რომ კამპანიის ერთადერთი მიმართულება არ იყო მხოლოდ ხელმოწერების შეგროვება, ეს კამპანია სწორედ „მილიონი ხელმოწერის“ სახელწოდებით გახდა ცნობილი.

„მილიონი ხელმოწერის“ კამპანია დაესესხა მაროკოს მაგალითს. მისი დაწყება უკავშირდება ირანის დედაქალაქ თეირანში ქალთა მოძრაობის მიერ ორგანიზებულ სამ მთავარ საპროტესტო გამოსვლას. პირველი გამოსვლა 2005 წლის ირანის საპრეზიდენტო გამოსვლების წინ მოეწყო და წარმატებას მიაღწია, რადგან შექმნილი პოლიტიკური კონტექსტის გამო ხელისუფლება მოერიდა მოსახლეობის პოლიტიკური უკმაყოფილების გამწვავებას და არჩევნებში აქტიური მონაწილეობის საფრთხის ქვეშ დაყენებას. მეორე საპროტესტო აქცია 2005 წლის 8 მარტს – ქალთა საერთაშორისო დღეს გაიმართა. აქცია რეჟიმმა დაარბია. მესამე აქცია გაიმართა პირველი პროტესტიდან ერთი წლის თავზე. როგორც წინა შემთხვევაში, ხელისუფლებამ ეს აქციაც დაარბია და 70-ზე მეტი აქტივისტი დააპატიმრა.

მესამე საპროტესტო აქციის შესახებ გაკეთებული განცხადების საფუძველზე, რომელიც გამოხატავდა ირანელი ქალების მიერ ასწლეულის განმავლობაში დაყენებულ მოთხოვნებს, სხვადასხვა ჯგუფი და ინდივიდი გაერთიანდა ახალ ძალად, რომელსაც უფრო ფართო სოციალური მიზანი ჰქონდა. ასე, რომ ბოლო პროტესტიდან ორი თვის შემდეგ, 2006 წლის 27 აგვისტოს, ქალთა მოძრაობის სხვადასხვა ჯგუფმა წამოიწყა კამპანია „მილიონი ხელმოწერა დისკრიმინაციული კანონმდებლობის გაუქმებისთვის“. კამპანიის მონაწილეებმა დაიწყეს საზოგადოების წევრებთან პირისპირ საუბრების სერია, რათა აემალლებინათ ცნობიერება დისკრიმინაციული კანონმდებლობის შესახებ, შეეგროვებინათ ხელმოწერები და ამით გაეზარდათ ზეწოლა კანონმდებლებზე არადისკრიმინაციული კანონმდებლობის შემოღების მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ კამპანიის ორგანიზატორებს არ დაუწესებიათ კამპანიის დასრულების რაიმე კონკრეტული თარიღი, იგი 2009 წლისთვის პრაქტიკულად უკვე დასრულებული იყო.

კამპანიის პრინციპები

მილიონი ხელმოწერის კამპანიის მოთხოვნები და პრინციპები განისაზღვრა შემდეგ სამ გამოქვეყნებულ დოკუმენტში:

1. კამპანიის განაცხადი (რომლისთვისაც გროვდებოდა ხელმოწერები) წარმოადგენდა პრობლემის მოკლე აღწერას, ანუ საკანონმდებლო დისკრიმინაციას ირანელი ქალების წინააღმდეგ და რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს. სწორედ ამ განაცხადზე ხელმოწერებს აგროვებდნენ კამპანიის მხარდამჭერები. გარდა ამისა, ხელმოწერებს შეეძლოთ მოენიშნათ, თუ რომელი კანონის გადაუდებელ შეცვლას მიიჩნევდნენ ისინი აუცილებლად.

2. კამპანიის გეგმა, რომელიც მოიცავდა:

- ა.** დეტალურად ჩაშლილ მიზნებს, როგორცაა „კოლექტიური მონაწილეობა“, „საზოგადოების ცნობიერება“, „მარგინალიზებული ქალების წარმომადგენლობა“ და „ცნობიერების ამაღლება“. გარდა ამისა, დოკუმენტში ასევე იყო ხაზგასმული ის, რომ კამპანია მიზნად ისახავდა

ფართო საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვებას. ამით ქალთა მოძრაობა ცდილობდა საზოგადოებისთვის ეჩვენებინა, რომ ცვლილების მოთხოვნა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ქალთა ვიწრო ჯგუფით, კონკრეტული რელიგიური მრწამსის მქონე ადამიანებით ან რომელიმე სოციალური კლასით.

- ბ. მეთოდოლოგიური მიდგომა: გადაწყდა, რომ კამპანიის აქტივისტები კარდაკარის პრინციპით შეეცდებოდნენ გასაუბრებოდნენ ადამიანებს სხვადასხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას, მაგალითად, ავტობუსებში, პარკებში, საავადმყოფოებში, სპორტულ დარბაზებსა და ისეთი რელიგიურ ადგილებში, როგორცაა, მაგალითად, მეჩეთები და ა.შ. ამასთან, აქტივისტები ამ მიდგომას გამოიყენებდნენ მათ სამეზობლოებში არა მხოლოდ თეირანში, არამედ ირანის სხვა ქალაქებშიც.
- გ. მოხალისეების მომზადება: ასევე გადაწყდა, რომ კამპანიის წარმართვისთვის საჭირო იქნებოდა მოხალისეების მომზადება. ტრენინგის, შეხვედრებისა და გამოცდილების შესახებ დოკუმენტური მასალის შეგროვება მომავალ აქტივობებთან დაკავშირებისა და განგრძობადობის უზრუნველყოფის მიზნით დაევალა მოხალისეთა ჯგუფს. გარდა ამისა, მოხალისეთა კიდევ ერთ ჯგუფი უძღვებოდა კამპანიის ფარგლებში შეგროვებული ხელმოწერების დათვლასა და ციფრულ ფორმატში გადატანას.
- დ. განცხადება იმის შესახებ, რომ კამპანიას არაფერი ჰქონდა ისლამის სანინააღმდეგო: კამპანიის გეგმაში ხაზგასმული იყო, რომ კამპანია არ ეწინააღმდეგებოდა ისლამს, როგორც ქვეყნის კანონმდებლობის საფუძველს. გეგმაში ნახსენები იყო, რომ კამპანიას სწამდა ისლამის უფრო თანამედროვე ფორმისა, რომელიც მხარს უჭერს მეტ თანასწორობას მამაკაცებსა და ქალებს შორის. ეს განაცხადი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო, რადგან ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობა ისლამის და ტრადიციული რწმენის მიმდევარია. გარდა ამისა, კამპანიის ორგანიზატორების აზრით, ამგვარი განცხადება შეამცირებდა ხელისუფლებისა და სახელმწიფო უსაფრთხოების ინსტიტუტებიდან მომდინარე საფრთხეებს.

3. ბუკლეტი სახელწოდებით „კანონის ზეგავლენა ქალთა ცხოვრებაზე“: ბუკლეტში დეტალურად იყო ახსნილი დისკრიმინაციული კანონები, მუხლები და ცვლილებების გადაუდებელი საჭიროება. უფრო კონკრეტულად კი, ბუკლეტში განხილული იყო ისეთი ნორმები, რომლებიც შეეხება ქორწინების ასაკს, განქორწინებას, მეურვეობას, ბავშვისთვის მოქალაქეობის მინიჭებას, მემკვიდრეობას, სისხლის გამოსასყიდს, ჩვენების მიცემას, წამყვანი მენეჯერული პოზიციების დაკავებას, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, ღირსების დაცვის მკვლელობებს, ჩაქოლვის განაჩენს და ჰიჯაბის ტარების იძულებას.

სტრატეგია და მეთოდოლოგია

1. კამპანიის მთავარი სტრატეგია გულისხმობდა მეტწილად პირისპირ გასაუბრებებს, მაგრამ არა მხოლოდ ქალებთან, როგორც მათ საცხოვრებელ სახლებში, ასევე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. ირანის რეჟიმის მიერ ხალხის გასაჩუმებლად შემოღებული ონლაინ და ოფლაინ ცენზურის გათვალისწინებით, პირისპირ საუბრების მეთოდოლოგიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. სწორედ მისი წყალობით კამპანიის ფარგლებში გაიმართა უამრავი დისკუსია ძირითადი საკითხისა და სხვა თემების ირგვლივ ოჯახური შეკრებების დროს ან ისეთ ადგილებში, სადაც ტრადიციულად ამგვარი განხილვები არ მიმდინარეობდა.
2. იმისთვის, რათა ხმა მიეწვდინათ ახალგაზრდებისთვის, კამპანიას ესაჭიროებოდა უნივერსიტეტებზე წვდომა. შესაბამისად, კამპანიის ორგანიზატორებმა უნივერსიტეტების სტუდენტები მოხალისეებად მიიწვიეს. ამ გადაწყვეტილების შედეგად კამპანიამ არა მხოლოდ გაიჩინა მხარდამჭერთა ძლიერი ქსელი, არამედ ერთმანეთთან დააკავშირა სტუდენტური და ქალთა მოძრაობები.
3. კამპანიამ წარმატებით შეძლო სხვადასხვა პროფესიული თუ სოციალური გამოცდილების მქონე ქალი აქტივისტის მოზიდვა. კამპანიის ორგანიზატორები რელიგიური გამოცდილების მქონე ქალების ჯგუფს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, რადგან მათ, საჭიროების

შემთხვევაში, შეეძლოთ დახმარების განწვევა რელიგიურ ლიდერებთან მოლაპარაკების პროცესში ირანის არაოფიციალურ რელიგიურ დედაქალაქ ყუმში. ისინი მიიჩნევდნენ, რომ რელიგიური ლიდერების მხარდაჭერის, ან სულ მცირე, თანხმობის შემთხვევაში, სასურველი ცვლილების მიღწევას უფრო სწრაფად და იოლად შეძლებდნენ.

4. კამპანიის წევრების ორგანიზება არ მომხდარა ტრადიციული იერარქიით. კამპანიის დამფუძნებლებს სურდათ, რომ კამპანიის წარმომადგენელი მისი ნებისმიერი წევრი ყოფილიყო. ამ მიდგომით, კამპანიას უფრო მაღალი შანსი ჰქონდა გამხდარიყო მასშტაბური და დეცენტრალიზებული თეირანიდან – ადგილიდან, საიდანაც საფუძველი ჩაეყარა მას.
5. კამპანია მიზნად ისახავდა სოფლად მცხოვრები ქალებისთვის ხმის მიწვდენას არა მხოლოდ მათი მხარდაჭერის მობილიზებისთვის, არამედ იმის სათქმელადაც, რომ სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას თავად უნდა ესაუბრა საკუთარ პრობლემებზე.
6. კამპანიას არ მიუღია რაიმე სახის ფინანსური დახმარება ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ მოქმედი რომელიმე ორგანიზაციისგან, რათა შეემცირებინათ შესაძლო რისკები მონაწილეებისა და მოხალისეებისთვის. ორგანიზატორებს სურდათ, რომ ხარჯები დაფარულიყო აქტივისტების ან მათი მხარდამჭერების მიერ ნებაყოფლობით გაღებული თანხებიდან.
7. მიუხედავად იმისა, რომ კამპანიას ბევრი მიიჩნევდა პოლიტიკურ აქციად, ჯგუფის შიგნით გადაწყდა, რომ აქტივისტებს ან მონაწილეებს არ ექნებოდათ პოლიტიკური გამოსვლების უფლება რომელიმე ჯგუფის ან ინდივიდის წინააღმდეგ.

გამონვევები, წინააღმდეგობები, შეცდომები

მილიონი ხელმოწერის კამპანიამ დასაწყისიდანვე გამოიწვია ქვეყნის ხელისუფლების შეშფოთება ნაწილობრივ იმის გამო, რომ მის სათავეებთან იდგა 50 გამოჩენილი აქტივისტი ქალი, რომლებიც საკუთარი აქტივიზმით დისკომფორტს უქმნიდნენ მთავრობას. კამპანიის სტრატეგია და მისი წევრების მიერ წამოყენებული მოთხოვნები ასევე აღიქმებოდა პოტენციურ „საფრთხედ“ ხელისუფლების მიერ, რადგან იგი ხსნიდა სივრცეს დისკუსიისა და მსჯელობისათვის იმ ფონზე, როდესაც მთავრობა მკაცრად აკონტროლებდა გამოხატვის თავისუფლებას.

კამპანიის გახსნის ცერემონია დაგეგმილი იყო 2006 წლის 27 აგვისტოს თეირანის კულტურის სახლში, თუმცა გახსნამდე ცოტა ხნით ადრე ცერემონია გადაიდო, რადგან უსაფრთხოების სამსახურმა შენობის მენეჯერს მოსთხოვა არ გაეღო შენობა აქტივისტებისთვის. თუმცა, ჩარევა და გამონვევები ამით არ დასრულებულა: კამპანიის მთელი მსვლელობის განმავლობაში მის მონაწილეებზე სხვადასხვა საშუალებით ხორციელდებოდა ზეწოლა, მათ ემუქრებოდნენ დაპატიმრებით, დაკითხვებით, წამებით. გარდა ამისა, ზეწოლა ვრცელდებოდა ოჯახების წევრებზეც, კამპანიის აქტივისტებს არ უშვებდნენ საზოგადოებრივ შენობებში და არ აძლევდნენ კაფეებში შეხვედრების გამართვის საშუალებას (ამის გამო აქტივისტები იძულებულები გახდნენ შეხვედრები გაემართათ კერძო სახლებში, რამაც გააძლიერა შეტევები უსაფრთხოების სამსახურების მხრიდან), მათ უსამართლოდ აპატიმრებდნენ, როზგავდნენ და სდევნიდნენ ქვეყნიდან.

კამპანიის 50 აქტივისტზე მეტი დააპატიმრეს ექსკლუზიურად მათი აქტიურობის გამო, ათობით მათგანს აუკრძალეს უმაღლესი განათლების მიღება ან ამგვარი განათლების გაგრძელება, უამრავ აქტივისტს კი ჩამოართვეს პასპორტები და აუკრძალეს ქვეყნიდან გასვლა.

ირანის ხელისუფლებამ რამდენჯერმე მიიღო შეტყობინება საერთაშორისო თანამეგობრობისგან აქტივისტების დევნისა და დასჯის შეჩერების მიზნით. თუმცა, რეპრესიები კვლავ გაგრძელდა 2009 წლის სადავო საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ მკაცრად კონტროლირებადი კონტექსტის გამო, აქტივისტებს ისედაც უჭირდათ ქუჩაში გამოსვლა, ადამიანებთან საუბარი, ხელმოწერების შეგროვება, შეხვედრების ჩატარება და ხელმოწერების დაარქივება, 2009 წლიდან მოყოლებული მათთვის პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა ქვეყანაში უსაფრთხოდ გაჩერება. ზოგმა მათგანმა ამჯობინა ნებაყოფლობით დაეტოვებინა ქვეყანა,

დანარჩენებმა გადაწყვიტეს ქვეყანაში დარჩენა და ჩუმად ყოფნა სიტუაციის გამოსწორებამდე.

თუმცა, ხელისუფლების მკაცრი რეაქცია არ ყოფილა ერთადერთი შემაფერხებელი ფაქტორი: ჯგუფის შიგნით მიმდინარე დებატებმა ასევე გაართულა თანამშრომლობა. მიუხედავად იმისა, რომ აქტივისტები შეეცადნენ გვერდზე გადაედოთ პირადი უთანხმოებები კამპანიის გამო, სიტუაცია განსაკუთრებით მძიმე იყო ახალგაზრდა აქტივისტებისათვის, რადგან მათ გაუჩნდათ განცდა, რომ რომელიმე მხარე უნდა დაეჭირათ.

კიდევ ერთი პრობლემა შექმნა კამპანიის მართვის ჰორიზონტალურმა სტრუქტურამ. მიუხედავად იმისა, რომ აქტივისტებს არ სურდათ დაენერგათ მართვის ტრადიციული, ვერტიკალური მოდელი, ზოგი მათგანისთვის გამონვევად იქცა ლიდერობის სადავეების ხელში აღებისგან უარის თქმა. შიდა გამონვევებზე ამ დრომდე ერიდებიან საჯაროდ საუბარს, თუმცა, კამპანიის ზოგიერთი წევრი მიიჩნევს, რომ შიდა პრობლემებზე მსჯელობა დაეხმარებოდა ახალგაზრდა აქტივისტებს თავიდან აცილებინათ იგივე შეცდომები.

თუმცა, ყველაზე დიდი შეცდომა კამპანიის ორგანიზატორებმა მაშინ დაუშვეს, როდესაც მთელი მოსავლის ერთ ბელეში მოქცევა გადაწყვიტეს: კამპანიის მიზნების ირგვლივ უამრავი ფემინისტი აქტივისტი გაერთიანდა, რამაც ისე გაზარდა კამპანიის მასშტაბი, რომ თითქმის შეუძლებელი გახდა მისი მართვა. შედეგად, კამპანიამ შთანთქა ქალთა მოძრაობა და მალე ეს ორი თითქმის სინონიმებად იქცა. საბოლოოდ, საქმე იქამდე მივიდა, რომ ქალთა მოძრაობის ის წევრები და აქტივისტები, რომლებიც არ აქტიურობდნენ კამპანიის წარმართვის პროცესში, მოძრაობის მიღმა – აუტსაიდერების პოზიციაში აღმოჩნდნენ.

მნიშვნელოვანი გამოცდილება

იყო თუ არა მილიონი ხელმოწერის კამპანია ირანის ქალთა მოძრაობის შეცდომა? რასაკვირველია, არა. შეიძლება მის აქტივისტებს ჯერ არ მოუკრებიათ ძალა შეცდომებზე გულწრფელად სალაპარაკოდ, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ კამპანიამ ვერანაირ შედეგს ვერ მიაღწია. ის გახლდათ არა მხოლოდ განსაკუთრებული გამოცდილება, რამაც ირანის ქალთა მოძრაობას დაანახა როგორც საკუთარი, ისე საზოგადოების ძლიერი და სუსტი მხარეები, არამედ, ეს გამოცდილება აღმოჩნდა არაჩვეულებრივი გაკვეთილი ირანის მთელი სამოქალაქო საზოგადოებისთვის. გაკვეთილი, რომელმაც დაანახა მათ ერთად დგომის, ზეწოლასთან გამკლავების, შიდა დაპირისპირების თავიდან აცილების და/ან გადაჭრის მნიშვნელობაც და სირთულეებიც.

კამპანიამ შეძლო ქალთა მოძრაობის გაშლა ქვეყნის მთავარი ქალაქების ფარგლებს გარეთაც. კამპანიის დაწყებამდე ირანის ქალთა მოძრაობა მიიჩნეოდა ელიტურად, რადგან მის სათავეებთან, ძირითადად თეირანელი აქტივისტები იდგნენ. შეკრებებსაც ერთი და იგივე ადამიანები ესწრებოდნენ. კამპანიის წყალობით კი, მოძრაობა მოედო ისეთ პატარა ქალაქებს, როგორცაა ჰამდანის, გორგანის, ზანიჯანის, ყარაჯის, იაზდის და ქერმანშააჰის.

მიუხედავად იმისა, რომ კამპანია ვერ გასცდა პირველ ფაზას, ანუ მილიონი ხელმოწერის შეგროვებას და შესაბამისად, ვერ განახორციელა მეორე ფაზა, რაც გულისხმობდა კანონმდებლების დარწმუნებას დისკრიმინაციული კანონმდებლობის შესაცვლელად, მან მაინც შეძლო ცნობიერების ამაღლება ქალების მიმართ დისკრიმინაციული კანონმდებლობის შესახებ. განსაკუთრებით მწვავე ცენზურისა და რეპრესიების ფონზე, კამპანია იქცა საზოგადოების ხმად, რაც ასე იშვიათია ირანში.

კამპანიის დამფუძნებლების განცხადებით, მათ შეძლეს ასობით ათასი ხელმოწერის მოგროვება 2009 წლისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, არ არსებობს არანაირი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა შეგროვებული ხელმოწერების რაოდენობას. დროთა განმავლობაში, კამპანიის დამფუძნებლებმა შესაძლოა ასევე მოიკრიბონ ძალა და ღიად დაიწყონ საუბარი აზრთა სხვადასხვაობის შესახებ, რაც საშუალებას მისცემს ახალგაზრდა თაობას გააცნობიერონ მათი მიღწევისა და მარცხის საფუძვლები და სწორედ ამ გამოცდილებაზე დააშენონ სამომავლო ღონისძიებები.

2015 წლის ლტოლვილთა კრიზისი ევროპაში¹

კონტექსტი

2015 წელს ევროპის კონტინენტზე თავშესაფრის მაძიებელთა და მიგრანტთა² რიცხვმა უპრეცედენტო მაჩვენებელს მიაღწია: 1.005.504-მა ადამიანმა მიაშურა ევროპას უკეთესი მომავლის ძიებაში. იმავე წელს, ევროპისკენ მიმავალ გზაზე თითქმის 4.000 ადამიანი გაუჩინარდა. მათი უმეტესობა, სავარაუდოდ, ხმელთაშუა ზღვამ შეინირა. თავშესაფრის მაძიებელთა ნახევარი სირიიდან იყო, ხოლო დარჩენილი ნაწილი – ავღანეთიდან და ერაყიდან. ამ ადამიანთა უმეტესობამ იტალიისა და საბერძნეთის ნაპირებამდე მიაღწია, ნაწილი ფეხით გადმოვიდა თურქეთიდან უნგრეთში ბალკანეთის გავლით. ლტოლვილთა და მიგრანტთა უმრავლესობას ჩრდილო და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, განსაკუთრებით გერმანიასა და შვედეთში, შეღწევა სურდა, ამ ქვეყნების შედარებით უკეთესი მიღებისა და მხარდაჭერის სისტემის გამო. გარდა ამისა, ამ ქვეყნებში უკვე ცხოვრობენ მათი თანამემამულეები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ თავშესაფრის მაძიებელთა ინტეგრაციის პროცესს.

ახალი გზები

ევროპაში მიგრანტთა შემოდინება რამდენიმე ფაქტორს უკავშირდება. ოთხნობიანი სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომის შემდეგ, ბევრმა სირიელმა გადაწყვიტა აღარ დაეყენებინა რისკის ქვეშ საკუთარი სიცოცხლე და ქვეყანა დაეტოვებინა. თურქეთი, ლიბია და იორდანია, რომლებსაც უკვე შეეფარებინა ოთხი მილიონი სირიელი ლტოლვილი, არ განიხილებოდა იდეალურ ვარიანტად დასაქმების, განათლებისა და განსახლების შეზღუდული შესაძლებლობების გამო. ავღანეთსა და ერაყში, რომელთა ნაწილებიც თანდათანობით ექცეოდა ექსტრემისტული დაჯგუფებების – თალიბანისა და ისლამური სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ, სიტუაცია სულ უფრო უარესდებოდა. გარდა ამისა, ლიბიაში არსებულმა პოლიტიკურმა და სოციალურმა არასტაბილურობამ გზა გაუხსნა ევროპისკენ გააქტიურებულ ადამიანებით ვაჭრობას.

ამავდროულად, მარშრუტები დასავლეთ ევროპამდე ბალკანეთის გავლით, სულ უფრო მოსახერხებელი ხდებოდა, რადგან მგზავრობა შედარებით იაფი ღირდა და შესაბამისად, კონტრაბანდისტებიც (რომლებიც ევროპამდე ადამიანების გადაყვანისთვის ფულს იღებდნენ) რეკომენდაციას სწორედ ამ მარშრუტებს უწევდნენ. კიდევ ერთი ფაქტორი, რამაც გავლენა იქონია ევროპის მიმართულებით მიგრანტთა და ლტოლვილთა რიცხვის ზრდაზე, გახლდათ გერმანიის მთავრობის 2015 წლის 21 აგვისტოს განცხადება, რომლის მიხედვითაც გერმანია დროებით აჩერებდა დუბლინის რეგულაციის მოქმედებას სირიელ თავშესაფრის მაძიებლებთან მიმართებაში.

¹ წყარო: ბრიტანეთის კოლუმბიის უნივერსიტეტის ღია სასწავლო რესურსი

² მიგრანტი - პირი, რომელიც ნებაყოფლობით ტოვებს თავის ქვეყანას უკეთესი ცხოვრების საძიებლად. ლტოლვილისგან განსხვავებით, სარგებლობს საკუთარი ქვეყნის დაცვით, ლტოლვილი - ლტოლვილად პირი ითვლება მხოლოდ მაშინ, თუ იგი გადაკვეთს ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვარს და შემწეობისა და მფარველობისათვის მიმართავს უცხო ქვეყნის ხელისუფლებას. ლტოლვილად ჩაითვლება აგრეთვე ყველა პირი, რომელიც აგრესიის, უცხოური ოკუპაციის, უცხოური დომინაციის ან მისი წარმოშობის ან ეროვნების ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის ნაწილში საჯარო წესრიგის სერიოზულად ხელმყოფი მოვლენების გამო იძულებულია დატოვოს თავისი საცხოვრებელი და თავშესაფარი ეძიოს თავისი წარმოშობის ან ეროვნების ქვეყნის გარეთ.

მიგრანტთა ნაკადის მატება

ლტოლვილთა და მიგრანტთა გაზრდილი ნაკადები ევროპის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე 2014 წლიდან შეინიშნება. ჯერ კიდევ 2013-სა და 2014 წლებს შორის, ევროპის ქვეყნების სანაპიროებზე ზღვით მოსული ადამიანების რიცხვი 60.000-დან 219.000-მდე (265%-ით) გაიზარდა. 2014 წელს ჩამოსულების სამ მეოთხედზე მეტი იტალიაზე მოდიოდა. ეს ტენდენცია 2015 წელს შეიცვალა, როდესაც სულ უფრო მეტმა ადამიანმა დაიწყო აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის მარშრუტის გამოყენება საბერძნეთამდე მისასვლელად, რომელიც ლტოლვილთა და მიგრანტთა ყველაზე პოპულარული დანიშნულების ქვეყანა გახდა. 2015 წელს 100.000-ზე მეტი ადამიანი ჩავიდა უნგრეთში. ბევრ მათგანს განზრახული ჰქონდა დასავლეთის მხრიდან გერმანიაში გადასვლა (იხ. რუკა ზემოთ).

ზღვაზე გარდაცვალების შემთხვევები

2015 წლის იანვარსა და აპრილს შორის ხმელთაშუა ზღვის გადალახვისა და ევროპამდე მიღწევის მცდელობისას 800 ადამიანი გარდაიცვალა. 2015 წლის 19 აპრილს, ლიბიიდან მომავალმა გემმა, რომლის ბორტზეც 900-მდე მიგრანტი და ლტოლვილი იმყოფებოდა, იტალიის კუნძულ ლამპედუზასთან კატასტროფა განიცადა. წლის ამ ყველაზე ტრაგიკულ შემთხვევას სულ მცირე 800 ადამიანი ემსხვერპლა.

ევროპა ყურადღების ცენტრში: მედია რეაგირებს

2015 წლიდან მედიის ყურადღება ამ სიტუაციის მიმართ შესამჩნევად გაიზარდა. ლამპედუზას საზღვაო კატასტროფის შემდეგ, ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორცაა გაეროს ლტოლვილთა სააგენტო და Human Rights Watch, რომლებიც მანამდეც მოუწოდებდნენ ევროპელებს რეაგირებისკენ, უფრო აქტიურად მოვიდეს ხელი ადვოკატირების პროცესს. გემის კატასტროფის, როგორც ჰუმანიტარული კრიზისის ამსახველი კადრები ვრცელდებოდა მედია საშუალებებსა და ფართო საზოგადოებაში (მაგ. CNN, Vox და Foreign Policy). ორგანიზაცია „ექიმები საზღვრებს გარეშე“ პრეზიდენტმა, ლორის დე ფილიპიმ აღნიშნა, რომ „ხმელთაშუა ზღვაში მასობრივი საფლავი ითხრება, რაზეც პასუხისმგებლობა ევროპულმა პოლიტიკამ უნდა აიღოს“ (De Filippi, 2018).

უკიდურესად მძიმე იყო მდგომარეობა ქვეყნის შიგნითაც: ლტოლვილები და მიგრანტები იძულებულნი იყვნენ ღირსების შემლახავ პირობებში ეცხოვრათ წინასწარი დაკავების ბანაკებსა თუ ქუჩაში. გაერო, Human Rights Watch და სხვა ორგანიზაციები მოითხოვდნენ, რომ საბერძნეთს შეეცვალა მიდგომა და შეენწყვიტა ლტოლვილთა და მიგრანტთა განთავსება არაადამიანურ პირობებში და ხანგრძლივი დროის მანძილზე მოუწესრიგებელ წინასწარი დაკავების ცენტრებში. ადვოკატირება კიდევ უფრო გააქტიურდა მას შემდეგ, რაც თებერვალში, წინასწარი დაკავების ერთ-ერთ ცენტრში, პაკისტანელმა მამაკაცმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

ზაფხულის მოახლოებასა და საზღვაო მგზავრობის პირობების გაუმჯობესებასთან ერთად, ნათელი გახდა, რომ მოიმატებდა იმ ადამიანების რიცხვიც, რომლებიც ევროპამდე ჩამოლწევას საზღვაო მარშრუტებით შეეცდებოდნენ (სწორედ ასე მოხდა 2014 წლის ივნისიდან სექტემბრამდე). ხმელთაშუა ზღვაზე ფატალური შემთხვევების, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების გაზრდილი ზეწოლისა და საფრანგეთისა და იტალიის შესაძლებლობების ამონურვის ფონზე, ევროკომისიამ სწრაფად მოძებნა გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან.

ევროპის თავშესაფრის სისტემა 2015 წლამდე

ევროკავშირის ყველა ქვეყანა მიიღო 1951 წლის ლტოლვილთა კონვენციასა და მის 1967 წლის პროტოკოლზე. ეს ინსტრუმენტები განსაზღვრავს ლტოლვილის ცნებას და ხელმძღვანელი სახელმწიფოების პასუხისმგებლობას საერთაშორისო დაცვის უზრუნველყოფის მიმართულებით. კონვენცია განსაზღვრავს რამდენიმე მნიშვნელოვან პრინციპს, მათ შორის, სამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემის, გასახლების ან იძულებითი დაბრუნებისა და დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულებას. გარდა ამისა, ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის მე-18 მუხლი განსაზღვრავს თავშესაფრის უფლებას, როგორც ფუნდამენტურ უფლებას.

ევროკავშირის ქვეყნებში თავშესაფრის მაძიებელთათვის საკანონმდებლო ჩარჩოს წარმოადგენს თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემა (CEAS), რომელიც ჩამოყალიბდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში თავშესაფრის პროცედურების სამართლიანობის, ეფექტიანობისა და თანამიმდევრულობის უზრუნველყოფის მიზნით. ევროკავშირის ქვეყნებს შორის საზღვრების არარსებობა და განსაკუთრებული ყურადღება გადაადგილების თავისუფლებაზე, წევრი ქვეყნებისგან მოითხოვს თანამშრომლობაზე დაფუძნებული მიდგომის შემუშავებას მიგრაციისა და თავშესაფრის საკითხებთან დაკავშირებით, რათა პოლიტიკამ შედეგი გამოიღოს.

თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემის ჩამოყალიბების პირველი ფაზა 1999-დან 2005 წლამდე გაგრძელდა. ამ პერიოდის განმავლობაში განხორციელდა რამდენიმე პოლიტიკური მიმართულება წევრ სახელმწიფოებს შორის საკანონმდებლო ჩარჩოების ჰარმონიზაციის უზრუნველსაყოფად. მათ შორისაა ლტოლვილთა ევროპული ფონდი და ოჯახების გამთლიანების დირექტივა.

სისტემის განვითარების მეორე ფაზა წინა ფაზის შეფასების საფუძველზე და შესაბამის დაინტერესებულ და ჩართულ მხარეებთან კონსულტაციების შემდეგ დაიწყო. ევროპულმა კომისიამ მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შეიმუშავა თავშესაფრის პოლიტიკის გეგმა, რომლის პრეზენტაციაც 2008 წლის ივნისში გაიმართა. პოლიტიკის გეგმა განსაზღვრავდა სისტემის შემდგომი განვითარების სამუშაო გეგმასაც. გეგმის ზოგად მიზნებში, სხვათა შორის, შედიოდა:

- ▶ თავშესაფრის ერთიანი პროცედურების უზრუნველყოფა;
- ▶ თავშესაფრისა და მეორადი დაცვის მაძიებლების სტატუსების ერთიანი განსაზღვრების შემოღება;
- ▶ წევრი ქვეყნების პასუხისმგებლობის განსაზღვრა და მათ შორის სოლიდარობის მხარდაჭერა.

დუბლინის სისტემა

თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია დუბლინის მესამე რეგულაცია. დოკუმენტი, რომელიც თავდაპირველი სახელწოდებით „დუბლინის კონვენცია“ 1990 წელს იქნა მიღებული, 2013 წელს დუბლინის მესამე რეგულაციით ჩანაცვლდა. ხსენებული კანონი განსაზღვრავს რომელი წევრი სახელმწიფოა პასუხისმგებელი თავშესაფრის მაძიებლის განაცხადის შეფასებაზე და შესაბამისად, რომელმა ქვეყანამ უნდა გაუწიოს დახმარება ლტოლვილს. უფრო კონკრეტულად კი, დუბლინის რეგულაცია მიუთითებს, რომ თავშესაფრის მაძიებელმა განაცხადი უნდა გააკეთოს ევროკავშირის იმ ქვეყანაში, რომელშიც პირველად შევიდა.

დუბლინის რეგულაცია ასევე შეიცავს დისკრეციულ დებულებებს, რომლებიც საშუალებას აძლევს ქვეყნებს განიხილონ განაცხადი თავშესაფრის მოთხოვნაზე მაშინაც კი, როდესაც მათ ეს რეგულაციით არ ევალებათ. „სუვერენიტეტის მუხლი“ უფლებას აძლევს ქვეყანას აიღოს პასუხისმგებლობა კონკრეტული განაცხადის დაკმაყოფილებაზე ჰუმანიტარული მოტივით, როგორცაა, მაგალითად, განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ან ხარჯთეფექტიანობის უზრუნველყოფა.. „ჰუმანიტარული მუხლის“ თანახმად, ქვეყნებს შეუძლიათ განიხილონ განაცხადი

ისეთი მიზეზების გამო, როგორცაა, მაგალითად, ოჯახების გამთლიანება. ტრანსფერების³ სისტემა საშუალებას აძლევს ქვეყნებს თავშესაფრის მოთხოვნის განაცხადები გადაამისამართონ სხვა ქვეყნებში ამავე სქემის ქვეშ.

რეგულაციის მიზანია უზრუნველყოს განაცხადების ზედმინევნიტ დეტალური შემოწმება და აღკვეთოს ერთი და იმავე პირის მიერ დროის ერთი და იგივე პერიოდში ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყანაში თავშესაფრის მოთხოვნის შესაძლებლობა. გარდა ამისა, კანონი მიზნად ისახავს „თავშესაფრით ვაჭრობის“ პრევენციასაც. „თავშესაფრით ვაჭრობაში“ იგულისხმება კონკრეტული პირის მიერ თავშესაფრის მოთხოვნა და მიღება ევროკავშირის არა ნებისმიერ, არამედ მის მიერ წინასწარ შერჩეულ ქვეყანაში.

პოლიტიკის გამოწვევები

დუბლინის სისტემის პრობლემები

დუბლინის სისტემა დიდი ხნით ადრე, ჯერ კიდევ 2015 წლის მოვლენებამდე გახდა პრობლემური. რამდენიმე კვლევის შედეგი ცხადყოფს, რომ წევრი ქვეყნების მიერ რეგულაციების გამოყენების პრაქტიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება, რაც იმას ნიშნავს, რომ თავშესაფრის მაძიებლები ვერ სარგებლობენ სამართლიანი და ქმედითი პროცედურებით. ზემოთ ნახსენები დისკრეციული დებულებები იშვიათად გამოყენება პრაქტიკაში და ზოგ წევრ ქვეყანაში, მაგალითად ბულგარეთში, მოქმედებს პროცედურული შეზღუდვები სუვერენიტეტის მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, განაცხადების დაკმაყოფილების მაჩვენებელი ქვეყნების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება. მაგალითად, 2014 წელს შვედეთმა დააკმაყოფილა სირიელი ლტოლვილების მიერ წარდგენილი ყველა განაცხადი, დიდმა ბრიტანეთმა – წარდგენილი განაცხადების 89%, ხოლო სლოვაკეთმა მხოლოდ 43%. ამ მონაცემებს ცოტა რამ აქვთ საერთო თავშესაფრის ჰარმონიზებულ პოლიტიკასთან.

დუბლინის რეგულაციამ ვერ იმუშავა ისე, როგორც თავიდან იყო ჩაფიქრებული, რამდენიმე მიზეზის გამო. ის, რომ თავშესაფრის მაძიებლებმა საკუთარი მოთხოვნა უნდა დაარეგისტრირონ სასაზღვრო ქვეყნებში, მაგალითად, იტალიასა და საბერძნეთში, განუზომლად დიდ ტვირთს აკისრებს ამ ქვეყნებს. ამიტომ, წევრ სახელმწიფოებს შორის პასუხისმგებლობის განაწილების ვალდებულებამ, რომელიც ჩადებული იყო თავშესაფრის ერთიან სისტემაში, პრაქტიკულად ვერ იმუშავა. მისი ამუშავება ვერც რეგულაციამ უზრუნველყო. მაგალითად, 2013 წელს მიგრანტთა მესამედზე მეტმა განაცხადი წარადგინა ორ ან მეტ ევროკავშირის ქვეყანაში. ეს მონაცემები, პოლიტიკასთან დაკავშირებულ კიდევ ერთ პრობლემაზე მიუთითებს: ის საშუალებას არ აძლევს ადამიანებს თავად აირჩიონ ქვეყანა, სადაც სურთ თავშესაფრის მიღება.

მიგრანტთა უპრეცედენტოდ დიდი ნაკადის შემოდინება ევროპაში ნამდვილი გამოცდა აღმოჩნდა თავშესაფრის ევროპული სისტემისთვის. ამ გამოცდამ მნიშვნელოვანი სისტემური ხარვეზები გამოავლინა. 2015 წელს ევროკავშირის მასშტაბით არაერთხელ გაჟღერდა მოწოდებები დუბლინის სისტემის ცვლილების შესახებ. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ განაცხადა, რომ დუბლინის სისტემა იყო „*დისფუნქციური, ახაფექციანი და დაუყოვნებლივ საჭიროებად ხეფოხმი-ებებს წევრებს შორის „გვიხთვის სამახოლიანი განაწილების“ უზრუნველყოფის მიზნით*“.

2014 და 2015 წლის მოვლენების ფონზე ნათელი გახდა, რომ დუბლინის რეგულაცია არ იყო გათვლილი ადამიანების დიდ ნაკადებზე. ამ ხარვეზმა ძირი გამოუთხარა ევროპული თავშესაფრის სისტემას და შექმნა სიტუაცია, სადაც რეგულარულად ირღვეოდა ადამიანის უფლებები.

³ რელოკაცია გულისხმობს საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი ან ამგვარი საჭიროების მქონე პირების ტრანსფერს ევროკავშირის ერთი ქვეყნიდან მეორეში, სადაც ისინი ისარგებლებენ დაცვის მსგავსი პირობებით. ხელახლა განსახლება კი გულისხმობს ევროკავშირის რომელიმე ქვეყნის ან საერთოდ, მოქალაქეობის არმქონე, საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონე პირის ევროკავშირის რომელიმე ქვეყანაში ტრანსფერს ჰუმანიტარული საფუძვლებზე ან ლტოლვილის სტატუსით. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. https://ec.europa.eu/home-affairs/sites/default/files/what-we-do/policies/european-agenda-migration/background-information/docs/relocation_and_resetlement_factsheet_en.pdf

საკანონმდებლო ორგანო

მიგრაციის ევროპული დღის წესრიგი

2015 წლის 23 აპრილს, ლუქსემბურგში გაიმართა წევრი ქვეყნების საგარეო და შინაგან საქმეთა მინისტრების შეხვედრა ლტოლვილთა კრიზისის განხილვის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრა ჯერ კიდევ მარტიდან იგეგმებოდა, მისი საბოლოო თარიღი მაინც სიმბოლურად დაემთხვა ლამპედუაზას ტრაგედიის მეორე დღეს. შეხვედრაზე ლიდერები შეთანხმდნენ ხმელთაშუა ზღვაზე არსებულ კრიზისთან გამკლავების ათუნქტიან სამოქმედო გეგმაზე. სამოქმედო გეგმა მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორცაა, მაგალითად, კონტრაბანდისტების გემებისა და ნავების განადგურება, ხმელთაშუა ზღვაზე ერთობლივი ოპერაციების გააქტიურება და მთელი ევროკავშირის მასშტაბით ლტოლვილთათვის ხელახლა განსახლების ნებაყოფლობითი მექანიზმის ამუშავება.

„ეს ათი პუნქტი, რომელზეც ჩვენ დღეს შევთანხმდით, წახმოადგენს პიხდაპიხ და ძიხითად ღონისძიებას მყისიერი შედეგის მისაღწევად. მათი განხორციელება მოითხოვს ერთობლივ ძალისხმევას – იგულისხმება ევროპული ინსტიტუტები და 28 წევრი სახელმწიფო“

- განაცხადეს ერთობლივ განცხადებაში უმაღლესმა წარმომადგენელმა/ვიცეპრეზიდენტმა ფედერიკა მოგერინიმ და კომისარმა დიმიტრის ავრამოპულოსმა.

13 მაისს, კომისიამ დაამტკიცა მიგრაციის ევროპული დღის წესრიგი. ეს გახლდათ პოლიტიკური დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავდა ევროკავშირის მიერ მისაღებ ზომებს „მიგრაციის სიკეთეების გამოყენებისა და მის გამოწვევებთან გამკლავების მიზნით თანმიმდევრული და ვრცელი მიდგომის განხორციელების მიზნით“ (პარაგრაფი 2). დოკუმენტი აღწერდა იმ გადაუდებელ ზომებს, რომლებსაც უნდა აღმოეფხვრა კრიზისის შედეგები და გაეუმჯობესებინა საემიგრაციო პოლიტიკა საშუალო და ხანგრძლივვადიან პერსპექტივებში. წევრ ქვეყნებს შორის უნდობლობით გამოწვეული თავშესაფრის ერთიანი სისტემის ფრაგმენტულობის გაცნობიერების ფონზე, დღის წესრიგი ასევე გულისხმობდა მონიტორინგის ახალი პროცესის შემოტანას თავშესაფრის წესების შესრულებისა და ნდობის გაზრდის უზრუნველყოფის მიზნით.

დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა წევრ ქვეყნებს შორის პასუხისმგებლობის გაზიარებისა და მიგრაციის პოლიტიკის უკეთ განხორციელების საჭიროებას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დღის წესრიგი წევრ ქვეყნებს სთავაზობდა სავალდებულო კვოტებს თავშესაფრის მაძიებლების ხელახალი განსახლებისთვის, რაც წარმოადგენდა დუბლინის სისტემის დროებით შეჩერებას და მინისტრთა საბჭოსთვის ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მუხლი 78(3)-ს ამოქმედების შეთავაზებას. ხსენებული მუხლი იძლევა „გარდამავალი ზომების“ ამოქმედების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში თუ ერთ ან მეტ წევრ ქვეყანას მოუწევს გამკლავება მესამე ქვეყნის მოქალაქეების ინტენსიურ ნაკადებთან.

თითოეული ქვეყნისთვის კვოტა უნდა განსაზღვრულიყო ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორცაა, მაგალითად, მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), მოსახლეობის რაოდენობა და უმუშევრობის მაჩვენებელი. 40.000-მდე ადამიანი გადანაწილდებოდა იტალიიდან და საბერძნეთიდან ორი კვირის შემდეგ, რაც გაკეთდებოდა განცხადება დღის წესრიგის განხორციელების შესახებ.

პრესკონფერენციის დროს, ფედერიკა მოგერინიმ, ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში და ევროკომისიის ვიცე პრეზიდენტმა, დღის განრიგის წარდგენისას გაზიარა ახალი გეგმის კოლაბორაციულ და მონაწილეობრივ ხასიათს: „**როგორც იქნა, ჩვენი ჰეაგიხება ევროპულია. ამას გახდა (...) ფაქტობრივად, ხაც იმას ნიშნავს, რომ იგი ეხება პიხობდემის სხვადასხვა ასპექტს, რომელიც ახის კომპლექსური და ვეხ გადაიჭიხება დღეს და ხვად. მაგჩამ, ჩვენ გვაქვს ევროპული პოლიტიკები, რომლებიც შეიძლება გაეხითიანდეს და ჩვენ ამას ვაკეთებთ ინტეგრირირებულად და კოორდინირირებულად... დაბოლოს, ჩვენ ახა მხოლოდ ვეხეაგიხებთ ევროპულად, ახამედ ვეხეაგიხებთ ევროპულად და ინტეგრირირებულად“.**

რელოკაციის მეორე გეგმა

ზაფხულში სირიაში კონფლიქტის გამწვავებისა და ევროპის მიმართულებით მიგრანტთა ნაკადების ზრდის ფონზე, 2015 წლის სექტემბერში, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება იტალიასა და საბერძნეთიდან კიდევ 120.000 ადამიანის რელოკაციის შესახებ. საინტერესოა, რომ უნგრეთი, რომელმაც ასევე იწვინა საკუთარ მხრებზე მიგრანტთა ნაკადების შემოღინება, თავდაპირველად, ამ სქემაში, ბენეფიციარად მოიაზრებოდა. თუმცა, უნგრეთმა საბოლოოდ უარი განაცხადა მასში მონაწილეობაზე, იმ მოტივით, რომ საკუთარ თავს საზღვრისპირა ქვეყანად არ განიხილავდა (პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა განაცხადა, რომ უნგრეთში შემოსული ადამიანების უმეტესობა ქვეყანაში საბერძნეთიდან იყო გადმოსული). გარდა ამისა, უნგრეთს არ სურდა დაერეგისტრირებინა და გადაენაწილებინა ათასობით ადამიანი და ამით გამხდარიყო „ევროკავშირის ლტოლვილთა ბანაკი“, რასაც იტალია და საბერძნეთი ვერ გაეცეოდნენ.

საბჭომ გადაწყვეტილებაში ხაზი გაუსვა, რომ რელოკაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას, უნდა გათვალისწინებულიყო ისეთი ფაქტორები, როგორცაა თავშესაფრის მაძიებლის პირადი მახასიათებლები, როგორცაა ოჯახური და კულტურული კავშირები (კიდევ ერთი სასურველი ცვლილება, რაც გათვალისწინებული არ ყოფილა დუბლინის რეგულაციაში). მიუხედავად იმისა, რომ მაისში გამოქვეყნებული რელოკაციის სქემა თავისი ბუნებით ნებაყოფლობითი იყო, მეორე სქემა სავალდებულოდ იქნა გამოცხადებული ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნისთვის.

სამწუხაროდ, კომისიის მოწოდებას ქმედითი ნაბიჯების გადადგმისკენ, წინააღმდეგობა შეხვდა სხვადასხვა წევრი ქვეყნისგან, რამაც შეამცირა დღის წესრიგის ეფექტიანობა. როგორც ევროკავშირში ერთ-ერთმა ელჩმა 2015 წლის მაისში Der Spiegel-ს განუცხადა (ელჩმა ანონიმურად დარჩენა ისურვა), **„ღღვანდელი პეხსპექტივიდან, დღის წესრიგმა გაცხადებდან ერთ საათში დაასრულა სიცოცხლე“**.

განსაკუთრებული წინააღმდეგობა კვოტების შემოღებამ გამოიწვია, რაც წარმოდგენილი იყო როგორც ათპუნქტიანი სამოქმედო გეგმის „ნებაყოფლობითი პილოტური პროექტი“. აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის ქვეყნებმა – უნგრეთმა, ჩეხეთის რესპუბლიკამ და პოლონეთმა განაცხადეს, რომ ისინი უარს ამბობდნენ სავალდებულო კვოტებზე, რადგან ეს მოთხოვნა დარტყმას აყენებდა მათ სუვერენიტეტს. სლოვაკეთმა სარჩელი შეიტანა კვოტების სისტემის წინააღმდეგ, ხოლო პრემიერ-მინისტრმა, ფიკომ სისტემას „ნონსენსი და ტექნიკური აბსურდი“ უწოდა. 2015 წლის დეკემბრისთვის მხოლოდ 184 თავშესაფრის მაძიებელი იქნა გადაყვანილი იტალიასა და საფრანგეთიდან სხვა ქვეყნებში (130 იტალიიდან და 54 საბერძნეთიდან). „ნიუ-იორკ თაიმსის“ მიხედვით, კომისიის მიერ რელოკაციის სქემის გამოცხადებიდან პირველი ხუთი თვის განმავლობაში პროცესის მიმდინარეობის ტემპზე დაყრდნობით, იტალიასა და საბერძნეთში მყოფი 160.000 თავშესაფრის მაძიებლის რელოკაციას 75 წელი დასჭირდებოდა.

საბჭოს გადაწყვეტილებების აღსრულების გაჭიანურება იმაზეც მიუთითებდა, რომ ევროკავშირის ინსტიტუტების დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები ძნელად ხორციელდებოდა პრაქტიკაში. ევროპული პოლიტიკის შემსწავლელი ცენტრის (Centre for European Policy Studies) მიხედვით, ეს გამოწვეულია ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან დაკავშირებული სამართლებრივი რეფორმების ნაკლებობასა და წევრ ქვეყნებში ადმინისტრაციული და საკანონმდებლო შესაძლებლობების დეფიციტით (განსაკუთრებით თავშესაფრის პოლიტიკასთან მიმართებაში). მიუხედავად კომისიის განცხადებისა, რომ ის მკაცრად გააკონტროლებდა ევროკავშირის კანონმდებლობის განხორციელებას, ზოგი წევრი ქვეყანა კვლავ უწევდა წინააღმდეგობას ცენტრალურ დონეზე სავალდებულოდ მიღებულ და დამტკიცებულ პოლიტიკას. **„ეს ახ ახის კოსმოსში გაფხენა. პიობდემის გაანადიზება სიხთუდეს ახ წაჩმოადგენს, ახც გამოსავადზე მითითება. ძნელია მხოლოდ წევრი ქვეყნების დაყოფიება, ხომ შეთანხმდნენ ამ გამოსავლებზე“**, – განაცხადა ჟურნალ Foreign Policy-სთან ინტერვიუში ევროკომისიის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ფრანც ტიმერმანსმა (2014-2019). წევრ ქვეყნებს შორის თანამიმდევრული თანამშრომლობის არარსებობის ფონზე, თანდათან ნათელი გახდა, რომ ევროპული სახელმწიფოების ლიდერებს სხვა გზა უნდა გამოენახათ კრიზისის დასაძლევად.

წვერი ქვეყნების განსხვავებული შეხედულებები და ქმედებები

ასევე ათასობით მიგრანტის შემოდინებასთან ერთად, ევროკავშირის ბევრ ქვეყანაში იმატა ემიგრანტების საწინააღმდეგო სენტიმენტებმა. ქვეყნების ერთ ნაწილში ისმოდა მოწოდებები სოლიდარობისა და ადამიანის უფლებათა დაცვისკენ, ხოლო სხვებში – სუვერენიტეტისა და საზღვრების გამკაცრებული დაცვისკენ. ევროპული კავშირის სიმტკიცე განსაცდელის წინაშე იდგა.

21 აგვისტოს, მას შემდეგ, რაც ივლისში, ევროკავშირის ტერიტორიაზე მიგრანტთა სარეკორდო რაოდენობა დაფიქსირდა ტერიტორიაზე, გერმანიის მიგრაციისა და განსახლების ფედერალურმა სამსახურმა განაცხადა, რომ დროებით შეაჩერებდა დუბლინის რეგულაციას სირიელ მიგრანტებთან მიმართებაში. განცხადება იმას ნიშნავდა, რომ სირიიდან ჩამოსულებს შეეძლებოდათ თავშესაფარი გერმანიაში მოეთხოვათ და არა ევროკავშირის პირველივე ქვეყანაში, რომელშიც ჩამოვიდნენ. ეს ნაბიჯი, ასევე, მიზნად ისახავდა სასაზღვრო ქვეყნების – უნგრეთისა და გერმანიის ტვირთის შემსუბუქებას, რომლებიც ცდილობდნენ გამკლავებოდნენ მიგრანტთა შემოდინებას. ამ ნაბიჯს მიესალმა ევროკომისია და სოლიდარობის გამოვლინება უწოდა. მთავრობის გათვლებით, იმ წელს 800.000 ადამიანი უნდა მიეღოთ. სექტემბერში, საფრანგეთმა და ბრიტანეთმა ასევე განაცხადეს, რომ მზად იყვნენ ლტოლვილთა და მიგრანტთა მისაღებად. საფრანგეთის მთავრობამ განაცხადა, რომ 2015 და 2017 წლების შუალედში 24.000 ადამიანის დაბინავებას შეეძლებოდა, ხოლო ბრიტანეთის პრემიერის დევიდ ქემერონის განცხადებით ქვეყანა 2015-დან 2020 წლამდე შუალედში 20.000 სირიელ ლტოლვილს მიიღებდა.

კედლის მშენებლობა უნგრეთ-სერბეთის საზღვართან

და მაინც, სხვა ქვეყნებმა განსხვავებული მიდგომა არჩიეს. 23 ივნისს, უნგრეთმა განაცხადა, რომ განუსაზღვრელი ვადით შეაჩერებდა დუბლინის რეგულაციების განხორციელებას და სხვა ქვეყნებიდან განაწილებული თავშესაფრის მაძიებლების მიღებას „ტექნიკური მიზეზების გამო“. ამ წელს ქვეყანაში სერბეთიდან დაახლოებით 60.000 მიგრანტი შევიდა და როგორც მთავრობის წარმომადგენელმა ზოლტან კოვარჩა განაცხადა, „გემი უკვე გაივსო“. ამ განცხადების საპასუხოდ, ევროკომისიამ „ტექნიკური მიზეზების“ დაუყოვნებლივ განმარტება მოითხოვა. ერთი დღის შემდეგ, უნგრეთმა უკან წაიღო გადაწყვეტილება და განაცხადა, რომ მხოლოდ საშეღავათო პერიოდს ითხოვდნენ თავშესაფრის მაძიებელთა ნაკადების სამართავად.

ოქტომბერში უნგრეთი კიდევ ერთხელ მოექცა საერთაშორისო ყურადღების ცენტრში, როდესაც ხორვატიასთან საზღვრის გასწვრივ მჭრელი მავთულხლართების ღობე აღმართა. გარდა ამისა, უნგრეთმა, რომელმაც სერბეთთანაც ჩაკეტა საზღვარი, მიგრანტებსა და ლტოლვილებს ყველა მთავარი შემოსასვლელი გადაუღობა. ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ ალტერნატიულ გამოსავლად, ადამიანებს სლოვენისკენ გადაამისამართებდნენ. ამ ნაბიჯებს მწვავე კრიტიკა მოყვა ევროკომისიის, წვერი ქვეყნებისა და გაეროს მხრიდან. „ახლახან დავანგრეთ კედლები ევროპაში და ახლებს არ უნდა ვაშენებდეთ“, განაცხადა ნატაშა ბერტომ, ევროკომისიის სპიკერმა.

იმავე ოქტომბერში, გაეროს ადამიანთა უფლებების უმაღლესმა კომისარმა, ზეიდ რაად ალ ჰუსეინმა, თხოვნით მიმართა ჩეხეთს, შეენწყვიტა დევნილებისა და მიგრანტების წინასწარი მოთავსება არაადამიანურ პირობებში. „სხვადასხვა სანდო წყაროდან მიღებული ინფორმაციით, მიგჩანტთა უფლებების დაზღვევის შემთხვევები ახ ახის შემთხვევითი, ახამედ ამ პჩაქციკას სისგემაგუხი ხასიათი აქვს: ხოგოხც ჩანს, ეს ახის ჩეხეთის მთავრობის პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი, ხომედიც ემსახუხება იმას, ხომ მიგჩანტები და დევნილები ალახ შემოვიდნენ ქვეყანაში და ალახ მოინდომონ დაჩჩენა“, – განაცხადა ზეიდმა.

გერმანიის მიერ კარის გახსნიდან ერთი თვეც კი არ იყო გასული, რომ ქვეყნის მთავრობამ, 13 სექტემბერს, მიიღო გადაწყვეტილება გაემკაცრებინა სასაზღვრო კონტროლი ავსტრიასთან, რათა გამკლავებოდა მიგრანტთა ნაკადების შემოდინებას. ტომას დე მაიზიერმა, გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა, აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება ემსახურებოდა გერმანიაში

შემოსვლის მსურველთა კონტროლსა და „უსაფრთხოების დაუყოვნებლივი ზომების“ მიღებას. ამ, დიამეტრულად განსხვავებული ნაბიჯის გადადგმის ფონზე კი, ბერლინი, როგორც ჩანს, აგრძელებდა დუბლინის სისტემის მხარდაჭერას. გერმანიამ ასევე შეაჩერა შენგენის შეთანხმება, რომელიც გულისხმობს თავისუფალ გადაადგილებას ევროკავშირის ტერიტორიაზე, რამაც ბევრს გაუჩინა კითხვები ევროკავშირის მომავალთან დაკავშირებით.

გართულებული სიტუაციის, ბანაკებად დაყოფილი წევრი ქვეყნებისა და შესუსტებული სოლიდარობის ფონზე, მიგრანტები და ლტოლვილები კვლავაც აგრძელებდნენ ევროკავშირის ტერიტორიაზე შემოსვლას. სიტუაციას კიდევ უფრო ართულებდა ის, რომ ოქტომბერსა და ნოემბერში მეტად გაუარესდებოდა ამინდი ხმელთაშუა ზღვაზე, რაც, თავის მხრივ, ზრდიდა ფატალური შემთხვევების ალბათობას. შედეგად, ევროპელმა ლიდერებმა უფრო მეტ ძალისხმევას მიმართეს, რომ ის ალტერნატიული ზომები მიეღოთ, რომელთა შემუშავებასაც თვეები დასჭირდა. კერძოდ, საუბარია ევროკავშირისა და თურქეთს შორის შეთანხმებაზე ლტოლვილთა ნაკადის მნიშვნელოვნად შემცირების თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმება თავიდანვე საკამათო იყო, იგი მაინც იმ დროისთვის პრობლემის გადაწყვეტის ყველაზე ეფექტიან გზად განიხილებოდა.

აქტორები, ძირითადი მოვლენები და ნარატივი

2015-2016 წლებში განვითარებულ მოვლენებში რამდენიმე აქტორმა შეასრულა ძირითადი როლი. ზემოთ უკვე მიმოვიხილეთ ევროკომისიისა და წევრი ქვეყნების ქმედებები. ეს ნაწილი ეხება რამდენიმე არასამთავრობო აქტორსა და მათ როლს ლტოლვილთა კრიზისის ირგვლივ ნარატივის შეცვლაში, რაც პირდაპირ პასუხობდა მათ პოლიტიკურ მიზნებს. გარდა ამისა, განხილული იქნება საკვანძო მომენტები, მათი გავლენა საზოგადოებრივი აზრისა და პოლიტიკის ფორმირებაზე.

არასამთავრობო ორგანიზაციები

როგორც ვახსენეთ, 2015 წლის გაზაფხულზე ხმელთაშუა ზღვაზე მომხდარი საზღვაო კატასტროფები და ფატალური შემთხვევები ჰუმანიტარულ კრიზისად შეფასდა. ორგანიზაციებმა, მათ შორის, Human Rights Watch-მა ლიდერებს თანაგრძნობისკენ მოუწოდა: „სად არის ბრიტანეთის თანაგრძნობა მიგრანტთა კრიზისის დროს?“ „ჩვენ ვერ დავდგებით გულხელდაკრეფილები, მაშინ როდესაც ათასობით ადამიანი მსხვერპლად ეწირება საკუთარ სურვილს იცხოვრონ უკეთესად ომის, დიქტატურისა და სიღატაკისგან შორს“, – განაცხადა ორგანიზაციამ „გადავარჩინოთ ბავშვები“, რომელიც კრიზისის დროს იტალიაში მუშაობდა ახალჩამოსულების დასახმარებლად.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი – UNHCR (რომელიც კრიზისის განმავლობაში ევროკომისიასთან მჭიდროდ თანამშრომლობდა) და გაეროს სხვა სააგენტოები სისტემატურად ლობირებდნენ დევნილებისა და თავშესაფრის მაძიებლებისთვის უსაფრთხო და ღირსეული პირობების შექმნას. UNHCR-ი ასევე ცდილობდა გავლენა მოეხდინა ევროკომისიაზე, რათა ამ უკანასკნელს ყურადღება მიექცია ადგილნაცვალობის გამომწვევი მიზეზებისთვის, თავშესაფრის მაძიებლებისთვის უზრუნველყო ევროპამდე მოსასვლელი უსაფრთხო მარშრუტები (მაგალითად, კონტრაბანდის აღკვეთით) და ხელი შეეწყო ადგილობრივი ინტეგრაციისთვის. მაგალითად, ევროსაბჭოს მიერ 2015 წლის აპრილში ხმელთაშუა ზღვის კრიზისის საპასუხოდ სპეციალური შეხვედრის გამართვამდე, UNHCR-მა და სხვა სააგენტოებმა გაავრცელეს ერთობლივი განცხადება, რომელშიც იწონებდნენ ევროკავშირის ინიციატივებს და ასევე მოუწოდებდნენ, მიეღოთ დამატებითი ზომები ლტოლვილთა და მიგრანტთა უფლებების დაცვისთვის.

გაეროსა და არასამთავრობო ორგანიზაციების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოწოდება უკავშირდებოდა პასუხისმგებლობის გაზიარებას სირიასა და სხვა ქვეყნებიდან ადგილნაცვალი ლტოლვილების ხელახლა განსახლების პროცესში. 2014 წელს UNHCR-მა მოუწოდა ქვეყნებს დამატებითი 100.000 სირიელი ლტოლვილის განსახლებლად თანმიმდევრულად განეხორციელებინათ ხე-

ლახლა განსახლების მრავალწლიანი სქემები, თუმცა, განსახლების მაჩვენებელზე ამ მოწოდებას არ უმოქმედია და იგი კვლავაც დაბალი რჩებოდა. 2015 წელს აშშ-ში 52.583, ხოლო კანადაში – 10.236 ლტოლვილი განასახლეს, რაც კოლოსალური საჭიროების ფონზე, საკმაოდ მცირე მაჩვენებელია.

თავშესაფრის მაძიებლები და ლტოლვილები

პარადოქსულია ის, რომ ევროპულ საზოგადო აზრის შემქმნელებს ნაკლებად ესმოდათ იმ ადამიანების ხმა, რომელთა დახმარებასაც ევროკავშირი ცდილობდა. არსამთავრობო ორგანიზაციები და გაეროს სააგენტოები შუამავლის ფუნქციას ასრულებდნენ და ცდილობდნენ, ხმა მიეწვინათ ევროპელი პოლიტიკოსებისთვის, რომლებიც გადაწყვეტილებებს დახურულ კარს მიღმა იღებდნენ. “ევროპა ადამიანებად არ აღგვიქვამს” – განაცხადა საბერძნეთში, ლტოლვილთა ერთ-ერთ ბანაკში მცხოვრებმა სირიელმა ლტოლვილმა ქალმა. სწორედ ამასთან დაკავშირებით, ყველაზე მწვავე კრიტიკის ერთ-ერთი საგანი სწორედ რელოკაციის სქემა გახდა, რომელიც, მიუხედავად ევროკავშირის ოფიციალური დაპირებისა, მხედველობაში არ იღებდა თავშესაფრის მაძიებელთა პრიორიტეტებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოლიტიკა და შესაბამისი გადაწყვეტილებები ვერ პასუხობდა იმ ადამიანების საჭიროებებს, რომლებისთვისაც ისინი იქმნებოდა.

საზოგადოება

საზოგადოებრივი აზრი წევრ ქვეყნებში ლტოლვილთა ნაკადებთან დაკავშირებით ხშირად რადიკალურადაც კი განსხვავდებოდა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გერმანიაში შეინიშნებოდა. ევროკომისიის მიერ ევროკავშირის მასშტაბით ჩატარებული ევრობარომეტრის კვლევის (ევრობარომეტრი ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ტარდება) შედეგების მიხედვით, 2015 წელს მიგ- რაცია ევროკავშირის მოსახლეობისთვის ყველაზე აქტუალური საკითხი იყო (38%), რაც, 2014 წლის შემოდგომის მონაცემებთან შედარებით, 14 პუნქტით იყო დაწინაურებული. 2015 წლის შემოდგომისთვის, მიგრაცია უკვე ევროპელების 58%-სთვის იყო ყველაზე აქტუალური საკითხი. იმავე კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 59% უარყოფითად იყო განწყობილი ევროპის საზღვრების მიღმა მიგრაციის მიმართ, ხოლო დადებითად – მხოლოდ 34%.

საზოგადოებრივი აზრის განსაკუთრებული პოლარიზაცია გერმანიაში შეინიშნებოდა, სადაც გამოკითხულთა უმრავლესობა მხარს უჭერდა მიგრანტებს. ათასობით გერმანელმა შეიტანა წვლილი ლტოლვილი ბავშვებისთვის სკოლების გახსნაში, გაიღო თანხა ლტოლვილების სამედიცინო ხარჯების ასანაზღაურებლად, საკვები და ტანსაცმელი – ლტოლვილთა ბანაკებისთვის, დრო – გერმანულის სწავლებისა და ბიუროკრატულ პროცედურებში დახმარებისთვის. 2015 წლის სექტემბრის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა 37% მხარს უჭერდა გერმანიის მიერ მომავალში იმავე რაოდენობის ლტოლვილთა შეფარებას, ხოლო 22% მომხრე იყო ქვეყანას მეტი ლტოლვილი შეეფარებინა (გამოკითხულთა 33% ფიქრობდა, რომ გერმანიას უნდა შეემცირებინა მისაღები ლტოლვილების რიცხვი). ფრანკფურტსა და სხვა დიდ ქალაქებში ასობით ადამიანი შეგროვდა ჰაუფთბანჰოფთან ლტოლვილების დასახვედრად და მათთვის საკვებისა და წყლის მიწოდების მიზნით. ამავე დროს, მთელ ქვეყანაში იმართებოდა მასობრივი დემონსტრაციები მიგრანტებისა და ლტოლვილების წინააღმდეგ. 2015 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში ლტოლვილთა თავშესაფრებზე განხორციელდა 150 თავდასხმა (მათ შორის წინასწარ განზრახვით ხანძრის გაჩენა). შედარებისთვის: 2014 წლის განმავლობაში მხოლოდ 170 ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა. ამავე დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა ისეთი ულტრა მემარჯვენე პარტიების მხარდაჭერა, როგორცაა „ალტერნატივა გერმანიისთვის“ (AfD).

განწყობების მხრივ იგივე სურათი გამოვლინდა ავსტრიაში, ბრიტანეთსა და სხვა ქვეყნებში, ხოლო ჩეხეთში და იტალიაში გაიმართა მიგრანტების საწინააღმდეგო მასობრივი დემონსტრაციები.

ძირითადი მოვლენები

2015 წელს მომხდარმა რამდენიმე შემთხვევამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა როგორც ემოციური ფონი, ასევე პოლიტიკის ფორმულირებაც. პირველი ასეთი შემთხვევა გახლდათ იტალიის სანაპიროსთან მომხდარი საზღვაო კატასტროფა (რომელიც ზემოთ არის განხილული), რამაც კატალიზატორის როლი შეასრულა და ევროპულ ლიდერებს ქმედითი ღონისძიებებისკენ უბიძგა. მეორე შემთხვევა გახლდათ თურქეთის სანაპიროზე დაღუპული სამი წლის სირიელი ლტოლვილი ბიჭუნას ალან კურდის ფოტო, რომელიც მთელს მსოფლიოში გავრცელდა. ალანი და მისი ოჯახის წევრების უმრავლესობა თურქეთიდან საბერძნეთში გადასვლის მცდელობამ შეინირა. შეფილდის უნივერსიტეტის მიერ მომზადებული ანგარიშის მიხედვით, ფოტო 12 საათის განმავლობაში 20 მილიონზე მეტმა ადამიანმა ნახა. ბიჭუნას ფოტომ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია მთელი მსოფლიოს მასშტაბით და როგორც ანგარიშის ერთ-ერთმა თანაავტორმა, ქლემარ უარდლმა თქვა, ფოტოს მეშვეობით „სირიის ლტოლვილთა კრიზისმა ევროპული სინდისი შეაწუხა“. საფრანგეთში, ელაბის (Elabe) სააგენტოს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ალანის ფოტოს გამოქვეყნების შემდეგ 44%-დან 53%-მდე გაიზარდა იმ რესპონდენტების მაჩვენებელი, რომლებიც მხარს უჭერდნენ მეტი ლტოლვილის მასპინძლობას ქვეყანაში.

ამ ამბავმა შოკში ჩააგდო ევროპა და რამდენიმე ლიდერსა და საზოგადოების გარკვეულ ნაწილს შეუქმნა საფრთხის მოლოდინი ევროპაში ლტოლვილებთან დაკავშირებით. საპასუხოდ საფრანგეთმა გაამკაცრა სასაზღვრო კონტროლი, ხოლო პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ლტოლვილებს მხოლოდ უსაფრთხოების გარანტიის არსებობის პირობით მიიღებდნენ. **„წინასწახანზახებითა და ოხვანიზებუდად, გეიოხისგები იყენებენ მასობრივ მიგრაციას და ეხევიან იმ ხადხის მასაში, ხომლებიც უკეთესი ცხოვრების იმედად გოვებს საკუთარ სახლებს“**, განაცხადა პრემიერმა ვიქტორ ორბანმა, რომელმაც ამ განცხადებით კიდევ უფრო გააღვივა ანტისაემიგრაციო განწყობები საკუთარ ამომრჩეველში.

მესამე მოვლენა, რომელმაც, ამჯერად, ლტოლვილებისა და მიგრანტების შესახებ უარყოფითი ნარატივის მომძლავრებას შეუწყო ხელი, გახლდათ პარიზის 13 ნოემბრის ტერაქტი, რომელმაც 130 ადამიანი იმსხვერპლა. გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ერთ-ერთი ტერორისტი ევროპაში ლტოლვილის სტატუსით მოხვდა. ამან გამოიწვია უარყოფითი რეაქციები ანგელა მერკელის ლტოლვილთა პოლიტიკის მიმართ და ეჭვქვეშ დააყენა ადგილობრივი ინტეგრაციის მცდელობების ეფექტურობა. კიდევ ერთი შემთხვევა, რამაც უარესობისკენ შეცვალა დადებითი განწყობები მიგრანტთა მიმართ, გახლდათ 31 დეკემბრის მოვლენები გერმანიის ქალაქ კოლონში, რომლის დროსაც ძირითადად არაბმა და ჩრდილოაფრიკელმა მამაკაცებმა შეურაცხყოფა მიაყენეს ასობით ქალს. ამ დღის მოვლენების გამო შეტანილი 1.200 საჩივრიდან, 500 სექსუალურ ძალადობას შეეხებოდა.

ევროკავშირი-თურქეთის შეთანხმება

უნდა აღინიშნოს, რომ სირიასთან ახლოს მდებარე რეგიონები 2011 წლიდან იღებდნენ სირიელ ლტოლვილებს. 2015 წლის სექტემბრისთვის თურქეთს უკვე ჰყავდა მიღებული 2.2 მილიონი ლტოლვილი და 7.5 მილიარდი დოლარი – დახარჯული. თურქეთი კვლავაც რჩება ყველაზე მსხვილ მასპინძელ ქვეყნად სირიელი ლტოლვილებისთვის. თურქეთში მოქმედებს „დაცვის დროებითი რეჟიმი“, რაც გულისხმობს სხვა სერვისებთან ერთად, ლტოლვილებისთვის განათლებისა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას, აგრეთვე იძულებით უკან დაბრუნების აკრძალვას. თუმცა, სირიელებს ლეგალური დასაქმებისთვის ესაჭიროებოდათ მთავრობის მიერ გაცემული მუშაობის ნებართვა, რაც ზღუდავდა დასაქმების შესაძლებლობებს და ლტოლვილებს აიძულებდა არაფორმალური სამუშაოები ეძებნათ (თურქეთს რატიფიცირებული აქვს 1951 წლის კონვენცია და 1967 წლის პროტოკოლი. თუმცა, პროტოკოლის თანახმად, ხელმომწერ ქვეყნებს უფლება ჰქონდათ არ დამორჩილებოდნენ კონვენციას. ეს იმას ნიშნავს, რომ კონვენცია ძალაში იყო მხოლოდ იმ ადამიანებთან მიმართებაში, რომლებიც 1951 წლამდე გახდნენ ლტოლვილები და რომლებიც

წარმოშობით ევროპიდან იყვნენ). ლიმიტირებულად, თუმცა თურქეთმა მაინც შეძლო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დახმარება აღმოეჩინა მილიონობით სირიელი ლტოლვილისთვის.

ერაყმა, იორდანამ, ეგვიპტემ, ლიბანმა და ჩრდილოეთ აფრიკის სხვა ქვეყნებმა ასევე აღმოუჩინეს დახმარება ასობით ათას სირიელს. მაგალითად, იორდანამ 600.000 სირიელი მიიღო, ხოლო ერაყმა 240.000. მწირი ჰუმანიტარული დახმარება ნიშნავდა, რომ დევნილობაში მყოფ სირიელებს უკიდურეს გაჭირვებაში უწევდათ ცხოვრება. იორდანიაში, კარვებში განთავსებული ლტოლვილების 86% უკიდურეს სიღატაკეში, ანუ დღიური 2.3 აშშ დოლარის შემოსავლის ამარა ცხოვრობდა.

ამასობაში, ევროკავშირი კვლავ ცდილობდა გამკლავებოდა ხალხის მასობრივ შემოდინებას. ამ ფონზე, მისი ლიდერები მძიმე სიტუაციიდან პოტენციურ გამოსავლად თურქეთს მიიჩნევდნენ, რომელიც გეოგრაფიული მდებარეობის გამო ძირითადი სატრანზიტო მარშრუტი იყო ევროპაში მოხვედრის მსურველი ლტოლვილებისთვის. 15 ოქტომბერს, რამდენიმეთვიანი შეხვედრების შემდეგ, ევროკავშირმა და თურქეთმა ოფიციალურად განაცხადეს ერთობლივი სამოქმედო გეგმის შემუშავების შესახებ, რომელიც მიზნად ისახავდა თანამშრომლობის გაძლიერებას სირიელების დასახმარებლად და მიგრაციის სამართავად. უფრო კონკრეტულად კი, გეგმის მიხედვით ევროკავშირი მიაწოდებდა გადაუდებელ ჰუმანიტარულ დახმარებას და ფინანსურ რესურსებს თურქეთს, რომელიც, სანაცვლოდ, დაეხმარებოდა სირიელ ლტოლვილებს და გაამკაცრებდა სასაზღვრო კონტროლს ევროპისკენ ნაკადების შემცირების მიზნით. გარდა ამისა, თურქეთი მიიღებდა პოლიტიკურ დათმობებს, მათ შორის, განახლდებოდა მოლაპარაკებები ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებისა და თურქეთის მოქალაქეებისთვის ევროპასთან უვიზო მიმოსვლის შემოღებასთან დაკავშირებით. გადაწყვეტილებას სისრულეში უნდა მოეყვანა ის, რაც ვერ შეძლო დუბლინის სისტემამ: უზრუნველყო ევროპაში ცხოვრების ხელახლა დაწყების მოსურნე ადამიანების დიდი ნაკადების მართვა.

შეთანხმებაში რამდენიმე საკამათო პირობაც იყო. ამ დროისთვის თურქეთში მყოფი ადგილნაცვალ პირები ვერ იღებდნენ ლტოლვილის სტატუსს – მათ მხოლოდ „დროებითი სტატუსი“ ეკუთვნოდათ, რაც იმას ნიშნავდა, რომ არ შეეძლოთ დასაქმება, განათლებისა და ჯანდაცვის სერვისების მიღება. ეს გარემოება საკმაოდ არასახარბიელო მომავალს უქადდა ადამიანებს, რომლებსაც ცხოვრების ხელახლა დაწყების იმედი ჰქონდათ. გარდა ამისა, მიგრანტები და თავშესაფრის მაძიებლები, რომლებიც საბერძნეთში 2016 წლის მარტის შემდეგ შემოვიდნენ, უნდა დაებრუნებინათ თურქეთში, რომელიც ახლა უსაფრთხო მესამე ქვეყნად გამოცხადდა. თურქეთში დაბრუნებულ ყოველ სირიელ ლტოლვილზე, ერთი ლტოლვილი გადავიდოდა საცხოვრებლად ევროპაში გაეროს მიერ შემუშავებული მოწყვლადობის კრიტერიუმების გათვალისწინებით. საბერძნეთში მიმღები დაწესებულებები წინასწარი დაკავების ცენტრებად გადაკეთდა, ხოლო ევროპელმა ოფიციალურმა პირებმა, განაცხადების განხილვის ნაცვლად, ძალისხმევა მიმართეს თავშესაფრის მაძიებლებისა და ლტოლვილების დასაბრუნებლად.

შეთანხმება, რომლის ნაწილიც იყო ერთობლივი გეგმა, 2015 წლის 24 ნოემბერს გაფორმდა ბრიუსელის სამიტის დროს. შეთანხმების ხელმოწერამ თურქეთს 3 მილიარდი ევრო მოუტანა. შეთანხმებაზე საუბრისას ფრანს ტიმერმანსმა განაცხადა: **„ღმრთობა კიზისის დაძვების მცდელობისას, სხუდიად ნათედი შეიქმნა, ხომ ევროკავშირმა უნდა განამტკიცოს თანამშრომლობა თურქეთთან, ხოლო თურქეთმა – ევროკავშირთან. ოხივე მხახეს სჭიხება ეხობდღივი მუშაობა სამოქმედო გეგმის შესახუდებდად, ხაც მოაწესხიგებს მიგხანტების ნაკადებს და დაგვენმახება შევარეხოთ დაუხეგუდღიხებედი მიგხაცია.“**

შეთანხმებამ შეცვალა ნარატივიც: ლტოლვილთა კრიზისი, რომელიც მანამდე ჰუმანიტარულ კრიზისად იყო მიჩნეული, ახლა პოლიტიკური ზეგავლენის მქონე სასაზღვრო კრიზისად განიხილებოდა. **„ევროპის პოლიტიკური დიდებების პეხსპექტივიდან – მათი, ვინც ყუხადლება უნდა მიაქციოს შეშინებულ საზოგადოებებს, ღმრთობა კიზისი იყო სასაზღვრო კიზისი და შესაბამისად, სახედმწიფო სუვეენიგეგის საკითხი“**, – წერდა ჟურნალის Foreign Policy-ის ჟურნალისტი ჯეიმს ტრაუბი.

რეაქცია ევროკავშირი-თურქეთის შეთანხმებაზე

შეთანხმებამ ბევრი არასამთავრობო ორგანიზაციის, მედიისა და საზოგადოებრივი აზრის შემქმნელების უკმაყოფილება გამოიწვია. ყველაზე დიდი კრიტიკა თურქეთის უსაფრთხო მესამე ქვეყნად გამოცხადებამ დაიმსახურა. ორგანიზაცია „Amnesty International“-მა „საერთაშორისო სამართლის პირდაპირი დარღვევა“ უწოდა მიგრაციის პოლიტიკის იმ მიმართულებით განხორციელებას, რომელიც ეფუძნებოდა თავშესაფრის მაძიებლებისთვის თურქეთის უსაფრთხო ქვეყნად აღიარებას. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა, ორგანიზაციებმა: „ექიმები საზღვრებს გარეშე“, ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭომ, საერთაშორისო ხსნის კომიტეტმა და „გადავარჩინოთ ბავშვები“ განაცხადეს, რომ ისინი მონაწილეობას არ მიიღებდნენ „მასობრივ გაძევებაში“. „ჩვენ ახ დავუშვებთ ჩვენი დახმავების გამოყენებას მასობრივი გაძევების ოპერაციის განხორციელების პროცესში. უახს ვამბობთ ვიყოთ იმ სისტემის ნაწილი, რომელიც უგულებელყოფს თავშესაფრის მაძიებლებისა და მიგრანტების ჰუმანიტარულ და დაცვის საჭიროებებს“, განაცხადა მარი ელისაბეთ ინგრესმა, რომელიც ორგანიზაცია „ექიმები საზღვრებს გარეშე“ ოფისს ხელმძღვანელობდა საბერძნეთში. ლტოლვილთა და გადასახლებულთა ევროპულმა საბჭომ, რომლის 41 ევროპული ქვეყნის 140 არასამთავრობო ორგანიზაციის კოალიციას წარმოადგენს, შეშფოთება გამოთქვა, რომ შეთანხმება გაზრდიდა იძულებით გაძევებისა და ადამიანთა უფლებების დარღვევის რისკს. საქველმოქმედო ორგანიზაციამ „აირჩიე სიყვარული“ სხვა ორგანიზაციებთან ერთად განაცხადა, რომ ევროპამ მიმართა „საზღვრის კონტროლს ფულისა და პოლიტიკური სარგებლის სანაცვლოდ, ლტოლვილთა ხარჯზე“.

შეთანხმების შემდგომი პერიოდი

შეთანხმება ძალაში 2016 წლის 20 მარტს შევიდა. შედეგად, მკვეთრად დაეცა იმ ადამიანების რიცხვი, რომლებმაც საბერძნეთში შესვლა მოახერხეს. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მონაცემებით, 2015 წელს საბერძნეთში შევიდა 856.723 ადამიანი, 2016 წელს – 173.450 ხოლო 2018 წელს მხოლოდ 29.718. გარდა ამისა, თურქეთიდან ევროპის ქვეყნებში გადანაწილდა 12.778 ლტოლვილი. თუმცა, რამდენიმე საკითხი კვლავ გამოწვევად დარჩა. ამჟამად, საბერძნეთში 12.000 ადამიანი ცხოვრობს გადატვირთულ და ღირსების შემლახავ საცხოვრებლებში, სადაც ხელი არ მიუწვდებათ ჯანდაცვის სერვისებზე.

2019 წლის იანვარში, საბერძნეთში ვიზიტისას, კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ შეთანხმება ეფექტიანად არ ხორციელდებოდა. მან აღნიშნა, რომ არ ხდებოდა ადამიანების გადაგზავნა უკან, თურქეთში, როგორც ეს თავდაპირველად იყო ჩაფიქრებული. გარდა ამისა, ისევ ხშირი იყო არალეგალური გზით ევროპაში შეღწევის მცდელობები ძირითადად საბერძნეთის კუნძულებიდან. შეთანხმებასთან დაკავშირებული კიდევ ერთი პრობლემა ის იყო, რომ საბერძნეთის კარის დახურვის შემდეგ, მიგრანტებმა ევროპამდე მისასვლელი სხვა მარშრუტების ძიება დაიწყეს. 2018 წელს ესპანეთმა 57.000 ადამიანი მიიღო, რაც ორჯერ და მეტად აღემატებოდა 2017 წლის მონაცემებს.

ევროპის ერთიანი თავშესაფრის სისტემის რეფორმა

2016 წლის აპრილში, კომისიამ წარადგინა ევროპის თავშესაფრის სისტემისა და ევროპაში შემოსვლის ლეგალური შესაძლებლობების ზრდის რეფორმის პროექტი. რეფორმის ამოცანაა თავშესაფრის ამჟამინდელი სისტემის ალტერნატივის გამოძებნა და შესაბამისად, კონკრეტული წევრი ქვეყნების ტვირთის შემსუბუქება. რეფორმირებული სისტემა იქნება მეტად სამართლიანი და დაეფუძნება “პასუხისმგებლობისა და სოლიდარობის პრინციპებს”.

საბოლოო მიზანია, რომ CEAS ადაპტირდეს თავშესაფრის მაძიებელი ადამიანების დიდი ნაკადების სამართავად და წევრი სახელმწიფოების მიერ უზრუნველყოფილი იქნეს სოლიდარობა და პასუხისმგებლობის თანაბრად გადანაწილება.

რეფორმის ხუთი პრიორიტეტიდან ერთ-ერთი დუბლინის რეგულაციის შესწორებას გულისხმობს. პროექტი აცნობიერებს, რომ დუბლინის რეგულაცია ვერ უზრუნველყოფს პასუხისმგებლობის

გადანაწილების მდგრად ინსტრუმენტს. გარდა ამისა, მისი განხორციელება პრაქტიკაში ეფექტიანად ვერ ხორციელდება (მაგალითად, მიგრანტები ხშირად უარს ამბობენ თავშესაფარი მოითხოვენ პირველივე ქვეყანაში) და არც ხარჯთეფექტურია (მაგალითად, მიგრანტები ხშირად უკან ბრუნდებიან მეორე ქვეყანაში მას შემდეგ, მოხვდებიან იმ სახელმწიფოში, სადაც თავშესაფარი უნდა მოითხოვონ). პროექტი მიზნად ისახავს დუბლინის სისტემისთვის „ინსტრუმენტის დამატებას, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიანობას“, ან „იმგვარ სისტემაზე გადასვლას, რომელიც გადანაწილებაზე იქნება დაფუძნებული“.

თუმცა, თავშესაფრის და დუბლინის სისტემის ცვლილებები ბოლო სამი წლის განმავლობაში ნელი ტემპით ხორციელდება. კომენტატორთა ნაწილი ამის მიზეზად ანტიემიგრანტული ტალღის გაძლიერებას ასახელებს ევროკავშირის პოპულისტურ, ულტრა მემარჯვენე ქვეყნებში, რომლებიც სასაზღვრო კონტროლის გაძლიერებისა და თავშესაფრის უზრუნველყოფის თავიდან აცილების პოლიტიკას ატარებენ. დუბლინის სისტემის რეფორმირების ნაცვლად, ისინი ცდილობენ, რომ მიგრანტები ევროკავშირში არ შეუშვან.

კიდევ ერთ გამოწვევას წარმოადგენს ასიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულება, როგორც ამას ნატაშა ზაუნი, ლონდონის ეკონომიკის სკოლის ევროპის ინსტიტუტის მიგრაციის კვლევის ასისტენტ-პროფესორი აღწერს. იგი აღნიშნავს, რომ სანამ ვიშეგრადის ქვეყნები (სადაც ნაკლებად ითხოვენ თავშესაფარს) არ გამოხატავენ მიგრანტებით დატვირთული ქვეყნების დახმარების სურვილს, თანამშრომლობა, დიდი ალბათობით, არ შედგება. გარდა ამისა, 2015 წლიდან მოყოლებული მიგრანტთა პრობლემების პოლიტიზება კიდევ უფრო ამცირებს იმის შანსს, რომ წევრი ქვეყნები სავალდებულო მექანიზმს უახლოეს მომავალში შემოიღებენ. როგორც ჩანს, თავშესაფრისა და დუბლინის სისტემებს ამჟამად მნიშვნელოვანი ცვლილებები არ ემუქრება.

სიტუაცია ევროპისა და თურქეთის საზღვარზე

შაბათს, 29 თებერვალს, თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა, განაცხადა, რომ ქვეყანამ გახსნა ჩრდილოეთის საზღვარი ევროპასთან (რაც 2016 წლის ევროკავშირი-თურქეთის შეთანხმების დარღვევას წარმოადგენს). განცხადება მას შემდეგ გაკეთდა, რაც წინა კვირას, სირიის პროვინცია იდლიბში საჰაერო თავდასხმას 33 თურქი სამხედრო შეენირა. ერდოღანმა მანამდეც გააჟღერა საზღვრის გახსნის მუქარა, რათა ზენოლა მოეხდინა ევროპელ ლიდერებზე საკუთარი მოთხოვნების საპასუხოდ. მისი თქმით, ევროპა არ ასრულებდა თურქეთის დახმარების ვალდებულებას სირიელ ლტოლვილებთან დაკავშირებით, რომელთა რიცხვმა უკვე 3.7 მილიონს მიაღწია (თურქეთში ასევე ცხოვრობენ ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის ქვეყნებიდან წამოსული ლტოლვილები). გარდა ამისა, თურქეთი სისტემატურად ითხოვდა სამხედრო დახმარებას სირიაში. „ჩვენ რას ვამბობდით? თუ ასე გაგრძელდებოდა, კარის გაღება მოგვინევდა“, განაცხადა ერდოღანმა შაბათის გამოსვლაში. ერდოღანი იმედოვნებს, რომ ლტოლვილების შემოდინება ევროპას მოქმედებისკენ უბიძგებს.

ევროსაბჭოს პრეზიდენტი, შარლ მიშელი შაბათს ესაუბრა ერდოღანს და წუხილი გამოთქვა 33 სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. მან ასევე გაავრცელა განცხადება, სადაც აღნიშნა, რომ **„ევროკავშირი აქტიუხად მიმახიავს ზომებს ევროკავშირი-თურქეთის შეთანხმების მხარდასაჭერად და საბეჩდნეთისა და ბუღრაჩეთის დასახმახებდად ევროკავშირის გახე საზღვრების დასაცავად“**. ევროკავშირი ასევე მოითხოვს, რომ თურქეთმა შეასრულოს შეთანხმების პირობები.

საბერძნეთის მთავრობამ სამხედრო ძალები განათავსა თურქეთის საზღვართან, სადაც ათასობით ადამიანი მოგროვდა. გარდა ამისა, საბერძნეთმა თქვა, რომ შეაჩერებდა თავშესაფრის უზრუნველყოფას ერთი თვით და უკან გააბრუნებდა ყველა არალეგალური გზით შემოსულ მიგრანტს. ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ევროპის კანონებსა და 1951 წლის კონვენციას. საბერძნეთის მთავრობამ განაცხადა, რომ ისინი აპირებენ ევროკავშირისგან მოითხოვონ გამოწვევის დაშვება. გაეროს მონაცემებით, საბერძნეთის პოლიციამ გამოიყენა ცრემლსადენი გაზი, ხელკეტები, ფარები და ნიღბები, რათა გზა ქვეყანაში შესასვლელი გზა გადაეკეტა დაახ-

ლოებით 15.000-მდე ადამიანისთვის, რომლებიც თურქეთის მხრიდან საბერძნეთის საზღვრისკენ მოიწვევდნენ.

ამასობაში, სიტუაცია ლტოლვილებისა და მიგრანტებისთვის კვლავ უკიდურესად მძიმე რჩება. ათასობით ადამიანი კვლავაც იმყოფება საზღვრის გასწვრივ და ცდილობს გაუმკლავდეს ყინვას, ავადმყოფობებსა და შიმშილს. თურქეთში, ახლად ჩასულ მიგრანტებსა და ლტოლვილებთან ერთად ცხოვრობენ ისინიც, რომლებიც წლების წინ ჩამოვიდნენ ქვეყანაში და ვერ მოახერხეს დასაქმება, საკუთარი შვილებისთვის განათლების მიცემა და ნორმალურ პირობებში დასახლება. ორშაბათს, 2 მარტს ახალგაზრდა ბიჭი დაიღუპა გემის ჩაძირვის შედეგად საბერძნეთის კუნძულ ლესბოსთან. თურქეთის უსაფრთხოების ძალების ინფორმაციით, სირიელი მიგრანტი გარდაიცვალა ბერძენი სამხედროების მიერ მიყენებული დაზიანებების შედეგად, რომლებიც ცდილობდნენ ის საბერძნეთის ტერიტორიაზე არ შეეშვათ. საბერძნეთის მთავრობამ ამ ინფორმაციას „დებინფორმაცია“ უწოდა.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა 2 მარტს გაავრცელა მოწოდება „თურქეთისა და ევროკავშირის საზღვარზე დაძაბულობის მშვიდობიანი გზით განეიტრალებისკენ“. ამავე დროს, კომისარიატმა თხოვნით მიმართა ხელისუფლებას თავი შეეკავებინა იმგვარი ზომების მიღებისგან, რომელიც კიდევ უფრო გააუარესებდა ისედაც უმწეო მდგომარეობაში მყოფი ადამიანების მდგომარეობას. განცხადებაში ასევე ნათქვამი იყო, რომ საბერძნეთი და სხვა პერიფერიული ევროპული ქვეყნები მარტონი არ უნდა დარჩნენ არსებული პრობლემების პირისპირ და რომ საჭიროა „გაგრძელდეს და კიდევ უფრო გაძლიერდეს თურქეთისა და მეზობელი ქვეყნების საერთაშორისო მხარდაჭერა“. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი და სხვა სააგენტოები კვლავაც აგრძელებენ სიტუაციის მონიტორინგსა და ჰუმანიტარული დახმარების (საკვები და პლედები) მიწოდებას მიგრანტებისთვის.

მხარი დაუჭირეთ STANDING ROCK-ს¹

ადაპტირებულია ნათია ნადიხაძის მიერ

შესავალი

Stand with Standing Rock² სოციალური სამართლიანობის მოძრაობაა, რომელსაც საფუძველი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩრდილოეთ დაკოტას შტატში ჩაეყარა. მოძრაობის სათავეებთან ის აქტივისტები დგანან, რომლებიც აპროტესტებდნენ Dakota Access Pipeline-ის პროექტს, რომლის მიხედვით ნავთობსადენს მკვიდრი ამერიკელების მიწებზე უნდა გაეწყო. ნავთობსადენის ძირითადი ნაწილი „სტენდინგ როკის“ სახელით ცნობილი ინდიელების რეზერვაციაზე ხვდებოდა. მოძრაობა დაიწყო, როგორც ბრძოლა წმინდა მიწებისა და ხარისხიან წყალზე მისაწვდომობის უფლების დასაცავად, რადგან ნავთობსადენი ტომის წყლის რესურსებზე უნდა გასულიყო. მშენებლობა არღვევს მკვიდრი მოსახლეობის საკრალური ადგილების საზღვრებს და შეთანხმებას, რომელიც აღიარებს ტომის სუვერენიტეტს. რაც ასევე მნიშვნელოვანია, პროექტი საფრთხეს უქმნის წყლის მიწოდებას. მიუხედავად იმისა, რომ პრობლემა, ერთი შეხედვით, ლოკალურია, მოძრაობა ისეთი გლობალური მნიშვნელობის პრობლემასაც ეხება, როგორცაა კლიმატის ცვლილება.

ისტორიული მიმოხილვა, გეოგრაფია და ტრადიციები



„სტენდინგ როკის“ ინდიელების რეზერვაცია შედგება ჰუნკპაპა ლაკოტასა და იანკტონაი დაკოტას ინდიელთა რეზერვაციისგან, რომლებიც ამერიკის ორ შტატში - ჩრდილოეთ დაკოტასა და სამხრეთ დაკოტაში მდებარეობს. დიდი სიუს ხალხის რეზერვაცია სამხრეთ დაკოტაში, მდინარე მისურის დასავლეთ ტერიტორიას მოიცავს. დიდი სიუს რეზერვაციის ხალხი შედგება დაკოტასა და ლაკოტას ხალხებისაგან (დაკოტა და ლაკოტა ითარგმნება როგორც მეგობრები და მოკავშირეები). დაკოტას ხალხი ძირითადად რეზერვაციის ჩრდილოეთ დაკოტას ნაწილში სახლობს. ლაკოტას ხალხი ძირითადად რეზერვაციის სამხრეთ დაკოტას ნაწილში სახლობს. ლაკოტა სიუს ჯგუფის ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხია.

სტენდინგ როკის სიუს ხალხი, როგორც სუვერენული ერი, კვლავაც იცავს საკუთარ უფლებას თვითმმართველობაზე. ამ უფლების მიხედვით მათი სტატუსი გათანაბრებულია შეერთებული შტატების ფედერალურ და შტატების სამთავრობო სტრუქტურებთან. უფლება ეფუძნება დიდი სიუს ხალხისა და შეერთებული შტატების მთავრობას შორის გაფორმებულ ორ ხელშეკრულებას. პირველ მათგანს ხელი 1851 წელს მოეწერა, ხოლო მეორეს - 1868 წელს, რომლითაც დადგინდა დიდი სიუს ხალხის საზღვრები. ამ შეთანხმების მე-16 მუხლის თანახმად, შეერთებული შტატები აღიარებს, რომ ეს მიწა, სიუს ხალხის რეზერვაცია, ხელშეუხებელი ტერიტორიაა. ტომი დღემდე აგრძელებს ამ ხელშეკრულებებით მინიჭებული უფლებების დაცვას და იღებს ზომებს, რომ მათ აქტუალობა დღესაც არ დაკარგონ.

¹ ადაპტირებულია ბრიტანეთის კოლუმბიის უნივერსიტეტის ღია სასწავლო რესურსებიდან.

² სახელწოდება სიტყვების თამაშია: Standing Rock ქართულად მდგომიარე კლდეს ნიშნავს, ანუ სახელწოდება ითარგმნება როგორც, „დადექით მდგომიარე კლდის გვერდით“.

საკრალური სივრცეები

საკრალური სივრცეები წარმოადგენს ტერიტორიებს, რომლებზეც აკრძალულია ადამიანების ყოფნა. ეს შეიძლება იყოს სასაფლაო ან საცხოვრებელი სივრცე. სიუს ხალხს სწამს, რომ ზებუნებრივი ქმნილებები და ადამიანები საზიარო სივრცეს იყოფენ. ზებუნებრივი ქმნილება შეიძლება იყოს ხილული ან უხილავი. ტომის წევრებს უფლება აქვთ მიუახლოვდნენ საკრალურ სივრცეებს, თუმცა შესვლა ამგვარ სივრცეებში აკრძალულია, რათა ადამიანებმა ღვთაებები არ შეაწუხონ. საკრალურ სივრცეებში ადამიანების აქტივობა და ფიზიკური ლანდშაფტის ცვლილება მკრეხელობად ითვლება. ლაკოტას ხალხისა და მათი ლიდერის, დეივ არჩამბოლტ-უმცროსის-თვის, დაკოტას ნავთობსადენის მშენებლობის ადგილი სწორედ ტომის საკრალურ სივრცეს კვთს.

კონსტიტუცია, მისია და ხედვა

1959 წლის 24 აპრილს ტომის საბჭომ დაამტკიცა სტენდინგ როკის სიუს ტომის კონსტიტუცია. ტომის საბჭო შედგება თავმჯდომარის, ვიცე-თავმჯდომარის, მდივნისა და 14 წევრისგან, რომლებსაც ტომი ირჩევს. როგორც დამოუკიდებელი ხალხს, სტენდინგ როკის სიუს ხალხს აქვს თვითმმართველობის უფლება. ტომი უთანაბრდება შეერთებული შტატების მთავრობას იმ შეთანხმებების თანახმად, რომლებსაც 1851-დან და 1868 წლამდე პერიოდში მოეწერა ხელი. სტენდინგ როკის სიუს ხალხი წარმოადგენს მთლიანი მიწისა და მასზე არსებული ინფრასტრუქტურისა და შენობა-ნაგებობების (წყლის არხების ჩათვლით) მესაკუთრეს. დიდი სიუს რეზერვაციის მიწა არასდროს არ გადაცემულა რაიმე ფორმით მთავრობაზე.

ხედვა: „სტენდინგ როკის ტომის მმართველობა მიზნად ისახავს ეფექტიანი, ხარჯთეფექტური და გამჭვირვალე მართვის განხორციელებას, რაც ემსახურება ტომის ეკონომიკურ ზრდას ბიზნესის განვითარებისა და ტომის წევრებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, სტენდინგ როკის ხალხის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებას“.

მისიის განაცხადი: „სტენდინგ როკის სიუს ტომის საბჭო წარმოადგენს მმართველობით ორგანოს, რომლის უფლებამოსილება ეფუძნება ტომის კონსტიტუციას და მიზნად ისახავს ტომის ყველა წევრის თვითკმარობის შენარჩუნებისთვის ხელსაყრელი გარემოს ხელშეწყობას“.

ნავთობსადენი „DAKOTA ACCESS“

Dakota Access, LLC (რომელსაც ხშირად მოიხსენიებენ როგორც „DAPL“ ან „Dakota Access“) წარმოადგენს Energy Transfer Partners-ის კომპანიას, რომლის შემოთავაზებული პროექტი გულისხმობს ამერიკული ნედლი ნავთობის ტრანსპორტირებას ჩრდილოეთ დაკოტადან ბაზრებსა და გადამამუშავებელ საწარმოებამდე შეერთებული შტატების სხვადასხვა ნაწილში. პროექტის მიხედვით, 1.172 მილი (1.9 კმ) სიგრძისა და 30 ინჩის (0,7 მ) დიამეტრის ნავთობსადენი ერთმანეთთან აკავშირებს ჩრდილოეთ დაკოტას ნავთობით მდიდარ ბაკენისა და თრი ფორკის რეგიონებს პატოკასთან (ილინოისის შტატი). ნავთობსადენი დღეში საშუალოდ 470.000 ბარელ ნედლ ნავთობს ატარებს, ხოლო მისი მაქსიმალური გამტარობა დღეში 570.000 ბარელზე მეტია. თავდაპირველად ნავთობსადენი 2016 წლის მეოთხე კვარტალში უნდა გაშვებულიყო. თუმცა, გაშვების თარიღი გადაინია გარემოს რისკებისა და მიწის მესაკუთრეთა უფლებებთან დაკავშირებული პრობლემების გამო. ბაკენს ნავთობის უზარმაზარი მარაგი აქვს. აშშ-ის გეოლოგიური კვლევის თანახმად, დაახლოებით 7.4 მილიარდი ბარელის აღმოუჩენელი ნავთობი ბაკენის აშშ-ის ტერიტორიაზეა. Energy Access Partners-ის მტკიცებით, პროექტის დასრულების შემდეგ შესაძლებელი იქნება 374.3 მილიონი გალონი (1416.8 მილიონი ლიტრი) ბენზინის წარმოება.

ნავთობსადენის მხარდამჭერი არგუმენტები 1. ნავთობსადენი შეამცირებს აშშ-ის დამოკიდებულებას უცხოურ ნავთობზე და გაზრდის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. **2.** დეველოპერები ამტკიცებენ, რომ ნავთობსადენი წარმოადგენს ნედლი ნავთობის ტრანსპორტირების უფრო

უსაფრთხო გზას სატვირთო მანქანებსა და გემებთან შედარებით. **3.** Energy Transfer Partners-ის მონაცემებით, სავარაუდოდ, ნავთობსადენი მოიტანს დაახლოებით 156 მილიონი აშშ დოლარის მოგებას გაყიდვის შედეგად და შტატებისა და ადგილობრივი მთავრობისთვის გადასახდელი საშემოსავლო გადასახადებით. **4.** დეველოპერები ასევე ამტკიცებენ, რომ ნავთობსადენის მეშვეობით შეიქმნება დამატებითი 8.000-დან 12.000-მდე სამუშაო ადგილი მშენებლობის სექტორში. [36]

ნავთობსადენის სანიტაქმდგომო არგუმენტები 1. ნავთობსადენის მშენებლობა გაანადგურებს აბორიგენი მოსახლეობის სასაფლაოებს, სამლოცველო ადგილებს და კულტურული მნიშვნელობის მქონე არტეფაქტებს. **2.** განახლებადი ენერჯის გამოყენების წახალისების ნაცვლად, ნავთობსადენი გაზრდის ნავთობზე დამოკიდებულებას, რაც კლიმატის ცვლილებას იწვევს **3.** რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ოპონენტები წუხან, რომ ნავთობსადენი, რომელიც მდინარე მისურის ქვეშ გაივლის, დააბინძურებს ადგილობრივ წყლის მარაგებს.

პროტესტის დასაწყისი

2016 წლის 25 იანვარს, Dakota Access-მა გაავრცელა საჯარო განცხადება იმის თაობაზე, რომ კომპანიამ მოიპოვა ნავთობსადენის გაყვანის ნებართვა ჩრდილოეთ დაკოტას საჯარო სერვისების კომისიისა და შეერთებული შტატების არმიის საინჟინრო კორპუსისგან. ნავთობსადენი, რომელიც ჩრდილოეთ დაკოტას ილინოისის შტატს დაუკავშირებდა და ყოველდღიურად 470.000 ბარელ ნავთობს გაატარებდა, 2016 წლის ბოლოსთვის უნდა გახსნილიყო. განცხადების პასუხად, 2016 წლის 27 ივლისს, სიუს ტომის ადვოკატებმა პირველ იურიდიულ ზომას მიმართეს ნავთობსადენის მშენებლობის წინააღმდეგ და სარჩელი შეიტანეს აშშ-ის არმიის საინჟინრო კორპუსის წინააღმდეგ ვაშინგტონის ფედერალურ საოლქო სასამართლოში. საქმე წარმოებაში გადაეცა საოლქო სასამართლოს მოსამართლეს ჯეიმს ბოუსბერგს. რადგანაც საქმის იურიდიულ მსვლელობას შესაძლოა თვეები, თუ წლები არა, დასჭირდეს, სიუს ტომმა ასევე შუამდგომლობა დააყენა საქმის დაჩქარებული წესით განხილვის მიზნით. 15 აგვისტოს, სტენდინგ როკის სიუს ტომის თავმჯდომარემ, დევიდ არჩამბოლტ მეორემ (David Archambault II) მთელ ამერიკაში მცხოვრები ყველა მკვიდრი ამერიკული ტომისა და მსოფლიოს აბორიგენი მოსახლეობის მისამართით გაავრცელა მიმართვა და ითხოვა სიუს ტომის მხარდაჭერა წერილობითი ფორმით. დღეისთვის, სტენდინგ როკს გამოქვეყნებული აქვს 87 რეზოლუციის ნუსხა და აგრეთვე მხარდაჭერი წერილები, რომლებიც მათ სხვადასხვა ტომის მმართველობითი ორგანოებისგან მიიღეს, მათ შორისაა ქუმიას ხალხის სეჟუანის გაერთიანება, როუზბადის სიუს ხალხი, შავფეხიანების ხალხი, პომოს ინდიელების კოიოტის დაბლობის გაერთიანება, ალასკას კლინკიტისა და ჰაიდას ტომები, კანზასის კიკაპუს ტომი, ოუენსის დაბლობის ფაიუტის ტომი, ნებრასკას პონკას ტომი, კუს მთის ჩიპეიუას ინდიელების გაერთიანება, ინდიელ ბელადთა კავშირი, ჩეროკის ხალხი და ნიუ იორკის ონიდას ხალხი. ამ განუხრელი მხარდაჭერის შედეგად, ჩრდილოეთ დაკოტაში, სტენდინგ როკის სიუს ტომის რეზერვაციის მახლობლად მოწყობილ ბანაკში ჩამოსვლა დაიწყეს აქტივისტებმა და აბორიგენი მოსახლეობის ჯგუფებმა მთელი ქვეყნიდან.

2016 წლის 3 სექტემბერს გაიმართა პირველი საპროტესტო გამოსვლა (იხ. სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ ნაწილი)

2016 წლის 9 სექტემბერს მოსამართლე ჯეიმს ბოუსბერგმა არ დააკმაყოფილა სტენდინგ როკის სარჩელი და გადაწყვეტილება ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გამოიტანა. გადაწყვეტილების გამოცხადებისთანავე ათასობით ადამიანი შეიკრიბა რეზერვაციის მიმდებარედ ნავთობსადენის მშენებლობის გასაპროტესტებლად. სასამართლოს გადაწყვეტილებამ კატალიზატორის ფუნქცია შეასრულა და ბიძგი მისცა შეერთებულ შტატებსა და მის ფარგლებს გარეთ მშვიდობიან აქციებსა და მსვლელობების კასკადს.

პროტესტის ორგანიზაცია და სტრუქტურა

ბანაკის ორგანიზება

პროტესტი ნავთობსადენის წინააღმდეგ თავდაპირველად სათემო მოძრაობად ჩამოყალიბდა. გაზაფხულზე, აპრილის დასაწყისში, სიუს ტომის უხუცესმა ლადონა „მამაცმა ხარმა“ აღარდმა მოაწყო წმინდა ქვის სამლოცველო ბანაკი მდინარეების, ქენონბოლისა და მისურის ნაპირების სიახლოვეს. (აღარდი სთენდინგ როკის ისტორიული რეზერვაციის ოფიცერია, რომელმაც განაცხადა, რომ ბანაკი შეასრულებდა სულიერი და კულტურული წინააღმდეგობის ფუნქციას ამერიკის მთავრობის წინააღმდეგ). ლადონამ დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა და მათ მიერ მთელ მსოფლიოში აბორიგენი მოსახლეობის ნაკვალევის ნაშლის დაჟინებული მცდელობები.

2016 წლის გაზაფხულსა და ზაფხულის დასაწყისში, აღარდმა, სთენდინგ როკის სიუს სხვა ლიდერებთან ერთად ხმა მიანვდინა მეზობელ ტომებსა და ადგილობრივი მედია გამოიყენა დახმარებისა და მხარდაჭერის თხოვნის გასავრცელებლად. მოწოდებას ასობით ადამიანი გამოეხმაურა და მალე მხარდაჭერების რიცხვმა ათასებს მიაღწია. სხვადასხვა ადგილებიდან ჩამოსულმა ადამიანებმა მალევე გადაავსეს წმინდა ქვის სამლოცველო ბანაკი, რის შედეგადაც ორი ახალი ბანაკი გაჩნდა მდინარე ქენონბოლის მეორე ნაპირას.

24 ოქტომბერს, 200-ზე მეტმა პროტესტანტმა ტომის წევრებთან ერთად მოაწყო მოზრდილი ზამთრის ბანაკი სწორედ იმ გზაზე, სადაც ნავთობსადენს უნდა გაეწყო. აღსანიშნავია, რომ ეს ტერიტორია Energy Transfer Partners-ის საკუთრებას წარმოადგენდა. ახალი ბანაკის მოწყობის საპასუხოდ, პოლიციამ 127 პროტესტანტი დააკავა, ხოლო მორტონის შერიფის დეპარტამენტმა განაცხადა, რომ პროტესტის გასაკონტროლებლად სამართალდამცველთა რიგებს გაზრდიდნენ. პროტესტის მონაწილეების წინაშე წარდგინეს სპიკერთა პანელები პროტესტის მსვლელობის განსახილველად, თუმცა, სიუს ხალხთაგან არც ერთს არ გამოუთქვამს პრეტენზია პროტესტის ლიდერობაზე. მიუხედავად ამისა, ლადონა აღარდის ნომერი მითითებულია სხვადასხვა ვებგვერდზე, როგორც საკონტაქტო ნომერი პროტესტის მონაწილეების დაკავების შემთხვევაში; იქვეა მითითებული დალას გოლდთუზის ნომერი, რომელიც გახლავთ ინდიელი გარემოსდამცველი და აბორიგენ გარემოსდამცველთა ქსელის აღმასრულებელი დირექტორი, ასევე მოწოდებულია ტარა ჰოუსკას, კოჩიჩინგის პირველი ხალხის წარმომადგენლისა და ბერნი სანდერსის კამპანიის მრჩევლის და ჩეიენის მდინარის სიუს ხალხის, კოდი ჰოლის საკონტაქტო ინფორმაცია. კოდი ჰოლი პროტესტის ერთ-ერთი ორგანიზატორი და აქტივისტია, რომელიც სამ სექტემბერს დააპატიმრეს.

ეკონომიკური ასპექტი

პროტესტს არ აფინანსებს არც ერთი სამთავრობო ორგანიზაცია ან მსხვილი კორპორაცია. რესურსები უზრუნველყოფილია მოძრაობის მომხრეებისა და თავად პროტესტის მონაწილეების მიერ. წმინდა ქვის სამლოცველო ბანაკმა გახსნა გვერდი GoFundMe-ზე, სადაც მითითებულია, რომ შემოწირულება მოხმარდება პლედების, საკვების, წყლისა და ა.შ. შეძენას. სთენდინგ როკის სიუს ხალხი შემოწირულობას ფეიფალის ანგარიშის მეშვეობით იღებს. შემოწირული თანხა ხმარდება დაკავებულების გირაოს გადახდასა და გადაუდებელ სერვისებს. გარდა ამისა, პროტესტის მონაწილეებმა გახსნეს იურიდიული დაცვის ფონდი, რითაც ფინანსდება იურიდიული მომსახურება და დემონსტრაციებთან დაკავშირებული სხვა საჭიროებები.

მოზილიზაცია

დაკოტას ნავთობსადენის 3.4 მილიარდიანმა პროექტმა გასაჯაროებისთანავე გამოიწვია მიწის მფლობელთა, გარემოს დამცველთა და პირველი ხალხის ტომების უკმაყოფილება. მიუხედავად იმისა, 2015 წლის იანვრიდან აგვისტოს ჩათვლით იმართებოდა საინფორმაციო შეხვედრები, განსაკუთრებით მიწის მფლობელებთან, კომპანიამ ვერ შეძლო დაერწმუნებინა ვერც გარემოს დამცველები და ვერც ტომები ნავთობსადენის საჭიროებაში ან გარემოზე მის უვნებლობაში. სთენდინგ როკის სიუს ტომი 2014 წლიდან (მას შემდეგ, რაც პროექტი პირველად იქნა წარდგენილი) არის აქტიურად ჩართული საჯარო პოლიტიკის სპეციალისტებსა და ფედერალურ სააგენტოებთან კონსულტაციებში და ცდილობს დაარწმუნოს ეს უკანასკნელი იმ უარყოფით ზეგავლენაში, რომელსაც ნავთობსადენის მშენებლობა გამოიწვევს გარემოსდაცვითი და კულტურული თვალსაზრისით. 2016 წლის 27 ივლისს, სთენდინგ როკის სიუს ტომმა საჩივარი შეიტანა ამერიკის შეერთებული შტატების არმიის საინჟინრო კორპუსის წინააღმდეგ იმ მოტივით, რომ მოპასუხემ ვერ უზრუნველყო ზედმინვენიტ და სათანადო შეესწავლა დაკოტას ნავთობსადენის გავლენა გარემოზე და კულტურაზე.

მომდევნო თვეების განმავლობაში, ნავთობსადენის პროექტის წინააღმდეგ განხორციელდა სამოქალაქო დაუმორჩილებლობის დემონსტრაციები, რომლებიც არ გაშუქებულა ეროვნული დონის წამყვანი მედია საშუალებების მიერ. დემონსტრაციებს უმნიშვნელო ყურადღება მხოლოდ მცირე მასშტაბის ონლაინ ქსელებმა დაუთმო. საპროტესტო გამოსვლები ფართო საზოგადოების ყურადღების ცენტრში მხოლოდ 2016 წლის აგვისტოში მოხვდა, როდესაც პრეზიდენტობის კანდიდატებმა, ბერნი სანდერსმა და ჯილ სტაინმა ღიად გააპროტესტეს დაკოტას ნავთობსადენის მშენებლობა. სენატორმა სანდერსმა საკუთარ ვებგვერდზე განცხადება გაავრცელა, სადაც დაგმო „საშიში ნავთობსადენის“ მშენებლობა და სოლიდარობა გამოუცხადა სთენდინგ როკის სიუს ტომებს.

სანდერსის მიერ პროექტის საჯაროდ დაგმობის შემდეგ, ათასობით მისმა მომხრემ მიაშურა სოციალურ მედიას ნავთობსადენის მშენებლობის გასაპროტესტებლად. ჯილ სტაინმა, მწვანეთა პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატმა ასევე გამოხატა თანადგომა პროტესტის მიმართ და ადგილზე ჩავიდა, რათა ასობით სხვა მონაწილესთან ერთად მონაწილეობა მიეღო სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქციაში.

2016 წლის აგვისტოში, სთენდინგ როკის ინდიელთა რეზერვაციის ახალგაზრდობამ ჩამოაყალიბა ჯგუფი სახელწოდებით ReZpect Our Water – პატივი ეცით ჩვენს წყალს. ჯგუფი მიზნად ისახავდა ხელმოწერების შეგროვებას დაკოტას ნავთობსადენის წინააღმდეგ და ვაშინგტონში, პეტიციის პრეზიდენტისთვის გადაცემას. ახალგაზრდებს თეთრ სახლამდე მისასვლელ გზაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი მხარდამჭერი, მათ შორის ნიუ-იორკშიც, ეხმარებოდა. თანდათანობით, აქტივისტების მიერ ფეისბუქზე, ტვიტერზე და თამბლერზე გაჩაღებული კამპანიის შედეგად (პეტიციით Water is Life (წყალი სიცოცხლეა), არა ნავთობსადენს და Standing Rock) პროტესტმა სოციალური მედიის მომხმარებელთა ყურადღება მიიპყრო. გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სამართალდამცველები აქტიურად იყენებდნენ ფეისბუქის ადგილმდებარეობის აღმნიშვნელ ფუნქციას - geotag-ს, პროტესტის მონაწილეების დასაკავებლად. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციას ბევრმა ჟურნალისტმა გადაუმოწმებელი და ყალბი უწოდა, ფეისბუქის ათასობით მომხმარებელმა მონიშნა საკუთარ ადგილსამყოფლად Standing Rock, North Dakota, რათა გამოეხატა სოლიდარობა და მხარდაჭერა პროტესტის მონაწილეების მიმართ.

თუმცა, საპროტესტო მოძრაობამ ეროვნული მედიის ყურადღება მხოლოდ მას შემდეგ მიიპყრო, რაც ჟურნალისტებმა გაავრცელეს პროტესტის ადგილას განლაგებული წყლის ჭავლის გამშვები მოწყობილობით შეიარაღებული და ტანკებზე მსხდომი სამხედრო პოლიციის ფოტოები, რომლებიც ცხენებზე ამხედრებული პროტესტანტებისკენ მიიწვევდნენ. ამერიკელი სატელევიზიო ჟურნალისტი ემი გოდმანი მაშინ დააპატიმრეს, როდესაც ის ცდილობდა გადაეღო ნავთობსადენის პროექტის მიერ დაქირავებული უსაფრთხოების ოფიცრები, რომლებიც წინაკის ხსნარსა და ძაღლებს იყენებდნენ პროტესტის მონაწილეების წინააღმდეგ. დაძაბულობის კულმინაცია 3 სექტემბერს დადგა, როდესაც სთენდინგ როკის ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ მშენებლებმა გაანადგურეს ამერიკელ ინდიელთა სარიტუალო ნაგებობები და სასაფლაო კერძო საკუთრებაში მყოფ მიწაზე სამხრეთ დაკოტაში. ახალი ამბების რამდენიმე წყაროს მიხედვით,

ათობით პროტესტანტი დაზიანდა წინაკის სპრეის შედეგად, ხოლო ექვსმა პირმა ძალების დაკბენისგან მიიღო ტრავმა. მასობრივი აღშფოთება მოჰყვა მომხრეებისა და მედიის მიერ პოლიციის ქმედებების სისასტიკედ და გადამეტებული ძალის დემონსტრირებად შეფასებას.

2016 წლის 9 სექტემბერს, მას შემდეგ, რაც საოლქო სასამართლოს მოსამართლე ჯემს ბოუსბერგმა არ დააკმაყოფილა სტენდინგ როკის სიუს ტომის მიერ აშშ-ის არმიის საინჟინრო კორპუსის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი და გადაწყვეტილება ყოველგვარი ახსნისა და დასაბუთების გარეშე გამოიტანა. გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, ათასობით ადამიანი შეიკრიბა სტენდინგ როკის ინდიელთა რეზერვაციის მიმდებარედ ნავთობსადენის მშენებლობის გასაპროტესტებლად. სასამართლოს გადაწყვეტილებამ კატალიზატორის ფუნქცია შეასრულა და ბიძგი მისცა შეერთებულ შტატებსა და მის ფარგლებს გარეთ მშვიდობიან აქციებსა და მსვლელობების კასკადს.

მკვიდრი ამერიკელი ხალხების ჩართულობა

პროტესტი დაკოტას ნავთობსადენის წინააღმდეგ ასწლეულების განმავლობაში პროტესტის ყველაზე კონსოლიდირებული მაგალითია ამერიკელ ინდიელებში. 24 აგვისტოს, სტვი „მდჯომარე დათვმა“, სტენდინგ როკის სიუს ტომის საგარეო ურთიერთობების დირექტორმა, მოქმედებისკენ მოწოდებისას განაცხადა, რომ ნავთობსადენის მშენებლობის წინააღმდეგობას მხარი დაუჭირა 87-ზე მეტმა ტომმა და ხალხმა. 28 ოქტომბერს, ლაკოტას, დაკოტას და ნაკოტას ტომების ბელადმა, არვოლმა – “მომზირალმა ცხენმა” განაცხადა, რომ დაკოტას ნავთობსადენის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად აღიმართა აბორიგენი ერების (მათ შორის სხვა ქვეყნებიდან) 300-ზე მეტი დროშა.

აღსანიშნია, რომ ამ ტომებს ერთმანეთთან კონფლიქტი ჰქონდათ მრავალი წლის განმავლობაში. მიწის მეპატრონეებისთვის ეს საკითხი არა მხოლოდ მათ უფლებებს ეხება, არამედ წარმოადგენს მათი იდენტობის ფუნდამენტს. ლაკოტას ტომში არსებობს ძველი წინასწარმეტყველება, რომლის თანახმადაც ჯურღმულიდან ამოვა შავი გველი და თან მოიტანს განადგურებას და ვარამს. მრავალი წლის განმავლობაში ლაკოტას ხალხი ცდილობდა ამოეხსნა, რას გულისხმობდა წინასწარმეტყველება და ელოდა მის გაცხადებას. როდესაც მათ შეიტყვეს ნავთობსადენის შესახებ, მათთვის ნათელი გახდა, რის შესახებ აფრთხილებდნენ წინაპრები. ჩრდილოეთ დაკოტას რამდენიმე ტომმა, მათ შორის, ჩეიენის მდინარის სიუს ტომმა, ქროუ კრიკის ტომმა, ოგლალას და როუზბადის სიუს ტომებმა, კონკრეტული ზომები მიიღეს სტენდინგ როკის სიუს ტომის მხარდასაჭერად. ჩრდილოეთი ამერიკის პირველი ერების ხალხებმა, მათ შორის, ამერიკელ ინდიელთა ეროვნულმა კონგრესმა, საჯაროდ დაადასტურეს ერთგულება და მხარდაჭერა სტენდინგ როკის სიუს ტომის მიმართ.

გარდა ამისა, სტენდინგ როკის სიუს ხალხის მიმართ გამოხატეს მხარდაჭერა ოკლაჰომურმა ტომებმა, დაწყებული ჩეროკისა და აღმოსავლეთი შონის ხალხებით, დამთავრებული ოკლაჰომას ოტავას ხალხით, ხოლო კვაპოს ტომმა პირობა დადო დაიცვას მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში აბორიგენი მოსახლეობის მიწისა და წყლის უფლებები. აგვისტოში, ჩეროკის ხალხის მთავარმა ბელადმა ღიად გამოხატა მოძრაობის მხარდაჭერა და განაცხადა, რომ იბრძოლებს სტენდინგ როკის სიუს ხალხების სუვერენიტეტის დასაცავად. 24 აგვისტოს აღმოსავლეთი შონის ტომმა მიიღო რეზოლუცია სტენდინგ როკის სიუს ტომის მხარდასაჭერად. ტომის ბელადმა გლენა უოლესმა, ასე აღწერა რეზოლუციის სულისკვეთება: „დავიცვათ სტენდინგ როკის რეზერვაციის მოსახლეობის საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა“.

16 სექტემბერს ასობით ადამიანი, რომელთა შორის მრავლად იყვნენ აბორიგენი ერების შთამომავლები, სიეტლის ქუჩებში გამოვიდა დაკოტას ნავთობსადენის მშენებლობის გასაპროტესტებლად და სტენდინგ როკისთვის მხარდაჭერის გამოსახატად. აქციის დაწყება უკავშირდება სიეტლის მერის, ედ მარის მიერ რეზოლუციის ხელმოწერას ქალაქის საბჭოსა და მოსახლეობის სახელით, რომლითაც სიეტლმა გამოხატა სტენდინგ როკის სიუს ხალხისადმი უპირობო მხარდაჭერა. დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდნენ შავფეხიანთა კონფედერაციის, კინოლების, ლუმების, ტულალიპების, სვინომუშებისა და პუაიალუპების წარმომადგენლები. „ჩვენ ვიბრძვით გარემოსდაცვითი სამართლიანობისთვის და არ გავრჩებდით“, - მიმართა შეკრები-

ლებს ფონ შარპმა, კინოლებისა და ჩრდილო-დასავლეთ ინდიელთა ტომების პრეზიდენტმა.

13 ოქტომბერს, გაზეთმა The Grand Folks Herald-მა გამოაქვეყნა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 19 ქალაქის მუნიციპალურმა მმართველობებმა, სიეტლის, სენტ-ლუისისა და მინიეაპოლისის ჩათვლით, მიიღეს საკანონმდებლო აქტები, რომლებითაც გამოხატეს სიუს ტომის მხარდაჭერა ნავთობსადენის მშენებლობის წინააღმდეგ.

9 ოქტომბერს, მორტონის შერიფის ოფისმა მეზობელი შტატებიდან ბრბოს სამართავად სამართალდამცველების გამოგზავნა ითხოვა. პასუხად, დეინის შერიფის ოფისმა 10 სამართალდამცველი გააგზავნა მორტონში, თუმცა პოლიციელები მალევე უკან გაიწვიეს, რადგან ამ ფაქტს დეინის მოსახლეობისა და ოფიციალური პირების აღშფოთება მოჰყვა. ლაკოტას, დაკოტასა და ნაკოტას ხალხების ბელადმა არვოლმა – „მომზირალმა ცხენმა“ საჯარო განცხადებით მიმართა პრეზიდენტ ბარაკ ობამას და გაახსენა შეუსრულებელი დაპირება ამერიკის შეერთებული შტატების პირველი ერების ხალხების წინაშე. არვოლმა შეახსენა პრეზიდენტ ობამას, რომ საპრეზიდენტო კამპანიის დროს, მან პირობა დადო პატივი ეცა პირველ ერებსა და შეერთებულ შტატებს შორის დადებული შეთანხმებებისთვის. არვოლმა ობამას პირობის შესრულებისკენ მოუწოდა. მისი განცხადებით, პრეზიდენტი ვალდებული იყო მოესმინა სიუს ტომისა და მისი მხარდამჭერებისთვის. პრეზიდენტს ამ დრომდე არ უპასუხია არვოლის მოწოდებაზე.

ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის პირველმა ერებმა ასევე გამოხატეს მხარდაჭერა პროტესტის მონაწილეების მიმართ და აღნიშნეს, რომ სთენდინგ როკის სიტუაცია ეხმიანება სრულიად აბორიგენი ტომების ბრძოლას. ახალი ზელანდიის მაორის ტომის წევრებმა და აბორიგენმა ავსტრალიელებმა სოციალურ მედიას მიმართეს პროტესტის მიმართ საკუთარი მხარდაჭერის გამოსახატად.

მხარდამჭერები

2016 წლის აგვისტოსა და სექტემბრის დასაწყისში პროტესტს შეუერთდა მრავალი საზოგადოებისთვის ნაცნობი სახე და პოლიტიკური ფიგურა. ბერნი სანდერსი, ამერიკელი პოლიტიკოსი, რომელიც დემოკრატიული პარტიიდან პრეზიდენტობაზე იყრიდა კენჭს, თეთრ სახლთან შეკრებილი სიუს ტომის 3000 წევრის, პროტესტის მონაწილეებისა და მხარდამჭერთა წინაშე სიტყვით წარსდგა და დაგმო ნავთობსადენის მშენებლობა. სანდერსმა პირობა მისცა შეკრებილებს, რომ კვლავაც გააგრძელებდა „საფრთხის შემცველი“ ნავთობსადენის მშენებლობის გაპროტესტებას, ხოლო მოგვიანებით, საკუთარ ვებგვერდზე, კიდევ ერთხელ დაადასტურა თანადგომა პროტესტის მიმართ.

მწვანეთა პარტიიდან პრეზიდენტობის კანდიდატი, ჯილ სტაინი მივიდა პროტესტის ადგილას და ბულდოზერზე სპრეით გააკეთა წარწერა „მე მხარს ვუჭერ ამ გზავნილს“. მორტონის შერიფის სამსახურმა პრეზიდენტობის კანდიდატს ბრალად დასდო მოწყობილობის განადგურება და ვანდალიზმი, ხოლო ჯილ სტაინის თანამებრძოლი და ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატ აჯამუ ბარაკას ბრალად დაედო კერძო საკუთრების საზღვრების დარღვევა და ხულიგნობა. არც სტაინს და არც ბარაკას არ გაუსაჩივრებიათ ბრალდება, არც რაიმე ფორმით მოუხდენიათ რეაგირება.

2016 წლის აგვისტოში, მსახიობებმა მარკ რუფალომ, ჯესი ჯეკსონმა, სუზან სარანდონმა, კრის როკმა, ლეონარდო დი კაპრიომ და შეილინ ვუდლიმ ტვიტერის საკუთარ გვერდებზე გამოაქვეყნეს პროტესტის მხარდამჭერი პოსტები.

2 სექტემბერს პროტესტის მხარდასაჭერად კალიფორნიიდან ჩამოსულმა პალესტინური მოძრაობა Youth-USA-ს წევრებმა ქენონბოლის მახლობლად საცხოვრებელ ფურგონებში დაიდეს ბინა.

როგორც საჯარო განცხადებაში იუწყებიან, პალესტინელი ახალგაზრდები „იბრძვიან აბორიგენი მოსახლეობის აწმყოსა და მომავლისთვის, ისტორიული ბატონობის, კოლონიალიზმის ცოცხალი მემკვიდრეობის და გაუმაძღრობის სისასტიკის წინააღმდეგ“.

2016 წლის ოქტომბერში, მსახიობი შეილინ ვუდლი დააპატიმრეს. დაპატიმრების კადრები, რომელიც ფეისბუქის ლაივით იქნა გაშვებული, 40.000-ზე მეტმა მომხმარებელმა ნახა.

მოძრაობის შესახებ ინფორმირებულობის დონის ზრდას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ისეთი ცნობილი ადამიანების მიერ გამოხატულმა თანადგომამ, როგორებიცაა, მაგალითად, ლეონარდო დიკაპრიო და კრის ჰემსვორთი. მსახიობებმა და პოლიტიკოსებმა, მათ შორის ბერნი სანდერსმა, რომელთა საქმიანობასაც უამრავი ადამიანი ადევნებს თვალს, მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს საზოგადოებისა და მედიის ყურადღების მობილხებაში. მათ ღია წერილით მიმართეს პრეზიდენტ ბარაკ ობამას და მოითხოვეს ზომების გატარება ნავთობსადენის მშენებლობის წინააღმდეგ. მათ საკუთარი პლატფორმები გამოიყენეს პროტესტის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის მიზნით.

ინტერნეტი და სოციალური მედია

სოციალური მედია და ინტერნეტი ინფორმაციის სწრაფად გავრცელების ეფექტიანი ინსტრუმენტებია, რომელთა მეშვეობითაც ხმის მიწვდენა მილიონობით ადამიანისთვისაა შესაძლებელი. აქტივისტებმა აქტიურად გამოიყენეს ეს ინსტრუმენტი და ფეისბუქისა და ტვიტერის მეშვეობით გაავრცელეს ჰეშტეგები #NoDAPL და #WaterIsLife. ამ ჰეშტეგების მეშვეობით სოციალური ქსელების მომხმარებლებს შეეძლოთ გაცნობოდნენ სიახლეებს ნავთობსადენის პროექტისა და სტენდინგ როკის სიუს ტომის შესახებ. ფეისბუქის მილიონზე მეტმა მომხმარებელმა მიუთითა ქენონბოლი, ჩრდილოეთი დაკოტა ან სტენდინგ როკი საკუთარ ადგილსამყოფლად, რითაც გამოსატა სოლიდარობა პროტესტის მიმართ და ხელი შეუწყო ცნობიერების ამაღლების კამპანიას.

საერთაშორისო პროტესტი

ჩრდილოეთ ამერიკის მრავალ ქალაქში ადამიანები აქტიურად გამოხატავენ მხარდაჭერას სტენდინგ როკის სიუს ტომის მიმართ. ჩამონათვალი ამ ქალაქებისა მეტისმეტად ვრცელია. საპროტესტო აქციები გაიმართა ონტარიოსა და ჰალიფაქსიში, ასევე ნოვა სკოტიაში (კანადა).

ამ პროტესტების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მათ განამტკიცეს არა მხოლოდ აბორიგენ ტომთა ერთობა, არამედ აჩვენეს მხარდაჭერაც. ამის ნათელი მაგალითია ახალი ზელანდიის მაორების მიერ შესრულებული ჰაკა სიუს ტომის მხარდასაჭერად. საერთაშორისო სოლიდარობის კიდევ ერთი გამოვლენაა ის ათასობით ადამიანი მსოფლიოს ყველა კუთხიდან, რომელიც საკუთარ ადგილმდებარეობად სტენდინგ როკს უთითებს ფეისბუქში. არსებობს ვერსია, რომ ეს პრაქტიკა ემსახურება პოლიციის და სამართალდამცავების მიერ პროტესტის მონაწილეების იდენტიფიცირებას და მათ თვალთვალს სოციალურ მედიაში. გარდა ამისა, ათასობით ადამიანი იყენებს ჰეშტეგს დაკოტას ნავთობსადენის მშენებლობის გასაპროტესტებლად.

წარმატებები და ჩავარდნები

სტენდინგ როკის პროტესტის ყველაზე დიდ მიღწევად ითვლება ის, რომ მან შეძლო საუკუნის მანძილზე პირველად მთელი ქვეყნის მასშტაბით აბორიგენი მოსახლეობის გაერთიანება! ბევრმა შეიძლება არც იცოდეს, რომ აბორიგენი მოსახლეობა თაობების მანძილზე კონფლიქტებით იყო გახლეჩილი. გარდა ამისა, სათემო დონეზე დაწყებულმა მოძრაობამ შეძლო მედიის ყურადღების მიპყრობა. კიდევ ერთ მიღწევად ითვლება სოციალური მედიისა და სხვადასხვა პლატფორმის წარმატებული გამოყენება.

ამ კონკრეტული სოციალური მოძრაობის ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მასში ნაკლებად იყო წარმოდგენილი აქტიური პროტესტი, რადგან სოციალური მედია ძირითადად „ჰეშტეგური აქტივიზმის“ საშუალებას იძლევა. UBC-ის პროფესორი სარა ჰანტი იკვლევს სოციალური მედიის როლს სოლიდარობის დემონსტრირების შესაძლებლობების კუთხით. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანები, რომლებიც ამგვარად გამოხატავენ სოლიდარობას, პროტესტის ქმედითი მონაწილეები არიან ან რომ ისინი მომავალშიც გააგრძელებენ ამა თუ იმ კამპანიის მხარდაჭერას.

კიდევ ერთი კრიტიკული მოსაზრება უკავშირდება უხეშ მოპყრობას პროტესტანტების მიმართ. 2016 წლის 3 სექტემბერს, Dakota Access Pipeline-ის უსაფრთხოების თანამშრომლებმა წინაკის სპრეი და პოლიციის ძალები გამოიყენეს პროტესტანტების წინააღმდეგ. სულ მცირე 6 პროტესტანტს დასჭირდა მკურნალობა ძალების დაკბენის შედეგად, ხოლო წინაკის სპრეის შესხურებით 30-მდე მონაწილემ მიიღო დაზიანებები. მათ აღნიშნეს, რომ არაფერი არ გაუკეთებიათ იმისთვის, რომ გამოეწვიათ ამგვარი აგრესია. გარდა ამისა, პოლიციამ, წვრილმანი სამართალდარღვევების ბრალდებით დააკავა მრავალი მონაწილე, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მათ წინააღმდეგ არამართლზომიერად უხეში ზომები გამოიყენეს. მაგალითად, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რამდენიმე დაკავებული ჩხრეკისას გააშიშვლეს, რაც არ წარმოადგენდა არანაირ საჭიროებას.

ორგანიზაცია ACT UP NEW YORK¹

რა არის აივ/შიდსი?

ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (აივ), ქრონიკული მდგომარეობაა. ვირუსი აზიანებს ორგანიზმის იმუნურ სისტემას, უფრო კონკრეტულად კი, ანადგურებს CD4 უჯრედებს (T-უჯრედებს), რომლებიც ორგანიზმს ინფექციებთან ბრძოლაში ეხმარება. შესაბამისი მკურნალობის გარეშე და შემცირებული T-უჯრედების ფონზე, მკვეთრად ეცემა ორგანიზმის იმუნური რეაქციების შესაძლებლობა.

შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი (შიდსი) აივ ინფექციის ბოლო სტადიაა. შიდსი დგება, როდესაც T-უჯრედების რაოდენობა მკვეთრად ეცემა და ორგანიზმი ვეღარ ებრძვის ინფექციებს. ამ სტადიაზე ადამიანის იმუნური სისტემა იმდენად დაზიანებულია, რომ ორგანიზმი ძალზე დაუცველი რჩება საშიში და ოპორტუნისტული ინფექციების მიმართ, რაც სიკვდილით მთავრდება.

ამჟამად, აივ-ის ყველა შემთხვევა შიდსით არ რთულდება. თუმცა, ეს დამოკიდებულია მკურნალობაზე, ასევე ჯანდაცვასა და მედიკამენტების მისაწვდომობაზე. მკურნალობის გარეშე, დადასტურებული აივ-ის მქონე ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა დიაგნოზიდან საშუალოდ სამი წელია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შიდსის მქონე პირს გადაედო საშიში ინფექცია, მას სიცოცხლის მხოლოდ ერთი წელი რჩება. აუცილებელია, რომ შიდსის მქონე პაციენტებს ხელი მიუწვდებოდეთ სამედიცინო მკურნალობაზე, რათა გაიხანგრძლივონ სიცოცხლე.

აივ/შიდსი როგორც ეპიდემია

1980-იანი წლების დასაწყისში აღმოჩნდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში შიდსით ასეულობით ადამიანი კვდებოდა. მათი უმეტესობა ჰომოსექსუალი მამაკაცი იყო. თუმცა, ამ პერიოდიდან იწყება შიდსის სწრაფი გავრცელება სხვადასხვა უმცირესობის ჯგუფში, რის შედეგადაც გავრცელების მაჩვენებელმა მკვეთრად აიწია, განსაკუთრებით აფროამერიკელებში. 1996 წლისთვის შიდსის გადაცემის ყველაზე გავრცელებულ გზას წარმოადგენდა მამაკაცებს შორის სქესობრივი კავშირი (სწორედ ამ გზით დაავადდა იდენტიფიცირებული პაციენტების 46%), შემდეგ მოდიოდა ნარკოტიკები (25%) და სქესობრივი კავშირი ჰეტეროსექსუალებს შორის (11%). დიაგნოზირებული პაციენტების ყველაზე დიდ ჯგუფი 20-დან 49 წლამდე ასაკის ადამიანები იყვნენ (დაახლოებით 85%). 1980-იანი წლების განმავლობაში შიდსის გავრცელება მზარდი ტემპებით მიმდინარეობდა და პიკს 1990-იანი წლების დასაწყისში მიაღწია. 1996 წლიდან იწყება გავრცელების მაჩვენებლის შემცირება, რაც ძირითადად უკავშირდება აქტივიზმს, პოლიტიკის ცვლილებას სამედიცინო აღმოჩენების კვალდაკვალ და აივ/შიდსის მიმართ საზოგადოების ცნობიერების გაზრდას. აშშ-ში 1980-1996 წლებში 273.024 ადამიანი ემსხვერპლა შიდსს, ხოლო დღეის მონაცემებით გარდაცვლილთა რიცხვი 500.000-ს აღწევს.

აივ/შიდსი, როგორც ენდემია

აივ/შიდსის პანდემია, რომელმაც მოიცვა ამერიკის შეერთებული შტატები, შეიძლება, განვიხილოთ, როგორც ენდემური დაავადება. ენდემური დაავადება ესაა „ბიოპოლიტიკური მოვლენა, რომელიც პოპულაციის მართვაში სიცოცხლის და სიკვდილობის შეფარდებისას მიიჩნევა

¹ წყარო: ბრიტანეთის კოლუმბიის უნივერსიტეტის ღია სასწავლო რესურსი (The University of British Columbia, https://cases.open.ubc.ca/act-up-new-york/#cite_note-Gill-Peterson_2013-3)

ჯანმრთელობის საფრთხედ“. 1980-იანი წლების დასაწყისიდან 1990-იანი წლების ბოლო პერიოდამდე, აივ/შიდსი სტიგმატიზირებული იყო, როგორც „გეების დაავადება“. ბევრი მიიჩნევდა, რომ აივ/შიდსის მქონე პაციენტების მიმართ საჭირო იყო ექსტრემალური ზომების, მაგალითად, სრული კარანტინის შემოღება. სხვები თვლიდნენ, რომ აივ/შიდსი მხოლოდ იმ ადამიანების ხვედრი იყო, რომლებსაც რისკის შემცველი ქცევა, მაგალითად ქვიარ ურთიერთობები და სექსი ჰქონდათ. აივ/შიდსით დაავადებული ადამიანები, როგორც მარგინალიზებული ჯგუფი, იდევნებოდნენ აივ/შიდსის კრიზისის დროს, ხოლო ამერიკული სოციალურ-პოლიტიკური ველი სავსე იყო ჰომოფობიური განწყობებით. ეპიდემიის დროს ამერიკას მართავდა რესპუბლიკელი რონალდ რეიგანის ადმინისტრაცია, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული მემარჯვენე „ანტიგეი მორალისტების“ ჯგუფებთან. რადგანაც ქვიარ ჯგუფები მიიჩნეოდა აივ/შიდსის ძირითად მატარებლად, ხოლო აივ/შიდსით დაავადებული ადამიანები დევიანტებად ითვლებოდნენ და გარიყულები რჩებოდნენ, რეიგანის ადმინისტრაციამ დიდწილად უგულვებლყო მათი ჩართულობა ეპიდემიასთან ბრძოლის დროს. ამ მიდგომამ ხელი შეუწყო ინფექციის სწრაფად გავრცელებას და ასობით ათასი ამერიკელის სიკვდილს, სანამ ხელისუფლება მკვეთრ ზომებს მიიღებდა. ამგვარად, გარდაცვალების მაჩვენებელი აივ/შიდსით დაავადებულებს შორის შეიძლება განვიხილოთ, როგორც ჰომოფობიური სოციო-პოლიტიკური კლიმატის მიზანმიმართული შედეგი და არა ფართომასშტაბიანი ეპიდემია, რომელიც განურჩევლად კლავს ადამიანებს.

რეიგანის ადმინისტრაციის რეაგირება აივ/შიდსის გავრცელებაზე (1982-1987)

- 1982**
 - წლის განმავლობაში აშშ-ში დაფიქსირებული გარდაცვალების შემთხვევები: 853;
 - ნიუ-იორკ სითში დაარსდა ორგანიზაცია Gay Mens Health Crisis;
 - რეიგანს არც ერთ საჯარო გამოსვლაში არ უხსენებია სიტყვა „შიდსი“;
 - ლარი სპიკსი, რეიგანის ადმინისტრაციის პრესასთან ურთიერთობის მდივანი ბრიფინგისას ხუმრობს შიდსის თემაზე.
- 1983**
 - წლის განმავლობაში აშშ-ში დაფიქსირებული გარდაცვალების შემთხვევები: 2,304;
 - რეიგანს არც ერთ საჯარო გამოსვლაში არ უხსენებია სიტყვა „შიდსი“.
- 1984**
 - წლის განმავლობაში აშშ-ში დაფიქსირებული გარდაცვალების შემთხვევები: 4,251;
 - რეიგანს არც ერთ საჯარო გამოსვლაში არ უხსენებია სიტყვა „შიდსი“.
- 1985**
 - წლის განმავლობაში აშშ-ში დაფიქსირებული გარდაცვალების შემთხვევები: 5,636;
 - რეიგანი პირველად ახსენებს „შიდსს“ პრესკონფერენციის დროს კითხვაზე პასუხისას.
- 1986**
 - წლის განმავლობაში აშშ-ში დაფიქსირებული გარდაცვალების შემთხვევები: 2,960;
 - გარდაცვალების შემთხვევები სულ: 16,301;
 - რეიგანი ახსენებს „შიდსს“ 1986 წლის 6 თებერვალს კონგრესის წინაშე პროგრამის „ამერიკის მომავლის დღის წესრიგი“ წარდგენისას.
- 1987**
 - წლის განმავლობაში აშშ-ში დაფიქსირებული გარდაცვალების შემთხვევები: 4,135;
 - მარტში, ნიუ-იორკ სითში დაარსდა ACT UP;
 - სან-ფრანცისკოში გაიხსნა AIDS Memorial Quilt;
 - 1987 წლის 2 აპრილს, პირველად, რეიგანის გამოსვლის მთავარი თემაა შიდსი.

ორგანიზაციის დაარსება და ადრეული წლები

მოძრაობა ACT UP ნიუ-იორკში, ლესბოსელებისა და გეების სათემო სერვის-ცენტრში დააფუძნა აქტივისტმა და სცენარისტმა ლარი კრამერმა, სადაც მან შეკრებილებს მოუწოდა მწვავედ გაეკრიტიკებინათ ამერიკის მთავრობის უმოქმედობა შიდსის პანდემიასთან დაკავშირებით. კრამერმა გამოთქვა ღრმა შეშფოთება შიდსის შედეგად მოკლე ხანში სიკვდილობის საგანგაშოდ მაღალი რიცხვის გამო.

მოძრაობის ერთ-ერთ ამოცანას „შიდსის ექსპერიმენტული მედიკამენტების“ წარმოების ადვოკატირება წარმოადგენდა. ამასთან, მისი წევრები აპირებდნენ ზენოლა მოეხდინათ ფარმაცევტულ კომპანიებზე, რათა მედიკამენტები ხელმისაწვდომი ყოფილიყო აივ+-ის მქონე პაციენტებისთვის. [5] ACT UP-ს, რომლის წევრებსაც ბრაზი ამოძრავებდათ, სურდა ფარდა აეხადა ბიუროკრატიისა და მოგების მიღებაზე ორიენტირებული პრაქტიკისთვის, რომელსაც ფარმაცევტული კომპანიები აწარმოებდნენ და მთავრობა უწყობდა ხელს. ისინი ასევე აკრიტიკებდნენ შიდსის დაავადებათა კონტროლის ცენტრის მიერ შემოთავაზებულ განმარტებას, რომელიც ინფექციას წარმოაჩენდა, როგორც ექსკლუზიურად გვი მამაკაცების დაავადებას. ეს განსაზღვრება დისკრიმინაციული იყო ქალების მიმართ, რაც ზღუდავდა მათ ხელმისაწვდომობას შიდსის მკურნალობაზე. „ჩვენ ვწინააღმდეგებით ყველას, ვინც, საკუთარი მოქმედებით ან უმოქმედობით, აფერხებს შიდსის წინააღმდეგ ბრძოლას,“ – ნათქვამია ACT UP-ის განაცხადში.“

მოძრაობა სტრატეგიულად იყენებდა მედიას კომუნიკაციისა და მიზნების მხარდაჭერის მობილიზებებისთვის, თავდაპირველად მედიას ხსენებული მიზნებისთვის მხოლოდ ნიუ-იორკის მასშტაბით ხვდებოდა, თუმცა, მოგვიანებით, მოძრაობამ არეალი გააფართოვა და მთელი შტატები მოიცვა. მოძრაობის საქმიანობაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სამოქალაქო უფლებების მოძრაობამ. ACT UP-მა გამოიყენა მოძრაობის სამოქმედო სტრატეგია – „ბოიკოტები, მსვლელობები, დემონსტრაციები და არაძალადობრივი სამოქალაქო დაუმორჩილებლობა,“ მეტი მხარდაჭერის მობილიზებისა და მედიის ყურადღების მიქცევის მიზნით. ACT UP-მა შექმნა პოსტერების პროექტი Silence=Death (სიჩუმე=სიკვდილს) სადაც ვარდისფერ სამკუთხედში ჩაწერილი იყო მკაფიო გზავნილი: Silence=Death. ეს პლაკატი გასცდა თავდაპირველ მიზანს – შიდსის წინააღმდეგ ბრძოლას და მზარდი პოლიტიკური კრიზისის დაძლევაშიც ჩაერთო.

Act Up-ის ზეპირი ისტორიების პროექტი

ACT UP-ის ზეპირი ისტორიების პროექტი მიზნად ისახავს, ფართო საზოგადოებას გააცნოს მოძრაობის გადარჩენილი წევრების ისტორიები. პროექტი, რომელსაც ჯიმ ჰაბარდი და სარა შულმანი ხელმძღვანელობენ, ცდილობს შეინარჩუნოს „დავინწყებული წინააღმდეგობის“ მემკვიდრეობა და საზოგადოებას უჩვენოს მოძრაობის კომპლექსურობა და მრავალფეროვნება. პროექტი იკვლევს იმ მამოტივირებელ ფაქტორებს, რომლებმაც ბიძგი მისცა კოლექტურ ქმედებას, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო კონკრეტულ ცვლილებებს საკანონმდებლო სისტემაში, სამეცნიერო და სამედიცინო კვლევაში და ჯანდაცვის პოლიტიკაში შემოქმედებითი და პოლიტიკური აქტივიზმის ინსტრუმენტების მეშვეობით.

ზეპირი ისტორიები ინტერვიუების სახით ჩაიწერა ACT UP-ის ძირითადი გუნდის წევრებთან, მათ შორის, ლარი კრამერთან, Silence=Death პროექტის წევრსა და მხატვარ ავრამ ფინკელშტაინთან. გარდა ამისა, პროექტმა იმუშავა მოძრაობის ქალ წევრებთან. 2012 წელს წარადგინა ფილმი სახელწოდებით „ბრაზით გაერთიანებულები“ (United in Anger), რომელიც დეტალურად მოგვითხრობს ACT UP-ის ემოციებით ნაკარნახევი მოძრაობის ისტორიას.

მოძრაობის სტრატეგია და დღის წესრიგი

ACT UP- ის ამოცანები

ACT UP-ი შიდას პოლიტიკურ კრიზისად მიიჩნევს, რომლის დასრულებასაც მიზნად ისახავენ „ბრაზით გაერთიანებული“ ადამიანების ჯგუფები. ისინი ხვდებიან მთავრობის წარმომადგენლებს, ავრცელებენ ინფორმაციას უახლესი სამედიცინო მიღწევების შესახებ, აწყობენ საპროტესტო აქციებსა და დემონსტრაციებს. ACT UP-ი მუდმივი განვითარების პროცესშია. მოძრაობის წევრების უნარები და გამოცდილება ფასდაუდებელი რესურსია შიდას წინააღმდეგ ბრძოლაში. ამჟამად მოძრაობის შტაბი ნიუ-იორკში მდებარეობს, ხოლო შედარებით მომცრო ფილიალი – სან-ფრანცისკოში. ნიუ-იორკში ყოველ ორშაბათს იმართება შეხვედრები.

ორგანიზაციული სტრუქტურა

ACT UP-ს არ ჰყავს დირექტორთა საბჭო. ამ მიდგომას კონკრეტული მიზანი აქვს – მოძრაობა ცდილობს ყველას თანაბარი უფლება მიანიჭოს. მოძრაობის შიგნით არსებობს სხვადასხვა კომიტეტი, მაგალითად, მოქმედების კომიტეტი, თანხების მოძიების კომიტეტი, საზოგადოებასთან ურთიერთობის, მკურნალობისა და მონაცემთა კომიტეტები. ACT UP-ი მიიჩნევს, რომ მოძრაობის ყველა წევრს შეუძლია გახდეს ლიდერი და ამიტომ, უარს ამბობს ძალაუფლება ადამიანთა მცირერიცხოვან ჯგუფს ჩააბაროს. სწორედ ამიტომ, მოძრაობას არ ჰყავს პრეზიდენტი ან დირექტორთა საბჭო. ის ღიად და დემოკრატიულად იმართება. გარდა ამისა, მოძრაობის წევრები არ იღებენ ხელფასს – ყველა მათგანი მოხალისეა.

შეხვედრების ორგანიზება

შეხვედრების მონაწილეები

- ▶ აკეთებენ არა უმეტეს 90 წამიან განცხადებას;
- ▶ აცხადებენ დაგეგმილი შეხვედრების შესახებ ინფორმაციას, ახალ ამბებს და ACT UP-ების აქტივობებს;
- ▶ ავრცელებენ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას;
- ▶ ავრცელებენ ისეთ განახლებულ სამედიცინო ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს წევრების მკურნალობაზე;
- ▶ აცხადებენ აქტივობების და ე.წ. „ზაპების“ შესახებ

სამუშაო ჯგუფი ან მოძრაობის რომელიმე წევრი დამსწრეებს სთავაზობს რაიმე საქმიანობას ან პროექტს, აწვდის შესაბამის ინფორმაციას და ბიუჯეტს. გადაწყვეტილება კენჭისყრით მიიღება. სპონსორთა ჯგუფმა შესაძლოა ითხოვოს წევრების დახმარება კონკრეტული პროექტის ან საქმიანობის განხორციელებისას.

- ▶ ანგარიშები განხორციელებული საქმიანობის, მათი ეფექტიანობის შესახებ, მსჯელობა იმ წევრების მხარდასაჭერად, რომლებმაც მიმართეს სამოქალაქო დაუმორჩილებლობას;
- ▶ წინადადებები ACT UP-ის შიდა საქმიანობაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

კომუნიკაციის სტრატეგია

ACT UP-ის დევიზია „ჩვენ გირჩევთ და განვდით ინფორმაციას. ჩვენ გიჩვენებთ. ჩვენ არ ვდუმვართ“. მოძრაობა იყენებს სხვადასხვა ტაქტიკას, რათა გამოხატოს უკმაყოფილება შიდსის კრიზისთან დაკავშირებული ინსტიტუციური გულგრილობის მიმართ. ეს ტაქტიკები ორ კატეგორიად შეიძლება დაიყოს. ერთია აქციები, ხოლო მეორე კატეგორიაში შედის ე.წ. „ზაპები“.

აქციები

აქციებში იგულისხმება საჯარო პროტესტი ან დემონსტრაცია, რომელსაც ორგანიზებას უწევს ACT UP-ის სამუშაო ჯგუფი. აქციების მეშვეობით მოძრაობა ცდილობს მიიქციოს იმ ადამიანების ან ორგანიზაციების ყურადღება, რომელთა შიდსის კრიზისზე რეაგირების ხარისხი ან არ შესაბამებია ვითარების სიმწვავეს, ან ვერ პასუხობს მორალურ სტანდარტებს. აქციები სამ მიზანს ემსახურება: სამიზნე ჯგუფებისგან ცვლილებების მოთხოვნა, საზოგადოებრივი ცნობიერების დონის ამაღლება, ასევე შიდსის შესახებ ცოდნის გაუმჯობესება, და მედიის გამოყენებით შესაბამისი სამსახურების, ორგანიზაციების ან ადამიანების მიერ შეუსაბამო ქმედების ან უმოქმედობის სააშკარაოზე გამოტანა. აქციები გულისხმობს: დაგეგმვას, ფლაიერების გავრცელებით აქტიურ საინფორმაციო კამპანიას, მედიის გამოყენებას მოძრაობის წევრების მიერ, კავშირს ამავე თემატიკაზე მომუშავე სხვა ჯგუფებთან, კომუნიკაციას კოალიციის პარტნიორებთან სხვა ოლქებში, ქალაქებსა თუ შტატებში და სხვა, არაწევრი ადამიანების მონაწილეობის უზრუნველყოფას. ნებისმიერი აქცია საჭიროებს მოწონებას/დამტკიცებას, რომელიც ორკვირიანი პროცესია. სამუშაო ჯგუფი, რომელიც კონკრეტულ აქციაზე მუშაობს, წარადგენს სამიზნე ჯგუფს, კონცეფციასა და ბიუჯეტს ერთ-ერთ შეხვედრაზე. მომდევნო შეხვედრაზე მონაწილეები სვამენ შეკითხვებს, შეაქვთ ცვლილებები საჭიროების შემთხვევაში, მსჯელობენ და უმეტეს შემთხვევაში, იმავე შეხვედრაზე ამტკიცებენ კიდევაც საბოლოო შედეგს. აქციების უმეტესობის მნიშვნელოვანი კომპონენტია მშვიდობიანი სამოქალაქო დაუმორჩილებლობა. მოძრაობის წევრები, რომლებიც პროტესტის ამგვარად გამოხატვას თანხმდებიან, საკუთარ გადაწყვეტილებაზე თავად იღებენ პასუხისმგებლობას, აცნობიერებენ რა, რომ მათ ამგვარ ქმედებას შესაძლოა დაჰპატიმრება მოჰყვებ. მონაწილეებისგან არავინ ითხოვს იმგვარი ქმედების ჩადენას, რომელიც დაჰპატიმრების რისკს შეიცავს (თუმცა, პოლიციის ქმედებები ყოველთვის არ არის პროგნოზირებადი და ხანდახან იმ ადამიანებსაც აჰპატიმრებენ, რომლებიც კანონს არ არღვევენ). ადამიანებს, რომელთა ქმედებებიც დაჰპატიმრების რისკის შემცველია, მკაცრ რეკომენდაციას აძლევენ, რომ დაესწრონ სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ტრენინგს აქციაში მონაწილეობის მიღებამდე. ტრენინგის კურსის მსვლელობისას მონაწილეები საუბრობენ ისეთ საკითხებზე, როგორცაა დაჰპატიმრება, პროტესტანტების უფლებები, პროცედურები, რომლებისაც დაჰპატიმრებულები გადიან, სასჯელის ზომები და ა.შ.

ზაპები

ზაპების დანიშნულებაა შიდსთან დაკავშირებულ იმგვარ საკითხებზე რეაგირება, რომელიც მოძრაობის წევრების გადაუდებელ ყურადღებას მოითხოვს. ზაპს, როგორც მეთოდს, მოძრაობის წევრები იყენებენ, რათა დააფიქსირონ ბრაზი და უკმაყოფილება სამიზნე ჯგუფის მიმართ. როგორც წესი, აქციებთან შედარებით, ზაპების სამიზნე აუდიტორია უფრო კონკრეტულია. სწორედ ამიტაა განპირობებული, რომ დროთა განმავლობაში ზაპების მრავალი ტექნიკა შემუშავდა. ACT UP-ი ზაპებს იყენებს ინდივიდუალური პირებისა და ორგანიზაციების მიმართ, რომლებსაც უზავანის საფოსტო ბარათებს ან წერილებს, უამრავ ფაქსს. ასევე, შესაძლებელია კონკრეტულ ოფისებში მისვლაც და ფაქტების შემცველი ბიულეტენების განთავსება, (განრისხებული) სატელეფონო ზარებიც გავრცელებული პრაქტიკაა. რაც უფრო მეტი ადამიანი – ე.წ. ზაპერია ჩართული ამგვარ

კამპანიაში, მით უკეთესი გამოდის ზაპი. მოძრაობის წევრები ეწინააღმდეგებიან ყველას, ვინც საკუთარი ქმედებითა თუ უმოქმედობით ხელს უშლის შიდსის წინააღმდეგ ბრძოლას. სამიზნეებს შორის შეიძლება აღმოჩნდეს ის, ვინც პასუხისმგებელია შიდსის კვლევის, შიდსის მქონე ადა-

მიანების ჯანდაცვის ან განსახლების არასათანადო დაფინანსებისთვის, ან ის, ვინც ბლოკავს უსაფრთხო სექსის შესახებ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას, სუფთა შპრიცების გავრცელებას, ვინც ხელს უშლის პრევენციის სხვა ზომებს ან არასათანადოდ მოიხსენიებს/ ეპყრობა შიდსის მქონე ადამიანებს.

ACT UP-ის მიღწევები

- ▶ საკვებისა და მედიკამენტების ადმინისტრაციის (FDA) მიერ ექსპერიმენტული მედიკამენტების გამოშვების პროცედურების რადიკალური ცვლილება;
- ▶ კონდომების დისტრიბუციის გეგმის შემუშავება, რომელიც დამტკიცებულ იქნა ნიუ-იორკის საქალაქო განათლების საბჭოს მიერ 1991 წლის თებერვალში და გეგმის დაცვა მოწინააღმდეგეებისგან;
- ▶ ინტრავენური ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლებისთვის ათასობით სუფთა შპრიცის გავრცელება უსაფრთხო მოხმარებისა და უსაფრთხო სექსის შესახებ ინფორმაციასთან ერთად. ეს პროგრამა გამოწვევა იყო იმ კანონისთვის, რომლის მიხედვითაც შპრიცის ქონა სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლებოდა;
- ▶ დაავადებათა კონტროლის ცენტრზე ზეწოლა, რის შედეგადაც შეიცვალა შიდსის განსაზღვრება და ახლა მასში ნახსენებია „ოპორტუნისტული ინფექცია“, რომელიც გავრცელებულია ქალებშიც“;
- ▶ პირდაპირ მიმართული კამპანიების შედეგად ფარმაცევტული პროდუქტების უკიდურესად მაღალი ფასების მნიშვნელოვნად დაწვეა;
- ▶ პირველი დეკემბრის, როგორც შიდსის საერთაშორისო დღის პოპულარიზაცია.

სტრატეგიების კრიტიკული შეფასება

სტრატეგიებმა, რომლებიც ACT UP-ს წარმოაჩინდა, როგორც უნიკალურ სოციალურ მოძრაობას და 1980-იანი წლების ლგბტ აქტივიზმის ცენტრს, ბევრის აზრით, ასევე შეუწყო ხელი მის დასუსტებასა და მუხტის დაკარგვას. ცხადია, როგორც ზემოთ ვთქვით, ორგანიზების დეცენტრალიზებულმა და კვაზიანარქიულმა მოდელმა, რომელსაც მოძრაობა დემოკრატიის გამოხატულებად მიიჩნევდა და ამაცობდა, შესაძლოა, ასევე წარმოქმნა ის ქაოსი, რომელშიც მოძრაობის თავდაპირველი საზრისი ჩაიკარგა. ზემოთ განხილული რამდენიმე ეპიზოდი მიუთითებდა, რომ არსებობდა ორგანიზაციისგან გარკვეული ჯგუფების გამოყოფის რისკი. განსაკუთრებით, ეს ეხებოდა გეი ქალებს, რომელთა ამგვარი მცდელობა წარმატებით დასრულდა, როდესაც შიდსმა გადაფარა რეპროდუქციული ჯანმრთელობის პრობლემები. ცხადია, გეი ქალებს განსაკუთრებით მტრობდა პრესა, რაც თვალსაჩინოდ გამოჩნდა Cosmo Magazine-ის მაგალითზე, რომელშიც რამდენჯერმე გაიჟღერა მოსაზრებამ იმასთან დაკავშირებით, რომ გეი ქალებს არ ემართებოდათ შიდსი. გარდა ამისა, ნიუ-იორკის კათოლიკური ეკლესია აქტიურად აწარმოებდა ანტიჰომოსექსუალურ კამპანიას და იყენებდა გავლენებსა და პოლიტიკურ ლობის ქალებისთვის ისეთ სერვისებზე წვდომის შესაზღუდად, როგორიცაა აბორტი და კონტრაცეფცია. ამ ვითარებამ აიძულა გეი ქალები გაეორმაგებინათ ძალისხმევა, რათა მიეპყროთ თანაბარი ყურადღება.

ACT UP -ი გაკიცხეს იმის გამო, რომ საპროტესტო მოძრაობა იყენებდა აფექტს, როგორც ეფექტურ პოლიტიკურ ინსტრუმენტს. ACT UP-ის ძირითად მიზანი იყო შიდსით დაავადებული ადამიანის - პასიური მსხვერპლის იმიჯი აქტიურ პროტესტანტად ექცია. თუმცა, ამ ნარატივის სწორხაზოვნებამ უგულებელყო ის ორაზროვნება, რომელიც არსებობდა გეი ადამიანების ცხოვრებასა და სიკვდილს შორის. ცხადია, რომ მოძრაობის აქტივისტებმა მოახერხეს ქსელის შექმნა, რომელიც მათი ძალაუფლების წყაროს წარმოადგენდა. თუმცა, ამ ქსელმა დროთა განმავლობაში საპირისპირო შედეგი გამოიღო. კოლექტიურმა ქსელმა ვერ შეძლო ერთიანი დისკურსის შექმნა სიამაყესა და სირცხვილის ირგვლივ, რამაც საბოლოოდ გამოიწვია შიდა დაყოფა, გარკვეული ჯგუფების მარგინალიზება და გარიყვა.

ანარქიული მართვა და მედიის აგრესიული გამოყენება

ამას გარდა, მოძრაობის სეგმენტირებული და დანაწევრებული ორგანიზება, რომელიც ეყრდნობოდა მცირე დანაყოფებსა და მიკრო ინიციატივებს, საბოლოოდ იქამდე მივიდა, რომ ფრაქციებად დაიშალა ბოსტონსა (1998) და სან-ფრანცისკოში (2000), სადაც ახალდაარსებული ორგანიზაციები ადგილობრივ კონტექსტსა და კანონმდებლობას მოერგნენ. გრასრუტული სტრუქტურა, რომელიც „მეტისმეტად დემოკრატიული“ იყო, ხშირად ექვემდებარებოდა არაეფექტურ და გარკვეულწილად, უპასუხისმგებლო დელეგირებას. გარდა ამისა, სიტუაციას ხშირად ართულებდა შიდა ბიუროკრატიული ბრძოლა მოძრაობის ლიდერობისთვის ან მარტივი საკითხი იმის შესახებ, რომ სისტემის მზარდის ზეწოლის გამო Act Up უნდა დარჩენილიყო დამოუკიდებელი ორგანიზაციად თუ კომპრომისები უნდა ეძებნა.

კომუნიკაციების სტრატეგიების აგრესიულობა საკვანძო საკითხად იქცა შიდსის წინააღმდეგ ბრძოლაში ACT UP-ის როლის განსაზღვრისას: მოძრაობა სისტემატურად იყენებდა აგრესიულ გზავნილებსა და პოსტერებს საზოგადოების ყურადღების მიპყრობის, მსხვერპლების დამამცირებელი იმიჯის შეცვლისა და შიდსთან დაკავშირებით ადამიანების წარმოდგენების შეცვლის მიზნით. გრაფიკული კომპონენტის გამოყენება საზოგადოებაში შოკის გამოწვევას ისახავდა მიზნად, თუმცა, თანდათანობით მოძრაობამ შეძლო მორგებოდა ტრადიციულ მედია ინსტრუმენტებს. შიდსის ეპიდემიასთან ბრძოლის პარალელურად, სექსუალური თავისუფლებისა და მსოფლიოში ლგბტ თემის პოზიციების გამყარება მოძრაობის ფარული დღის წესრიგის ნაწილი იყო.

„სერიოზული პოლიტიკისა და ხალისიანი ცხოვრების ნაზავი“, – აქტივისტის, მაქსინ ვულფის აზრით, მოძრაობას სწორედ ეს უნარჩუნებდა მუხტს.

გზავნილების აგრესიულობამ და მათმა გავრცელებამ ისეთ ადგილებში, როგორცაა ეკლესია და სკოლა, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი პრაქტიკა საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა, საზოგადოების რისხვა და საბოლოოდ, ამგვარი ტიპის გარკვეული საქმიანობის აკრძალვა, მოძრაობის წევრთა დაპატიმრება და პოლიციის მხრიდან ძალადობა გამოიწვია. სამოქალაქო უფლებათა მოძრაობის მშვიდობიანი პროტესტის წარმატებით შთაგონებულმა ACT UP-ის წევრებმა, შეძლეს წარმატებით დაედლიათ მოძრაობის მედია სტრატეგიის ირგვლივ წარმოქმნილი უთანხმოება. დოკუმენტური ფილმი, *United in Anger: a history of ACT UP* (ბრაზით გაერთიანებულები: ACT UP-ის ისტორია) რომელიც ეძღვნება ჯგუფის საქმიანობასა და შიდსის წინააღმდეგ ბრძოლაში შეტანილ წვლილს, მოგვითხრობს იმის შესახებაც, თუ რა სიძნელეებთან უწევდათ გამკლავება მოძრაობის აქტივისტებს ნიუ-იორკში შიდსის პანდემიასთან ბრძოლის პარალელურად.

ფილმში ნაჩვენებია იმდროინდელი საზოგადოებრივი განწყობები – იმდენად ჰომოფობიური, რომ ბევრი ითხოვდა ჰომოსექსუალების კარანტინში მოთავსებას, მათთვის ამოსაცნობი ტატუს გაკეთებას ან საკონცენტრაციო ბანაკების მოწყობას. ACT UP-ი არ მისდევდა ერთ რომელიმე ინსტიტუციურ მოდელს: მოძრაობა შედგებოდა რამდენიმე ინტერესთა ჯგუფისგან, რომლებიც საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ორგანიზების ამგვარი ფორმა, ანა ბლუმის სიტყვებით, წარმოადგენდა „ორგანულ და საჭიროებისგან გამომდინარე ერთობას. ინტერესთა ჯგუფების ჩართვა აუცილებელი იყო მოძრაობისთვის. ჩვენ გვჭირდებოდა უცერემონიოებისგან მოგვრილი სიახლის შეგრძნება, უცერემონიოება კიდევ კონსენსუსის შედეგად არ მოდის. ინტერესთა ჯგუფები საშუალებას აძლევს ერთნაირად მოაზროვნე ადამიანებს გაერთიანდნენ და აკეთონ ის, რაც სურთ“.

ამ მოდელის ინსპირაციად სამოქალაქო უფლებებისა და ქალთა ემანსიპაციის მოძრაობები იქცა, რომლებიც მხარდამჭერთა ისეთ ქსელებს ეფუძნებოდა, სადაც ყველა იცნობდა ერთმანეთს.

ACT UP-ის ზეპირი ისტორიების პროექტის ვებგვერდი წარმოადგენს მოუწესრიგებელი ეპიზოდების თანამიმდევრულ სოციალურ ნარატივად ორგანიზების მცდელობას. ინტერნეტი, როგორც ალტერნატიული მედია ნარატივის ინსტრუმენტი, იძლევა ინფორმაციის გავრცელების საშუალებას იმგვარი ფორმით, რომელიც არ საჭიროებს იერარქიულ თანამიმდევრულობის დაცვას. მარგინალიზებულ ჯგუფებსაც შეუძლიათ გამოიყენონ ეს ინსტრუმენტები და ხელი შეუწყონ ცოდნის გავრცელებას იმ ურთიერთკავშირებზე დაყრდნობით, რომელიც გლობალიზაციამ მოიტანა.

ACT UP-ის უმთავრესი ამოცანა მჭიდროდ უკავშირდებოდა შიდსის შესახებ სწორი ნარატივისა და გამოცდილების გაზიარებას. თუმცა, მათი გზავნილისთვის შესაძლოა საფრთხის შემცველი ყოფილიყო მოძრაობის ქსელი, რომელიც უკვე საერთაშორისო მასშტაბებს სწვდებოდა. ზოგი მკვლევარი, მაგალითად, ატკინსონი, მიიჩნევს, რომ განმსაზღვრელ რიტორიკას მივყავართ მრავალკომპონენტიანი, შეკრული ნარატივისკენ, რომელიც აერთიანებს და ააქტიურებს საერთო იდენტობის მქონე ადამიანთა ჯგუფებს, რათა წინ აღუდგენ აივ/შიდსთან დაკავშირებულ დისკრიმინაციას.

ინტერსექციონალურობის² მარცხი

ვაშინგტონში, ჯანმრთელობისა და სერვისების დეპარტამენტში გამართული ACT UP-ის დემონსტრაციისას, ვიტო რუსომ განაცხადა: „თუ რამე მკლავს, ისაა, რომ საკმარისად ბევრ, მდიდარ, თეთრ და ჰეტეროსექსუალ კაცს არ აქვს შიდსი, რათა ხალხმა ამ საკითხს ყურადღება მიაქციოს (Russo, 1988)“.

ამგვარი დოკუმენტები, რომლებიც ACT UP-ის ზეპირი ისტორიების პროექტის ფარგლებში შეგროვდა, მიგვანიშნებს, თუ რა გახდა ორგანიზაციის საბოლოო დაშლის მიზეზი. მოძრაობის წევრები საუბრობენ იმაზე, რომ მოძრაობამ ვერ შეძლო ინტერსექციონალურობის უზრუნველყოფა პრიორიტეტების განსაზღვრისას. მაგალითად, მინგი, ხაზს უსვამს პრობლემას, რომელიც უკავშირდება საინფორმაციო მასალებში გამოყენებულ ენას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მთავარი გზავნილის სწორად მიწოდებას იმ თემებისთვის, რომლებსაც განსხვავებული სექსუალური ორიენტაცია და გამოცდილება გააჩნდათ და სხვადასხვანაირად განიცდიდნენ შიდსთან დაკავშირებული სტიგმის ზეგავლენას. გარდა ამისა, ასევე მნიშვნელოვანი იყო იმ ადამიანის შერჩევა, რომელიც კონსულტაციას გაუწევდა კონკრეტულ თემსა თუ ჯგუფს.

„ვფიქრობ, არსებობდა საერთო მოსაზრება თემში იმის თაობაზე, რომ ACT UP-ი, იყო თეთრი ორგანიზაცია [და] ფერადკანიანთა ზოგიერთი ჯგუფი (მათ შორის განსხვავებებია, ასე არ არის?), საკმაოდ ფრთხილად ეკიდებოდა ACT UP-ს (Act Up New York Oral History).“

ის, რომ ACT UP-ი სპეციალურად უგულებელყოფდა უმცირესობების სხვადასხვა ჯგუფის ხმას და არ აძლევდა მათ საშუალებას გავლენა მოეხდინათ მოძრაობის იმიჯის ფორმირებასა და ძირითად გზავნილზე მედიის მიერ პოზიტიური გაშუქების უზრუნველყოფის მიზნით, მუდმივი დაძაბულობის წყარო იყო სუროგატ ჯგუფებს შორის.

„მგონია, რომ კონფლიქტი, როგორც უკვე ვთქვი... არ მახსოვს, რა იყო უთანხმოების ყველაზე დიდი მიზეზი, მაგრამ ზოგადად, ასე მგონია, რომ პრობლემები, რომლებიც უკავშირდებოდა ქალებსა და შიდსს, ან შიდსსა და აივ ინფექციას ფერადკანიანთა ჯგუფებში, დიდად არ ანაღვლებდათ. უბრალოდ ლოცვასავით იმეორებდნენ (Act Up New York Oral History).“

„მოძრაობამ საკუთარი თავი შიგნიდან ამოჭამა [...] მაგრამ, მაშინაც კი, იმიჯი, რასაც ხედავდი, ან როგორადაც წარმოჩინდებოდა ის, ნამდვილად და კონკრეტულად გეი კაცებს უკავშირდებოდა (Act Up New York Oral History).“ – განაცხადა ზეპირი ისტორიების პროექტის ფარგლებში ჩაწერილ ინტერვიუში ჯინ კარლამუსტომ, მოძრაობის ერთ-ერთმა აქტიურმა წევრმა.

² სოციალური კატეგორიზაციის, მაგალითად, რასის, კლასისა და სქესის ურთიერთთაკავშირებული ბუნება, რომელიც მიენერება კონკრეტულ ინდივიდსა თუ ჯგუფს და რომელიც, როგორც მიიჩნევა, ქმნის დისკრიმინაციის ან არასათანადო მოპყრობის ურთიერთთაკავშირებულ და ურთიერთგადაამფარავ სისტემას.

შიდა განხეთქილება

1990 წელს მოძრაობის მიერ დაწყებულმა Storm the NIH (დაიპყარი ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტი), რომელიც მიზნად ისახავდა კლინიკური ცდების ინკლუზიური დიზაინის ადვოკატირებას, ნათლად წარმოაჩინა ის შიდა კონფლიქტი, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა მოძრაობის იმპულსის მინავლებისთვის. იცვლებოდა დისკუსიები და ფოკუსი, ასევე ის საკითხები, რომელთა გადაჭრასაც მოძრაობა ცდილობდა. საგანგებო ვითარებამ (დიაგნოზირების შემდეგ სიკვდილი სწრაფად ახლოვდებოდა) აიძულა ადამიანები მხოლოდ ერთი რამისთვის – გადარჩენისთვის აუცილებელი მკურნალობისთვის ებრძოლათ. შედეგად, მოძრაობის ფოკუსი შეიცვალა და თუ თავდაპირველად მედიკამენტებზე მისაწვდომობის უზრუნველყოფა იყო მიზანი, ახლა უკვე კონკრეტული ადამიანები (რომლებსაც მედიკამენტები სჭირდებოდათ) მოექცნენ ყურადღების ცენტრში. ცხადია, სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა, რასა და სქესი მნიშვნელოვნად განაპირობებდა იმას, თუ რამდენად სწრაფად დადგებოდა გარდაცვალების ფაქტი კონკრეტულ შემთხვევაში. იმ პრობლემების ფართო არეალმა, რომელთა გადაჭრასაც მოძრაობა ცდილობდა ინტერსექციონალურად და ჯგუფებს შორის არსებულმა განსხვავებებმა შეუწყო ხელი ფოკუსის დაკარგვას. ACT UP-ის დემოგრაფიამ გამოიწვია არა მხოლოდ ხსენებული ტრანსფორმაციები, არამედ, ზოგიერთი ჯგუფის, მაგალითად ქალების გამოყოფაც 1989 წლის შეკრების შემდეგ. გარდა ამისა, შეიცვალა კამპანია, რომელსაც მოძრაობა აწარმოებდა დაავადებათა კონტროლის ცენტრთან დაკავშირებით. ქალების შეკრებაზე გადაწყდა, რომ საჭირო იყო დივერსიფიცირებული მიდგომა და სტრატეგიების პორტფოლიოს შემუშავება. ამ შიდა განხეთქილებამ, რომელიც უკავშირდებოდა არჩევანს გადაუდებელ პრობლემებსა და ზოგად საკითხებს შორის, მოძრაობის ბევრი წევრის იმედგაცრუება გამოიწვია. მოძრაობის კონკრეტული წარმატებები ეჭვქვეშ არავის დაუყენებია, თუმცა, ეს არ ცვლიდა იმ ფაქტს, რომ ადამიანები მაინც კვდებოდნენ, რაც კიდევ უფრო აღრმავებდა შიშსა და სასოწარკვეთას. ეს სიტუაცია კარგად ჩანს ხოსე ფიდელინოსთან ინტერვიუში:

„მგონია, რომ კონფლიქტი ოხ სკოდას შოხის მოხდა. პიხვედ მათგანს წახმოადგენდნენ ისინი, ვინც ძიხითად პიხოხიგეგად მედიკამენტებზე წვდომას თვლიდა, ხოლო მეოხე სკოდის წახმომადგენლებს სუხდათ ადამიანებს შესძლებოდათ პიხვედადი და ზოგადად, ჯანდაცვის სეხვისების გამოყენება.“

გარდა ამისა, შიდსისა და მისი მსხვერპლების აღქმის ცვლილებასთან ერთად, ასევე შეიცვალა ჰომოსექსუალური ორიენტაციის აღქმასთან დაკავშირებული ACT UP-ის ფარული დღის წესრიგი.

ცვლილებები

ACT UP-ის თავდაპირველ მიზანს აივ/შიდსის შესახებ ამერიკული საზოგადოების ინფორმირებულობა წარმოადგენდა. ამ მიზნისკენ მიმავალ გზაზე მოძრაობამ წარმატებით მოახერხა შიდსის პანდემიასთან დაკავშირებული არასწორი წარმოდგენებისა და სტერეოტიპების შეცვლა და ამერიკის მთავრობის ყურადღების მიქცევა ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა შიდსით დაავადებული ადამიანების მკურნალობა.

ლობირებისა და ორგანიზებული პროტესტის მეშვეობით მოძრაობამ აიძულა სხვადასხვა ორგანიზაცია და კომპანია შეეცვალა პოლიტიკაც. ამის თვალსაჩინო მაგალითია კომპანია Northwest Orient Airlines-ის წინააღმდეგ, რომელიც ბორტზე არ უშვებდა შიდსით დაავადებულ ადამიანებს. მოძრაობამ სარჩელი შეიტანა ავიახაზების წინააღმდეგ, მოიგო სასამართლო და აიძულა კომპანია შეეცვალა დისკრიმინაციული პოლიტიკა.

აქტიური სიტუაცია

მიუხედავად იმისა, რომ ACT UP-ში შემავალი ჯგუფები კვლავ აგრძელებენ შეკრებებსა და პროტესტს, მათი უმეტესობა აღარ არის ისეთი მრავალრიცხოვანი, როგორც შიდსის კრიზისის დროს. ამ დროისთვის ყველაზე აქტიურ საქმიანობას ACT UP-ის ნიუ იორკისა და ფილადელფიის დანაყოფები ეწევიან.

ფასეულობებს შორის არსებული განსხვავებებისა და შიდა ზეწოლის გამო, მოძრაობას მრავალი სხვადასხვა ჯგუფი გამოეყო:

Housing Works - განსახლების პროექტი

პროექტი 1980 წელს დაფუძნდა მოძრაობის იმ წევრების მიერ, რომლებიც თავდაპირველ ჯგუფს გამოეყვნენ, რადგან პრიორიტეტად უსახლკარობასა და შიდსთან ბრძოლას მიიჩნევდნენ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ სტაბილური საცხოვრებელი გადამწყვეტი იყო აივ-ისა და შიდსის გავრცელების პრევენციისა და აივ-ის მქონე ადამიანების დასახმარებლად, რათა მათ შეძლებოდათ ჯანმრთელად ცხოვრება და წარმატების მიღწევა.

Health GAP (Global Access Project - გლობალური მისაწვდომობის პროექტი)

Health GAP-ი, რომელიც 1999 წელს დაარსდა, მიზნად ისახავს აივ/შიდსით დაინფიცირებული ადამიანებისთვის ხელმისაწვდომ მედიკამენტებზე უნივერსალური წვდომის ბარიერების აღმოფხვრას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუშლის შიდსის გავრცელებას. პროექტის წევრები იბრძვიან მთელი მსოფლიოს მასშტაბით და განსაკუთრებით კი გლობალურ სამხრეთში³, მედიკამენტებისა და რესურსებზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად.

Treatment Action Group – მკურნალობის სამოქმედო ჯგუფი

ჯგუფი ძირითად მოძრაობას 1992 წლის იანვარში გამოეყო, რათა მეტი ყურადღება მკურნალობის საშუალებების კვლევის ლობირებისკენ მიემართა. ამ მიზნით ადვოკატირების კამპანიებს აწარმოებდნენ სხვადასხვა ჯგუფთან – მათ შორის მეცნიერებთან, რომლებიც სამთავრობო პროექტებზე მუშაობდნენ, ფარმაცევტულ კვლევით კომპანიებთან და ამერიკის სურსათისა და მედიკამენტების ადმინისტრაციასთან.

საერთაშორისო თანამშრომლობა

მიუხედავად იმისა, რომ მოძრაობას საფუძველი ნიუ-იორკში ჩაეყარა, ის ახლა მთელ მსოფლიოს ფარავს და მიზნად ისახავს მთელ პლანეტაზე შიდსის პანდემიის აღმოფხვრას.

ACT UP-ი ასევე თანამშრომლობს გლობალური სამხრეთის ქვეყნებთან, რათა ხელი შეუწყოს მოსახლეობისთვის შიდსის სამკურნალო მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას.

³ გლობალური სამხრეთი - ტერმინი გამოიყენება იმ დაბალშემოსავლიანი ქვეყნების ჯგუფის აღსანიშნად, რომელთაც, გლობალური ჩრდილოეთის ქვეყნებისგან განსხვავებით, ახასიათებს სოციო-ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე. აღსანიშნავია, რომ "სამხრეთი" ამ შემთხვევაში არ გამოიყენება გეოგრაფიული მნიშვნელობით (მთარგმნელის შენიშვნა).

გამოყენებული ლიტერატურა

Act Up New York Oral History, Interview 005, 2002

Axelrod R, 2005, Advancing the Art of Simulation in the Social Sciences, Gerald R. Ford School of Public Policy, University of Michigan, Forthcoming in Handbook of Research on Nature Inspired Computing for Economy and Management, Jean-Philippe Rennard

Beaglelearning.com, Inquiry in Social Studies, accessed on June 10, 2021, <https://www.beaglelearning.com/blog/inquiry/social-studies>

Beshears M, 2012, Inquiry-Based Instruction in the Social Studies: Successes and Challenges, Theses and Dissertations. 621, ScholarWorks@UARK. University of Arkansas, Fayetteville

Bhattacharjee A, 2012, Social Science Research: Principles, Methods, and Practices, Textbooks Collection 3

Bielaczyc K, & Collins A, 1999, Learning communities in classrooms: A reconceptualization of educational practice, From C. M. Reigeluth (Ed.): Instructional design theories and models, Vol. II. Mahwah NJ: Lawrence Erlbaum Associates

Blackstone A, 2012, Sociological Inquiry Principles: Qualitative and Quantitative Methods., Publisher: Saylor Foundation

Bouzard G, Bugayev P, Kantor B, Rohlfen N, 2021, St.Olaf College, Ethnographic Research Methods, accessed on June 8, 2021, https://wp.stolaf.edu/ace/showcase_spring10/er_methods/

BrainyApples.com, 7 Ways to Step Away from the Lecture Podium & Revitalize Your Social Studies Classroom, 2021, accessed on March 17, 2022, <https://www.brainyapples.com/2021/10/24/social-studies-interactive-notebooks>

Brand Genetics, 2017, In Their Shoes, Empathy Based Playbook, Practical empathy techniques to build consumer closeness, Brand Genetics Ltd, 24 Fitzroy Square, Fitzrovia, London W1T 6EP, UK

Brechenmacher S & Carothers T, 2018, Examining Civil Society Legitimacy, A series of essays by leading scholars and activists on efforts around the world to improve and defend civil society's legitimacy, Carnegie Endowment for International Peace, accessed on June 12, 2021, <https://carnegieendowment.org/2018/05/02/examining-civil-society-legitimacy-pub-76211>

Briggs S, Gogolobov I, Aimar, V, 2015, Ethnographic Research among Drinking Youth Cultures: Reflections from Observing Participants, Folklore (Estonia) 61:157-176

British Academy, 2017, The Rights Skills: Celebrating Skills in the Arts, Humanities and Social Sciences, accessed on June 11, 2021, <https://www.thebritishacademy.ac.uk/documents/217/right-skills.pdf>

Chaffey D, 2020, Golden Circle model: Simon Sinek's theory of value proposition, start with why, SmartInsights.com, accessed on June 10, 2021, <https://www.smartinsights.com/digital-marketing-strategy/online-value-proposition/start-with-why-creating-a-value-proposition-with-the-golden-circle-model/>

Codnebi.ge, 2020, კამპანია „დადე შენი აგური“

Debate Center of Qatar Foundation, 2021, Benefits of Debating, accessed on June 14, 2021, <https://qatardebate.org/benefits-of-debating/>

De Filippi Loris, 2015, "These lives must be saved now: MSF calls for large scale search-and-rescue operations in the Mediterranean", MÉDECINS SANS FRONTIÈRES

Droa.ge, 2018, „როგორი იქნება პირველი თვითმობილობადი საგანმანათლებლო სივრცე – „ცოდნის კაფე“ წნორში“, ხელმისაწვდომია 10 ივნისი 2021, <https://droa.ge/?p=23001>

E4Ft (Education for Fashion), 2021, Qualitative and Ethnographic Research Methods, Co-Funded by Erasmus + Program of the European Union, accessed on June 10, 2021, https://www.e4ft.eu/_files/ugd/578b00_1bca2aa1a012420db4966cad218fb03e.pdf

- Edgington W, 2001, Solving problems with twenty questions, *Social Education*, Vol. 65, Issue, pp. 379+, Gale Academic OneFile, accessed on June 12, 2021, link.gale.com/apps/doc/A79957098/AONE?u=anon~7636591b&sid=googleScholar&xid=5ed2c693
- ELM Learning, 2020, Exceptional blended learning experiences, accessed on June 10, 2021, <https://elmllearning.com/learning-solutions/custom-elearning/blended-learning/>
- Europe Science Foundation, 2013, Science in Society: caring for our futures in turbulent times, Science Policy Briefing, accessed on June 12, 2021, http://archives.esf.org/fileadmin/Public_documents/Publications/spb50_ScienceInSociety.pdf
- Evans M, 1993, Using Classroom Debates as a Learning Tool, *Social Education* 57(7), pp. 370, National Council for the Social Studies
- EWMI, 2019, „სამოქალაქო კამპანია ცოდნის კაფეს მხარდასაჭერად“, accessed on June 14, 2021, <http://ewmi-access.org/ka/civic-campaign-in-support-of-knowledge-cafe/>
- Felder R & Soloman B, 2002. Learning Styles and Strategies, North Carolina State University, accessed on June 10, 2021 <https://www.engr.ncsu.edu/wp-content/uploads/drive/1WPAfj3j5o5OujMiHorj-lv6fON1C8kCN/styles.pdf>
- Felder R, 1996, Matters of Style. ASEE Prism, North Carolina State University, accessed on June 10, 2021, <https://www.engr.ncsu.edu/wp-content/uploads/drive/11WH3ejjNgl3zYDbLRB6MSGHlQFYkxDIT/1996-LS-Prism.pdf>
- Freedom House, Country Reports, 2020, accessed on June 12, 2021 <https://freedomhouse.org/country/georgia>
- Fulton Suri J, 2003, In: Empathic design: User experience in product design. Koskinen I, Battarbee K, Mattelmäki T, editors. Helsinki, Finland: IT Press; Empathic design: Informed and inspired by other people's experience
- Guido M, 2017, Teaching Strategies, Inquiry-based learning: 7 Benefits and Strategies You Need to Know, accessed on June 12, 2021, <https://www.prodigygame.com/main-en/blog/inquiry-based-learning-definition-benefits-strategies/>
- Güleç S, 2019, Problem Solving Skills in Social Studies Education and Problem Solving Skills of Social Studies Teachers, *Journal of Education and Training Studies*, Vol. 10, No. 3; Published by Redfame Publishing, March 2020
- Howell T, 2003, The Importance of the Project Method In Technology Education, Fort Hays State University, Volume 40, Number 3
- Kapronczay S, 2017, “War on NGOs in Eastern Europe, Coalition building as a possible answer, accessed on June 15, 2021 <https://sur.conectas.org/wp-content/uploads/2017/12/sur-26-ingles-stefania-kapronczay.pdf>
- Kapronczay S, 2018, Beyond Apathy and Mistrust: Defending Civic Activism in Hungary, Civil Society Legitimacy, A series of essays by leading scholars and activists on efforts around the world to improve and defend civil society's legitimacy, Carnegie Endowment for International Peace, accessed on June 10, 2021, https://carnegieendowment.org/files/Civil-Society-Legitimacy_FINAL.pdf
- Kember J, 2018, Problem Identification, accessed on June 10, 2021 <https://www.fastbridge.org/2018/01/problem-identification/>
- Kvira.ge, 2017, „ბავშვობიდან დალილები ვიყავით ნაცრისფერი დღეების ყურებით“ – რა მისწერა ნანა ბაგალიშვილმა პრემიერს, accessed on June 1, 2021, <http://kvira.ge/325652>
- Lamme L, Pringle M., Fang Z., 2010, Language and Literacy in Inquiry-Based Science Classrooms, Grades 3-8, Teaching Science as Inquiry
- Leake E, 2019, Empathy as Research Methodology, Pranee Liamputtong (ed.), Handbook of Research Methods in Health Social Sciences. Springer Singapore. pp. 237-252
- Learning and the Adolescent Mind, 2021, Community of Learners, accessed on June 9, 2021, http://learningandtheadolescentmind.org/ideas_community.html
- Learningandadolescencemind.org, 2021, Culture of Learning, accessed on June 10, 2021, http://learningandtheadolescentmind.org/ideas_community.html
- Little W, 2016, Introduction to Sociology - 2nd Canadian Edition, OpenStax College, Social science research principles, methods and practices

- Loeng S, 2020, Self-Directed Learning: A Core Concept in Adult Education, Education Research International, Volume 2020, Hindawi, accessed June 10, 2021, <https://www.hindawi.com/journals/edri/2020/3816132/>
- Lumenlearning.com, 2021, Research Methods for Social Sciences, Chapter 9, Survey Research, accessed on June 12, 2021, <https://courses.lumenlearning.com/suny-hccc-research-methods/chapter/chapter-9-survey-research/>
- Lumenlearning.com, 2021, Self-Directed Learning, accessed on June 12, 2021 <https://courses.lumenlearning.com/suny-esc-educationalplanning/chapter/self-directed-learning/>
- Maheshwari K, 2017, The Problem – solving Method in Education, accessed on June 12, 2021 <http://www.vkmaheshwari.com/WP/?p=2375>
- McNamar C, 2021, Authenticity Consulting, LLC, General Guidelines for Conducting Research Interviews, accessed on June 13, 2021, <https://managementhelp.org/businessresearch/interviews.htm>
- Memişoğlu H, 2011, The Effect of Project Based Learning Approach in Social Sciences Class on the Student Success and Memorability, Abant İzzet Baysal University Turkey, International Journal of Humanities and Social Science Vol. 1 No. 21
- Nasriah L, 2017, Problem solving methods to improve understanding of learning social subjects matter for students of VII of OF SMP NEGERI 2 TIGARAKSA, Indonesia, Computer Science, European Journal of Education Studies
- Neff L, 2021, Lev Vygotsky and Social Learning Theories, Educational Technology, Learning Theories Website, accessed on June 6, 2021, <https://jan.ucc.nau.edu/lsn/educator/edtech/learningtheorieswebsite/vygotsky.htm>
- Pink S, Morgan J, 2013, Short term ethnography: intense routes to knowing, Symbolic Interaction 36(3), pp. 351-361
- QuestionPro.com, 2021, Types of Interviews in Research and Methods, accessed on June 12, 2021 <https://www.questionpro.com/blog/types-of-interviews/>
- Reeves S, Kuper A, Hodges B, 2008, Qualitative Research: Qualitative Research Methodologies: Ethnography Source: BMJ: British Medical Journal, Vol. 337, No. 7668, pp. 512-514 Published by: BMJ Stable
- Russo V, 1988, “Why we fight”, Act Up Demonstration in Washington D.C, Video Transcript, accessed on Feb 25, 2022 <https://actupny.org/documents/whfight.html>
- Shamsudina N, Abdullah N, Yaamatc N, 2012, Strategies of Teaching Science Using an Inquiry Based Science Education (IBSE) by Novice Chemistry Teachers, 6th International Conference on University Learning and Teaching (InCULT 2012), Procedia - Social and Behavioral Sciences 90, 2013, pp. 583-592
- Sivakumar R, 2018, Methods and Resources in Teaching Social Studies, Journal of Contemporary Educational Research and Innovations, Vol.8, No.2, pp. 207-216., April, 2018
- Stanford National Forensic Institute, 2021, The Power of Speech & Debate Education, accessed on June 10, 2021, <https://snfi.stanford.edu/skills>
- Stanford University, Social Inquiry, 2021, accessed on June 10, 2021, <https://ways.stanford.edu/about/ways-categories/social-inquiry-si>
- Starke K, 2020, Recognizing Bias: How to Find Credible Sources, Teaching Strategies, accessed on June 11, 2021, <https://www.teachhub.com/teaching-strategies/2020/01/recognizing-bias-how-to-find-credible-sources-2/>
- Strati R, 2018, Removing One’s Point of View from the Research Process
- Teachersadda.com, 2020, Project Method in Social Studies Pedagogy, accessed on June 10, 2021, <https://www.teachersadda.com/project-method-in-social-studies-pedagogy-notes-for-ctet-2020-free-pdf/>
- Teachthrough.com, 2021, Blended Learning, accessed on June 10, 2021, <https://www.teachthought.com/learning/the-definition-of-blended-learning/>
- Tellez & Gonzalez-Tobon, 2019, Empathic Design as a Framework for Creating Meaningful Experiences, Conference: Academy for Design Innovation Management | 2019 London Conference theme | Research Perspectives In the era of Transformations ADIM 2019, Volume: 2. No. 1
- The University of British Columbia, Open Case Studies, Act Up New York, accessed on June 15, 2021 https://cases.open.ubc.ca/act-up-new-york/#cite_note-Gill-Peterson_2013-3
- Thomas J, McDonagh D, 2013, Empathic design: Research strategies

UNDP, 2014, UNDP საქართველო, წარმატების ისტორიები „ფერმერის მოცვისფერი დღეები“, accessed on March 21, 2022, https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/ourwork/povertyreduction/successstories/his_blueberry_days.html

University of New South Wales (Australia), Sydney, 2021, Simulations, Teaching For Learning, accessed on June 10, 2021, <https://teaching.unsw.edu.au/simulations>

University of Waterloo, Center for Teaching Excellence, 2021, Self-Directed Learning: A Four-Step Process, accessed on June 11, 2021, <https://uwaterloo.ca/centre-for-teaching-excellence/teaching-resources/teaching-tips/tips-students/self-directed-learning/self-directed-learning-four-step-process>

Vandor P, Traxler N, Millner R, Meyer M eds., 2017, Civil Society in Central and Eastern Europe: Challenges and Opportunities, ERSTE Studies, ERSTE Stiftung, Vienna

VeneKlasen V, & Miller V, 2007, A New Weave of Power, People & Politics: The Action Guide for Advocacy and Citizen Participation, Chapter 8: Planning Moment #3: Identifying and Defining Problems

Warner A & Myers B, 2020, IMPLEMENTING INQUIRY-BASED TEACHING METHODS, IFAS Extension, University of Florida, Department of Agricultural Education and Communication (AEC), AEC 395, accessed on June 15, 2021, <https://edis.ifas.ufl.edu/publication/WC076>

XQ institute, 2020, #ReThinkHighSchool, What Is Inquiry-Based Learning? (IBL) <https://xqsuperschool.org/rethinktogether/what-is-inquiry-based-learning-ibl/>

დოლიძე თ, 2013, როგორ ვირჩევთ პროფესიას, ანუ უზრუნველყოფილი მომავლის ძიებაში, განათლების ბლოგი, accessed on June 1, 2021, <https://edu.aris.ge/news/rogor-vircevt-profesias-anu-uzrunvelyofili-momavlis-ziebas.html>

ელკანა, 2016, საქართველოს ფერმერთა კოოპერატივების კვლევის ანგარიში

ოთარაშვილი ნ, 2018, „ცოდნის კაფე“ - განათლების მიღების წყარო, მულტიმედია ცენტრი

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, 2015, საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“

კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი
2022, თბილისი